რევოლიუციის და საქართ. კომ. პარტიის ისტორიის კომისია

ეროვნული ბიბლიოთეკა

NATIONAL LIBRARY

რევოლიუციის მატიანე

ისტორიული ჟურნალი.

№ 2.

აპრილი 1923 წ.

პარტიის ისტორიის კომისიის გამოცემა.

ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. დ. სამხ. ცენზ.

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფ. განყ. მე-2 სტ. ტირაჟი 1500 ც. შეკვ. № 1820

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულიარულად.

საქ. კომპ. უველა ოლქკომეგს და მაზრკომეგს.

პატივცემულო ამხანაგებო!

საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან დაარსდა **პარტიის ისტორიის კომისია.**

აკუთვნებს რა უდიდეს მნიშვნელობას რევოლიუციონური წარსულის ყოველგვარ მასალათა დაგროვებას, შენახვას და გადამუშავებას, საქ. კომპარტიის ცეკა აკისრებს ოლქკომებს და მაზრკომებს დაუყონებლივ დაარსონ საოლქო და სამაზრო ბიუროები პარტიის ისტორიის კომისიისა და გამოჰყონ შესაფერი ძალები ამ დარგში სამუშაოდ.

ყველა ზემოხსენებულისათვის უნდა იხელმძღვანელოთ შემდეგი დებულებით:

1. პარტიის ისტორიის ბიურო არსდება პარტკომთან.

2. საქმის გასაცხოველებლად და მუშაობისათვის ახლო ხელმძღვანელობის გასაწევად კომისიის ბიურო აგზავნის გამოცდილ ამხანაგებს, რომელთაც აქვთ სურვილი და შეუძლიათ მუდმივი და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ მუშაობაში, პარტიის ისტორიის ბიუროს საშუალებით.

3. ბიურის შემადგენლობაში უნდა შევიდეს პარტკომის ერთ-ერთი წევრი.

4. ბიუროს წევრებს აღნიშნულ მუშაობისათვის არავითარი ჯილდო არ მიეცემათ.

5. ბიუროს წევრებს ამტკიცებს ადგილობრივი პარტკომი და აცნობებს ამის შესახებ პარტიის ცეკას ისტორიის კომისიას.

6. ყველა ორგანიზაციების ადგილობრივი ბიუროები მუშობენ პარტიის ცეკას ისტორიის კომისიის ხელმძღვანელობის ქვეშ და აწარმოებენ მასთან მიწერ-მოწერას უშუალოდ.

საქ. კომპარტიის ცეკას მდივანი **მიხ. კახიანი.**

რევოლიუციისა და საქ. კომპარტიის ისტორიის
კომისიის მდივანი **ს. თალაკვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის ყველა წევრებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტურ პარტიისა და რევოლიუციის ისტორიის კომისია აპირებს გამოსცეს 1917 წლამდე დაღუპულ ძველი რევოლიუციონერების მოკლე ბიოგრაფიების კრებული: „პროლეტარულ რევოლიუციისთვის მებრძოლთა ალბომი“, სადაც მოთავსებული იქნება აგრეთვე მათი სურათებიც.

ამ მებრძოლების არა სრული ბიოგრაფიები ჩვენ უკვე გვქონდა გამოცხადებული გაზ. „კომუნისტსა“ და „მუშაში.“ მასთან მკითხველებს ვთხოვდით: მოეწოდებინათ დამატებითი ცნობები ამ ამხანაგების შესახებ. განმეორებით კიდევ ხელახლა ვთხოვთ ყველა ამხანაგებს, მოგვაწოდონ როგორც დამატებითი მასალები იმ ამხანაგების ბიოგრაფიებისათვის, რაც უკვე იყო გამაქვეყნებელი, ისე ბიოგრაფიული ცნობები იმ ამხანაგების შესახებაც, რომლებიც აგრეთვე 1917 წლამდე დაიღუპენ, მაგრამ არ არიან დასახელებულნი გამოქვეყნებულ სიაში.

ძალიან სასურველია აგრეთვე ბიოგრაფიებთან ერთად გამოგზავნონ მათი ფოტოგრაფიული სურათებიც, რომლებიც, თუ კი მოითხოვენ, შესაძლებელია უკანვე იქნეს დაბრუნებული.

საქართველოს კომუნისტური პარტიისა და რევოლიუციის ისტორიის კომისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. კალაძე

მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ჩანასახი (90 80 წ. წ.).

1.

საერთო ამიერ-კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში, განსაკუთრებით ქართველი ხალხისათვის 70-იან წლებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამ დიდ ისტორიულ ფაქტს: 1) **ბაქო-ფოთის რკინის გზის გაყვანას**, 2) რუსეთ-ოსმალეთის ომს და 3) ამ ომში რუსეთის გამარჯვებას და აქედან შეჰქმნილ სახავო ხელშეკრულებას, როშლის ძალით ბათომი და მთელი ბათომის ოლქი საქართველოს ტერიტორიას შემოუერთდა.

ქართველმა ხალხმა ამ ფაქტების და პირობების გავლენით გარდამავალ ხანას, ეკონომიურ პოლიტიკურ კარჩაკეტილობას, ფეოდალურ წყობილებას და ნატურალურ წარმოების წესებს ერთიანათ თავი დაახწია. უკვე აღსრულდა „დროებელების“, დემოკრატ-„ლიბერალების“, ე. ი. გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის და სერგეი მესხის ნატვრა: „მშრომელმა ხალხმა თვითონ უნდა აკისროს თავის ნაწარმოების გასაღებაო“.

ამ დროიდან ჩვენებური გლეხი გახდა მიწის „მფლობელი“ და „ვაჭარი“—თავის საქონლის ახლო ბაზარზე გამომტანი. ეს ერთი. მეორე—შუათანა და მსხვილი ჩარჩებისა და მევახშეების ხელში გადავიდა საქონლის შორეულ ბაზრებზე გატანის საქმე; აქედან საერთოთ გაჩაღდა მხარეში ვაჭრობა-აღებმიცემობა.

მესამე შედეგი იყო ბაქოს ნავთის წარმოების გაჩაღება და ბათუმის პორტის გაშენება, აქ, ბათუმში „ნავთის ქარხნების“ დაარსება და ამით უმიწა-წყლო მშრომელი ხალხისთვის „**ქირით სამუშაოს**“ გაჩენა.

ამნაირათ, ამიერ-კავკასიის ხალხებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე გაჩაღდა, გაიმართა მეტად ვრცელი და მნიშვნელოვანი კაპიტალისტურ-ეკონომიური სარბიელი; აქ ამ ასპარეზზე გაჩაღდა ხალხთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ეკონომიური ბრძოლა-მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოქეობა, მოცილეობა, კონკურენცია; და ამ ბრძოლაში, ამ ეკონომიურ ომში ჩვენმა მეზობელმა ყოველმა ხალხმა თავისი ფრონტი და თავისი პოზიცია დაიკავა.

აქ ბრძოლა სწარმოებდა ორგვარი, ორ სხვა და სხვა ელემენტებ შორის: ერთი იყო **შინაური**, ხოლო მეორე **„უცხოთა შორისი“. შინ**, ყოველი ხალხის ფარგლებში მშრომელ ელემენტებს ებრძოდენ მყვლეფელები, ხოლო გარეთ გამართული იყო ბრძოლა შინაურსა და უცხოელ მყვლეფელებ შორის; და რადგან **გარეთ ბრძოლა** ეროვნულ დროშის ქვეშ სწარმოებდა, ამიტომ მან სასტიკი **ეროვნული ბრძოლის** ხასიათი მიიღო. ხოლო შინ, ეროვნულ ფარგლებში კი ბრძოლა თანდათან წმინდა **სოციალურ-კლასობრივი** ერთ ტერიტორიაზე (ამ შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე) ყველა ხალხების წარმომადგენლებს ორ სხვა და სხვა მტრულ ბანაკათ ყოფდა: ღარიბების, გაყვლეფილ მშრომელების ბანაკათ და შეძლებულების, ანუ მყვლეფელების ბანაკათ. ხოლო **გარეშე ეკონომიური ბრძოლის** ასპარეზზე ყოველი ხალხის ანუ ერის მყვლეფელები, ერთათ, ყოველი სხვა ხალხის ან ერის მყვლეფელებს უპირდაპირდებოდნენ. აქედან **შინ** ჩაღდებოდა და ვითარდებოდა კლასობრივი ბრძოლა, ხოლო გარეთ კი **ეროვნული**.

მაგრამ, რადგანაც საერთო ცხოვრების და საზოგადოებრივობის მეთაური და ხელმძღვანელი შეძლებულთა ანუ მყვლეფელთა ბანაკი იყო, ამიტომ ეს ბანაკი თავის საგარეო ანუ, სხვანაირად, **ეროვნულ** ბრძოლაში თავის გაყვლეფილ ანუ ღარიბ შინაურებს ადვილად ითრევდა და მონაწილეობას აღებინებდა ხოლმე. ჩვენში, მაგალითათ, საქარ თველოში, განსაკუთრებითი სიძლიერით წარმოიშვა „სომხის საკითხი“ და განსაკუთრებული ხასიათი მიიღო სომხების წინააღმდეგ ბრძოლამ. ამ ბრძოლაში ისე, როგორც წინათ „რუს ხელმწიფის“ წინააღმდეგ ბრძოლაში მწყობრათ იდგენ ქართველი ხალხის არა მარტო მყვლეფელი ელემენტები, არამედ გაყვლეფილი მშრომელი ელემენტებიც. ეს ბრძოლა ეკონომიურ ნიადაგზე იქამდე მივიდა, რომ ქართველი ინტელიგენცია თავის წმინდა მოვალეობათ თვლიდა: **სომხის ვაპრიხაგან არავითარი საქონელი არ ეყიდა.**

ამნაირათ, ეროვნულმა მოძრაობამ და ბრძოლამ საქართველოში აღნიშნულ ხანაში სხვა ხასიათი და სხვა ფორმა მიიღო: წინათ თუ იგი უმთავრესათ რუსეთის ბიუროკრატიისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული, და ამის გამო მარტო **რუსი** ჰყავდა ამოჩემებული და ათვალისწუნებული, ახლა უმთავრესათ ეკონომიურ ფრონტზე გადვიდა და მიზანში უმეტესათ **სომეხი** ამოიღო. ამ ხანაში ბრძოლას ხელმძღვანელობას უწევდა „ლიბერალურ“ დემოკრატიული ინტელიგენცია. წინათ მას უმეტესათ აჯანყების ხასიათი ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ხოლო ამ ხანაში მან მშვიდობიანი პროპაგანდა-აგიტაციის სახე მიიღო.

ორივე ამ მიმდინარეობამ სრული გამოხატულება ჰპოვა, როგორც ზემოთაც ვთქვით, ქართულ მწერლობაში. ყველა ამ დროის ჟურნალი, გაზეთი და წიგნი, ზოგი გამონაკლისის გარდა, მხოლოთ ზემოთ აღნიშნული ამ ორი მიმართულების და იდეოლოგიის გამომხატველია: პირველია თავადაზნაურული **„პატრიოტობა“**, ხოლო მეორეა ბურჟუაზიულ—დემოკრატიული **„ნაციონალისტობა“**.

ამ ხანაში ჯერ კიდევ არა სჩანს სხვა მიმართულების, კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგიის ჩანასახიც კი.

2.

მაგრამ 80-იან წლების დასაწყისშივე **ახალი** ცხოვრების **ახალი** ნიშნები და ელემენტები გამოჩნდენ, მოხდა აგრეთვე **ახალი** პოლიტიკური მნიშვნელობის **დიდი აქტი** და ჩვენშიაც იშვა-ახალი მიმართულება, გაჩნდა ახალი მებრძოლი „დასი“.

როგორ დაიწყო და როგორ მოხდა ეს?

ეს იმ დროს მოხდა, როცა ქართველი ხალხის მშრომელი ელემენტებიც კი მხოლოთ ეკონომიური ზრუნვით იყვნენ ჩანთქმულნი, როცა მის ინტელიგენტურ წრეებში პოლიტიკური მხრით „პატრიოტული“ ხმები თუ ისმოდა, თვარა სხვა ფიქრი, სხვა ზრახვა არა სჩანდა. ერთი სიტყვით, ჩვენს საზოგადოებრივ სფეროში „მკვდრული სიჩუმე“ იყო გამეფებული.

და აი ამ დროს, 1881 წლის მარტში ისევ ჩრდილოეთის ჰორიზონტზე ქართველთა მოულოდნელათ გავარდა მეხი: მოხდა ღრმა ისტორიული მნიშვნელობის ტერორისტული დიდი აქტი: ანდრია ჟელიაბოვმა, რუსის მუშების და სტუდენტების მონაწილეობით, ყუმბარით აღექსანდრე მეორის აფეთქება მოახერხა.

როგორც ყოველთვის, ახლაც ქართველი ხალხის პოლიტიკურათ გამაფხიზლებელ—გამაღვიძებელი ხმა რუსეთიდან მოისმა.

არ დარჩენილა საქართველოში არც ერთი წრე, რომ ამ საშინელ ხმას არ გამოეფხიზლებოის. თავადაზნაურული „პატრიოტული“ ინტელიგენციიდანაც კი პოეტ აკაკის ნარნარი საიმედო ხმა მოისმა: „დღეს მერცხალი შემოფრინდა, ჭიკჭიკითა გადმოჰძახა: გაზაფხული, გაზაფხული, გულს **იმედი** დამესახა“! ეს „იმედი“ აკაკის ტერმინოლოგიით საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის **იმედი** იყო. ალბათ აკაკი ფიქრობდა: რაკი „რუს-ხელმწიფე“ თვითონ რუსებმა მოკლეს, ახლა დადგა მომენტი, რომ ქართველებმა „ხელი ხმალს იკრან“ და თავისი საკუთარი „სახელმწიფო“ აღდგინონ, „თავი გაინთავისუფლონო“.

საქართველოს სამღვდელოებამ, „ვაი უის“ ყვირილით ტირილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორთო გაბრიელ ეფისკოპოზის მეთაურობით. გაბრიელმა მაშინ ქუთაისის „სობოროში“ დიდი პოლიტიკური წყველა-სიტყვა წარმოთქვა რუსის სოციალისტების მიმართ, რომლებმაც, მისი სიტყვით, „განმათავისუფლებელი“ მეფე ალექსანდრე არ დაინდვეს და ხალხს „მწყალობელი“ უღვთოთ ხელიდან გამოაცალეს. წყეულიმც იყვნენ რუსის სოციალისტებთან ერთათ ყველა ქვეყნის სოციალისტებიო, დააბოლოვა გულამოსკვნით გაბრიელმა თავისი ისტორიული და მტევრმეტყველური „სიტყვა“. (იხ. გაბრიელ ეფის. წიგნი — „ქადაგებანი“).

ამ ამბავმა ჩვენი „ლიბერალ-დემოკრატები“ სულ ერთიანათ დაამუნჯა: ვერც ერთ მათ ორგანიზი ვერავითარ გარკვეულ აზრს ამ საკითხზე ვერ შეხვდებით. ამ საკითხს სრულიათ გვერდს უვლის ჩვენი თანამედროვე „ჰატრიოტ“ მენშევიკების ლიდერი პუბლიცისტი ნოე ჟორდანია თავის წიგნში — „ქართული პრესა“ და ეს მეტათ დამახასიათებელია მისი ოპორტიუნისტული ბუნების გასაგებათ.

სამაგიეროთ რუსეთის სოციალისტ-რევოლიუციონერთა ბელადის, „ნაროდნიკების“ ამ ისტორიულმა ტერორისტულმა აქტმა თავისი მეექვე ხმით დიდი გარდატეხა მოახდინა ქართველ ხალხის იდეოლოგია—ფსიქოლოგიაში.

ამ ამბის შემდეგ მშრომელმა გლეხკაცობამ დიდი ეჭვის თვალით დაუწყო ყურება უძლეველ „რუს ხელმწიფეებს“ და მანამდე „უკვდავათ და ყოვლად შემძლეებათ“ მიჩნეულნი დღეს მისთვის მომაკვდავები და უძლურნი აღმოჩნდენ. მეორე მხრით „სტუდენტი“ გლეხის თვალში რაღაც ნაირი ახალი „მოღვაწე“ გახდა, რომელსაც მან „ცოციალისტი“ უწოდა. ამ დღიდან ჩვენებური გლეხი ამ ახალ „მოღვაწეს“, ცოციალისტ-სტუდენტს“ ე. ი. **სოციალისტს** მოწიწებით, შიშით და კრძალვით შეჰყურებდა.

ამ აქტიო საქართველოს მოსწავლე ახალგაზდობაში დიდი ახალი გონებრივი მოძრაობა დაიწყო. ჩვენი მაღალი შკოლა მაშინ ტფილისის სასულიერო სემინარია იყო და სტუდენტის როლს სემინარიელი ასრულებდა. და აი წინათ თუ განვითარებული სემინარიელი მხოლოთ ქართული ეროვნული მწერლობის ბურჯი იყო, ახლა ის რევოლიუციური აზროვნების და მოქმედების გამომხატველი გახდა.

ამ დღიდან იმ დროის სემინარიელმა მთელი თავისი ყურადღება მწერლობას მიაპყრა, რომელიც ამ ამბავს, ამ მოვლენას განმარტავდა, ე. ი. სოციალისტურ რევოლიუციონურ მწერლობას; და რადგან არა თუ ასეთი მწერლობა, არაჰედ ყოველ მეცნიერული და პუბლიცისტური ნაწერი სემინარიის მთავრობისაგან სასტიკათ იყო აღკრძალული, მოწაფეებში გაჩნდენ „ფარული წრეები“, რომელნიც სოციალისტურ-რევოლიუციონური და მეცნიერული აზრების გამომხატველ წიგნებს შკოლის გარეთ ეძებდენ და ეწაფებოდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი მათ მოთხოვნილებას მთელს ჩვენს, მაშინდელ ინტელიგენცია—მწიგნობრებში, სიხარულით და აღტაცებით მხოლოთ ორი კაცი მიეგება. ესენი იყვენ ზემოთ დასახელებული მწერალი ანტონ ფურცელაძე და მისი გამომცემელი, ცნობილი დემოკრატი მწიგნობარი—ზაქარია ჭიჭინაძე. თითქმის ყოველ „განვითარებულ“ სემინარიელს ამ ხანისას, 80-იან წლებში, კავშირი ჰქონდა ამ ორ კაცთან, რომელთაგან ისინი საჭირო რჩევა-დარიგებას და წიგნებს ღებულობდენ (იხ. ზ. ჭ მოგონებანი გაზ. „ტრიბუნის“ 1921 22 წ. №№-ში).

ამას მოჰყვა სემინარიის მთავრობის მხრით სასტიკი რეპრესიები, ხოლო რეპრესიებმა გამოიწვია რევოლიუციურ ელემენტების მხრით „ტერორისტობა“. ამის საილიუსტრაციოთ შეგვიძლია ორი ფაქტი დავასახელოთ. ერთი ცნობილი რევოლიუციონერი სოციალ-დემოკრატის, სილიბისტრო ჯიბლაძის მიერ (იმ დროს სემინარიის მოწაფე იყო) მაშინდელი რექტორის, დეკანოზ ჩუდეცკის გალახვა და მეორე ოსებ ლაღიაშვილის მიერ ხანჯლით აპაეე ჩუდეცკის თავის მოჭრა.

როგორც ხედავთ აქ, სემინარიის კედლებ შორის, საქართველოს ცენტრალურ სკოლაში პატარა სკოლური ცხოვრების მასშტაბით განმეორდა ის (1884 – 5 წელს), რაც პეტროგრადში რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში უდიდესი მასშტაბით და ძლიერებით შესრულდა. რუსეთის სტუდენტებმა ხალხის უდიდესი მტერი, „რუსეთელმწიფე“ მოკლეს, ხოლო საქართველოს სოციალისტ სემინარიელებმა თავის გონებრივ ჯალათს, ხუცესს ჩუდეცკის საკუთარი ხელით ბოლო მოუღეს. (იხ. ჟურნალ „მომავლის“ 1922 წლ. 6 №-რში ამხ. ფილიპე მახარაძის მოგონება „როგორ გაეხდი მარქსისტი“).

3.

ყველა ამ სოციალისტური დროშის ქვეშ მომხდარმა ამბებმა კიდევ უფრო ძლიერი გავლენა მოახდინეს ტფილისის მაშინდელ მუშა-ხელოსანთა წრეებზე. როგორც წინა თავში ვთქვით, ტფილისში უკვე 70-იან წლეებშივე გაჩნდენ „მდაბიო“ მკითხველები“. მკითხველები იყვენ ტფილისის მუშა ხელოსნები.

და აი, როცა სოციალისტური იდეები რუსეთიდან ტფილისის მდაბიო წრეებსაც ჩასწვდათ, როცა სოციალისტური ხასიათის ხმები და ამბები ტფილისს მოედო, მაშინ ტფილისის მუშა-ხელოსნების ბნელ ნესტიან სარდაფებშიაც სოციალისტურმა ხმამ შეანათა. შეანათა და ამ სინათლეს მუშა-ხელოსნები აღტაცებით და სასოებით შეხვდენ. აღმოჩნდა, რომ ერთათ ერთი ნაყოფიერი ნიადაგი ამ სოცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისტური საქმისთვის მხოლოთ და მხოლოთ ამ მუშა-ხელოსნების სული და გული.

აღსანიშნავია, რომ ტფილისის მუშა-ხელოსანთა წიაღში გაჩნდა სრულიად დამოუკიდებელი, ანკარა ნაკადი პოეზიისა, რომელიც, სამწუხაროთ, შემდეგში ვერ განვითარდა და რომელთაც თავისი გაფურჩქვნის პირობები ახლო მომავალში ელის.

აი როგორ ამღერდა მაშინ ტფილისის მუშა-ხელოსნების ერთი პირველი მგოსანთაგანი, **იოსებ დავითაშვილი** (ჩუქურთმის მჭრელი ხელოსანი იყო):

„მუშა რომ ვარ მისთვის ვიცი
მუშის გულის პასუხები,
ღმერთმა მუშებს გაუმარჯოს,
უქმყლაპელებს არ ვეხები..“

ვით მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ევროპის მუშა-ხელოსნები, პირველი კომუნარები, ევროპის კიდით კიდემდე ნოგზაურობდენ და ჩაგრული კაცობრიობის ბედის გასაღებს ეძებდენ, და ვით ისინი ორმოცი წლის მოგზაურობის შემდეგ კაცობრიობის ბედნიერების მახარობელთ—მარქს-ენგელსს შეხვდენ, ისე საქართველოს მუშა-ხელოსნები, რომლებიც რუსეთის დიად ფარგლებში მოგზაურობდენ, მარქს ენგელსის მოძღვრების მქადაგებელთ შეხვდენ და მალე გაეცვნენ.

მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, მანამ ისე, როგორც ევროპის მუშები, მთელი საუკუნის განმავლობაში უტოპიური სოციალიზმით კმაყოფილდებოდენ. ჩვენშიაც, ჩვენი მუშა-ხელოსნებიც ამ უტოპიურ სოციალიზმის იდეებს ითვისებდენ. ისინი გაფაციცებით ეძებდენ ამ იდეების ჩვენში მაშინდელ მატარებელს და მათ უახლოვდებოდენ. და ასეთი პირები კი იყვნენ მაშინ ჩვენში იგივე სოციალისტ-სემინარიელები, რომლებსაც, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მჭიდრო იდეური კავშირი ჰქონდათ ანტონ ფურცელაძესთან და ზაქარია ჭიპინაძესთან. ერთი ასეთი სემინარიელთაგანი იყო გორელი ღარიბი ჩოდრის შვილი **გოლა ჩიტაძე.**

აი როგორ აგვიწერს ზ. ჭიჭინაძე თავის მოგონებაში (1921 წლის ივლისის „სოც.-ფედერალისტის № 113-ში) ამ პირველ პიონერს ქართული უტოპიური სოციალიზმისას:

„გოლა ჩიტაძე იყო იმ დროის (80-იან წლების) კვალათ ქართველი სოციალისტი. რუსული სოციალისტური წიგნების კითხვა გოლა ჩიტაძემ ერთობ ადრე დაიწყო, იგი სემინარიის მეორე კლასის მოწაფე გახლდათ, რომ რუსულ სოციალისტურ მწერლობას უკვე კარგათ იცნობდა და დღე და ღამ სულ ასეთ წიგნების კითხვაში იყო გართული. გოლა ჩიტაძეს ჰქონდა კარგ მოწაფეებთან კავშირი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელნიც კითხულობდენ შერჩევით თავიანთი დროისა და გონების გან-ვითარების კვალათ შესაფერს წიგნებს, ამათ არც რუსული საიდუმ-ლო წიგნების და გაზეთების კითხვა აკლდათ, რასაც ყოველთვის გოლა ჩიტაძე შოულობდა და ყველა ეს ჩუმათ და დიდის ოსტატობით შეჰქონდათ სემინარიაში.

გოლა ჩიტაძე სემინარიის გარეთ სცხოვრობდა და იგი მხურვალე მონაწილე იყო იმ დროის სოციალისტური წრეების; მაშინ ტფილისში ერთი ერთი სოციალისტური წრე იყო, რომელსაც სულ რუსები მფარველობდენ. იმ სოციალისტურ-რევოლიუციონურ წრეში დადიოდა გოლა ჩიტაძე, აქედამ გამოჰქონდა მას ბევრი რამ წიგნები და ყველა იგინი შეჰქონდა სემინარიის მოწაფეებში".

„**გოლა ჩიტაძე**, განაგრძობს ზაქარია, ისეთი მახვილ—გონიერი კაცი იყო, რომ **მან ჩემის დახმარებით გაიცნა იმ დროის ტფილისის ქართველი მუშები და ხელოსნები, რომელნიც მაშინ სოციალისტურ განვითარებას მისდევდენ და იგინი ქართულ სოციალისტურს საუკეთესო წიგნებსაც კითხულობდენ.** ასეთ მუშებს გოლა ჩიტაძე დიდი სიხარულით დაუახლოვდა. მათზე მან დიდი გავლენა მოახდინა, ნამეტნავათ სოციალისტური წიგნების კითხვით და ამის შესახებ ლაპარაკით დიდს გავლენას ახდენდა. ეს რომ მართალი გახლავთ, ამას დაასაბუთებენ თვით ეხლანდელი ბალშევიკების ლიდერი მუშა ხელოსნებიც, რომელნიც მაშინ გოლა ჩიტაძესაგან **ქართულ ენაზე სოციალისტურ ლექციების კითხვას ისმენდენ** და მით იგინი დიდი მადლობელნიც იყვენ... როცა **გოლა ჩიტაძემ** მოინდომა ქართულ ენაზე სოციალისტური წიგნების **ბეჭდვა**, მაშინ ამისათვის მას დასჭირდა ერთი კაცი, რომელიც ბეჭდვაში უშველიდა. მან ამისთვის სხვა არავინ შეაწუხა და ამ საქმეში მომქმედ ამხანაგათ თავისი უმცროსი ძმა (იმ დროს გიმნაზიის მოწაფე) შეო ჩარიცხა... **ამნაირათ მათ ქართულ ენაზე გამოსცეს პირველათ „ოთხი ძმის ზღაპარი"**, რაც პირველი მაგალითი იყო (ასეთი წიგნის გამოცემა) ქართულს ენაზე. **ამ წიგნის თარგმანი და ბეჭდვა იმ დროის ქართველ მუშებმა და ხელოსნებმა დიდის ქება—დიდებით მიიღეს და მის მთარგმნელსა და დამბეჭდავს, გოლა ჩიტაძეს დიდ მადლობას უძღვნიდენ**".

4.

უტოპიური სოციალიზმის იდეები რუსეთიდან ტფილისისაკენ ორი გზით მომდინარეობდა: ერთი მწერლობის გზით, რომლის მეოხებით ამ იდეებს ჩვენი ზოგი მწერალიც ეცნობოდა, მეორე-რუს ინტელიგენტ სოციალისტების წრეების გზით, რომლებიც ტფილისში არსდებოდენ და სადაც ჩვენი სოციალისტური მოძრაობის პიონერები იწრთვნებოდენ, ვითარდებოდენ. ასეთი პიონერები, როგორც ჭიჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაძის მოგონებიდანაც სჩანს, არა მარტო ქართველი მწერალი-**ანტონ ფურცელაძე**-და ქართველი პროლეტარ ინტელიგენტი-**გოლა ჩიტაძე**-იყვნენ, არამედ „ახლანდელი ბალშევიკების ლიდერი მუშა-ხელოსნებიც“.

აი ტფილისის ამ პროლეტარ ინტელიგენტთა და მუშა-ხელოსანთა ჯგუფმა პირველმა იკისრა შეექმნა ქართულ ენაზე **არა-ლეგალური სოციალისტური მწერლობა**. მისი თავგანწირული მუშაობის პირველი ნაყოფი იყო გეკტოგრაფზე დაბეჭდილი ჩერნიშევსკის წიგნაკის ქართული თარგმანი-„ოთხი ძმის ზღაპარი“. დიდი სისწრაფით გავრცელდა ის, როგორც მუშათა წრეებში ისე მოსწავლე ახალგაზდობაში. სადაც კი ამ დროს „ანდგარმერია“ ან სემინარიის ეთავრობა ვისმე ბინას გაჩხრეკდა, იქ გეკტოგრაფზე დაბეჭდილ „ოთხი ძმის ზღაპარს„ უთუოთ იპოვიდა. დაახლოვებით ეს იყო 1885 88 წლ.

შემდეგ წელს რევოლიუციონური მწერლობის ასპარეზზე ტფილისში თვითონ მუშა-ხელოსნები ინტელიგენციისაგან სრულიათ დამოუკიდებლათ გამოვიდენ. ეს მეტათ საყურადღებო ფაქტი მოხდა 1889 წელს, როცა ტფილისის მუშა ხელოსანთა ერთმა წრემ, სადაც ზ. ჭიჭინაძე სოციალისტური შინაარსის წიგნებს ჭკითხულობდა, პირველათ დაარსა საკუთარი მუშური ხელნაწერი ჟურნალი სახელწოდებით „**მუშა**“, რომელსაც რედაქტორობდა ერთი უცნობი მუშა და გადამწერი იყო მიხეილ მეტეხელი. აქ ამ ჟურნალში მხოლოთ მუშა-ხელოსნები ათავსებდენ თავიანთ ნაწერებს (მათ შორის არაქელა ოქუაშვილიც). მისი არსებობა არა თუ მთავრობის ჯაშუშებმა, არამედ თვით ამ მუშების მეგობარ ინტელიგენტებმაც არ იცოდენ; იცოდა მხოლოთ მათიცვ წრეში ყოფმა ზაქარიამ, რომელმაც შემდეგში ეს წრეც და მისი ჟურნალი „მუშაც“ გააცნო როგორც ანტონ ფურცელაძეს, ისე გოლა ჩიტაძესაც.

ამით ქართველმა მუშებმა **პირველი გაკვეთილი მისცეს ჩვენებურ ინტელიგენტ-სოციალისტებს და მიუთითეს მათ იმ აუცილებელ საჭიროებაზე, რომ არა-ლეგალური და საერთოთ სოციალისტური მწერლობა აუცილებლათ მუშების ენაზე, ქართულ ენაზე უნდა შედგეს**.

ქართველი მუშების პირველი ქართული ჟურნალის, „მუშის“ დაარსების ამბავს ზაქარია ჭიჭინაძე თავის ჯერ არ გამოქვეყნებულ ხელნაწერში, რომელიც თვითონ ავტორმა დროებით გადმომცა, შემდეგ ნაირათ მოგვითხრობს:

„1880 წელს მე უკვე ფანატიკი სოციალისტი ვიყავი და სოციალისტური აზროვნება ჩემში დღითი დღე ფართოვდებოდა, ამავე დროს ქართველ მუშებში **მე ვავრცელებდი სამშობლო ენის და**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიგნობრობის სიყვარულს, მაგრამ ეს მათ არ აინტერესებდა. ამიტომ მე ალღო ავართვი მათ, რომ **მათში საჭირო იყო სოციალისტური აზრების და წიგნების ვრცელება, რაც იმათ მალე დაინტერესებდა და ქართული წიგნების კითხვასაც უფრ უკეთ დაიწყებდენ**. ამ გარემოების თანახმათ აი რა მოვახერხე:

შევადგინე მუშათა და ხელოსანთა ერთი წრე. ამ წრეში ერივნენ უფრო ისეთნი, რომელთაც ქართული წერა-კითხვა უფრო უკეთ იცოდენ, ამ წრეში ერივენენ ტფილისის სახელოსნო სკოლის მოწაფენიც, როგორც მ. თოიძე და ზოგნიც სხვანი; მათი გვარები აღარ მახსოვს. ამათ პირველს კრებაზე მე წავიკითხე ილ. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი", პოემა „კაკო ყაჩაღი" და ჯონქაძის მოთხრობა „სურმის ციხე". მუშები და ხელოსნები დიდი მადლობელი იყვენ. ამ კრებას დაესწრო 15 კაცი. მეორე კრებას დაესწრო 25 კაცი. მე წაუკითხე ზოგი რამ პოლიტიკური პროცესები, როგორც მაგალითათ, „ვერა ზასულჩისა„ და ასევე სხვები. **ამის კითხვამ მუშები და ხელოსნები დიდათ დაინტერესა**. მესამე კვირის მოგროვდა 45 კაცი. ამათ გავაცანი რუსეთის 60-იან წლების მწერალთა ბიოგრაფიები, ამათი ნაწერების დედა აზრები, **ჩერნიშევსკის** ცხოვრების ცნობები, და მისი მოღვაწეობანი. იმავე დროს ქართველ მუშებს . . . . . კვირა-კვირაობით ვუკითხავდი ევროპიულ სოციალისტების ცხოვრების ცნობებსაც: რობერტ ოვენის, სენსიმონის, ფურიეს, კოოპერატიულ მოძღვრებას, აგრეთვე პრუდონის, ლუიბლანის ცხოვრებას და ლასალის, მარქსის ცხოვების ცნობებს, ბაკუნინის, კროპოტკინის, ქართველის ჩერქეზიშვილის და სხვა . . . . . .

ამის შემდეგ თვითონ ტფილისის მუშებმა განიზრახეს საკუთარი ხელნაწერი ჟურნალის, „მუშის" გამოცემა (ეს იყო 1889 წელს). **ჩერილებს გადაწერა** იკისრა მუშა მებაღემ (იმ დროს საბაღოსნო შკოლაში მუშაობდა) **მიხეილ მეტეხელმა**, მან წერა კარგი იცოდა, შიგ სურათებსაც ხატავდა . . . . . ამ ჟურნალის თანამშრომელებიდან ახლაც ცოცხლები არიან: გიორგი მანთაშოვი, მეჩექმე, კარგი მელექსეა, ცნობილია ფსევდონიმით „შინატეხელი", გეურქა დიაროვი, ხელობით მეჩოთქე, არაქელა ოქუაშვილი, გიგო ბასილაშვილი ანუ ნორიელი სლესარი.

ამ ჟურნალის ორ თვეში ერთი წიგნი გამოდიოდა. მისი ერთი წლის ნომრები მე მქონდა ერთათ ერთ ყდაში შეკრული და იგი ვუთავაზე ვ. ჩერქეზიშვილს და მან იგი ლონდონში წაიღო, სადაც მან იგი ბრიტანეთის სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკას გადასცა და იქ არის დაცული.

ეს წიგნი პროფესორმა ალ. ხახანაშვილმაც ასწერა ჟურნ. „მოამბეში", 1905 წ. აგვისტოს № VIII-ში (8), სადაც მას ანუსხული აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა იმ ხელნაწერების სია, რომლებიც ხსენებულ ბიბლიოთეკაში ინახება....

ქართველ მუშათა და ხელოსანთა ასეთმა ენერგიულმა მოქმედებამ ისე **გამამხნევა, რომ გავბედე და ქართულ ენაზე არამც თუ წერა დავიწყე ქართველ მუშების ცხოვრებაზე, არამედ ევროპის სოციალისტებისა და კომუნისტების** ცხოვრების აღწერასაც შეუდექი ქართულათ.“ ეს ცნობა ამოღებულია ზ. ჭიჭინაძის „მოგონებებიდან“, ჯერ დაუბეჭდავი ხელნაწერიდან, რომლითაც ავტორის ნება—სურვილის თანახმათ ვისარგებლე. რ. კ.

აქედან შემდეგი დასაბუთებული უტყუარი ნათელი და აშკარა დასკვნა დებულება შეიძლება გამოვიყვანოთ: 1, რომ ქართველ **მუშებს ისე, როგორც საერთოთ ყოველ მუშას „ხამშობლო ენა და მწიგნობრობა“ უმთავრესათ იმდენათ უყვართ და აინტერესებთ, რამდენათაც მათ ეს ენა და მწერლობა სოციალისტურ საკითხების გარკვევაში ეხმარება.**

2. რომ ქართველმა მუშებმა, ისე როგორც სხვა ქვეყნებში ყველგან, თვითონვე სკადეს ინტელიგენციისგან დამოუკიდებლათ სოციალისტური, კომუნისტური კითხვების გარკვევა და მწერლობის ასპარეზზე გამოსვლა

და 3, რომ ქართველმა მუშებმა ისე, როგორც ყველა სხვა ქვეყნის მუშებმა, განიცადეს უტოპიური სოციალიზმის გავლენა.

5.

რას წარმოადგენს თავის თავათ მუშათა ქართულ ჟურნალ-გაზეთის **ეს ჩანასახი**, ტფილისის მუშების პირველი ხელნაწერი ჟურნალი „მუშა“, „განთიადი“ და სხვები?

ხელნაწერი პერიოდული მუშათა ქართული ჟურნალი, როგორც სჩანს, პირველათ ტფილისის სახელოსნო სკოლის მოსწავლეებს შეგოუღიათ 80-იან წლებში. ხელნაწერ ჟურნალის „მუშის“ გაგრძელებათ უნდა ჩაითვალოს 1891 წლის მარტში გამოცემული ხელნაწერი ჟურნალი „განთიადი“, რომელსაც აწერია: „სახელოსნო სკოლის ჟურნალი“ და გამოცემულ-გადაწერილია მ. სიმონიძის მიერ (იგივე მიხეილ მეტეხელი).

აქედან უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მიხეილ მეტეხელს სახელოსნო სკოლის მოსწავლეებთან ამხანაგური კავშირი ჰქონია, თუმცა თვითონ, როგორც ამბ. ზაქარია ჭიჭინაძე ამბობს თავის მოგონებაში, საბაღოსნო სკოლაში იყო. ამას ის გარემოებაც ამოწმებს, რომ ყველა მ. სი თანამშრომლები და ამხანაგები უმეტესათ სახელოსნო სკოლის მოსწავლეები იყვენ, თუმცა ისიც აშკარაა, რომ მათთან ერთათ გარეშე მუშებიც თანამშრომლობდენ (მაგალითათ, როგორც ზემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც ვთქვით, ა. დღიურაშვილის ფსევდონიმით ამ ჟურნალში ლექსებს ათავსებდა ამბ. არაქელა ოქუაშვილი, ასევე-სხვებიც).

აქ, ამ ხელნაწერ ჟურნალის სტატიებში უკვე წამოყენებულია მუშისა და გლეხის ჩაგვრის საკითხი. **„რა ღლიშია მუშა ხალხი“**? ჰკითხულობს ერთი ავტორთაგანი (მუშა) და ასე უპასუხებს: „გლეხი კაცის ტანჯვა, ვაება და ფუჭი შრომა... რა კალამი იქნება, რომ დაწვრილებით აწეროს. „გლეხებს **ვერ უგრძვნიათ**, თუ რანაირად ერთმეორეთ მათ **უსწავლელობით** პირიდან ლუკმა და **არიან დაჩაგრულები**“. „სხვისი მუშები არიან წლითი წლამდე“, განაგრძობს იგივე ავტორი და ბოლოს ასეთს იმედს გამოთქვამს: **„იმედია, თუ მუშებში ფესვი გაიდგა სწავლა-განათლებამ, მაშინ შეუძლიათ ეძიონ თავისუფლება და აღარ სცემდენ თაყვანს სხვებს. მაშინ სახლშიაც დარჩებათ თავიანთი ნაწვავ-ნადაგი“**... (იხ. ჟურ. მოამბის № 8, 1905 წ. გვ. 129 და 11 გვ. „ქართული ხელთნაწერები“ ა. ხახანაშვილისა).

როგორც ხედავთ, ახლათ გამოფხიზლებულ ჩვენს მუშებს ჯერ თავის თავი კიდეე ვერ უცვნიათ და გლეხს ესარჩლებიან, როგორც მუშას და ჰგონიათ, რომ თუ გლეხმა-მუშამ სწავლა-განათლება მიიღო, მაშინ ის თავისუფლებასაც მოიპოვებს და „თავის ნაწვავ-ნადაგს“, ე. ი. ნაშრომს თვითონვე დაისაკუთრებს. მათი აზრით დაჩაგრულს იხსნის **„სწავლა-განათლება“**.

თუ როგორი სწავლა-განათლებაა საჭირო ან როგორ უნდა ებრძოლონ დამჩაგვრელებს თავისუფლებისა და „ნაწვავ ნადაგის“ შესანარჩუნებლად, ამაზე ვერაფერს ამბობენ.

ამ მხრით მეტი გამოფხიზლება მხოლოთ შემდეგში, 1891 წლის ხელნაწერ ჟურნალში, „განთიადში“ ეტყობა მათ. აქ სოციალური კითხვა, მუშათა საკითხი უფრო წინაა წამოყენებული და ლექსებშიაც „უქმყლაპელების“ წინააღმდეგ ბრძოლას ქადაგებენ.

ჟურნალ „განთიადის“ პირველ ნომერშივე მუშა პოეტი, ვ. უჩინარიძე თავის ლექსში—**„მუშას“**-ასე მკაფიოთ ახასიათებს:

„მას უძგერს გული მუდამ შრომისთვის,
სიზარმაცისგან შორეულია,
და ნაცვლათ იგი ბედნიერების,
უწყალო ბედით დაჩაგრულია“.

იმავე №—ში მეორე მუშა პოეტი, მ. სიმონიძე (იგივე მიხეილ შეტეხელი) ერთ თავის პატარა ლექსში სოციალურ უსამართლობის საკითხს მეტათ გარკვევით და ნათლათ აყენებს. ის სწერს:

„ერთი ქეიფობს, ასი—კი
შიმშილით არის მკვდარი!
კაცი დავბერდი ტანჯვაში
ეს ვერ გავიგე, რა არი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მეტ შეგნებას იჩენს მესამე მუშა-პოეტი, ბ. ახალსოფელელი, რომელიც თავის მეტათ საყურადღებო „ლიქსში“ გულ ამოსკვნილ ასე ჩივის:

1) **„დრო იცვლება და მასთან ერი“,**
მაგრამ ჩვენ რა!-ღარიბებს არაფერი!
თუ სწავლობენ ისევ მდიდრის შვილები,
ჩვენის ოფლით ისინი გაზრდილები!

. . . . . .

2) სიტყვის მთქმელნი და დამცველნი ღარიბთა
დღესაც კიდევ არავინ სჩანს არსითა!

. . . . . .

3) თუ ზეცასა არსებობს, არის ღმერთი,
რათა გვჩაგრავს აქ ჩვენ მდიდარი ერთი?..
აქ ჩაგრული იტანჯება მწვავ ოფლით,
იქ **მყვლეფავ** თავსა ირჩენს მის შრომით!.

მაგრამ ის ამით გულს არ იტეხს და მომავლის იმედით გამხნევებული მყვლეფელთა და მჩაგვრელთ შემდეგი წინასწარმეტყველური სიტყვებით ემუქრება:

„...“ დრო მოგივათ ერთხელ თქვენც საქენჯავი,
როს აღდგებით მკვდრეთით მუშა-ღარიბნი.

. . . . . .

სახნისს-საკვეთს ჩვენის შრომით შეძენილს.
ჩამოგართმევთ უსამართლოთ წართმეულს“.

ბ. ახალსოფელელი ჟურნალ „განთიადის“ მე 2 №-ში, თავის სტატიებში (რომლის დასაწყისი ჟურნალ „მუშაში“ აქვს მოთავსებული და რომელიც პროფ. ა. ხახანაშვილს აქვს მოხსენებული) ქალაქის მუშის ცხოვრებას ეხება და ცდილობს გამოარკვიოს, თუ რათ ირყვნება ქალაქის მშრომელის ძველი ზნეობა-სიწმინდე და უნდა გზა უჩვენოს მას, თუ როგორ დაიხსნას თავი ამ „უზნეობისაგან“. მას ჰგონია, რომ იმის მიზეზი ჩვენი მშრომელი ხალხის „გაპროლეტარებაა“. იგი თითქმის მიმხვდარია, რომ „ეკონომიური საფუძვლების შეცვლა იწვევს ამ გაპროლეტარებასაც და აქედან გაჩენილ „გარყვნილებასაც“; მაგრამ მან არ იცის ჯერ თუ როგორ უნდა ებრძოლოს მუშა ამ მიზეზს, ე. ი **კაპიტალს**. აი რას სწერს იგი სხვათა შორის თავის სტატიაში, **„მუშა ხალხში“** . . . . „თუმცა განათლების გავრცელების წყალობით ეს (გარყვნილების გავრცელება, რ. კ.) ასე არ უნდა ხდებოდეს და შემდეგ და შემდეგ უნდა კლებულობდეს, მაგრამ აქ ეს იმ გვარიად საზოგადო ეკონომიურ ნიადაგზე ფუძნდება და მრავლდება . . . . . როგორც ეს ევროპაში და ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლისშია . . . . ჩვენც დავადექით იმ ახრსა და კვალს, რომლითაც არა თუ მარტო გარყვნილება და ზნეობითი დაცემა **მოგველის** არამედ ეკონომიური მხრითაც . . . . და ამით ჩვენ **მოგველის მუშა ლატაკათ და პროლეტარათ გახდომა**. . . .

ერთი სიტყვით, ხელნაწერ ჟურნალების („მუშის“ და „განთიადის“ მუშა ავტორების ჩვენი მუშათა კლასის პირველი შეგნებული ელემენტების თვით-შემეცნება პირველ საფეხურზეა შემდგარი და გარშემორტყმულ წყვდიადის არეში კლასობრივი ინსტიტუტი სინათლისაკენ გზას იკაფავს. მისი კლასობრივი თვით-შემეცნების დონეს მშვენიერათ ხატავს „განთიადის“ ერთი პოეტის, მ. თ.-ს. შემდეგი ტაეპი:

„ოფლში ნაშობო საწყალო მუშავ!
შენთვის პატრონი არვინა ჩნდება!
ისევ ჩვენ, ძმაო, თავს ვუპატრონოთ,
თორემ ლამპარი მთლათ ჩაგვიქრება.

ჩვენვე ვანათოთ **ჩვენი სინთელი**
და მოვიძებნოთ გზა სიმართლისა:
მარჯვენას, ძმანო, ცოდნა დაურთოთ,
რომ გაგვიბრწყინდეს სხივნი ნათლისა“.

დასასრულ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი მუშა თავიდანვე უყურადღებოთ არ ტოვებს ეროვნული ჩაგვრის საკითხს და ის თავის პირველშობილ ორგანოებში ამ საკითხის გამომხატველ ნაწერებსაც საკმაო ადგილს უთმობს.

ამის დასახასიათებლათ აქ მოვიყვან ზოგ ადგილებს მათი ნაწერებიდან. ჟურნალ „განთიადის“ მე-4 №-ში ნულელი სახელოსნო სკოლის შეგირდის პირით ჩვენს:

„გავჩუმდეთ, ბრიყვათ ჩაგვთვლიან.
ვთქვათ რამე, ამჯანყებლათო!
პირს გვიკუმავენ **ქართველებს.**
ესეც ჩვენ საწვალებლათო!“.

და ეს მიმართულება ჟურნალ „განთიადის“ შემდეგ ერთიანათ ბატონდება მის მომდევნო ხელნაწერ ჟურნალში, „სხივში“.

ტფილისის სახელოსნო სკოლის ხელნაწერ ჟურნალის, „სხივის“ პირველ №-შივე, რომელიც გამოცემულია 1892 წლის სექტემბერში იმავე მ. სიმონიძის მიერ (იგივე მეტეხელი), შემდეგ სტრიქონებს ვკითხულობთ: „ჟურნალ სხივის“ დაარსება გამოიწვია იმ სამწუხარო მდგომარეობამ, რომელშიაც არის ჩაგარდნილი **ჩვენი სახწავლებლის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ახალგაზრდობა . . . , თუ რით აიხსნება ეს, ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ საერთოთ თვით **ჩვენი სამშობლოს** და კერძოთ ჩვენის სასწავლებლის წეს-წყობილებებში, რომელნიც არიან დამყარებულნი ჩვენთა არა მოკეთეთაგან . . . . . იგი არის დამყარებული სრულიათ სხვა საფუძველზე, **ვინემ მოითხოვს ჩვენი სამშობლოს ისტორიული მიმდინარეობა, მისი ზნე-ჩვეულება და ყოფაცხოვრება.** იგი არის დამყარებული იმ აზრზე, რომ სრულიათ **შესცვალოს ეროვნება**... გარდა ამისა **იგინი უხსნიან მეცნიერებას სრულებით უცხო ენაზე, უკრძალავენ სამშობლო ენის შესწავლას და მასზე გაბ'ვითარებას**"...

ამნაირათ მუშათა ქართულ ჟურნალ-გაზეთის პირველ ჩანასახში, ტფილისის ქართველ მოწინავე მუშათა ხელნაწერ ორგანოში წამოყენებულია ორი ძირითადი საკითხი: შრომის და ერის ჩაგვრის საკითხი.

ცხადია, იმ **დროს**, როცა ჩვენში ჯერ კიდევ სტიქიური მუშათა მასიური მოძრაობა არ იყო გაჩაღებული და არც მუშათა კლასის იდეოლოგია იყო მოწინავეებისაგან მაინც შეთვისებული, ეს საკითხები გაურკვეველი რჩებოდენ და ელოდენ იმ ხანას, როცა ჩვენშიაც გამოჩნდებოდენ „შრომის განთავისუფლების" პიონერები და თავგანწირულ ბრძოლას შეუდგებოდენ.

ტფილისის სახელოსნო მოწაფეების (უკეთ მუშების) პირველ ცდას, მალე მოჰყვა ეს სანატრელი ხანა და მალე საქართველოშიაც პირველ ქართულ მარქსისტთა ხმა გაისმა. ეს მოხდა 1892 წლის მიწურულში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. თალაქვაძე.

საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის წარსული.

(1870 წლიდან 1905 წლამდე)

პირველი ნაწილის დასასრული

X

88—89 წლები უკვე უტყუარი მაჩვენებელი გახდა იმისი, რომ საქართველოში იჩეკებოდა მოსული თუ ადგილობრივი კაპიტალისტები, იფურჩქნებოდა უკვე ჩასახული კაპიტალისტური მრეწველობა.

ტფილისში დაარსდა ფაბრიკა-ქარხნები: ლუდისა, ხელოვნურ წყლებისა, პაპიროსებისა, ტყავეულობისა, საპნისა და სხვა; გაფართოვდა მუშაობა ჭიათურაში შავი ქვის მრეწველობისა; ბათომში გაძლიერდა მსხვილი ნავთის მრეწველობის,—ნობელისა და როტშილდის ქარხნები, სადაც ასობით ირიცხებოდენ მუშები. ამავე დროს საქართველოს რკინის გზის ხაზებზე და ტფილის-ბათუმ-სამტრედია-მიხაილოვის რკინის გზის მთავარ სახელოსნოებშიც გაცხოველდა მუშაობა. ამ დარგში (ცენტრი გახდა ტფილისის რკინის გზის მთავარი სახელოსნო.

ეს კაპიტალისტური მსხვილი წარმოება დაუპირდაპირდა წვრილ შინაურ წარმოებას, წვრილ სახელოსნოებს. აქედან წარმოსდგა კონკურენცია, რის შედეგადაც გაძლიერდა პირველი, დასუსტდა უკანასკნელი.

ეხლა არა თუ მარტო წვრილი ხელოსანი შორდება თავის სახელოსნოს, გლეხებიც კი სოფლად ხშირად სტოვებენ თავიანთ ქოხმახებს და მიეშურებიან ქალაქებში ქარხნებში სამუშაოდ.

წვრილ „ხელოსანთა კავშირის“ როლი ტფილისის მუშათა მოძრაობაში ეხლა შეიცვალა ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმულ, ნახევრად გაპროლეტარებულ მუშების კავშირით.

ეს კავშირი, ჯერ კიდევ ჩასახვის პროცესში მყოფი, სუსტი, შემუშავებულ პროგრამას და სიმტკიცეს მოკლებული იყო, მაგრამ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციონ მოძრაობაში ისტორიას მისთვის მიეკუთნებია მაინც როლი

ამ წლებმა წამოაყენა რევოლიუციონური მოძრაობის ისეთი ისტორიული ტიპები, როგორიც იყო უმაგალითო, დაბადებით რევოლიუციონერი ზაქარია ჩოდრიშვილი, ლადო კეცხოველი, მიხა ბოჭორიშვილი, არჩილ არავიშვილი და, ჯერ კიდევ ძალლონით სავსე, მებრძოლების რიგებში მყოფნი — არაქელა ოქუაშვილი *) გიორგი ჩხეიძე, ვანო სტურუა, აბელა ენუქიძე, ვასო ცაბაძე და კალისტრატე გოგუა (ორი უკანასკნელი დღეს უკვე მებრძოლების რიგებს აღარ ამშვენებენ. მათ ვერ გაუძღეს რევოლიუციის ბორბლის ტრიალს და ეხლა განაგრძობენ მის „გარეშე“ ცხოვრებას).

დაახლოვებით ამ წლებში ლიმონადის ქარხანაში მომუშავე არაქელა ოქუაშვილი დაუახლოვდა ერთ იქაურ ძველ უცნობ მუშას. უცნობი მუშა, როგორც შემდეგ გამოირკვა, საკმაოდ გაცნობილი აღმოჩნდა რუსეთის ხალხური მოძრაობის ისტორიასთან, მაგრამ ამ თავის ცოდნას არ აძხელდა, მალავდა, რადგან ძლიერ დაეშინებია ალექსანდრე II-ის მკვლელობით გამოწვეულ რეპრესიებს. ახალგაზრდული ცნობის მოყვარეობით ვატაცებულ არაქელას, როგორც დაახლოვებულს, სანდოს, მას ერთს არ შეუშინდა იგი და უამბო ყოველივე გაგონილი ხაგმირო რევოლიუციონური ამბების შესახებ. მოთხრობილ ამბებში არაქელას ყურადღება განსაკუთრებით შეჩერდა თავგანწირულ რევოლიუციონერების მიერ მოხდენილ მრავალ ტერორისტულ აქტებზე, რის შედეგად მრავალი იმათგანი იქნა ჩამოხრჩობილი და საშინლად წამებული ჯალათების მიერ. ახალგაზრდა მუშა არაქელაში ამან შეიტანა გამუდმებით მსრბოლავი, დაუშვიდებელი რევოლიუციონური სული.

არაქელა ოქუაშვილის აქტიური ჩარევით ხსენებულ ლიმონადის ქარხანაში ეწყობა სამეცადინო მუშათა პოლიტიკური წრე. ამავე წელს, წრეში მეცადინეობის დროს, არაქელა ეცნობა მათთან მაცადინეობისათვის მოსულს პოლიტიკურად გათვითცნობიერებულ ზაქარია ჩოდრიშვილს. ზაქარია მათ პირველად აცნობს გერმანიის გამოჩენილ სოციალისტს და მსოფლიო ტრიბუნს ლასალს, შემდეგ ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, დოსტოევსკის და ბოლოს იგი უკითხავს მათ „ოთხი ძმის“ ამბავს, რომლის შინაარსი წრეში ერთობ დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ამ ხანებში არაქელა ოქუაშვილის მეოხებით წრეს უკავშირდება ფილიპე მახარაძე და ნოე ჟორდანია, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ ბინაზე.

*) აქ არ ვიხსენებ მიხა ჩოდრიშვილს, რადგან იგი ითვლება უფრო ადრინდელ წლებიდან და შეადგენს გამონაკლის ერთეულს ჩამოთვლილებთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილიპე მახარაძე და ნოე ჟორდანია ორივენი ეწეოდენ მეცნიერებას მათ წრეში პოლიტიკური გათვითცნობიერებისათვის*).

წრესთან ახლო მდგომ, ზოგიერთ პირების წინადადებით, დაახლოვებით 89 წელს, დაწესებულ იქნა თვეში 3 მანეთის სავალდებულო გადახდა წრის კასისთვის. ეს ფულები უნდა მოხმარებოდა კოოპერატივის სახით წარმოდგენილ საკუთარ „მომხმარებელ მაღაზიის“ გახსნას, რომ ამით დაპირდაპირებოდენ კერძო ვაჭრებს, თავი დაეხწიათ მათი ფაქვნისაგან. ამ დროს წრეში მყოფ ვასო ცაბაძემ შემოიტანა წინადადება წრის საკუთარი ჟურნალის გამოცემის შესახებ. წინადადება მიღებულ იქნა. ამისთვის საკმაო ასოთ-აწყობებიც აღმოჩნდა. ჟურნალის გამოსაცემათ თანხაც იშოვეს. წრის ორგანომ იწყო გამოსვლა „მუშის“ სახელწოდებით. ჟურნალ „მუშას“ ისარი უმთავრესად მიმართული იყო მეფის წინააღმდეგ; აგრეთვე თავსდებოდა შიგ ღმერთისა და ეკლესია-საწმუნოების წინააღმდეგი წერილები. მეფის წინააღმდეგ მიმართული ერთი ლექსის არაქელ ოქუაშვილისაც მოუხდა დაეწერა. ჟურნალის მე 1 ე თუ მე-2-ე ნომერმა შესძლო გამოსვლა და შემდეგ ცენზურამ იგი აკრძალა.

შემოჭკრა რეაქციის სუსხმა.

წრის წევრები და მასთან იდეურათ დაკავშირებული სემინარიელთა ჯგუფი ერთმანეთს დაშორდენ; დაიფანტენ ისინი მათგან და მოუკიდებელ მიზეზთა გამო.

XI

ბაქო-ვლადიკავკაზიდან ტფილისში დაბრუნებული მიხა ჩოდრიშვილი მუშაობას იწყებს რკინის გზის მთავარ სახელოსნოში, ვაგონთა ცეხში. აქვე მუშაობდა მისი ძმა ზაქრო ჩოდრიშვილი. რკინის გზა, რომელიც კერძო პირების ხელში იყო ამ ხანამდის, აშ წელს გადავიდა სახელმწიფოს ხელში. ამის გამო ცეხებში გამოკრული იქნა შემდეგი შინაარსის განცხადება: „დღეიდან იწარმოებს მუშაობა დილის 6 საათიდან და გათავდება საღამოს 6 საათზე. ვინც კი დაიგვიანებს— თუ გინდ ეს 5 წუთი იყოს,— დაჯარიმებული იქნება ნახევარი დღის ჯამაგირით.“

ეს მუშებს ერთობ ემძიმა, აღაშფოთა ისინი და გამოაცხადეს გაფიცვა. ეს გაფიცვა რკინის გზელების ცხოვრებაში პირველი იყო. გაფიცული მუშები გავიდენ დიდუბის მოედანზე და გამართეს ერთმანეთს შორის მოლაპარაკება, ბჭობა, თუ როგორ მოექცენ, როგორ დაუხვდენ გათამამებულ ადმინისტრაციის ვერაგობას და მის მეჭმაგე ჟანდარმ „ნაჩალნიკებს“.

*) ვსარგებლობ აქ „რევოლიუციონურ მოგონებათა ს�“ ამხ. არაქელ ოქუაშვილის მიერ ნაამბობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფიცვა დამარცხდა, რადგან შტრეიკბეხერები ჩამოერიენ საქმეში.

რამდენიმე დღის შემდეგ გაფიცულებმა ისევ განაახლეს მუშაობა.

გაფიცვამ ის მოიტანა მხოლოდ, რომ სამუშაო საათები დარჩა ძველებურად, ე. ი. 12 საათის ნაცვლად 11 $^1/_2$.

ამის შემდეგ მუშების წინააღმდეგ გაცხოველდა რეპრესიები. დაუწყეს ჭერა და დაპატიმრება გაფიცვა-გამოსვლებში შენიშნულ მუშებს. ბევრი ამათგანი მეტეხის ციხეში გამოკეტეს, ბევრი კი სულ გადაასახლეს საქართველოს საზღვრებიდან.

გადასახლებულ-დაჭერილთა შორის მოხვდენ: შტოროვი, კუნიცკი, ზაიცოვი, კანავალოვი, იოზიფოვიჩი და სხვები.

დაჭერილ-გადასახლებულებში იყვნენ რუსობა, ხოლო დათხოვნილებში—რამდენიმე ქართველ-სომხები. ამათ შორის მოხდა ახლად სამუშაოზედ მიღებული ძმები მიხა და ზაქარია ჩოდრიშვილები.

89—90 წლეებიდან, საქართველოში, რამოდენიმეთ პირველ სამრეწველო კაპიტალისტურ ქალაქად ითვლებოდა ბათომი.

ბათომი იყო ამ დროს მრეწველობის მხრივ აყვავების პროცესში მყოფი ქალაქი, არა მარტო საქართველოს საზღვრებით, იგი უსწრებდა წინ ბაქოსაც კი ამიერ კავკასიის მაშტაბით.

პირველი მსხვილი, ტეხნიკის „უკანასკნელი სიტყვით“ მოწყობილი ქარხანა მოსულ და შინაურ კაპიტალისტებისა—როტშილდისა, ნობელისა და მანთაშევისა აქ ამუშავდა და მან მიიზიდა თავისუფალი მუშა ხელი საქართველოს ყველა კუთხიდან.

აი ამ ქალაქში, ბათომში 90-91 წ. წ. უხდება წასვლა რკინის გზის სახელოსნოდან დათხოვნილ ძმებს მიხას და ზაქარია ჩოდრიშვილებს, რომლებიც შედიან აქ ნობელის ნავთის სამრეწველო ქარხანაში და იწყებენ მუშაობას.

აქ ისინი, როგორც დაინტერესებული რევოლიუციონერები პირველი დღეებიდანვე ეცნობიან ქარხნის გათვითცნობიერებულ, მუშათა კითხვებში საშუალოდ მომზადებულ მოწინავე მუშებს. ეს მუშები იყვნენ უმეტესად ნემცები და რუსები, სამი-ოთხიოდე ქართველიც ერია.

ხსენებულ მუშების უმეტესობას საცხოვრებელი ბინა ჰქონდათ ბოროდოკში, საუქსუზე. ამიტომ მუშაობის შემდეგ, საღამოთი და საერთოდ კვირა უქმე დღეობით იკრიბებოდენ ისინი გარადოკში, ან საუქსუზე ერთ-ერთ ამხანაგის ბინაზე და ჰქონდათ სჯა-ბაასი, ლაპარაკი, როგორც ეკონომიური სფეროში,-თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, ისე. პოლიტიკურ სფეროში, პოლიტიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვებზე, რომელიც მიმართული იყო თვითმპყრობელობის რეჟიმის წინააღმდეგ.

ეს მეშჩანებისათვის საშიშარი „სიმშვიდის“ დამრღვევი, პოლიტიკური ხასიათის კრებები არ გამოეპარა ნობელის ქარხნის გამგეს და თვის ბოლო რიცხვებში, ჯამაგირის მიღების დროს, კრებების მონაწილე რამოდენიმე ხელმძღვანელთ განუცხადა: „თქვენ გისწორებთ რა სრულებით ანგარიშს მეტი დაშვებული სამუშაოზედ აღარ იქნებით, დღეიდან ითვლებით დათხოვნილადო“. მუშების შეკითხვაზე, თუ რა იყო მიზეზი, ქარხნის გამგემ დაცინვით უპასუხა: „საუქმეზე და ბარადოკში იხსნება ახალი ქარხნები და იქ იქნება საჭირო თქვენი მუშაობა“-ო.

დათხოვნილ მუშებში იყვნენ საკმაოდ მომზადებული ნემეცი, რუსი და ქართველი მუშები.

გამგის ამ ვერაგობით აღშფოთებულმა ნემეცმა მუშამ ვებერმა ცერ შეურიგდა ადმინისტრაციის ამ „აქტს“ და დაუწყო მათ დავა, შეეკამათა-თუ რა უფლებით, მაინც რა საბუთიანი მიზეზით ითხოვდენ მუშაობაში სრულებით უდანაშაულო პატიოსან მუშებს. *)

„თქვენ აბუნტებთ, აჯანყებთ მუშებს და ამიტომ გითხოვთ. აქ მეტი ლაპარაკი ამის შესახებ აღარ გავიგონო თქვენგან, თორემ ციხეში ჩაგყრითო“. სასტიკი ბრძანების კილოთი მიუგო მან მუშა ვებერს და აქ თან ქარხნის დარაჯსაც დაუძახა.

დანარჩენი მუშები ამ დროს კასასთან იდგენ ანგარიშის მისაღებად.

გამგემ ჩუმად რაღაც უთხრა დარაჯს; დარაჯიც სწრაფულ სადღაც გაქრა.

დიდ ხანს არ გაუვლია, რომ დარაჯი მოვიდა და თან მოიყვანა ჟანდარმიც.

ჟანდარმმა ხელად ჩვენებები ჩამოართვა დათხოვილ მუშებს; შემდეგ მათ შორის ვებერი გამოყო და სადღაც წაიყვანა. ივი აღარ დაბრუნებულა შემდეგ.

რამდენიმე ხნის შემდეგ მუშების ყურამდის მიაღწია ამბავმა, რომ ნემეცი მუშა ვებერი ციხეში გარდაიცვალაო.

XII

დათხოვილ მუშებს ერთხანს მოუხდათ კი უსაქმოდ ძრწოლილი ქუჩებში, მაგრამ შემდეგ ჩაებენ როგორც იყო მუშაობაში,—ცალ-ცალკე, სხვა და სხვა წვრილ სახელოსნოსა თუ ფაბრიკა-ქარხნებში.

ზაქრო ჩოდრიშვილმა მუშაობა იწყო დამტვირთველ-გადამტვი-

*) ვემყარები მოხუც ამხ. მიხ. ჩოდრიშვილის ხელით ნაწერ პირად მოგონებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველის როლში უბრალო „შავ“ მუშად, ზღვის სანაპიროზე (ბრილანი), ეგრედ წოდებულ მუშათა არტელში, ნოვი სვეტის ქუჩაზე.

მიხა ჩოდრიშვილი კი ბათომის რკინის გზის ხაზზე იქნა მიღებული.

ეს იყო 1892 წელში.

ამ დროს ბათომში იმყოფებოდა ახლად ჩამოსული ეგნატე ინგოროყვა,— მშრომელი ხალხის გულის მესაიდუმლეთ წოდებული, ნინოშვილის ფსევდონიმით, სახელგანთქმული ნიჰილური ბელეტრისტი.

უმუშევარ, უქმად მყოფ ეგნატეს უხდებოდა ადგილის ძებნა, თან ხელიალიც აქა-იქ წაკნობ-მეგობრების ბინებზე ღამის გასათევად. იშვიათი ადამიანი, ბუნებრივად, დაბადებით რევოლიუციონერი, მაგრამ ნივთიერის მხრივ მეტად შეიწროვებული, იგი ერთობ შეეპყრო სიცოცხლის შემჭრელ სენს-ჭლექს და ჩონჩხად ქცეული ახლა დამზგავსებოდა ცეცხლ წაკიდებულს. წვის პროცესში მყოფ სანთელს.

ადგილის შოვნა გაძნელებულიყო ეგნატესთვის...

ეგნატეს ჩამომდნარი, დაუძლურებული ორგანიზმი არ იძლეოდა იმედს, რომ იგი შესძლებდა მისთვის მძიმე ფიზიკური შრომის ატანას; ხოლო არა ფიზიკური, მისთვის შესაფერი, გონებრივი ბასიათის სამუშაო ადგილები კი ჯერ არსად სჩანდა.

სწორედ ამ ხანებში, ორი კუთი წიგნებით ტფილისიდან ბათომში ჩამოვიდა ქართული ახალი ლიტერატურის უანგარო, დაუღალავი გამავრცელებელი ზაქარია ჭიჭინაძე და მოთავსდა ბინაზე მიხა ჩოდრიშვილთან.

ზაქარია დიდი ხნიდან იცნობდა ეგნატე ნინოშვილს; მან იცოდა ისიც, რომ ეგნატე ბათომში იყო ჩამოსული და ადგილს ეძებდა.

ზაქარია ჭიჭინაძეს უყვარდა ეგნატე, იგი დიდათ აფასებდა მასში ახალგაზრდა, ნიჰილერ მწერალს, გენიალურ ბელეტრისტს. და ამიტომ ყოველგან და ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ ხელი შეეწყო მისი არსებობა-ჯანმრთელობისათვის, რომ როგორმე ამოეყვანა იგი ირგვლივ ხელის შემშლელ ეკონომიურ მძიმე პირობებიდან და მიეცა სავალი გზები საჭირო ასპარეზზე მოწოდებულ მისი ნიჭისა და გენიისათვის.

ზაქარია ჭიჭინაძემ ტფილისიდან ჩამოსვლისთანავე პირველ საღამოაკო თემათ მიხასთან გაიხადა ეგნატე ნინოშვილის კრიტიკული მდგომარეობა.

ზაქარიამ აქ მოუთხრო მიხას, თუ ვინ იყო და რას წარმოადგენდა მშრომელი ხალხისთვის ეგნატე ნინოშვილი...

მან ბოლოს სთხოვა მიხა ჩოდრიშვილს, გადმოეყვანა თავის ბინაზე ეგნატე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოვნა მიხამ დაუყონებლივ სისრულეში მოიყვანა.

ასე მოხდა გაცნობა და დაახლოვება ეგნატე ნინოშვილისა მიხა ჩოდრიშვილთან, შემდეგ ზაქარია ჩოდრიშვილთანაც.

ეგნატე იყო დიდი ნაკითხი, განვითარებული, თან მეტისმეტი უმწიკვლო, პატიოსანი, მტკიცე ნებისა და ხასიათის კაცი.

მიუხედავად იმისა, რომ ნაცნობობა, ერთად ცხოვრება და მეგობრობა ეგნატესთან არ იყო ხანგრძლივი, მიხასაგან მაინც არ დარჩა შეუმჩნეველი ეგნატეს იშვიათი ადამიანური და რევოლიუციონური თვისებები; მიხაზე და რამოდენიმეთ ზაქრო ჩოდრიშვილზედაც დასტოვა მან იმ გავლენის ბეჭედი, რომელიც შემდეგ მათი ცხოვრება—ბრძოლის სარბიელზე მუდმივ იმედათ,ნუგეშის მომცემათ და ბრძოლაში წამქეზებელ მაგალითად იდგა.

შეიძლება ითქვას, რომ მიხას და ზაქროს რევოლიუციით ანთებული, გამუდმებით მსრბოლავი, მებრძოლი მოუსვენარი სული, რომელიც სიკვდილის უკანასკნელ წუთამდის ღვიოდა ზაქროში, რომელიც მძიმე სიბერემდის მოჰყვა მიხა ჩოდრიშვილს და კიდევ ეხლაც ალმაფრენ ფრთებს ასხამს 70 წლის მოხუცს, რამოდენ იმეთ მიეწერება უჩვეულო—მებრძოლი სულის პატრონ ეგნატეს.

XIII

შრომის პირობების კარნახით მიხა ჩოდრიშვილი იძულებული გახდა მასთან მცხოვრებ ეგნატე ნინოშვილს გამოსთხოვებოდა, დაეტოვებია იგი მარტოდ თავის ბინაზედ და გამგზავრებულიყო ჩაქვის რკინის გზის ხაზზე სამუშაოდ.

ცოტა ხნის შემდეგ, ზაქარია ჭიპინაძის დახმარებით, ეგნატესაც ეშოვნა ადგილი როტშილდის ქარხანაში უფროს მუშად.

მრავალ ტანჯვა გამოვლილ ეგნატე ნინოშვილს ამით ეხლა უკვე მისცემოდა საშუალება, ეცხოვრა დამოუკიდებლად, ამხანაგ-მეგობრების „შეუწუხებლად", რაც მას მუდამ სალაპარაკოთ ჰქონდა და ბურგზე აკიდული მძიმე ზნეობრივ ტვირთად მიაჩნდა.

მიბნედილი, მუდამ დაღონებული ეგნატე ამ ცოტა-ოდენად გაუმჯობესებულ ეკონომიურ მდგომარეობით მოცოცხლდა, დაღვრემილი სახე გაეშალა, გაუბრწყინდა.

. . . ეგნატე ნინოშვილს ამ გარემოებით იმედი აღეძრა,—განეგძო თავისი შემოქმედება სამწერლო ასპარეზზე,—მშრომელ კლასის საკეთილდღეოთ.

მან იწყო კიდეც უკვე ასეთი მუშაობა. მაგრამ ეგნატეს ამ მუშაობისთვის არ შეეძლო გამოეყენებია ის დრო, რომელიც მას უკვე მიყიდული ჰქონდა ქარხნის მეპატრონესათვის...

ასეთ სამუშაო დროთ ეგნატეს ჰქონდა მიჩნეული მხოლოდ, ღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეები, რომელსაც იგი მაგიდასთან ყალმით ხელში მიმჯდარი, დაუძინებლად, წერაში მყოფი ათენებდა.

ასე გარბოდენ დღენი...

ჩაქვის რკინის გზის ხაზზე სხვა დღიურ მუშებთან ერთად მუშაობაში ჩაბმულ მიხა ჩოდრიშვილს უხდება რკინის გზის ლიანდაგის შეკეთება—რემონტი—სადგურ ნატანებამდე.

გათვითცნობიერებული, მუშათა ინტერესებს გაცნობილი მიხა ჩოდრიშვილი უახლოვდება ლიანდაგის მუშა-მოსამსახურეებს და ეცნობა მათი მუშაობის მძიმე პირობებს.

რკინის გზის ამ ლიანდაგზე, გარდა ლიანდაგის შეკეთებისა სწარმოებდა კიდევ გაძლიერებული მუშაობა აქა-იქ ხღუდე-კედლების ამოყვანისათვის, რათა ზღვის განმანადგურებელ ტალღებისაგან დაცულიყო ზღვასთან ახლო მდებარე რკინის გზის ლიანდაგი.

ამ დარგში მომუშავე მუშების რიცხვი განისაზღვრებოდა ორიოდე ათეული მუშით, რომელთა შემადგენლობაში შედიოდენ უმეტესად ქართულ-კახელები: იყვნენ თან რამოდენიმე გურულ-მეგრელებიც.

ყოველივე ამის ხელმძღვანელი და მთავრობასთან პასუხის მგებელი პირი იყო ინჟინერი ნ. ზურაბოვი და მოიჯარადრე შადინოვი.

ხსენებული პირები,—გადამეტებული არ იქნება თქმა,—მათზე დანდობილ უმწეო მუშებს პირდაპირ ფეტქვნიდენ, ყვლეფდენ უმოწყალოდ.

გამდიდრების პროცესში მყოფი ხურაბოვ—შადინოვი ასობით და ათასობით იჩხრიალებდენ ჯიბეში ოქროებს, მოცემულს მუშების შრომის მითვისებით.

მუშებს საერთო საცხოვრებელ ბინათ ჰქონდათ იქვე აშენებული დიდი ყაზარმული სახლი, სადაც საღამოთი, მუშაობის გათავების შემდეგ, ერთად თავმოყრილნი იწყებდენ თავიანთ ჭირვარამზე ბაასს, საუბარს; აქ, ამ დროს, სხვათა შორის დიდი ინტერესით იკითხებოდა „ეკვალი“, ამ წელში პირველად გამოსული გიორგი წერეთელის რედაქტორობით, რომლის შოვნა უხდებოდა მიხა ჩოდრიშვილს სხვა და სხვა ბიბლიოთეკებიდან.

გაზეთის წაკითხვის „მონოპოლია“ მიეთვისებია მათ შორის მყოფ, ერთს ხანში შესულ, წერა-კითხვის კარგად მცოდნე მუშას გურულ დათიკოს.

მუშების ყურადღება ძლიერ მიეპყრო „ეკვალში“ რამოდენიმე ფელეტონად დაბეჭდილ წერილს ამ სათაურით: „ეკუჩი გამიბატონდა“.

მიხა ჩოდრიშვილი ასე აღგვიწერს ამ შთაბეჭდილებას: „ . . . მუშები ამ წერილის კითხვის დროს მთლად სმენად იყვნენ გადაქცეული. გათავდა თუ არა კითხვა დათიკომ, ერთმა დაღვრემილმა მუშამ წამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჭრა ზეზე და სთქვა: რა თქმა უნდა ჩვენს აღებს და ყველა მის მსგავსებს გაბატონებული ყავთ კუპი; მათ ხომ შეუძლიანთ მისცენ ყველაფერი კუპს, რასაც მოითხოვენ.

— . . . აბა შვილოსა, ზურაბოვ-შადინოვებს რაში დაენანებათ ჩვენი ნაოულარი,—ჯაფა მოსდით ვაგონების დატვირთვაში თუ? —უპასუხა მეორე მუშამ.

აქ ბოლოს დათიკოც ჩაერია მათ კამათში:

—რა თქმა უნდა, ამხანაგებო, რომ ისინი ყველაფერს ჩაიყრიან გაუმაძღარ კუპში. განა ამისთვის არ გვფცქვნიან და გვაძრობენ ტყავს? ისინი რომ არიან თავიანთი კუპის მონები ეს გასაკვირი არ არის, მაგრამ ჩვენ, ჩვენც რომ გაუხდავართ ბატონ ზურაბოვ-შადინოვის კუპის მონები, ეს კი არის გასაკვირიც და შეურიგებელიც . . . აი შეხედეთ, ამხანაგებო, თქვენს დაღრეჯილ სახეებს,—თქვენ დატვირთეთ დღეს 30 ვაგონი და მიიღეთ 21 მანეთი, ხოლო აქ მეორე მხრივ თქვენს დატვირთულ 30 ვაგონში 2 კაცმა,—ზურაბოვ-შადინოვმა მიიღო 82 მანეთი; ე. ი. ორმა კაცმა ჩვენ 20 კაცზე თითქმის ოთხჯერ მეტი . . . . ჩვენ სიმშილით ვკდებით ნახევრად, ისინი კი სულ ქეიფობენ, საუკეთესო საშმელები თავზე საყრელად აქვთ . . . რაშია საქმე? ჩვენ განა არ შეგვიძლია შევცვალოთ ასეთი მდგომარეობა, თუ მთლად არა, რამოდენიმედ მაინც? შეგვიძლია ამხანაგებო, და ეს ჩვენს შეკავშირებაში უნდა ვპოვოთ. ასეთი შეკავშირებითა და ერთი პირით გამოსვლით,—თუმცა ჩვენს საკუთარ პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა მაგალითი,—მაგრამ მე გამიგონია, რომ ბევრ ადგილას სხვაგან მოიგეს, გაიმარჯვეს მუშებმა . . . . აი მაშინ, იმ დღეს შენს ბინაზე გოროდოკში, ხომ გახსოვს, მიხა, ეგნატე ნინოშვილმა რა გვითხრა. აი მისი სიტყვები: „თქვენ მუშები ბევრი ხართ, თქვენი ხაზეინები კი ცოტანი; მაშასადამე, თქვენ ერთობაში არის დაუშრეტელი ძალა; თქვენი მყვლეფელი ხაზეინები რომ შეერთდენ მაინც უძლურნი იქნებიან თქვენთან ბრძოლაში. მაშ შეერთდით, შეკავშირდით, ყველაფერი, როგორც ჭირი, ისე ლხინიც საერთო გახადეთ,—აი თავდები თქვენი შრომის მძიმე პირობებიდან ამოსვლისა“—ო. და ჩვენც, ვიხელმძღვანელოთ ამით ამხანაგებო.—დაასრულა დათიკომ.

ამ დროს ყურს უგდებდა მუშების ლაპარაკს ჩაქვის ლიანდაგის ოსტატი მაქაცარია; მას ეტყობოდა, არ მოსწონდა მუშების გულუბრყვილო, ერთმანეთ შორის გულახდილი საკუთარ ჭირ-ვარამზე ლაპარაკი. და აქ გაათავა თუ არა დათიკომ სიტყვა, მაქაცარია მოგვიბრუნდა მე და დათიკოს და მუქარით მოგვმართა: „თქვენ ეი, ნუ აბუტებთ აქ მუშებს თქვენი გაზეთების კითხვითა და უბედობით, თორემ ხომ იცით რა მოგივათ“!!..

ამ ყვირილზე მუშებიც დაიშალნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზარმაში დაფანტულნი ისინი თავ-თავიანთ საწოლებზე ჩამ-ჯდენ დაღონებულნი.

ლიანდაგის ოსტატსაც წილი ჰქონდა მუშების ყვლეფაში, ფულების ჩაჯიბვაში და, რა თქმა უნდა, არ მოეწონებოდა მუშების ეს მძიმე ტკივილებზე ლაპარაკი... — ასე ათავებს მიხა ჩოდრიშვილი თავის შთაბეჭდილებას.

XIV

დროებით ბათომში ჩამობრუნებული მიხა ჩოდრიშვილი კელავ შეხვდება ეგნატეს, — ამ თავის გულითად მეგობარს და გადმოუშლის იქაური მუშების ცხოვრებას, გააცნობს მუშების ყველეფელ ხურაბოვ-შადინოვის მიერ შემოღებულ რეფორმს.

— ...რას იზამ ჩემო მიხა, როდესაც ეს ცხოვრება ასე უკულმართად არის მოწყობილი, — უთხრა თანაგრძნობით ავსებულმა ეგნატემ მას. — წადმა რომ მოვატრიალოთ ეს ცხოვრება, — განაგრძო ეგნატემ — ამისთვის საჭიროა, სწავლა, ბრძოლა; ერთიც და მეორეც ამ წყეულ წესწყობილების ხელშია. ჩვენს ხელში მხოლოდ სინდარი-საგან წარმოშობილი ბრძოლის სტიქიური სურვილი არის. ბრძოლას იარაღი უნდა მიხა; იარაღი კი ცოდნა არის; უკანასკნელი ჩვენ არ მოგვეპოვება, ჩვენ სიბნელეშია, წყვდიადში ვიმყოფებით; ამ სიბნელით სარგებლობენ ჩვენი მტრები და ამიტომაც არის, რომ გვყვლეფენ, გვატყუებენ გვაძრობენ უმოწყალოდ ტყავს. ასეა ჩემო მიხა, შადინოვ-ზურაბოვები და მათი ძმები ძანამ იბატონებენ და ფეკქვნიან მშრომელ ხალხს, სანამ არსებულ მონარქიულ წესწყობილებას ძალა აქვს, აბსოლიუტიზმი მძვინვრებს.. მაშინ, აი მაშინ, როცა ჩვენ გავხდებით პატრონი ჩვენი თავისა, უფლება გვექნება ჩვენი შრომის ნაყოფი ჩვენ მიერ დაარსებულ ნშრომელ საზოგადოებებს მოვახმაროთ, მაშინ, ჩვენ, ყველა ჩვენთაგანს ცალკე ექნება საშუალება პირადი ცხოვრება მოაწყოს თავის გემოვნებაზე.. საჭიროა, მიხა, ცოდნის შეძენა, განვითარება, შეგნებული ბრძოლა; ამას კი მოგვცემს მშრომელი ხალხი, მუშების შეკავშირებული ძლიერი ორგანიზაცია... არ უნდა დაკარგოს ერთი წუთიც კი თავისუფალი დრო არც ერთმა მუშამ კითხვა-მეცადინეობის გარეშე... უნდა წაიკითხოთ თანამედროვე კარგი წიგნები. — დასრულა ეგნატემ.

მიხას და ეგნატეს ასეთ კითხვებზე ლაპარაკით მთელი ღამეების გადათენება უხდებოდათ ხოლმე.

მიხა გულდასმით უსმენდა ეგნატეს და იკრეფდა გულში გამოუკლებლად წარმოთქმულ, რევოლიუციონურ სულის გამაღვივებელ ძვირფას სიტყვებს.

ყოველივე ეს, გათამამებულს, ბრძოლის წყურვილით სავსე მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხას გადაქონდა მუშათა იმ წრეებში, სადაც თვითონ უხდებოდა მუშაობა.

ეს გადატანა, ეს პროპაგანდა-აგიტაცია, განვითარება და რევოლიუციონური სულის შეტანა მუშებში კი გახდა მიზეზი იმისი, რომ მიხა დაითხოვა შადინოვ-ზურაბოვმა სამსახურიდან. კიდევ მეტი, შადინოვ-ზურაბოვმა ეს არ აკმარა მიხას და როგორც პოლიტიკურად საშიშარს, პოლიტიკურ „დამნაშავეს“ ამაზე ცალკე საქმეც შეუყენა, ყანდარმებიც ჩარია საქმეში, და მიხა დაიჭირეს და რამოდენიმე დღე და ღამე ბნელ საკანში გამოკეტილი, უკმელი, ნაცნობ-მეგობრებს მოწყვეტილი ამყოფეს.

განთავისუფლების შემდეგ კვლავ ბათომში დაბრუნებულმა მიხამ ჩვეულებისამებრ ინახულა თავისი მეგობარი და მასწავლებელი ეგნატე და უამბო თავისი თავგადასავალი.

ეგნატემ ისევ განაახლა ლაპარაკი მიხასთან წინანდელ თემახე. მან განმეორებით აუხსნა, განუმარტა მიზეზი იმ შექმნილი მძიმე მდგომარეობისა, რომელმაც ამდენი ტკივილები მიაყენა მუშებს.

დაბოლოს, არც ეგნატე იყო კმაყოფილი თავისი მუშაობის პირობით; მისთვისაც აუტანელი გამხდარიყო ქარხანაში უფროსი მუშის როლში მუშაობა.

—ჩემი, ჩემი მუშაობის პირობები კი სახარბიელოა?!. მიეღებელი და აუტანელი, პირიქით, ჩემი თანამდებობა ყოფილა!.. ქარხნის გამგე და უფროსები მეუბნებიან, რომ, როგორც მეთვალყურე და უფროსი მუშა, ჩემს ხელქვეეთ მუშებს მე სასტიკათ მოვექცე, რომ მათ მე ძალა დავატანო და რაც შეიძლება მეტი, ნორმაზედ მეტი ვამუშაო, ვაკეთებინო საქმე, რომ 10-20 წუთით უფრო ადრე დავაწყებინო მათ მუშაობა; ხოლო გავანთავისუფლო კი გვიან, რაც შეიძლება გვიან... ასეთი თანამდებობა მე კი შემეფერება? ეგლა მაკლდა, რომ ბურჟუაკაპიტალისტებმა ჩემის შემწეობით და დახმარებით ყველიფონ, სწურონ ჩემი ძმები, ჩემს პირობებში მყოფი ამხანაგი მუშები და ისქელონ თავიანთი ისედაც გასქელებული ჯიბეები.. მუშები მშიერნი, ნახევრად შიშველნი, მუშები, რომლებიც დილიდან საღამომდის მუშაობენ, საშინლად იქანცებიან,—მეუბნებიან „ჩქარა ჩქარა“ უძახეო, ძალა დაატანე, რომ ბევრი იმუშაონ, ბევრი გააკეთონო .. არა! ამისთანა პირობებში ჩემი აქ დარჩენა და მუშაობის გაგრძელება შეუძლებელია!.. მე რომ არ დავეთხოვო, თითონ ისინი დამითხოვენ, როგორც მათთვის „გამოუსადეგარ“ კაცს... ამიტომ მე ვფიქრობ თავი დავანებო აქ და ისევ ტფილისში წავიდე. დაასრულა ეგნატე ნინოშვილმა თავისი ჩივილი მიხასთან.

ამის შემდეგ არ გაუვლია დიდხანს, რომ ეგნატე გამოვიდა რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტბილდის ქარხანიდან, მოშორდა სრულიებით ბათომსაც და გამოუდგა ტფილისისაკენ.

XV

92 წელი 93—94 წლებმა შესცვალა.

ამ წლებმა საქართველოს მოუტანა ეკონომიურად გაძლიერება, კულტურულად აღორძინება.

გაიზარდა ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი, გაიზარდა მუშა-ხელები.

გამრავლდა დაბალი და საშუალო სასწავლებლები, როგორც ქალაქად ისე პროვინციებში, სოფლად.

წვრილიდან მსხვილ წარმოებაზე გადმოსული ბურჟუაზია მოძლიერდა.

მოეწყო საალებმიმცემო და ურთიერთშორის ნდობა-დახმარების წვრილი სასოფლო და მსხვილი საქალაქო ბანკები.

გამოვიდა სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთები, სხვა და სხვა ჯგუფისა და მიმართულების გამომხატველნი.

გაცხოველდა წიგნებისა და საერთოდ ლიტერატურის გამოცემის საქმე.

ეკონომიურმა განვითარებამ და აქედან კი კულტურულად გაძლიერებამ, გამოიწვია ხალხის მასსიური თვით ამოქმედება.

მსვლელობა მიეცა დაბადებულ „საზოგადოებრივ აზრებს"; ეხლა ყველა იძულებულია ანგარიში გაუწიოს მას და დაემორჩილოს მის ნებას.

წარსული წლეებით წარმოშობილმა უსახო, უპროგრამო წრეჯგუფებმა გაიარეს დიფერენციაციის საფეხურები და ეხლა იწყეს პარტიის სახის მიღება, პარტიის ჩარჩოებში ჩამოყალიბება,—მთლიან ორგანიზაციების მოწყობა და შეკავშირება.

მომწიფდა პოლიტიკური კითხვები... 92 წლის დასასრულს, დეკემბრის მიწურულში ეგნატე ნინოშვილმა ჭიათურაში (ყვირილა) იოსებ კაკაბაძის ბინაზე, **მიხა ცხაკაიას** აქტიური ჩარევით, მოიწვია სოციალისტურად და მარქსისტულად მოაზროვნე, მოწინავე ინტელიგენტების ვიწრო კრება; კრებას დაესწრენ შემდეგი პირნი: კრების ინიციატორი ეგნატე ნინოშვილი, მიხა ცხაკაია, სილიბისტრო ჯიბლაძე, რაჟდენ კალაძე, კარლო ჩხეიძე, ნოე ჟორდანია და სხვები.

ამ კრების მიზანი იყო, სოციალისტურ აზროვნებაში გამეფებულ „ტ-ტიათა მოტრფიალე" ანუ ნაროდნიკ მიხაილოვსკის—წვრილ ბურჟუაზიულ, არა-პროლეტარულ მსოფლმხედველობის გავლენიდან განთავისუფლება და მის ნაცვლად პროლეტარულ-კლასობრივი ბრძოლის მასწავლელელ, ახლად გადმონერგილ მსოფლ-მხედველობის —მარქსიზმის შეცნობა და მიღება,—ეს პირველი; ხოლო მეორე—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსიზმის გასაღვივებლად, მარქსისტული—რევოლიუციონური ორგანიზაციისათვის საფუძველის ჩაყრა, მისი შექმნა-დაარსება.

... ფიზიკურად სუსტმა, ორგანიულად დაუძლურებულმა, მაგრამ რკინის სურვილით გაფოლადებულმა, ბრძოლის წყურვილით სავსე ეგნატე ნინოშვილმა წადილი რამოდენიმედ აღისრულა.

კრების წევრებში არ აღმოჩნდა არც ერთი წინააღმდეგი იმ ძსოფლ-მხედველობისა, რომლის ხორც შესასხმელად და ორგანიზაციის სახით რეალურ ჩამოსაყალიბებლად ეგნატემ ეს კრება მოიწვია.

ეგნატემ მიაღწია დასახულ მიზანს, რომელიც, მშრომელ კლასის საკეთილდღეოთ, კლასობრივ ბრძოლის გაჩაღებაში უნდა გამოხატულიყო...

შექმნილ ორგანიზაციის პირველი ამოცანა—კოლექტიურად, ერთი მთლიანი, ახალი იდეოლოგიური ფრონტით გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე, ძველ, ნაციონალისტურ და წვრილ-ბურჟუაზიულ, არა მეცნიერულ-სოციალისტურ ფრონტის წინააღმდეგ—სასურველად ტარდებოდა. განსაკუთრებით აქ ეგნატე ნინოშვილი ბრძოლის მიზნით მთლიანად მიენდო სამწერლო ასპარეზს. მოთხრობებს გარდა, მან ამ ხანებში დაიწყო წერა და მოათავსა გაზეთებში პუბლიცისტური წერილებიც.

გამოყოფილი ორგანიზაცია, შემდგარი მარტოდ და მხოლოდ ინტელიგენტებისაგან,—ჯერ კიდევ მოუღონიერებელ, სუსტ მარქსისტულ რევოლიუციონურ ჯგუფისა, ინახებოდა დიდი საიდუმლოებით...

ასე წარმოიშვა პირველი ჩანასახი მარქსისტული ორგანიზაციისა.

ამ ორგანიზაციის ერთი სულის ჩამდგმელთაგანი იყო, მაშინ ვარშავაში მყოფი, ვარშავის რევოლიუციონურ სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციაში მომუშავე ფილიპე მახარაძე, რომელსაც იმ დროს ვარშავიდან დაბრუნებულ ამ ორგანიზაციის მეორე იდეურ ხელმძღვანელ (პირველი ეგნატე ნინოშვილი იყო) ნოე ჟორდანიასთან, როგორც იდეურ და პოლიტიკურ მეგობართან, ჰქონდა გაუწყვეტელი კავშირი, პირადი, მაგრამ საქმიანი, პოლიტიკური ხასიათის მატარებელ მიწერ-მოწერის საშუალებით *).

94 წელს, მაისის რიცხვებში, უფროვოდ გარდაცვლილ ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა გურიის,

*) ნ. ჟორდანიამ მოამზადა საპროგრამო პროექტი განზრახული პირველი მარქსისტთა კრებისთვის, რომელიც ვარშავაში მყოფ ფ. მახარაძეს გააცნო ცალკე წერილით. ფილიპემ ამის შესახებ გამოგზავნა ჭეშმარიტ მარქსისტული პასუხი, რითაც შესწორება შეაქონდა პროექტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ ჩოჩხათში, სასაფლაოზე პატიოსანცემლიან თავმოყრილ მრავალ ხალხის წინაშე ხსენებული ორგანიზაციის დაარსებისამებრ სილიბისტრო ჯიბლაძემ წარმოსთქვა დიდი პროგრამული სიტყვა მარქსისტული ჯგუფის სახელით, რითაც ეხლა უკვე აშკარად ეცნო ქვეყანას, რომ საქართველოში დაარსდა ახალი მარქსისტული მსოფლ-მხედველობით გამსჭვალული რევოლიუციონური და სოციალისტური ჯგუფი, ანუ მესამე დასი (გიორგი წერეთლის დარქმევით), რომლის დამაარსებელის, — გაიცვებულ ეგნატე ნინოშვილის გვამს, უკვე მიწას ამბარებდენ ეხლა.

ცოტა ხნის შემდეგ ტფილისში, საქართველოს ამ ცენტრში დაარსდა მუშებისაგან შემდგარი პირველი სოციალ-დემოკრატიული პატარა წრე. რომელშიც შედიოდენ მხოლოდ მუშები: ზაქარია ჩოდრიშვილი, არაქელი ოქუაშვილი, ვასო ცაბაძე, ირჩილ არავიაშვილი. სანდრო ბაქრაძე და სხვა. ეს წრე აწარმოებდა მუშებში მარქსისტულ, სოციალ დემოკრატიულ მუშაობას, პროპაგანდა-აგიტაციის წვეთა და რუსეთიდან მოსული „ოსვობოჟდენიე ტრუდას“ *) რევოლიუციონურ-მარქსისტულ არალეგალურ ლიტერატურის გავრცელებით.

95 წლიდან უკვე ტფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნობი. და ბათომის ნავთის სამრეწველო ქარხნებში, — როტშილდის, ნობელის და მანთაშევისაში ჩაისახენ მომქმედი პოლიტიკური ორგანიზაციები, პარტიის ჩონჩხი ანუ უჯრედები.

ატმოსფერა, ყველგან, ქარხანა-ფაბრიკების შიგნით რევოლიუციონური და მარქსისტული სუნით იყო გაჟღენთილი, მაგრამ ჩამოჯალიბებული, მებრძოლი მარქსისტული პროგრამმა ჯერ კიდევ მაინც ვერ დასდებოდა საფუძვლად ჩასახულ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს: ხსენებულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ვერ წარმოეშვა და

*) ბლეანოვისა, აქსელროდისა და ვერა ზასულიჩის მიერ 1883 წ. საზღვარ გარეთ იქნა დაარსებული მესამე დასის მზგავსად, მარტო ინტელიგენტებიდან შემდგარი რუსული მარქსისტული ჯგუფი — „შრომის განთავისუფლების“ სახელწოდებით. ეს ჯგუფი ამ დროს თავის გამოცემებს არა-ლეგალურად აგზავნიდა რუსეთში. ამ გამოცემებიდან, ნაწილის საქართველოში გამოგზავნის ორგანიზაციის მოწყობას მეცადა ფ. ზახარაძე და ნ. ყორდანია უკანასკნელი 92 წელში უკვე ითვლებოდენ მომწიფებულ მარქსისტებად და ეწევოდენ მუშაობას ვარშავის რევოლიუციონურ მარქსისტულ ორგანიზაციაში. გამორკვეული არაა ჯერ ის, — თუ რამდენათ შეესწრენ მათ ამ ცდის სისრულეში მოყვანაზე; ერთი კი ცხადია, რომ ეს არალეგალური მარქსისტული ლიტერატურა ადწევდა ტფილისში. 92 წელს ზაფხულზე უკვე მარქსისტი ყორდანია ბრუნდება საქართველოში, რომელიც ეკვი არ არის ამაში, რომ შესაფერ მარქსისტულ ლიტერატურასაც თან იქონიებდა წამოსადგამათ 94 წელს ფ. ზახარაძე კი უკვე ვარშავის ციხეში იჯდა, როგორც მარქსისტულ ორგანიზაციაში ნამუშევარი, პოლიტიკური დამნაშავე და „იზდიდა“ ხასჯელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღეზარდა თავის შიგნით საამისოთ თეორეტიულად მომზადებული და პრაქტიკაში ნაცადი პირები.

დასახელებულ ყველა მუშათა ცენტრებში ეს უგეგმო, პროგრამით განუსაზღვრელი, რევოლიუციონურ ამოცანებს მოკლებული ორგანიზაცია-უჯრედები მართავდენ ხოლმე კრება-სხდომებს ხან გამოშვებით, არჩევდენ დღის წესრიგში დამდგარ ამა თუ იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ ხასიათის საჭირ-ბოროტო კითხვებს, გამოჰქონდათ გარდაწყვეტილება. გადაედგათ ესა თუ ის რევოლიუციონური, საზოგადოებრივი მნიშვნელობის ნაბიჯები.

მომქმედი ორგანიზაცია-უჯრედების წევრები არც ერთი თავიანთ გვარებზე მაშინ არ სცხოვრობდენ: კრება-სხდომებზე გამოდიოდენ ისინი სალაპარაკოთ და ეწეოდენ რევოლიუციონურ მუშაობას უცნობის სახელ-გვარებს ამოფარებულნი,—ამ დროის რევოლიუციონურ პრაქტიკას შემოეღო მხოლოდ ფსევდონიმებით მოქმედება.

ეს გარემოება სხვათა შორის აძნელებს დასახელებას და აღდგენას იმ პირებისას, რომლებიც იყვნენ მომწყობნი პირველნდელი სახის ორგანიზაციებისა.

ბათომში, მანთაშვილის ქარხანაში, გაფიცვის წინასწარ მოსამზადებელ ერთ-ერთ არალეგალურ კრებაზე, სადაც ხელმძღვანელი მუშები და ინტელიგენტები ამბობდენ გაფიცვისათვის წასაქეზებელ რევოლიუციონურ სიტყვებს, მისი მონაწილე მიხა ჩოდრიშვილი ასე აღნიშნავს მას: „აქ ყველა ორატორებს საიდუმლოების დასაცავად, მეტი სიფრთხილისთვის თავიანთ თავისთვის დაერქვათ სხვისი გვარები; ეს გვარები იყო: ახმედ-ჯო, ხოჯა, როსტომ მურად, ქელეშოდ და სხვა“.

მათი ნამდვილი გვარების გაგება ვერ მოეხერხებია მიხასაც კი, იმ მიხას, რომელიც განსაკუთრებული ნდობით იყო აღჭურვილი იქ.

ასეთი საიდუმლოებით იყო მოცული ეს ორგანიზაციები ტფილისში და სხვაგანაც.

ტფილისში დაარსებული მარქსისტული პატარა წრეები 95, 96 წლეებში განვითარდა, გაიზარდა, მომწიფდა და შედეგათ 97 წელს მან უკვე მიიღო კომიტეტის სახე. ამ კომიტეტში შედიოდენ: ზაქრო ჩოდრიშვილი, არაქელა ოქუაშვილი, არჩილ არაგიაშვილი, ვასო ცაბაძე და სანდრო ბაქრაძე,—ყველანი მუშები იყვნენ. ინტელიგენტებს მათში ადგილი არ ჰქონდათ. 1898 წლიდან, როცა პარტიული და რევოლიუციონური მუშაობა ერთობ გაფართოვდა, როცა რევოლიუციონურ მუშათა ორგანიზაციების გვერდით საჭირო შეიქნა რევოლიუციის ასევე სამსახურის გამწევი ბეჭედითი ორგანები, როცა რევოლიუციის პრაქტიკულ კითხვებთან ერთად თეორეტიული, მარქსის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტული კითხვებიც წარმოიშვა, — მაშინ კოოპტაციით შეკვანილი იქნა კომიტეტში შემდეგი მარქსისტი ინტელიგენტებიც: რ. კალაძე, ლადო კეცხოველი, მიხა ბოჭორიშვილი, სევერიან ჯუღელი, სილიბისტრო ჯიბლაძე და ალექსანდრე შატილოვი; კომიტეტთან შემოკავშირ და აქტიურ დახმარებას უწევდენ მას რევოლიუციონურ საქმიანობაში ალრეთვე ფ. მახარაძე, გ. ჩხეიძე, მიხა ჩოდრიშვილი, დათიკო სართიშვილი და გ. თელია.

უნდა აღინიშნოს შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ ბაქო და ბათომი ითვლებოდა ყველაზე უფრო სამრეწველო კაპიტალისტურ ქალაქად არა მარტო საქართველო-ადერბეიჯანში, არამედ მთელი კავკასიის მაშტაბითაც, მიუხედავად იმისა, რომ ნახევრად პროლეტარი, გაპროლეტარების გზაზე შემდგარი მუშები უმეტესად ამ ქალაქებში იყვნენ თავმოყრილნი, და მუშათა მოძრაობა აქ ხდებოდა უფრო თვალსაჩინო, ცენტრი მაინც მუშათა რევოლიუციონური ორგანიზაციებისა, პოლიტიკურად ამამოქმედებელი სიგნალის მომცემი, — მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიული **პირველი იარაღებით**, — მოწყვეულობის მხრივ უფრო სუსტი ქალაქი ტფილისი გამხდარიყო.

ტფილისი გამხდარიყო დაწყებულ რევოლიუციონურ მოძრაობის ის ხელმძღვანელი ცენტრი, რომელიც ყურადღებას იქცევდა არა მარტო ბაქო-ბათომისას, — მისი გავლენა, მისი რევოლიუციონური კარნახი და დირექტივები ტარდებოდა. ვრცელდებოდა კიდევ იქით, შორს ჩრდილო კავკასიის სამრეწველო ქალაქებზედაც.

...ვინ შეასხა აქ ხორცი მარქსისტულ მოძღვრებას? ვინ მისცა აქ საქართველოში თეორიული საფუძველი სოციალ-დემოკრატიას, დაუპირდაპირა იგი სხვა, უტოპიურ სოციალისტურ მიმართულებებს და გაუკაფა ეკლიანი გზები. შეუქმნა ბაზა მარქსიზმის იდეოლოგიურ ფრონტს?

ის ცნობები, როგელიც ჯერ-ჯერობით ჩვენ მოგვეპოვებინა, გვეუბნება, რომ 80 წლების მეორე ნახევრიდან გაჩნდა საქართველოში რუსეთიდან გადმონერგილი სოციალისტური მიმდინარეობანი, მაგრამ იგი არ ეთვლება მარქსისტულ: სოციალ-დემოკრატიას აქ მაშინ არ იცნობდენ; სოციალ-დემოკრატია სრულიად არ იყო ხსენებაში, ხსენებული მოწაფიანე ინტელიგენტები, როგორიც იყვნენ, ეგნატე ნინოშვილი, ფ. მახარაძე, მიხა ცხაკაია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ჯორდანია, რ. კალაძე, სევერიან ჯუღელი და სხვები, იყვნენ რუსეთის ნაროდნიკების გავლენის ქვეშ მოქცეული სოციალისტები. ლავროვი, ჩერნიშევსკი და მიხაილოვსკი იყვნენ იმათი იდეოლოგები ამ ხანებში. აქა-იქ, ხსენებულ ინტელიგენტებში იყო კი კანტი-კუნტი ლაპარაკი ლენინზე, მაგრამ ეს ლაპარაკი იყო მაზე როგორც ვამბობ ჩენილ ზსიფლით ტრიბუნზე, უმეგალითო ორატორული ნიჭის პატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონ სოციალისტზე, პროგენებაზე და არა მის მოძღვრებაზე, მის პოლიტიკურ და იდეურ მიმართულებაზე; ამ მხრივ მას აქ არავინ არ იცნობდა: მათ ამ ხანებში არ შეეძლებოდათ ამის მოძღვრები ფილოსოფიური ლიტერატურა-წიგნაკები.

90 წლების მეორე ნახევარში ევნეიდან დაბრუნებული ეგნატე ნინოშვილი, ხალხში გავრცელებულ, შეუმოწმებელ ცნობების მიხედვით, იდგა მარქსისტულ მიმართულების ხაზზე. იგი არ იზიარებდა სახოგადოებაში გამეფებულ ნაროდნიკების უტოპიურ სოციალიზმს, მაგრამ ეგნატეს მარქსისტული სწავლა ისე სუსტი, მოუმწიფებელი და ბურუსიანი იყო, რომ მას არ შეეძლო საბჭარაზე გამოეტანა იგი, მიეცა მისთვის რეალური სახე და დაეჯერებინა მოწინააღმდეგეებისათვის. ეგნატე, ასე ვსთქვათ, ხერელე, არა საფუძვლიანათ და ისიც შემოხვევით გასცნობოდა შეეიკარია-საფრანგეთში ხანმოკლე ყოფნის დროს მარქსიზმს, გაეგონა გერმანიაში მუშათა მოძღვრების,—სოციალ-დემოკრატიულ პარტიის არსებობა.

90 წლების მიწურულში ეარშავაში სასწავლებლად გამგზავრებული ფ. მახარაძე და ნოე ყორდანია ეცნობიან მარქსიზმს. იქაური მუშათა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში სწავლობენ მას საფუძვლიანად. 92 წელში ისინი უკვე ითვლებიან მომზადებულ, მომწიფებულ მარქსისტებად და აი იქიდანვე, თუ იქიდან უკვე საქართველოში დაბრუნებისას მათ პირველათ გადაეცემა რევოლიუციონურ ინტელიგენციაში ეს მარქსისტული შეხედულებები: აცნობენ ისინი სოციალ-დემოკრატიას საქართველოს მოწინავე მუშებს, ავრცელებენ მას, როგორც მუშურ, კლასობრივ-რევოლიუციონურ მეცნიერულ-სოციალისტურ მოძღვრებას სოციალ-დემოკრატიის სახელწოდებით. ფ. მახარაძე და ნ. ყორდანია იყენენ მარქსისტული მოძღვრების საფუძვლის ჩამყრელი საქართველოში. საქართველოში დაბრუნებულმა ნ. ყორდანიამ 92 წელს ბაფუნელში და ფ. მახარაძემ 95 წელს ბისაკეს თეორიული საყოფნობი მარქსიზმს საქართველოში, რის შედეგათ ყველა ზენოთ ჩამოთვლილი მოწინავე ინტელიგენტები გახდენ მარქსისტები და ამ უკანასკნელების მეოხებით, განვითარებულ რევოლიუციონურ მუშებთან ერთად ჩაეყარა პრაქტიკული საფუძველიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

1896-97 წლიდან ფ. მახარაძე პერიოდულ და დღიურ გამოცემებში, „ცვალში" თუ სხვაგან იწყებს მარქსიზმის თეორიაზე წერას. „მარქსისტული,—მეცნიერული სოციალიზმის, წვრილ ბურჟუაზიულ, არა მეცნიერულ სოციალიზმთან დაპირდაპირების, უკანასკნელის კრიტიკის ძარცვასლში გატარებას, უარყოფას, ხოლო პირველის დასაბუთებას მის გამაგრება-განმტკიცებას. 98 წელში სახელგარ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთიდან ჩამოსულმა ნ. ჟორდანიამ და საქართველოში მყოფმა ფ. მახარაძემ სრულებით დაეპატრონენ გიორგი წერეთლის ხელში მყოფ, უპროგრამმო, ვიწრო ნაციონალ-დემოკრატიულ კვირეულ ჟურნალს „კვალს“ და მისცეს მას წმინდა მარქსისტული ხასიათი, —მარქსისტულ-სოციალ-დემოკრატიული მიმართულება.

ამ ორგანომ შემოიკრიბა თავის გარშემო საქართველოს ყველა მოძრავი, პროგრესიული, რევოლიუციონური, მოწინავე საზოგადოებრივი ძალები.

98 წლიდან კვირეული ჟურნალი „კვალი“ გახდა პირველი რევოლიუციონური და სოციალისტური ორგანო, რომელიც აძლევდა საკვებს ჩასახულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ზრდიდა, ამწიფებდა მარქსისტულ თაობას.

1898 წელს მარქსისტული ჟურნალი „კვალი“ ერთად ერთი ქართული ორგანო იყო (რუსული ამ მიმართულების გაზეთი კი არ არსებობდა ამ დროს), რომელიც სენსაციას ახდენდა მკითხველებში, გაფაციცებით იკითხებოდა ყველგან. „კვალმა“ აშკარად აღმართა ბრძოლის მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული დროშა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-ნაციონალისტურ გაზეთ „ივერიისა“ და ჯაბადარ-ზდანოვიჩის ნაროდნიკული მიმართულების წინააღმდეგ.

ამ დროს რუსეთის მრავალ სამრეწველო დიდ ქალაქებშიც უკვე გამტკიცებულიყო კარგა ხნიდან ჩასახული მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, წარმოდგენილნი შემდეგი ჯგუფების სახით: „რაბოჩაია გაზეტას“-ი, „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“-სა, „მოსკოვის კავშირი“-სა, და „ბუნდის“-ა (რუსეთისა და პოლონელ ებრაელ მუშების კავშირი), რომელთა შემაკავშირებელ ბეჭდვითი ორგანოთ გამხდარიყო 1897 წლიდან გამოსული კიევის გაზეთი „რაბოჩაია გაზეტა“.

„რაბოჩაია გაზეტას“ ინიციატივით 1898 წელს მარტის რიცხვებში ქალაქ მინსკში შესდგა პირველი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამაუძნებელი ყრილობა.

ამ ყრილობაზე დასასწრებლად არჩეული იქნა დელეგატი საქართველოშიც, ტფილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციიდან. ეს პირი იყო ტფილისის კომიტეტის წევრი, ნახევრად მუშა და ნახევრად ინტელიგენტი, ვასო ცაბაძე. მაგრამ ვასო ცაბაძეს, მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ მოუხდა წასვლა ყრილობაზე. მისივე გადმოცემისამებრ, იგი დაკავებულ იქნა შემთხვევით ეანდარმებისაგან, რამაც სრულებით ჩაშალა მისი გამგზავრება მინსკის პარტიულ ყრილობაზე. ამ რიგად პირველ პარტიულ ყრილობაზე საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს თავისი წარმომადგენელი აღარ ყოლია. მაგრამ მიუხედავად ამისა მინსკის პარტიულ ყრილობის ყოველივე წესდება-დადგენილებები მიღებული იქნა ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების მიერ და ამიერიდან ისინიც თვლიდენ თავს,—**რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის** ორგანიზაციების განუყრელ წევრად.

27 მარტი—ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებები.

ფ. მესხორაძე.

პოლპარტ. ისტორიისათვის ამიერ-კავკასიაში.

პირადი მოგონებანი

(რ. კ. პ. არსებობისა და ბრძოლის 25 წლის თავის გამო)

პარტიის გარიჟრაჟზე.

25 წელმა განვლო **რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის** ორგანიზაციულ ჩამოყალიბების დროიდან, რასაც ადგილი ჰქონდა 1898 წლის 1—3 მარტს (ძველი სტილით) **ქალაქ შინსკში** გამართულ საიდუმლო ყრილობაზე. ამ ყრილობამდე, 15 წლის წინეთ, ე. ი. 1883 წ. ქ. ჟენევაში, რუსი-რევოლიუციონერები **გ. ვ. პლეხანოვის** მეთაურობით, რომლებიც წინეთ ნაროდნიკულ პარტიებს ეკუთვნოდენ (Черный передел, Народная Воля), საუფროველს უყრიან **„შრომის განთავისუფლების ჯგუფს“** — პირველ იაჩეიკას მომავალ რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიისას — შემდეგ **რუსეთის კომუნისტურ (ბოლშევიკების) პარტიისა**, რომელსაც წელათ ხვდა უდიდესი როლის შესრულება არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობაში. ეს მცირე, პირველ ხანებში შეუმჩნეველი საზღვარგარეთელი ორგანიზაცია, თანდათან და სისტემატიურათ აფართოვებს თავის. იდეიურ ზეგავლენის სფეროს რევოლიუციონურათ განწყობილ მუშებში და მაშინდელი რუსეთის ინტელიგენციაში. პირველ ხანაში ის იზიდავდა თავისკენ განსაკუთრებით ყველა უფრო ერთგულ და შეგნებულ ელემენტებს.

მცირე ხნის შემდეგ რუსეთის, პოლონეთის, ლიტვის და კავკასიის თითქმის ყველა უმთავრეს ცენტრებში გაჩნდა ჯერ ნაპერწკალი სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობისა, ეს ნაპერწკალი იზრდებოდა თანდათან და ბოლოს ნამდვილ ალათ იქცა, რომელიც თითქმის მთელს მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას მოედო. სათავეში სდგანან პეტერბურგი და მოსკოვი, მათ მიჰყვება თანდათან ან ერთდროულათ: კიევი, ოდესა, ვილნო, ვარშავა, ეკატერინოსლავი, ტფილისი, იაროსლავლი, ხარკოვი, როსტოვი, ბათომი, ბაქო და სხვა. აი ესენი იყვნენ ის პუნქტები; სადაც ჩაიყარა **მარქსიზმის პირველი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესლი და სადაც გაჩაღდა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობის პირველი ნაპერწკლები. „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ დამყარებისა დ. ქ. მინსკის ყრილობის შუა მდებარე პერიოდი (1883—1898 წ.წ.) წარმოადგენდა ახალი სოციალისტური პარტიის, რ. ს. დ. მუშათა პარტიის საბოლოოო ორგანიზაციულ ჩამოყალიბების წინასწარ მოსამზადებელ ხანას; ეს პარტია ჯერ კიდევ მინსკის ყრილობამდე რუსეთის თითქმის ყველა მსხვილ ცენტრებში არსებობდა დაქსაქსულ-დაუკავშირებელ წრეების, ჯგუფების, კომიტეტების, კავშირების და სხვა ამ გვარ ორგანიზაციების სახით. ახალი სოციალისტური იდეები— **იდეები მეცნიერულ სოციალიზმისა** ყველგან ხელსაყრელ ნიადაგს ჰპოულობდნ. ისინი ყველგან მუშათა მასებში ცხოველ გამოძახილს იწვევდენ ამა თუ იმ სახით, იყო ეს პროტესტი ან დემონსტრაცია, თუ მოწყობილი გაფიცვა, რომელიც მიმართული იყო, როგორც შრომის აუტანელ პირობების, ისე, იმ დროს არსებულ პოლიციურ-ბიუროკრატიულ თვითნებობის წინააღმდეგ.

შრომის პირობების გასაუმჯობესებლად, მექარხნეთა და ფაბრიკანტების წინააღმდეგ მიმართულმა მუშათა ეკონომიურმა ბრძოლამ, ე. ი. მათ **კლასიურმა ბრძოლამ** მეცნიერულ სოციალიზმის იდეების ზეგავლენით მალე ნამდვილი **პოლიტიკური ბრძოლის** ხასიათი მიიღო, რაც ბურჟუაზიის და მემამულეთა თვითმპყრობელურ წესწყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ოთხმოცდაათიანი წლები.

წარსულ საუკუნის მე-90 წლების განმავლობაში სოციალ-დემოკრატიული იდეები სწრაფად ედება მუშათა მასებს; გარდა ამისა ისინი მოსწავლე ახალგაზრდობისა და რადიკალურ ინტელიგენციის თვალსაჩინო ნაწილს იპყრობს, არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა ანუ **არალეგარულ მარქსიზმის** გვერდით, აღმოცენდა და იზრდება **ლეგალური მარქსიზმი** ლიტერატურაში (სტრუვე, ტუგანბარანოვსკი, ბულგაკოვი, ბოგუჩარსკი და სხვა).

ყოველივე ეს მოწმობდა, რომ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა მე-90წლების მეორე ნახევარში ისეთ მნიშვნელოვან ძალათ ხდებოდა, ან უკვე გახდა, რომლისათვის, თუნდაც სურვილის წინააღმდეგ, ანგარიში უნდა გაეწია ყველა სხვა საზოგადოებრივ ძალებს. ამნაირათ ხორცს ისხამდენ პლეხანოვის მიერ 1889 წლის პარიზის პირველ საერთაშორისო კონგრესზე წარმოთქმული წინასწარმეტყველური სიტყვები: „**განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიმარჯვებს რუსეთში, როგორც მუშათა მოძრაობა ან ის სრულიად ვერ გაიმარჯვებს**“-ო.

ცხადია, რაც მეტათ იზრდებოდა და მწიფდებოდა სოციალდემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრატიული მოძრაობა, რაც უფრო ძლიერდებოდა ამ მოძრაობის მუშათა მასებზე გავლენა, ამ მასებში მარქსისტული იდეების სიღრმე-სიფართოვის განვითარებით,—ასპარეზიდან სამუდამოთ ჩამოდიოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ თავგამოდებული და გმირული ბრძოლით განთქმული ნაროდნიკული პარტიები. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს რუსეთის ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჰეგემონია პროლეტარიატის და მისი წინამძღოლ სოციალ-დემოკრატიის ხელში გადადიოდა.

მაგრამ პარტია, როგორც მთლიანი ერთეული, საერთო ნებისყოფით გამსჭვალული და ერთის ცენტრით დაგვირგვინებული ჯერ არ არსებობდა. რუსეთის ვეებერთელა სივრცეზე გაბნეული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები მოკლებული იყვენ ურთი-ერთ კავშირს და მოქმედობდენ განცალკევებულათ, შეუთანხმებლათ, წინასწარ გამომუშავებულ გეგმის გარეშე. არა თუ ისეთი, შედარებით, მსხვილი ორგანიზაციები, როგორიც არიან ქალაქის ან საგუბერნიო, საოლქო, არამედ სულ მცირე ჯგუფებიც კი საკუთარ ნება-სურვილის თანახმად მოქმედობდენ. ასეთ პირობებში უთანხმოება და ერთიმეორესადმი დაპირისპირებული მოქმედება აუცილებელი მოვლენა იყო. ასეთი მდგომარეობა მეტათ აბრკოლებდა რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდა-განვითარებას და მომავალში საქმის ასევე მიტოვება რევოლიუციის საქმეს დიდ ზიანს უმზადებდა. ყველა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებისთვის საჭირო იყო გარკვეული და ნათელი სახელმძღვანელო დირექტივები ყველა უმთავრეს საკითხების შესახებ. როგორც იყო, მაგალითად, წრეების სისტემიდან მუშათა შორის ფართო აგიტაციაზე გადასვლა, დამოკიდებულება ბურჟუაზიულ ოპოზიციასთან, რომელიც უკვე ხმას იმაღლებდა, თუმცა კი ჯერ გაუბედავათ, საერობო მოღვაწეებსა, სტუდენტობასთან და ტეროროისტულ აქტებთან დამოკიდებულება, ჯარში პროპაგანდა და სხვა. ერთი სიტყვით, საჭირო იყო რუსეთის ხალხთა მჩაგვრელ ბურჟუაზიულ და თავად-აზნაურულ წესწყობილების, კაპიტალისტებისა და მემამულეების უღლისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საერთო ტაქტიკის და სტრატეგიის გამომუშავება. მაგრამ პირველ და თავათ საჭირო იყო **საომარ ხაზის გასწორება,** რათა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას რუსეთში თავიდანვე აეღო სწორი გეზი და თავს აეცილებინა ის დამახინჯება, რომელმაც უკვე იჩინა თავი ე. წ. **„ეკონომიზმის“** (გაზ. „Рабочая жизнь“-ის მამართულება), და ავრეთვე ლეგალურ მარქსიზმის სახით. უკანასკნელი თანდათან ბერნშტეინისებურ რევიზიონიზმის ხასიათს იღებდა და, აი, ყველა ამ სიმახინჯესთან საბრძოლველათ და მუშათა კლასის მოძრაობის სწორ ნიადაგზე დასაყენებლათ საჭირო იყო, რაც შეიძლება ადრე, გადაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებლათ, სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ფეხმოკიდებულ „კრეტ-კოვშჩინის“ ბოლოს მოღება, საჭირო იყო დაჭუცმაცებულ ორგანიზაციების ერთ მთლიან პარტიაში ჩამოსხმა, ერთის მხრით, **საორგანიზაციო წესდების** და, მეორეს მხრით, პარტიული პროგრამის გამომუშავება — ერთი სიტყვით, რუსეთის მთლიან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის შექმნა.

მე-90 წლების დამლეგისათვის ყველა საჭირო პირობები მზათ იყო: რუსეთის თითქმის ყველა მთავარ ქალაქებში არსებობდა ჩამოყალიბებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, იყო სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობის თეორია და პრაქტიკა, ლეგალური და არალეგალური მარქსისტული ლიტერატურა, შესამჩნევეთ გაიზარდა ქალაქის პროლეტარიატის მოწინავე ნაწილი, რომელიც მზათ იყო შეეთვისებია და, ნაწილობრივ, შეითვისა კიდეც, მეცნიერულ სოციალისტის იდეები და პრაქტიკაში გამოიყენებია ისინი. მზათ იყო — ყველაფერი, რაც საჭიროა პარტის დაარსებისათვის. არ იყო მხოლოდ უბრალო ხელმძღვანელი ორგანოები, ე. ი. ყრილობა და **პარტიის ცენტრალური კომიტეტი**. ამ ორგანოების შექმნა პარტიის დაარსებას ნიშნავდა.

პარტიის პირველი ყრილობა.

მაგრამ ეს ამოცანა ძალიან ძნელი შესასრულებელი იყო. პირველათ ყოვლისა ტეხნიკურის მხრით, რადგან მეფის ჯაშუშები და პროვოკატორები თვალს ადევნებდენ რევოლიუციონურ მოძრაობის ყოველ გამოხატულებას. წრეებისა და კომიტეტების დაარსება სხვა და სხვა ადგილას, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ადვილი საქმე იყო, ვიდრე ამ ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევა. იყო რამოდენიმე ცდა ამ მიმართულებით და ერთი მათგანი გამარჯვებით დასრულდა; როგორც ავღნიშნე, 1898 წლის დასაწყისში ქ. მინსკში შესდგა პირველი **არალეგალური ყრილობა**, რომელსაც დაესწრენ იმ დროს არსებული სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. მართალია ამ პირველ ყრილობას ვერ მოჰყვა ის, რაც პარტიისათვის საჭირო იყო: მას არ მოუცია არც პროგრამა და არც წესდება, გარდა **რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის** დაარსების შესახებ ზოგადი დეკლარაციისა, რომლის შედგენა დაევალა მომავალ რენეგატს სტრუვეს. ყრილობამ აირჩია პირველი ცენტრალური კომიტეტი, რომელიც, ყრილობის შემდეგ, მალე მთავრობას ჩაუვარდა ხელში.

მიუხედავათ ამისა ამ პირველ ყრილობის მნიშვნელობა ძლიერ დიდია. მან ჩამოაყალიბა მთლიანი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაცია. მისცა მას საბეჭდოდ ბანერი. ეს თავის თავათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე დიდი საქმე იყო და ამ აქტს ვერავითარი უხეში ძალა უკვე ველარ გაანადგურებდა.

ყრილობის შემდეგ.

მაგრამ ეჭვი ეალიეაროთ, რომ ფაქტიურათ, პარტია, როგორც ასეთი, ჯერ მაინც არ არსებობდა: ეთანხმოება, შეხლა-შემოხლა და დაქსაქსულობა ჯერ კიდევ არ გამქრალიყო. როგორც რუსეთში, აგრეთვე საზღვარგარეთაც, არსებობდენ ცალკე ჯგუფები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოდიოდენ დამოუკიდებლათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სახელით. საზღვარგარეთ **„შრომის განთავისუფლების ჯგუფი“**-ს გარდა აღმოცენდა **სოციალ-დემოკრატების რევოლიუციონური ორგანიზაცია“**, **„რუსეთის სოციალ-დემოკრატთა კავშირი“** და სხვა. თითოეულ ამ ორგანიზაციას ჰქონდა რუსეთში თავისი წრე და ჯგუფები, სადაც თავის მხრივ თითქმის ყოველი ასეთი წრე და ჯგუფი, სულაც რომ არაფერი ვთქვათ ისეთზე, როგორიც იყო **ბუნდი** (ებრაელ მუშათა სოც.-დემ. ორგანიზაცია), მოქმედობდა აგრეთვე სრულიად დამოუკიდებლათ.

ამ პერიოდის დამახასიათებელი თვისება იყო ის, რომ ყოველი ჯგუფი შემოკრებილი იყო ლიტერატურულ ორგანოთა გარეშემო. ასე არსებობდა „რაბოჩაია მისლ“-ის ჯგუფი (წმინდა ეკონომიზმის გამომხატველი), „რაბოჩეე დეელო“-სა და „იუნი რობოჩი“-ს ჯგუფები და სხვა. ამ ჯგუფთა შორის სწარმოებდა გამუდმებული ბრძოლა რუსეთის მუშათა მოძრაობაში პირველობის ჰეგემონიის დასაპყრობათ.

ორი უმთავრესი მიმდინარეობა.

მიუხედავ ამ მიმართულებათა და აზრთა მრავალ სხვაობისა, შეგვიძლია მათში ორი მთავარი მიმდინარეობა გავარჩიოთ: სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილი უარყოფდა მუშათა კლასისათვის-პოლიტიკურ ბრძოლის მნიშვნელობას და აღიარებდა მხოლოდ მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საჭიროებას (მარტინოვი, კუსკოვა, კრიჩევსკი, პროკოპოვიჩი და სხვ.); მეორე ნაწილი კი, სცნობდა რა მუშათა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის ბრძოლის საჭიროებას, თავის ყურადღებას უმთავრესათ თვითმპყრობელობის და ბატონყმურ წესწყობილებასთან პოლიტიკურ ბრძოლას აქცევდა.

ამ მიმართულებას სათავეში უდგენ **პლეხანოვი**, **ლენინი** და საერთოთ, მთელი „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“, რომელიც შემდეგ „სოციალ-დემოკრატიის რევოლიუციონურ ორგანიზაციათ“ გადაიქცა (ვ. აქსელროდი, ორტოდოქსი, კოლეგოვი და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის შემდეგმა ისტორიამ გვიჩვენა ვის მხარეზე იყო ჭეშმარიტება. სოციალ-დემოკრატიის ამ ორი მიმართულებათა შორის მუდამ სწარმოებდა ბრძოლა სხვა და სხვა სახელწოდებით და სხვა ფორმით. ეკონომიზმმა გამოიცვალა სახელწოდება, პირველათ „მენშევიზმის“, შემდეგ „ლიკვიდატორობის“ სახით მოგვევლინა, სანამ საბოლოოთ სრულიად არ უღალატა თავის სოციალ-დემოკრატიულ წარსულს მეცნიერულ სოციალიზმისა და თვით მუშათა კლასის დროშას.

ჩვენი საუკუნის პირველი წლები.

მე-90 წლების დამლევს და მე-20 საუკუნის პირველ წლებში რევოლიუციონური მოძრაობა შესამჩნევათ გაიზარდა და მუშათა მასსებსა და რადიკალურ ინტელიგენციას მოედო, იწყება მუშათა გაფიცვები, აგრეთვე მთელი რიგი სტუდენტობის გაფიცვებისა და საერთო დემონსტრაციები ერთის მხრით, და მეორე მხრით — გლეხების სტიქიური მოძრაობა, რომელმაც პირველათ დააყენა სოციალ-დემოკრატიის წინ გლეხობასთან დამოკიდებულების საკითხი, ანუ (არსებითად) **მიწის საკითხი.**

მაგრამ რუსეთის სოციალ-დემოკრატია ჯერ კიდევ არ გამოსულიყო არა თუ ორგანიზაციულ ქაოსისა, არამედ იდეურ მრავალ სხვათების მდგომარეობიდან.

პარტიის მეორე ყრილობა.

5 წელმა განვლო მანამდე, სანამ სოციალ-დემოკრატია ამ მდგომარეობას თავს დაახწევდა. მხოლოთ 1903 **წლის** ზაფხულზე მოხერხდა ლონდონში **მეორე პარტიულ ყრილობის მოწვევა,** რომელმაც პარტიას საორგანიზაციო წესდება და პარტიული პროგრამა შესცა. მხოლოთ ამ დროიდან გახდა სოციალ-დემოკრატია ნამდვილ პარტიათ, მაგრამ მთლიანობას ის ამ ყრილობაზედაც ვერ ეღირსა. ვინაიდან ყრილობა ორ ნაწილათ გაიყო: ერთის მხრით იყო **უმრავლესობა ლენინის მომხრეებიდან შემდგარი და მეორე მხრით უმცირესობა აქსელროდის, ვ. ზასულიჩის, მარტოვის, პოტრესოვის და სხვათა მეთაურობით.**

აქ უადგილოა ამ განხეთქილების მიზეზების დაწვრილებითი განხილვა; ავღნიშნავ მხოლოთ იმას, რომ ეს განხეთქილება იყო ადრევე არსებული სოციალ-დემოკრატიის ფარგლებში ბრძოლის გაგრძელება.

აქ საჭაროთ ვრაცხ კოქვა რამოდენიმე სიტყვა მხოლოდ იმ დიად წინასწარ მუშაობის შესახებ, რომელიც შესრულებული იქნა ამ ყრილობის მოსამზადებლათ და გასამართავათ და იმ როლის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ, რომელიც შეასრულა ერთმა ჯგუფმა, პროლეტარიატის უდიდესი წინამძღოლისა და ბეშმარიტ რევოლიუციონერის, **ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვის (ლენინი)** მეთაურობით.

მე-2 ყრილობის მომზადება მოითხოვდა უდიდეს, გიგანტურ ღონისძიებებს, როგორც იდეურ, აგრეთვე ორგანიზაციის მხრით. ლენინის ჯგუფის ხელში იყო მაშინ სოციალ-დემოკრატიულ გამოცემათა შორის ყველაზე უფრო გავლენიანი გაზეთი „ისკრა“ (გამოიცა 1900 წლის დამლევიდან). ამ გაზეთისა და კარგათ მომზადებულ პროფესიონალ—რევოლიუციონერების საშვალებით ეს ჯგუფი ადგილობრივათ აწარმოებდა ამ ყრილობის წინასწარ მუშაობას. „ისკრა“-სი და მის ხელმძღვანელთა პირველი პერიოდის (მე-2 ყრილობამდე) პოზიცია ყველასათვის ცნობილია და ამის შესახებ მე ეხლა არ ვილაპარაკებ. მაგრამ არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ როგორც პირველ პერიოდის „ისკრის“, აგრეთვე შემდეგ წარმოშობილ ბოლშევიკურ მიმდინარეობის ერთ-ერთ სულის ჩამდგმელათ იყო და არის ლენინი. ლენინი წარმოადგენს მე-20 საუკუნის რევოლიუციონურ მოძრაობის უდიდეს ფიგურას. მან აღზარდა მთელი თაობა მარქსისტ-რევოლიუციონერებისა და პრაქტიკულ მოღვაწეებისა, მან შექმნა მთელი სკოლა და სოციალ-ისტურმა მსოფლიომ არ იცის მეორე სახელი, გარდა ლენინისა, რომლის მოთავსება შეიძლებოდეს მარქსისა და ენგელსის გვერდით.

შემდეგში მე ვილაპარაკებ უმთავრესათ სოციალ-დემოკრატიისა და, შემდეგ, კომპარტიის განვითარების უმთავრეს მომენტებზე ამიერ-კავკასიაში და, კერძოთ, საქართველოში.

ამიერ-კავკასიაში.

აქ აღსანიშნავია პირველ ყოვლისა შემდეგი გარემოება. ამიერ-კავკასია, როგორც განაპირა ადგილი, სოციალ-დემოკრატიულ ცენტრებს ძლიერ დაშორებული, პირველ ხანებში არ იღებდა მონაწილეობას იმ ბრძოლაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შიგნით „ისკროველებისა“ ერთის მხრით, და „ეკონომიზმის“ შორის მეორე მხრით. „ეკონომიზმი“ ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, ყოველ შემთხვევაში, პირველ ხანაში არავითარ გავლენით არ სარგებლობდა და მის არსებობაზეც კი ადგილობრივ პარტიულ წრეებში იშვიათათ თუ იცოდა ვინმემ. ამიტომ გასაკვირალიც არ არის, რომ „ისკრა“-ს მიმართულება აქ თავიდანვე სავსებით მოწონებული იყო. მეორე გარემოება, რომელიც მე უნდა ავღნიშნო, მდგომარეობს იმაში, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ამიერ-კავკასიაში და მთელს კავკასიაშიც უმთავრესათ პროლეტარულ ცენტრათ იყო და არის ეხლაც **ბაქო**, სოციალ-დემოკრატიულ მოძრაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ცენტრი ამიერ კავკასიაში როგორც თავის აღმოცენების, აგრეთვე შემდეგ განვითარების მოვენტებში, იყო შედარებით ნაკლებად პროლეტარული ტფილისი. ტფილისი იყო ის ცენტრი. სადაც პირველად შემოტანილ იქნა სოციალ-დემოკრატიული ანუ მარქსისტული მოძღვრება. სადაც ამ მოძღვრებამ პირველად გაიკვლია ფესვები და შესაფერი ნაყოფი გამაიღო და საიდანაც შემდეგ ის მთელს ამიერ-კავკასიაში და კავკასიაში. ჩრდილოეთით და სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით გავრცელდა.

საქართველოში.

„მესამე დასი", „ყვავლი". პირველი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი.

სოციალ-დემოკრატიულ იდეების შედარებით სწრაფი წარმატება საქართველოში და მათი კოლოსალური გავლენა მუშებზე და კლეხებზეც აიხსნება გარდა ეკონომიურ პირობებისა, ჩემის აზრით, იმ გარემოებითაც, რომ ამ იდეებს აქ ხალხის ფართო მასსების შეგნებაში არ უხდებოდა სხვა რომელიმე სოციალისტურ მოძღვრებისა და თეორიის პირისპირ გზის გაკაფვა.

წარსული ისტორიის მთელი მსვლელობით, რომლის შედეგად ჩვენ მივიღეთ ბიუროკრატიის. ფეოდალურ ემამულეთა და ბურჟუაზიის მიერ გაყვლეფილი და ჩაგრული მუშათა და გლეხთა მასსა, ყველა ამ პირობების მეოხებით მარქსიზმის, სოციალისტურ და რევოლიუციონურ იდეების შესათვისებლად ნიადაგი საკმაოთ იყო განოყიერებული.

ამას უნდა დაურთოთ ისიც, რომ მთელს კავკასიაში ტფილისი ყველაზე უფრო კულტურული ცენტრი იყო, სადაც წარსულ წლებში ეროვამოშვებით არალეგალური ლიტერატურა და, თუ გნებავთ, არალეგალური ხალხიც ჩნდებოდა.

წარსული საუკუნის მე-80-ე წლებში ტფილისში იწყება რევოლიუციონური დღღილი. უმთავრესათ, ხელოსანთა და მოსწავლეა ახალგაზრდობის წრეებში (სასულიერო სემინარია და სამასწავლებლო ინსტიტუტი). მაგრამ რევოლიუციონური მოძრაობა იმ ხანებში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა.

ყოველ რევოლიუციონურ მოძრაობისათვის. და მით უფრო, პროლეტარული მოძრაობისათვის საჭიროა უპირველეს ყოვლისა ფუძე და. შემდეგ პრაქტიკულ მოქმედებათა გარკვეული პროგრამა. ეს კი ჯერ არ იყო. მაგრამ ყველაფერზე უფრო ჩვენ რევოლიუციონური გაფიცდილება და რევოლიუციონური ტრადიცია გვაკლდა. პირველი ნაბიჯი ყოველთვის ძნელია, მაგრამ მაინც უნდა გადაგვედგა. აშკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაა, რომ დასავლეთისა და რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობასა თეორიისა და პრაქტიკის ცოდნის გარეშე ჩვენ ამ ნაბიჯის გადადგმა არ შეგვეძლო. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთის ძველი რევოლიუციონური პარტიები ჩამოდიოდენ უკვე სცენიდან და ასპარეზზე გამოდიოდა ახალი რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიული პარტია, მაგრამ უკანასკნელი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა.

პირველათ ქართველებში მე და ნოე ჟორდანიას მოგვეხდა გაცნობა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობასთან მისი თეორიითა და პრაქტიკით, ეს მოხდა ვარშავაში 1891—93 წ. ჩვენი საშუალებით სოციალ-დემოკრატიული იდეა ვრცელდება საქართველოში: 1892 წ. დეკემბრის ბოლო რიცხვებში ზესტაფონში იმართება რევოლიუციონურად განწყობილ ახალგაზრდობის პირველი ფარული ყრილობა. ამ ყრილობას ესწრებიან ნ. ჟორდანია *), ს. ჯიბლაძე, მ. ცხაკაია ნ. ჩხეიძე, ეგნატე ინგოროყვა (ნინოშვილი), რ. ალაძე, იოს. ყაბაშაძე და სხვები. ამ ყრილობას არაუკრი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, მან მხოლოდ ერთი რამ დაგვანახვა, რომ ქართველი ინტელიგენციის ერთ ნაწილს სურს გამოვიდეს ბურუსიდან, სურს დაუახლოვდეს ისტორიის მეცნიერულ გაგებას, შეითვისოს მარქსიზმი, მაგრამ მარქსიზმის შეთვისებამდე ჯერ კიდევ შორს არის. ამის შემდეგ 1894 წლის დასაწყისში გარდაიცვალა ნიჭიერი ბელეტრისტი, ნამდვილი რევოლიუციონერი, რომელიც უკვე გახდა მომწიფებული მარქსისტი— **ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა)**. მის დაკრძალვაზე პირველათ საჯაროთ გამოდის ეს რევოლიუციონური ახალგაზრდობა, რომელიც სილ. ჯიბლაძის პირით აცხადებს ჩვენში ახალ საზოგადოებრივ ძალის აღმოცენებას შესახებ, იმ ძალის, რომელიც არის დამ,�elი გაყვლეფილ და ჩაგრულ მუშათა კლასისა.

მწერალმა გ. წერეთელმა (ცნობილ ირაკლი წერეთელის მამა), რომელიც დაკრძალვას დაესწრო და ასწერა იგი თავის ყოველკვირეულ გაზეთ „ცვალში“, უწოდა ამ ჯგუფს **„მეხამე დასი“** **) (მეხამე ჯგუფი ანუ პარტია). ამ დროიდან ეს სახელწოდება შემოვიდა ხმარებაში და დიდი ხანი იყო სოციალ-დემოკრატიის სინონიმი. ამავე ხანებში-გაზ. „ცვალში“ ხშირად იბეჭდებოდა წერილები, რომლებიც ეკუთვნოდენ „მეხამე დასელების“ კალამს. ამის გამო ამ უკანასკნელებს უწოდეს ეგრეთვე „ცვალისტები“. ამ სახელწოდებაში იფარებოდა მათი არალეგალური არსებობა.

*) რომელიც იმავე წელს ზიფეულ ში ვარშავიდან დაბრუნდა.

**) ეს სახელწოდება, რა თქმა უნდა, სწორი არ იყო. წერეთელს სასურველი ოცდა ათასოვანი ქრისტიანოლიგიური წესიერება, ჩვენში სხვა და სხვა ჯგუფების და პარტიების ვინაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „მესამე დასელებს“ შორის პირველ ხანებში მაინც იყვენ აგრეთვე ისეთებიც, რომელთაც არაფერი სართო არ ქონდათ მარქსიზმთან. მეორეს მხრივ ის ნაწილიც, რომელიც მარქსიზმის თვალსაზრისზე იდგა, მხოლოდ და მხოლოდ ინტელიგენტებისაგან შესდგებოდა. ეს ჯგუფი სრულიად განცალკევებულად არსებობდა და არ იყო დაკავშირებული არც მუშებთან და არც გლეხებთან. ვარშავიდან დაბრუნების შემდეგ, მე, გავეცანი რა „მესამე-დასელების“ წრეს, დავრწმუნდი, რომ ის სრულიად ჩამოშორებულია მუშებისაგან. 1896 წლის დასასრულში თუ 1897 წ. დასაწყისში მე მომიხდა კავშირის აღდგენა რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მუშებთან, **არაქელა ოქუაშვილის და ზაქარია ჩოდრიშვილის** მეთაურობით, რომელთაგან პირველს მე წინათაც ვიცნობდი. მათ უერთდებიან სხვა მუშებიც და ცოტა ხნის შემდეგ იმავე 1897 წელს ტფილისში არსდება **პირველი სოციალ დემოკრატიული კომიტეტი**, რომელშიაც შედიან თითქმის მარტო მუშები: ზაქარია ჩოდრიშვილი, არაქელა ოქუაშვილი. ვ. ცაბაძე, არჩილ არავიაშვილი, გ. ჩხეიძე და ალ. ბაქრაძე *). შემდეგ 1898 წელს კოოპტაციით მოწვეული იყვენ: ს. ჯიბლაძე, რ. კალაძე, (ბოლშ.) სვ. ჯუღელი, ლადო კეცხოველი (რომელიც შემდეგ მოკლული იქნა მეტეხის ციხეში დარაჯის მიერ), მიხა ბოჭორიშვილი (ბოლშ.) და ალ. შატილოვი. ამ კომიტეტმა უკვე გააფართოვა პროპაგანდა და აგიტაცია მუშებს შორის და ჩქარა მოიპოვა დიდი ნდობა მათ შორის. აგიტაცია და პროპაგანდა დიდი წარმატებით სწარმოებდა.

გაფიცვები, სამაისო დღესასწაულები, დემონსტრაციები.

რევოლიუციონური მოძრაობა ჯერ-ჯერობით გაფიცვებში გამოიხატა. პირველი სერიოზული გაფიცვა მოწყობილი იქნა სწორედ ახალი საუკუნის (20) დაწყების წინ ტფილისში, ქალაქის ცხენის რკინის გზის სახელოსნოებში, რომლის დროსაც მოხდა პირველი შეიარაღებული შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის. იმავე წელს (1900 წ.) მოეწყო კიდევ უფრო საგრძნობი გაფიცვა რკინის გზის ტფილისის სახელოსნოებსა და დეპოში, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 4000-ზე მეტი მუშა და რომელსაც ხელმძღვანელობდა რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიის ტფილისის კომიტეტი. მართალია, ეს გაფიცვაც მუშების დამარცხებით გათავდა, მრავალი ათეული მუშები იქნა დაპატიმრებული და მრავალი ასეული გადაასახლეს ტფილისიდან; მაგრამ მთელი ამიერ-კავკასიის მუშათა კლასისათვის ამ გაფიცვას უდი-

*) შემდეგ, როცა სოც.-დემ. ორ ნაწილათ გაიყო თითქმის ყველა ეს მუშები, ცაბაძის და ბრავიაშვილის გარდა, ბოლშევიზმს მიემხრენ და ბოლშევიზმის მისი ერთგულნი დარჩენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესს. მნიშვნელობა ქონდა. მან გააკაკა ისინი ბრძოლისათვის, გარდა ამისა ტფილისიდან გადასახლებული მუშები ავრცელებდენ ყველგან სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობის იდეებს და ბურჟუაზიულ-მემამულეთა ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებს.

კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ქონდა რევოლიუციონურ მოძრაობის განვითარებისთვის **პირველი მაისის დემონსტრაციებს**, რომლებსაც აწყობდა ტფილისის კომიტეტი. გადასწყდა 1 მაისის საჯარო დემონსტრაცია არ გამართულიყო ნაუცბათევად, არამედ ჯერ მოემზადებინათ ნიადაგი. ამ მიზნით 1899—1900 წ. ტფილისის ორგანიზაციამ იდღესასწაულა ეს დღე მუშათა ფართო, მაგრამ საიდუმლო კრებებზე ქალაქ გარეთ. 1900 წლის ცდამ დაამტკიცა, რომ შემდეგ 1901 წლის პირველ მაისს შესაძლებელი იყო უკვე ტფილისის ქუჩებში აშკარა დემონსტრაციის გამართვა. ენანდარმერიამ, იცოდა რა მუშების მიერ განზრახულ დემონსტრაციის შესახებ, 1 მაისისათვის (ახალი სტილით) თავის მხრივ მიიღო სათანადო ზომები, რათა ხელი შეეშალა დემონსტრაციისათვის. ამ მიზნით ყველა შემჩნეულ პირებს აპატიმრებდენ და ასახლებდენ. იმავე დროს დემონსტრაციისათვის დანიშნული ყველა სტრატეგიული პუნქტები დაიკავეს პოლიციელებმა, ყაზახებმა და ჯარის ნაწილებმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს დემონსტრაცია მაინც გაიმართა ხალხით აღვსილ მოედანზე **წითელი დროშებით** და ძახილით: „ძირს თვითმპყრობელობა“. დროშა ეჭირათ ხელში არაქელა ოქუაშვილს და ლ. მამალაძეს. იქვე მყოფი პოლიციელები და ყაზახები თავს ესხმიან შეჯგუფებულ მუშებს. სცემენ მათ მათრახებით, თოფის კონდახებით და დემონსტრაციის მთავარ ხელმძღვანელებს ოქუაშვილს და მამალაძეს აპატიმრებენ, წინასწარ სცემენ რა მათ სასიკვდილოთ. ამ პირველი მაისის პირველ აშკარა დემონსტარციის პოლიტიკური მნიშვნელობა უდიდესი იყო, —თუ წინანდელი გაფიცვები ჯერ მხოლოდ ფარულად ამტკიცებდა ბრძოლის პოლიტიკურ ხასიათს, ახლა მუშათა კლასის პოლიტიკურმა ბრძოლამ სრულიად აშკარად იჩინა თავი. ამიერიდან რევოლიუციონური მოძრაობა, როგორც საქართველოში, ისე მთელ ამიერ-კავკასიაში ჩქარის ტემპით უნდა წასულიყო. და მართლაც, რევოლიუცია ჩვენში ჩქარის ტემპით ვითარდებოდა. ტფილისის ამბებმა გამოძახილი ჰპოვა ჯერ ბათომში, შემდეგ გურიაში (ოზურგეთის მაზრა), ჭიათურაში, ბაქოში და სხვაგან. ბათომში სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი ეწყობა **ალექსანდრე** (საშა) **წულუკიძის** აქტიური მონაწილეობით (გამოჩენილი პუბლიცისტი, აგიტატორი და ორატორი, რომელიც გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა 1905 წლის დასაწყისში, რევოლიუციის სადარაჯოზე, რომელიც დაბრუნდა პეტრებურგიდან 1899 წლის დასასრულში). 1902 წელს (მარტში) ბათომში პოლიცია და ენანდარმერია მშვიდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიანად გაფიცულ მუშებს სისხლისმღვრელ ბრძოლას უცხადებს, რასაც შედეგად მოჰყვა მრავალი ათეული მუშის მოკვლა და **დაჭრა**. გურიაში, სადაც ტფილისიდან და ბათომიდან ბრუნდებიან რევოლიუციონურად განწყობილი მუშები და გლეხები, მოძრაობა მიმართულია უმთავრესად თავად-აზნაურების—მემამულების წინააღმდეგ, რომელთაც ართმევენ მიწას რევოლიუციონური გზით და ერეკებიან მათი საბუდარებიდან, სასახლეებიდან, და ვინაიდან გურიის გლეხთა შორის მოძრაობა ძალიან მწვავდება (ადგილი აქვს ტეროროისტულ აქტებს მემამულეების და ჯაშუშების წინააღმდეგ), გადასწყდა გურიის მოძრაობის სახელმძღვანელოთ დაინიშნოს პარტიის გურიის კომიტეტი. ვინაიდან რევოლიუციონური მოძრაობა საქართველოში და ბაქოში ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა, საჭირო შეიქნა ყველა სოც.-დემ. ორგანიზაციების **ერთ კავშირში გაერთიანება,** უფრო გეგმაშეწონილ მუშაობის საწარმოებლად, ორგანიზაციის სახსარის გასაძლიერებლათ, საკუთარი ტეხნიკის მისაწყობათ (არალეგალური სტამბა) და სხვა.

პირველ ყოვლისა ლიტერატურის შესახებ. იმ დროს ტფილისში გამოდიოდა ქართულ ენაზე ყოველ-კვირეული ჟურნალი „კვალი"; ფაქტიურად 1898 წლიდან ჟურნალი იმყოფებოდა პარტიის ხელში, როგორც ლეგალური ორგანო, რომელსაც, რა თქმა უნდა, არ შეეძლო დაეკმაყოფილებია პარტიის მოთხოვნილებანი. ცალკე შემთხვევებში პროკლამაციების ან მოწოდებების გამოცემის დროს ორგანიზაციები მიმართავდენ ამხანაგ ასოთ-ამწყობების დახმარებას, რასაც ისინი დიდი რისკით ასრულებდენ ლეგალურ სტამბებში: მაგრამ პარტიას უკვე ესაჭიროებოდა საკუთარი ტეხნიკა. ერთი ასეთი სტამბა უკვე არსებობდა ბაქოში სპეციალურად საზღვარ-გარეთის „ისკრას" გასავრცელებლად. იქ უკვე მუშაობდენ **ს. თოდრია, ლადო დუმბაძე ვ. ბოლქვაძე** და სხვა. მეორე ასეთი სტამბის მოწყობა თავს იდვა **ლ. კეცხოველმა,** თუმც მან ვეღარ შესძლო საქმის დასრულება დაპატიმრების გამო, მაგრამ მიუხედავათ ამისა სტამბა ახლო მომავალში იქნა მოწყობილი და ამავე დროს გამოიცა არალეგალური ჟურნალი **„პროლეტარიატის ბრძოლა"**. 1902 წლის დასასრულში საქართველოში არსებობდნენ ჩამოყალიბებული ორგანიზაციები გარდა ტფილისისა, ბათომში, ქუთაისში, გურიაში, ჭიათურაში, სად. ხაშურში. ამიერ-კავკასიის დანარჩენ რაიონებიდან იმ დროს, მხოლოდ ბაქოში არსებობდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. თვითეული ორგანიზაცია მუშაობდა თავის რიგზე და დამოუკიდებლად უძღვებოდა საქმეს. რა თქმა უნდა, ისეთი ორგანიზაცია, როგორიც იყო ტფილისის კომიტეტი, თავდაპირველად თამაშობდა ხელმძღვანელ როლს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მუშაობის გეგმაშეწონილების და ინტერესებისათვის ამ ორგანიზაციების ერთ ცენტრში გაერთიანება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. კავკ. ს. დ. ორგან. პირველი ყრილობა.

ამ მიზნით 1903 წ. ზამთარში ქალ. ტფილისში მოწვეულ იქნა ამიერ-კავკასიაში არსებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა **პირველი ყრილობა**, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა **კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების კავშირს** და რომელზედაც არჩეულ იქნა კავკასიის კომიტეტი. ამ ყრილობაზე გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიის სოც.-დემოკ. პარტიაში არავითარ წინააღმდეგობას ადგილი არ ქონდა და ყველა ორგანიზაციები ერთსულოვნათ იდგენ „ისკრას“ პლატფორმაზე. მე-2ე საერთო პარტიულ ყრილობაზე*), რომელიც გაიმართა იმავე წლის ზაფხულზე, ამიერ-კავკასიამ გაგზავნა სამი წარმომადგენელი: ტფილისიდან—თოფურიძე, ბათომიდან არ. ზურაბოვი და ბაქოდან კნუნიანცი.

ყრილობაზე ორი უკანასკნელი**) მიემხრენ მეუმრავლესეებს, მხოლოდ თოფურიძე გადაიხარა მენშევიკებისაკენ მაგრამ ამ შემთხვევაში სრულებით არ გამოხატავდა იმ ორგანიზაციას, რომელმაც ის წარგზავნა ყრილობაზე და ეს გარემოება იმდენათ აშკარა იყო, რომ თოფურიძემ ვეღარც კი შესძლო დაბრუნებულიყო უკან მოხსენების გასაკეთებლათ. მაღე ყრილობის შემდეგ, როდესაც პარტიაში თავი იჩინა აუცილებელმა განხეთქილებამ და დაიწყო შინაური ბრძოლა, რომელიც სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა, კავკასიის კავშირი ყველა თავისი ადგილობრივი ორგანიზაციებით გადაჭრით უერთდება რ. ს. დ. მ. პ. ბოლშევიკურ ფრთას. მეტად დამახასიათებელია, რომ თითქმის ისეთი პირებიც კი, როგორც ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი და სხვ. რომელნიც შემდეგ მენშევიკების ბურჯებათ და ბოლშევიზმის ყველაზე უფრო სასტიკ მოწინააღმდეგეებათ გახდენ, 905 წლამდე ბოლშევიკები იყვენ და იზიარებდენ ბოლშევიკების თვალსაზრისს.

პარტიული უთანხმოება ჩვენში.

მდგომარეობა პარტიაში.

მხოლოდ 1904 წლის დასასრულს, 1905 წლის დასაწყისში იწყება ჩვენში **მოულოდნელი გარდატეხა** იმ მხრივ, რომ ყველა ჩვენი ორგანიზაციები ბოლშევიკურიდან მენშევიკური ხდებიან.

მე არ გამოუდგები იმ გარემოებათა განხილვას, რომლებიც გახდენ მიზეზი ჩვენი ორგანიზაციების ასეთი არსებითი და რადიკალური გარდატეხისა, შევნიშნავ მხოლოდ, რომ ზოგიერთ სოციალ-დემოკრატიულ მოღვაწეთა, მაგ. ნ. ჟორდანიას პირადმა ზეგავლენამ და ზოგიერთ პასუხისმგებელ ბოლშევიკების უტაქტო მოქმედებამ,

*) პირველ ყრილობაზე მინსკში კავკასიიდან არავინ ყოფილა.

**) ზურაბოვმა შემდეგ უღალატა ბოლშევიკებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამ ისტორიაში. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ორგანიზაციების წევრთა უმრავლესობა მენშევიკების მხარეზე გადავიდა, ბოლშევიკები კი უმცირესობაში მოექცენ; ამასთან ერთად უნდა შევნიშნოთ, რომ ბრძოლაში ყველაზე უფრო გამოკაფული ძველი მუშები ბოლომდე ერთგული დარჩენ ბოლშევიზმისა. თავისთავად ცხადია, რომ ამის შემდეგ გაცხოველდა პარტიის შიგნით ფრაქციონული ბრძოლა, რომელიც ზოგჯერ მახინჯ ფორმებს ღებულობდა; ამავე დროს მენშევიკების უმრავლესობა ყოველგან ცდილობდა მექანიკურად დაეძლია ბოლშევიკების უმცირესობა. თუმცა ოფიციალური განხეთქილება ჯერ კიდევ არ იყო, და ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც ფორმალურად ერთ პარტიაში შედიოდენ, მაგრამ ფაქტიურად თვითეული ამ ფრაქციათაგანი უკვე განსაკუთრებულ პარტიას წარმოადგენდა.

ამგვარად, თუმცა ბ. ბ. ჟორდანიამ, რამიშვილმა და კომპანიამ სხვა და სხვა გვარ მახინაციების საშუალებით, სიყალბით და თვალთმაქცობით მოახერხეს უმრავლესობის მიმხრობა, თითქმის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებში, მენშევიკებმა ვერ მოახერხეს ეს ბაქოს ორგანიზაციაში. მართალია, იქაც შეიჭრენ ისინი და შეეკადენ განხეთქილების ორგანიზაციის და თითქმის პროფოკაციის შეტანას (შენდრიკოვშჩჩნა), მაგრამ ბაქოს პროლეტარიატის დიდი უმრავლესობა, რომელმაც თავი მოიყარა **ნავთის მრეწველობის მუშათა კავშირის გარშემო**, წინააღუდგა მენშევიზმს და მხოლოდ ბაქოს მუშათა უმნიშვნელო ნაწილი და უმთავრესად ქალაქის რაიონებიდან, რომელნიც გაერთიანებული იყვენ „ბაქოს მუშების კავშირში“ „ცნობილ“ ლ. შენდრიკოვის მეთაურობით, გახდა მენშევიკების დასაყრდნობ ბაზად. მაგრამ თუ მენშევიკებმა ვერაფერი მოუხერხეს ბაქოს ორგანიზაციას, სამაგიეროთ ისინი ავიწროებდენ მას საერთო კავკასიის ყრილობაზე და კონფერენციებზე, სადაც მათ ყოველთვის უმრავლესობა ჰყავდათ, ტფილისის და გურიის ხმების ხარჯზე.

პარტიის როლი სომეხ-თათართა შეტაკების დროს.

ეშმარიტება მოითხოვს აღვნიშნო, რომ ფრაქციული ბრძოლა ჩვენში ამიერ-კავკასიაში უკიდურესობამდე გამწვავდა განსაკუთრებით 1905 წლის რევოლიუციის ჩაქრობის შემდეგ, 1905 წელში მომხდარ რევოლიუციონურ შეტაკებების დროს ორივე ფრაქცია ერთსულოვნად გამოდიოდენ. განსაკუთრებით **საჭიროა აღინიშნოს კავკასიის სოციალ-დემოკრატიის როლი სომეხ-თათართა შეტაკების დროს**. ეს ერთი ბრწყინვალე ფურცელია ჩვენი პარტიის ისტორიაში. სომხეთის ნაციონალისტურ „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის მიერ გამოწვეული შუღლი მუსლიმანების წინააღმდეგ, უკულმართათ იქნა გამოყენებული მთავრობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ, რომელმაც პროვოკაციით გამოიწვია სომეხ-თათართა სისხლის ღვრა, რათა სომხეთის და მუსლიმანების მშრომელთა მასების სისხლში ჩაეხრჩო პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობა. პირველად უმაღლესი ადმინისტრაციის. გუბერნატორ ნაკაშიძის სახით, მოღალატურ ხელებით იწყება სომეხ-თათართა შეტაკება ბაქოში 1905 წლის გაზაფხულზე; ეს შეტაკება მაშინვე იღებს საშინელ ხასიათს, და თუ ის მაინც თავის დროზე იქნა შეწყვეტილი, ეს მოხდა ბაქოს სოც.-დემ. ორგანიზაციის ენერგიული ჩარევის წყალობით, რომელიც გულმკერდით დაუდგა წინ ორივე მხარეს და მოუწოდებდა მათ ამ უგუნურობის შეწყვეტისაკენ. და სოციალ-დემოკრატიის ხმა გაგონილ იქნა. იგივე განმეორდა ცოტა უფრო გვიან ტფილისში 1905 წლის შემოდგომაზე, 17 ოქტომბრის ცნობილ მანიფესტის გამოცემის შემდეგ, მაშასადამე ე. წ. „თავისუფლების დღეებში“. ვიდაცას პროვოკაციულ გასროლილ ტყვიით მოკლულ იქნა რამდენიმე მუსლიმანი და ყველაფერი მზად იყო სომეხ-მუსლიმანების შეტაკების დასაწყებად, როდესაც სოც.-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ფრაქციის მიუხედავათ, დადგა სომხების და მუსლიმანების მასების წინაშე და დასდო ფიცი არ დაეშვა სისხლის ღვრა, და ეს ფიცი პატიოსნად იქნა შესრულებული. შემდეგ 1905 წლის ნოემბერსა და დეკემბერში და 1906 წ. იანვარში, როდესაც გათავხედებული რეაქცია ანადგურებდა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, როდესაც ყველგან საქართველოში მოქმედებდენ ალიხანოვების, კრილოვების და გრიაზნოვების და სხვათა დამსჯელი რაზმები, სწორედ ამ მომენტში აღარ შეიძლებოდა ლაპარაკი ბოლშევიზმის და მენშევიზმის შესახებ და ორივე ფრაქციები გამოდიოდენ, სადაც ეს შესაძლებელი იყო, ერთსულოვნად.

ფრაქციათა ბრძოლა. სტოკჰოლმის ყრილობა.

მაგრამ იმის და მიუხედავათ, თუ როგორ მარცხდებოდა რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუციის და რეაქციის გამარჯვება აშკარა ხდებოდა, ფრაქციათა შორის ურთიერთობა თანდათან მწვავდებოდა და უარესდებოდა. ერთი სიტყვით, ბოლშევიკებს და მენშევიკებს შორის დაწყებული დაახლოვება „თავისუფლების დღეებში“, რამაც მხოლოდ სტოკჰოლმის ყრილობამდე გასტანა, თან და თან ქრება.

ამ ყრილობის შემდეგ ბოლშევიკებს და მენშევიკებს შორის არსებული უთანხმოება სულ უფრო და უფრო პრინციპიალურ ხასიათს ღებულობს.

განვლილ ეტაპის და რევოლიუციის შემდეგ გამეფებულ რეაქციის შეფასებაში, მეფის სახელმწიფო სათათბიროს როლის და მნიშვნელობის საკითხშიაც, და უმთავრესად რუსეთის რევო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუციის მომავალ ბედის გათვალისწინებაში, თუ არაფერს ვეტყვ ყვით ისეთ საკითხზე, როგორც შეიარაღებულ აჯანყების საკითხია, — ყველა კარდინალურ საკითხებში ბოლშევიკები და მენშევიკები ერთ-მანეთს ეთიშებოდენ, ვინაიდან ისინი სულ სხვა და სხვა გზებით მიდიოდენ. და არავითარ გამაერთიანებელ ყრილობას არ შეეძლო მათი გაერთიანება ისე, თუ ერთ-ერთი ამ ფრაქციათაგანი უარს არ იტყოდა ყველა თავის ძირითად შეხედულებებზე, რის დაშვებაც შეუძლებელი იყო.

უკანასკნელი საერთო პარტყრილობები.

ამიტომ შემდეგი საერთო პარტიული ყრილობა ლონდონში 1907 წ. და ჩვენი უკანასკნელი კავკასიის ყრილობა 1908 წლის იანვარს, იყვენ უბრალოთ დროის დაკარგვა: ეს ორი ყრილობა იყო უკანასკნელი საერთო ყრილობები. პარტია საბოლოვოდ გაითიშა ორ ნაწილათ და ყოველ ცდას, გამოგვენახა საერთო ენა, წინასწარ მარცხი მოელოდა.

უთანხმოებანი რევოლიუციის მამოძრავებელი ძალების და მიზნების შესახებ.

და მართლაც, მენშევიკებმა, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში, უკვე 1907 წელს დაიწყეს ს.-დ. პარტიის საწინააღმდეგო მოქმედება. იმათ უწინარეს ყოვლისა დამთავრებულად აღიარეს რუსეთში ბურჟუაზიული რევოლიუცია, ხოლო სტოლიპინის შავრაზმული სათათბირო პარლამენტათ დასახეს და დაიწყეს თავის ორგანიზაციების შექმნილ პირობებთან შეგუება. მათ დაიწყეს ქადაგება, რომ საჭიროა ძველი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ლიკვიდაცია და მის ნაცვლად ახალი **მუშათა პარტიის** დაარსება უპარტიო **მუშათა ყრილობამ** მოწვევით. სხვათა შორის, მენშევიკებისათვის ფრიად დამახასიათებელია ის გარემოება რომ, მიდიან რა ყოველგვარ კომპრომისზე და შეთანხმებაზე კონტრ-რევოლიუციონურ კადეტურ ბურჟუაზიასთან, პირველ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს, ისინი გადაჭრილ უარს ამბობენ შეთანხმებაზე ბლეხურ („ნაროდნიკულ") პარტიებთან.

1905 წლის რევოლიუციის დროებითი დამარცხება მენშევიკებმა გაიგეს ისე, როგორც საბოლოვო დამარცხება და ამის გამო მთელ თავის მეცადინეობას მიმართავენ ამის შემდეგ იქითკენ, რომ როგორმე ლეგალური არსებობა მოუპოვონ პარტიას. მაგრამ ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ ყველა არალეგალურ ორგანიზაციების გაუქმების შემდეგ. მენშევიკები ასეც იქცევიან, თან და თან აუქმებენ რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არალეგალურ ორგანიზაციებს და ამავე დროს განზრახავ ზედმეტად აფასებენ ლეგალურ ორგანიზაციების როლს და მნიშვნელობას.

დამოკიდებულება იმპერიალისტურ ომებთან.

მაგრამ კავკასიელნი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ქართველი მენშევიკები (ჟორდანია, რამიშვილი, ჩხენკელი, ჩხეიძე და კომპანია) თავის ლიკვიდატორულ ზრახვებში ძალიან უფრო შორს მიდიოდენ, ვიდრე მათი რუსი ძმები. განსაკუთრებით სამარცხვინოთ იქცეოდენ ისინი უკანასკნელ იმპერიალისტურ ომის დროს, როდესაც მათ უარყვეს ყველა თავისი როგორც რევოლიუციონური, ისე სოციალისტური პოზიციები, როდესაც ისინი იმპერიალისტური ბურჟუაზიის საკეთილდღეოთ, სამარცხვინოთ სცდილობენ **სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში შესვლას**,—იმ ორგანოებში, რომელნიც მუშაობდენ ადამიანების ამოსაჟღეტად ერთი მუჭა მსოფლიო ექსპლოატატორთა და მტაცებელთა გასამდიდრებლად.

რეაქციის პერიოდი.

შავი რეაქციის მთელ ამ მძიმე პერიოდის განმავლობაში ერთად ერთი ბოლშევიკური ფრაქცია დარჩა ერთგული რევოლიუციონური მარქსიზმის დროშას.

ბოლშევიკები, ყველაზე მძიმე მომენტებში, როდესაც თითქოს ყველაფერი დაკარგული გეგონებოდათ, ამტკიცებდენ, რომ „რუსეთის რევოლიუციამ განიცადა მხოლოდ დროებით დამარცხება, რომ რევოლიუცია აუცილებლათ ხელახლა იფეთქებს, რისთვისაც საჭიროა ძალების მომზადება, ვინაიდან 1905 წლის რევოლიუციის მიერ ფამყენებული ყველა კარდინალური საკითხები გადაუწყვეტელი დარჩა, მათი გადაჭრა კი მხოლოდ ძლევა-მოსილ რევოლიუციას შეუძლია პროლეტარიატის მეთაურობით და ღარიბ გლეხობასთან კავშირითო.

ამიტომ არა პარტიულ არალეგალურ ორგანიზაციების ლიკვიდაცია, არამედ, პირიქით, მათი განმტკიცება, არა ქადაქება იმისა, რომ რევოლიუცია უკვე დასრულდა, არამედ, პირიქით, ქადაგება იმის, რომ რევოლიუცია მხოლოდ დროებით დამარცხდა რომ იგი ხელახლა იფეთქებს დაღუპულ მებრძოლთა ძვლებზე და თვითმპყრობელობასთან ერთად წალეკავს ბურჟუაზიის და მემამულეების ბატონობას, —აი რაში გამოიხატებოდა ბოლშევიკების პოზიცია ამ შავ-ბნელ რეაქციის ხანაში.

ისტორიამ უკვე დაამტკიცა, თუ ვის მხარეზე იყო სიმართლე.

მაგრამ ეს სიმტკიცე, თავისი პოზიციების ასეთი დაცვა ტანჯვა-წამების წლებში, ძვირათ დაუჯდათ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს მაშინ, როდესაც მენშევიკები თან და თან ეგუებოდენ ახალ პირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს და, როგორც იტყვიან „იძენდენ წითელ ლოყებს“. ბოლშევიკ-ების თავზე სკ ბებოდა ყუმბარები, და ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან მხოლოდ ბოლშევიკური ორგანიზაციები წარმოადგენდნენ ცარიზმისათვის უდიდეს საფრთხეს. მაგრამ შედარებით უფრო დაზარალდენ ბოლშევიკური ორგანიზაციები ჩვენში, კავკასიაში და კერძოთ საქართველოში. მხოლოდ ბაქოში შედარებით დიდხანს გასძლო ჩვენმა ორგანიზაციამ, მაგრამ თებერვლის რევოლიუციამდე ხშირმა დარბევამ თითქმის საბოლოოთ დაუძლურა და დაშალა ეს ოდესღაც მძლავრი ორგანიზაციაც. მაგრამ რამდენადაც უძლური და დაშლილი არ უნდა ყოფილიყო ჩვენი ორგანიზაციები, მთავრობის გამო, მათი რევოლიუციონური მუშაობა მაინც ერთი წუთითაც კი არ შეწყვეტილა. ასე, მაგ. ბოლშევიკების კავკასიის **ბიურო** განაგრძობდა მოქმედებას; მისი მოქმედება უმთავრესად გამოიხატებოდა ადგილობრივ იაჩეიკებს შორის კავშირის დაცვასა და ხან-გამოშვებით პროკლამაციების გამოშვებაში. ეს იყო ერთად ერთი ორგანიზაცია, რომელიც განაგრძობდა რევოლიუციის დროშის მაღლა ჭერას, რომელიც მუდამ აფხიზლებდა მუშათა კლასს. ამავე დროს მენშევიკების საოლქო კომიტეტი ფორმალურად არსებობდა, და მხოლოდ მისი არსებობის ერთად ერთი მიზანი იყო ის, რომ ლიკვიდატორობის ტაქტიკა მიეყვანა თავის ლოგიკურ დასკვნამდე. ის სიტყვიერ და წერილობით აგიტაციას ეწეოდა,—მონაწილეობა მიეღოთ სამხედრო-სამრეწველო ყოველგვარ გაფიცვების წინაღმდეგ, განსაკუთრებით ომის დროს; ხოლო გლეხობას დაბეჯითებით ურჩევდა დაეცადა შავრაზმელ სათაბიროს მიერ მიწის საკითხის გადაჭრისათვის. გარემოებანი ისე მოეწყო, რომ მათ თავისუფლად შეეძლოთ ეწარმოებიათ მასაში ასეთი გამათახსირებელი და გამხრწნელი პროპაგანდა და აგიტაცია.

და, აი, მენშევიკების ასეთ ბატონობას შედეგად მოჰყვა ის, რომ საქართველოს მუშათა და გლეხთა მასები, რომელნიც მთელი რიგი წლეების განმავლობაში თავისი რევოლიუციონური ენტუზიაზმით და თავისი გასაოცარი სიმტკიცით აოცებდენ ყველას, არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარ-გარეთაც კი, თებერვლის რევოლიუციის მომენტში, 1917 წ., წარმოადგენდენ რევოლიუციონურად სრულიად ილაჯ-გაწყვეტილ მასას. და ეს იყო მენშევიკების ლიკვიდატორული მუშაობის ნაყოფი. ისტორია იმ გვარად მოეწყო, რომ ჩვენ, ე. ი. ბოლშევიკებს, ვვიხდება ხელახლა გავაღვიძოთ მუშათა და გლეხთა მასებში რევოლიუციონური სული.

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლიუცია სრულიად მოულოდნელი იყო ადგილობრივი მენშევიკებისათვის. ისინი არა, თუ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზადებოდენ ამ რევოლიუციისათვის, არამედ პირიქით, აკეთებდენ ყოველივე იმას, რაც ხელს უშლიდა ახალ რევოლიუციონურ აფეთქებას. მაგრამ, როდესაც რევოლიუცია ფაქტი გახდა, ეხლა იმათ მოინდომეს მისი ხელში ჩაგდება, და მათ ეს სულ ადვილად შეეძლოთ ჩაედინათ, ვინაიდან 1905 წლის რევოლიუციიდან მოყოლებული ახალი რევოლიუციონურ აფეთქებამდე 1917 წლის თებერვალ-მარტამდე, ე. ი. იმ ხანაში, როდესაც ბოლშევიკები სულ ახალ და ახალ მსხვერპლს სწირავდენ რევოლიუციას, მენშევიკები ისხდენ სხვა და სხვა თბილ თბილ ადგილებზე და ამგვარად მათი ძალები ინახებოდა. მაგრამ მენშევიკებთან ერთათ ჩნდება კიდევ მეორე წვრილ-ბურჟუაზიული პარტია ე. ი. „სოციალ-რევოლიუციონერთა პარტია". მენშევიკებმა და ესერებმა ერთბაშათ გაიგეს ერთმანეთი, როგორც კონტრ-რევოლიუციონურმა პარტიებმა და იმათ თებერვლის რევოლიუციის პირველსავე დღიდან მოაწყეს ჩუმი ბლოკი ბოლშევიკების წინააღმდეგ.

რას წარმოადგენდენ ჩვენში ბოლშევიკური ორგანიზაციები თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, განსაკუთრებით პირველ დღეებში? ეს იყო ძველი ორგანიზაციების შემცირებული რიგები ან კიდევ უფრო უკეთ, ამ ორგანიზაციების ნამსხვრევები. ნამდვილი ორგანიზაციები, ბაქო-ტფილისის და ქუთაისის გარდა, თითქმის არსად არ იყო. მაგრამ ყველგან იყვენ ბოლშევიკების ჯგუფები. როგორ უნდა შეგვექმნა ამ ნამსხვრევებიდან ორგანიზაცია, როგორ უნდა მოგვეყარა თავი ერთეულებათ გაფანტულ წევრებისათვის?

პეტროგრადიდან და მოსკოვიდან სრული მოწყვეტილობის და საერთო ხელმძღვანელ ცენტრის უქონლობის გამო, აქ ადგილობრივი ამხანაგები სწყვეტენ ამ საჭირ-ბოროტო და მნიშვნელოვან საკითხს. მიუხედავათ ამისა, გადაწყვეტილება ყველგან ერთნაირი იყო: ე. ი., ჯერ-ჯერობით შევსულიყავით მენშევიკებთან ერთად საერთო ორგანიზაციაში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გვეთქვა უარი ჩვენ შეხედულებებზე.

კერძოთ ტფილისში, ჩვენ შევედით რა ფორმალურად ერთ ორგანიზაციაში მენშევიკებთან, შევინარჩუნეთ საკუთარი ბიურო, საკუთარი ლიტერატურული ორგანო (გაზ. „**კავკასკი რაბოჩი**") და საკუთარი ფრაქციის კრებების გამართვის უფლება; ეს ნიშნავდა იმას, რომ ფაქტიურად მაშინ ტფილისში არავითარი გაერთიანებული სოც.-დემ ორგანიზაცია არ ყოფილა. და არა მარტო იდეურად, არამედ ორგანიზაციულადაც ბოლშევიკები წარმოადგენდენ განცალკევებულ პარტიულ ორგანიზაციას.

გაზ. „კავკასკი რაბოჩის" საშუალებით, ისევე, როგორც კრებებზე და მიტინგებზე ჩვენ ვაწარმოებდით სისტემატიურ და დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგავ ბრძოლას მენშევიკების და ესერების წინააღმდეგ, რომელნიც თავიდანვე ღალატობდენ მუშათა კლასს და რევოლიუციას და მოუწოდებდით მასებს გაერთიანებულიყვენ ბოშევიკურ ლოზუნგების ქვეშ: „მთელი მიწა გლეხებს, მთელი ძალა უფლება საბჭოებს“. გაზ. „კავკასკი რაბოჩი“ ჩქარა გახდა პოპულიარული გაზეთი მუშების და რევოლიუციონურად განწყობილ სალდათების მასებში.

კავკასიის კომორგანიზაციების პირველი საოლქო ყრილობა.

ბოლშევიზმის გავლენა იზრდებოდა არა დღეობით, არამედ საათობით. ჩქარა ბოლშევიკების სრულიად რუსეთის პირველ ლეგალურ კონფერენციის (1917 წ. აპრილში) შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე წარმომადგენელი ტფილისის ორგანიზაციისა, ეს უკანასკნელი ეთიშება გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას და **აცხადებს თავიხთავს ბოლშევიკების რუსეთის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ნაწილად.**

ტფილისის ბოლშევიკების მაგალითის მიბაძვით ყველა სხვა ქალაქებში და ადგილებში ხდება ასეთივე მოვლენა. თანდათან იზრდება და მტკიცდება ბოლშევიკური ორგანიზაციები, ამავე დროს ტფილისის და ბაქოს ორგანიზაციების წარმომადგენლები 1917 წ. ზაფხულში თავის თავზე ღებულობენ **ბოლშევიკურ ორგანიზაციების კავკასიის 1 ყრილობის** მოწვევის ინიციატივას.

ეს იდეა ჩქარა ხორციელდება, სახელდობრ, 1917 წ. სექტემბრის მეორე ნახევარში ქ. ტფილისში იწვევენ ბოლშევიკურ ორგანიზაციების **კავკასიის პირველ საოლქო ყრილობას**, რომელზედაც ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების და აგრეთვე სამხედრო ნაწილების ორგანიზაციების გარდა მონაწილეობას ღებულობენ ჩრდ. კავკასიის, (სტავროპოლის გუბერნიის და ყუბანის და თერგის ოლქების) დელეგატები. ყრილობამ მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან, აგრეთვე სხვა საყურადღებო მოხსენებები, გამოიტანა სათანადო რეზოლიუციები და, აირჩია რა **კავკასიის პირველი საოლქო კომიტეტი**, დაიშალა თითქმის ოქტომბრის რევოლიუციის წინა დღეებში, ახლოვდებოდენ დიდი მნიშვნელოვანი ამბები. საქირო იყო როგორც საკუთარი, ისე ჩვენი მოწინააღმდეგეების ძალების გათვალისწინება.

მე უკვე ვლაპარაკობდი, რომ მთავრობის თითქმის ყველა დაწესებულებები და რევოლიუციონური ორგანიზაციები (საბჭოები) იმყოფებოდენ ჩვენი მოწინააღმდეგეების და პირდაპირი მტრების ხელში. ამიერ-კავკასიაში მხოლოდ ბაქოში გვქონდა როგორც საბჭოში, ისე სხვა დაწესებულებებში ბოლშევიკების უმრავლესობა. ტფილისში კი ჩვენ შევადგენდით უმცირესობას, მაგრამ ჩვენი ძალები შეუჩერებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად იზრდებოდენ. ჯერ კიდევ აგვისტოში ქალაქის საბჭოს არჩევნების დროს ჩვენ მივიღეთ დაახლოვებით 5000 ხმა და გავიყვანეთ საბჭოში 7 დეპუტატი; ხოლო 2—3 თვის შემდეგ, ნოემბერში, სრულიად-რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს, ამავე ტფილისში ჩვენ მავიღეთ უკვე 4-ჯერ მეტი ხმა, მაშინ როდესაც მენშევიკებმა დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს ტფილისში მიიღეს ბაცილებით უფრო ნაკლები ხმა, ვინემ ქალაქის საბჭოს არჩევნების დროს.

ოქტომბრის შემდეგ.

ცხადია, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ პოლიტიკური მდგომარეობა როგორც მთელს კავკასიაში, ისე კერძოთ ამიერ-კავკასიაში ძლიერ გართულდა. ტფილისის საბჭოში დეპუტატების დიდ უმეტესობას შეადგენდენ საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელი მტრები. მის წინააღმდეგ ფიზიკური ძალის გამოყენება არ იყო მიზანშეწონილი. ჩვენი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ დაგვეცადა რამოდენიმე ხანს და გაგვეძლიერებია ჩვენი გავლენა მასებში.

მენშევიკებმა გაიგეს ჩვენი ტაქტიკა და გადასწყვიტეს მიეცათ ჩვენთვის საბაბი უდროვო-დროს გამოსვლისათვის და მით დავესუსტებიეთ ჩვენ თავიდანვე. 30 ნოემბერს ისინი აწყობენ თავდასხმას არსენალზე, რომელიც ჩვენს ხელში იყო და იკავებენ მას; ამავე დროს ისინი, ესერებთან და დაშნაკებთან ერთად, აპატიმრებენ ბოლშევიკებს და არბევენ ყველა ჩვენს სამივე გაზეთების რედაქციებს. მაგრამ, როდესაც ღებულობენ ჩვენგან საკმაოდ გაბედულ წინააღმდეგობას, ისინი დროებით აჩერებენ რეპრესიებს ჩვენს წინააღმდეგ.

1917 წ. დეკემბრის მეორე ნახევარში შესდგა არმიის მე-2-ე ყრილობა, რომელმაც თავისი უმრავლესობით, (თუმცაღა უმნიშვნელო) დაიჭირა ბოლშევიკების პოზიცია. ჩვენ შეგვეძლო ეს გამოგვეყენებია საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისათვის, მაგრამ თვით არმია, როგორც ასეთი უკვე აღარ იყო. ეს იყო უკვე გახრწნილი და სახლისაკენ გაქანებული ნაწილები. მენშევიკებმა, გაითვალისწინეს რა ეს გარემოება, არ მოგვცეს ჩვენ საშუალება გამოგვეყენებია ჩვენდა სასარგებლოდ არმიის ყრილობის უმრავლესობა.

პარტია არალეგალურ მდგომარეობაში.

1918 წლის დასაწყისში მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა განსვენებულ ამხ. **შაუმიანის** კავკასიის საგანგებო კომისრად დანიშვნით ერთის მხრივ და მეორე მხრივ კავკასიის ფრონტიდან სამხედრო ნაწილების ტფილისის გზით დაბრუნების გამო. მენშევიკები, დაშნაკები და ესერები ხედავდენ ამაში აჯანყებისათვის მზადებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მიზნით. და ამისათვის ისინი ახდენენ ახალ თავდასხმას ჩვენს პარტიაზე, (გაზეთების დახურვა, ალექსანდრეს ბაღში მიტინგის ამოჟლეტა, ცნობილ ბოლშევიკების დაპატიმრება და სხვა). ამის გამო ჩვენი პარტია საოლქო კომიტეტის სახით გადადის უკვე არალეგალურ მდგომარეობაზე. მენშევიკების, დაშნაკცების, მემარჯვენე ესერების და მუსავატისტების გაერთიანებულმა ბლოკმა შესძლო ჩვენი პარტიის იატაკ ქვეშ მომწყვდევა, მაგრამ, ცხადია ვერ შესძლო გამკლავება ანარქიისათვის რომელიც დღითი-დღე ძლიერდებოდა.

შინაგან ანარქიას, რომელიც გამოიხატა ერთის მხრივ ნაციონალურ ნიადაგზე წარმოშობილ შეჯახებებში და მეორეს მხრივ გლეხთა აჯანყებებში, თან ერთვის ოსმალეთ-გერმანიის იმპერიალიზმის შემოტევა: იშლება მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატისტების ხელოვნურად შექმნილი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა სამ ნაწილად: საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი (1918 წ. მაისის ბოლო რიცხვები). ბაქოში კი მარტიდან უკვე ძალა-უფლება ჩვენი პარტიის ხელში იყო ამბ. შაუმიანის, ჯაფარიძის, აზიზბეკოვის და სხვ. მეთაურობით.

მოძრაობა მენშევიკების წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, 2—3 წევრის გამოკლებით, რომლებიც იმყოფებოდენ ბაქოში და მოწყვეტილი იყვნენ ჩვენგან, იმყოფებოდა ტფილისში. ამ მომენტში კავკასიის საოლქო კომიტეტის წინაშე იდგა წმინდა ბრძოლის, შეიძლება ითქვას, **სამხედრო ამოცანა**. საქმე იმაშია, რომ მთელს საქართველოში 1918 წ. გაზაფხულიდან იწყება ძლიერ სერიოზული **გლეხთა მოძრაობა**, რომლის ლოზუნგია საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება. მენშევიკებმა დაიწყეს აჯანყებულ გლეხების წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღება.

გლეხებს არ ყოფნიდათ იარაღი და სხვა საომარი მასალა. ასეთ პირობებში კავკასიის საოლქო კომიტეტმა გადასწყვიტა გადაეტანა დროებით თავისი მოღვაწეობის ბაზა ტფილისიდან ჩრდ. კავკასიაში (ვლადიკავკაკვში), სადაც ამ დროს დამყარებული იყო საბჭოთა ხელისუფლება, და იქიდან ცდილიყო მიეწოდებია დუშეთის და რაჭის მაზრების გლეხებისათვის იარაღი და სხვა საშუალებები, ხოლო შემდეგ დაეწყო ნამდვილი შეტევა ქართულ მენშევიკების წინააღმდეგ. ამას გარდა, განზრახული იყო ვლადიკავკაკვში კავკასიის მე-2 პარტიული ყრილობის მოწვევა. ივნისის დასაწყისში კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრთა უმეტესობა არალეგალურად მიემგზავრება თერგის ოლქში და სტოვებს ტფილისში მხოლოდ საინფორმაციო ბიუროს, რომელიც შესდგებოდა 2—3 წევრისაგან. მაგრამ, საუბედუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდ. საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა თერგის ოლქში და თვით მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში მაშინ იმდენად კრიტიკული იყო, რომ ზრუნვა საქართველოზე და მისთვის დახმარების გაწევაზე სრულიად შეუძლებელი იყო. ამის ნაცვლად ძალა-უნებურად მოგვიხდა ჩამბა ბრძოლაში, რათა დაგვეცვა საბჭოთა ხელისუფლება თვით თერგის ოლქში, უფრო სწორად რომ ვსთქვათ მხოლოდ ვლადიკავკაკვში: ჩვენ იქ ირგვლივ გარს შემორტყმული ვიყავით კონტრ-რევოლიუციონერებით.

რამოდენიმე თვე გაგრძელდა ეს ბრძოლა ძლიერ მძიმე პირობებში. იყო მომენტები, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ბეწვზე ეკიდა. 1918 წლის ბოლოს ბედმა თითქმის ჩვენ გაგვიღიმა; ყაზახების კონტრ-რევოლიუციონური ბანდები, რომლებიც გარს შემორტყმული იყვნენ ვლადიკავკავზე ნახევარ-რკალივით, გაანადგურეს ჩვენმა წითელარმიელთა რაზმებმა ამხ. ლევანდოვსკის მეთაურობით. საბჭოთა ხელისუფლების ტერიტორია ცოტათი გაფართოვდა და კავკასიის საოლქო კომიტეტმა ისარგებლა ამ მომენტით, რათა მოეწვია ბოლშევიკური ორგანიზაციების კავკასიის მე-2 ყრილობა. ეს ყრილობა მართლაც შესდგა 1919 წ. იანვრის პირველ რიცხვებში, რომელზედაც გამოცხადდენ მხოლოდ ჩრ. კავკასიის, ესე იგი თერგის ოლქის და სტავროპოლის გუბერნიის ნაწილის წარმომადგენლები, ვინაიდან ჩრდ.-კავკასიის დანარჩენი ნაწილი ეჭირა დენიკინს, ამიერკავკასიის დელეგატებმა კი ვერ მოახერხეს ჩამოსვლა.

მიუხედავად ამისა, ყრილობამ სრულუფლებიანად აღიარა თავი-, სი თავი იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებიც შეეხებოდნენ ჩრდ.-კავკასიას და მოხსენების მოსმენის და სათანადო რეზოლიუციების გამოტანის შემდეგ, დასტოვა კავკასიის საოლქო კომიტეტის ძველი შემადგენლობა, შეიყვანა რა შიგ მხოლოდ რამოდენიმე ახალი წევრი.

ყრილობის დახურვიდან რამოდენიმე დღის შემდეგ აშკარა შეიქნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა თერგის ოლქში იმ დროს სავსებით უნუგეშო იყო. მიუხედავად ამისა, გადავწყვიტეთ გვეწარმოებინა ბრძოლა სანამ ძალა შეგვწევდა, ხოლო შემდეგ უკან დაგვეხია მთიულებთან (ინგუშებთან, ჩეჩნებთან, კაბარდინელებთან და სხ.) ერთად მთებში. ჩვენი უკან დახევა ვლადიკავკავიდან დაიწყო 2 თებერვალს, ხოლო გაფთრებული ბრძოლა ვლადიკავკავის და გროზნოს დასაპყრობად გრძელდებოდა ორი კვირის განმავლობაში; ამის შემდეგ კი გადარჩენილი, საბოლოოდ დამარცხებული ჩვენი წითელ-არმიელთა რაზმების, ნაწილი იძულებული იყო თავი შეეფარებია ინგუშების და ჩეჩნების აულებში, მთებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქიდან დიდი წვალების, გაჭირვების შემდეგ ზოგიერთმა ამხანაგებმა მოვახერხეთ საქართველოში ჩამოსვლა:

საქართველოში პარტიული მუშაობა ამ დროს სავსებით მივიწყებული იყო, ხოლო აუცილებელი იყო ამ მუშაობის გაძლიერება. მენშევიკების ხელისუფლებით უკმაყოფილო იყვნენ არა მარტო გლეხები, არამედ აგრეთვე მუშები, სიმპატია საბჭოთა ხელისუფლებისადმი იზრდებოდა. აზერბეიჯანში ბატონობდენ მუსავატისტები, მაგრამ ბაქოში მუშათა მასები უკვე იხრებოდენ საბჭოთა ხელისუფლების მხარზე.

სომხეთთან კავშირი თითქმის არ იყო, მაგრამ იქ ჩვენი პარტიის მდგომარეობა გაცილებით უფრო უარესი იყო დაშნაკების „მაუზერისტების“ რეჟიმის ქვეშ. მაგრამ სამივე ამ რესპუბლიკებს თავს დაჯდომოდა **ინგლის საფრანგეთის იმპერიალიზმის** სამხედრო შტაბი საოკუპაციო ჯარებით.

მაგრამ პირობები არალეგალურ პარტიულ მუშაობისათვის ყველა ამ რესპუბლიკებში, განსაკუთრებით საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მასების დიდი თანაგრძნობის გამო, გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო, ვინემ ერთი წლის წინათ.

ბაქოში პირველი მაისის დღესასწაულმა 1919 წ. მიიღო გრანდიოზული ხასიათი და ეს მუსავატისტების და ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების თვალწინ.

ამ გარემოებამ გაათამამა ზოგიერთი ჩვენი ბაქოელი ამხანაგები და მათ წარუდგინეს მუსავატელების მთავრობას მუშათა პროფკავშირების საშუალებით ისეთი მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილება ნიშნავდა მის სრულ კაპიტულიაციას კომუნისტური პარტიის წინაშე. და, ცხადია, ეს მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილეს და საჭირო შეიქნა უკან დახევა.

კავკასიის პირველი პარტკონფერენცია.

1919 წ. მაისის პირველ რიცხვებში ბაქოში **შეხდგა კავკასიის პირველი პარტიული კონფერენცია.** ამ კონფერენციამ პირველ ყოვლისა მოისმინა ანგარიში კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, შემდეგ მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში პარტიული მუშაობის შესახებ და მისცა მომავალ ხელმძღვანელ ორგანოს მუშაობის დაწვრილებით შემუშავებული გეგმა, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მუშაობას ჩრ.-კავკასიაში, რომელიც მაშინ სავსებით დენიკინის ხელში იმყოფებოდა, დასასრულ კონფერენციამ აირჩია ხელმძღვანელი ორგანო, რომელსაც სახელად ეწოდა ისევ კავკასიის საოლქო კომიტეტი, რადგან ეს სახელწოდება უკვე განმტკიცებული იყო და სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს იყო მხოლოდ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების კონფერენციაზ. ეს კომიტეტი უნდა ყოფილიყო ტფილისში, ხოლო ბაქოში მას ექნებოდა კავ. საოლქო კომიტეტის ბიურო, რომლის შემადგენლობაში შევიდოდა არა ნაკლებ სამი წევრისა.

თითქმის ყოველთვიურად იკრიბებოდა პლენუმი, რომელზედაც ირჩეოდა მნიშვნელოვანი საკითხები.

საოლქო კომიტეტის მუშაობა.

პირველ ყოვლისა მე აქვე მინდა მოვიგონო ის როლი, რომელიც ითამაშა კავკასიის საოლქო კომიტეტმა ბაქოს ორგანიზაციასთან ერთად 1919 წ. მაისში და ივლისში აზერბეიჯანზე დენიკინის შემოტევისათვის წინაღმდეგობის მოწყობის საქმეში.

როგორც ვიცით, იმ წლის გაზაფხულზე დენიკინმა უკვე დაიკავა მთელი დაღესტანი და ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების თანხმობით და აზერბეიჯანის მუსავატისტური მთავრობასთან მორიგებით მას განზრახული ჰქონდა აზერბეიჯანის დაკავება, რაც მაშინდელ პირობებში მას ძლიერ ადვილად შეეძლო. ყოველ გვარი მზადება დენიკინმა დაასრულა, მას განზრახული ჰქონდა დაეკავებია ბაქო ორი მხრიდან: ზღვიდან და ხმელეთიდან (რკ. გზ.); ეს უნდა მომხდარიყო ფარულად. მაგრამ ამ სერიოზულ მომენტში, კავკასიის საოლქო კომიტეტმა, გაითვალისწინა რა აზერბეიჯანის დენიკინის მიერ დაკავების მთელი საფრთხე, როგორც საბჭოთა რუსეთის, ისე საზოგადოდ რევოლიუციისათვის, თავის მიზნად დაისახა რაც უნდა დაჯდომომდა ხელი შეეშალა თეორ-გვარდიელების ამ ჯოჯოხეთური გეგმის განხორციელებისათვის. გამოშვებული იყო განსაკუთრებული მოწოდება აზერბეიჯანის მუშებისა და გლეხებისადმი, რომელშიაც გამოაშკარავებული იყო კონტრ-რევოლიუციის ზრახვები და შეთქმულება მშრომელი მასების წინააღმდეგ და მოუწოდებდა მათ, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ ამ მახინაციებისათვის. ამ მოწოდებამ დიდი გავლენა მოახდინა. ყველაზე უფრო თვით მუსავატისტებიც იძულებული შეიქნენ გამოხმაურებოდენ კომუნისტების მოწოდებას. გაიმართა გრანდიოზული მიტინგები, რომელზედაც გამოჰქონდათ პროტესტები და რეზოლიუციები დენიკინის შემოტევისათვის წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობის შესახებ. ეს საკითხი ბაქოს ამხანაგების ინიციატივით გადმოტანილი იქნა თვით მენშევიკურ საქართველოშიაც და წინადადება მიეცა მენშევიკებს, რათა შეექმნათ ამიერ-კავკასიის ერთიანი ფრონტი დენიკინის წინააღმდეგ.

მენშევიკებმა ეს წინადადება ურცხვათ უარყვეს, მაგრამ შეიქნა ისეთი მდგომარეობა, განსაკუთრებით ბაქოში, როდესაც დენიკინს არ შეეძლო გაებედნა აზერბეიჯანის დაკავება. ეს კრიზისი სასურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველად დამთავრდა, რაც მიეწერება კავკასიის საოლქო კომიტეტს ერთ-ერთ დიდ ღვაწლს.

სამზადისი. ძალთა მობილიზაცია. ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

დაიწყო დიდი ინტენსიური მუშაობა. ადგილებზე პარტიული აპარატების მოწესრიგების, გამომცემლობის და იმ ამხანაგებთან და პარტიულ ორგანიზაციებთან კავშირის აღდგენისთვის, რომლებიც მუშაობდენ ჩრ.-კავკასიაში, სადაც იგზავნებოდენ უფრო საიმედო ამხანაგები.

ცხადი იყო, რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ დროს პარტიულ მუშაობის მოგვარებას განსაკუთრებით ჩრ.-კავკასიაში, სადაც ბოლოს და ბოლოს უნდა აღდგენილიყო საბჭოთა ხელისუფლება. საქართველოში და ბაქოში პარტიული მუშაობის წარმატებაზე არ არის საჭირო ლაპარაკი. ცუდათ იყო საქმე დაყენებული მხოლოდ დაშნაკების სომხეთში, დიდი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე მუშაობას ჯარებში.

არ იყვნენ დავიწყებული თვით ინგლისის საოკუპაციო ჯარები, რომელთაც კავკასიის საოლქო კომიტეტმა მიმართა განსაკუთრებული მოწოდებით, რომელშიაც დახასიათებული იყო ინგლისის ჯარის-კაცების სამარცხვინო როლი ამიერ-კავკასიაში და ურჩევდენ მათ დაეტოვებიათ ამიერ-კავკასია. ფაქტია, რომ ადრე იჩინა თავი უკმაყოფილებამ ამ ჯარის-კაცებს შორის და ჩქარა მოკავშირეთა ხელისუფლება იძულებული შეიქნა, ეს ჯარები აქედან გაეყვანა.

მრავალია იმის დამამტკიცებელი ფაქტები, თუ როგორი წარმატებით ვითარდებოდა მუშაობა საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ჯარის-კაცებს შორის.

1919 წ. ზაფხულის დასასრულს როგორღაც თავის თავად დაისვა დღის წესრიგში საკითხი **საქართველოში აჯანყების მოწყობის** შესახებ. ეს საკითხი არ წამოუყენებია საოლქო კომიტეტს და არც შეიძლებოდა წამოეყენებია შემდეგი მოსაზრებებით: ერთის მხრივ, ჩვენ გვეგონა, რომ საქართველოში გლეხობას ჯერ კიდევ არ მოუშუშებოდათ ის ჭრილობები, რომლებიც მას მიაყენეს მენშევიკებმა დაახლოვებით ერთი წლის წინად და ამიტომ მოწოდება ახალ აჯანყებისაკენ, როდესაც ისინი არც მზად იყვნენ ამისათვის, ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნდა; მეორე მხრით, იმის გამო, რომ საბჭოთა ჯარები იმ დროს დაშორებული იყვნენ ჩვენგან, ჩვენ არ შეგვეძლო რაიმე დახმარების იმედი გვქონოდა გარედან და ამიტომ აჯანყება ასეთ პირობებში, ცხადი იყო, ვერ გაიმარჯვებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მოსაზრებით საოლქო კომიტეტს უფრო მიზანშეწონალად მიაჩნდა ჯერჯერობით პარტიული მუშაობის გაძლიერება და პარტიული ორგანიზაციების განმტკიცება. მაგრამ ეს საკითხი დასმული იქნა თვით მასაში. გამოირკვა, რომ გლეხობა არა თუ ვერ დააშინა 1918 წ. აჯანყების ჩაქრობამ, არამედ ისინი ერთი წუოითაც არ ივიწყებდნენ ახალი აჯანყების მოწყობის განზრახვას, სანამ საესებით არ იქნებოდა მიღწეული მიზანი. საოლქო კომიტეტი პირველყოვლისა იკვლევს გლეხებს შორის შექმნილ მდგომარეობას, ე. ი. მენშევიკური რეჟიმით გამოწვეულ უკმაყოფილებას, ამ უკმაყოფილების მიზეზებს და საბჭოთა ხელისუფლებისადმი გლეხობის დამოკიდებულობას; და გამოირკვა, რომ გლეხებსა და მენშევიკებს შორის გაითხარა უფსკრული, რომ გლეხების დიდი უმრავლესობა მტრულად არის განწყობილი მენშევიკების მთავრობასთან, რომ თუ საოლქო კომიტეტი ან სხვა რომელიმე ორგანიზაცია არ დაიწყებს აჯანყების მოწყობას, სულ ერთია გლეხები სტიქიურად აჯანყდებიან. მხოლოდ ამ გამოკვლევის შემდეგ დაისვა ეს საკითხი კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმზე სექტემბრის დასაწყისში. მაგრამ საკითხის პირველი განხილვის დროს პლენუმს არ გამოუტანია გადაჭრილი რეზოლიუცია, არამედ მიანდო ტფილისელ ამხანაგებს, საოლქო კომიტეტის წევრებს,—კვლავ მოეხდინათ მდგომარეობის შემოწმება, შეემუშავებიათ დაწვრილებით აჯანყების გეგმა და წარმოედგინათ ის შემდეგ მომავალ მორიგ პლენუმისათვის. საკითხი კვლავ შესწავლილ იქნა; ამავე დროს მთავარი ყურადღება მიქცეული იყო იქითკენ, რათა მომზადებული ყოფილიყო ნიადაგი ჯარებში, გამოირკვა, რომ ჯარების დიდი ნაწილი აქტიურად მხარს უჭერს აჯანყებას. ამის შემდეგ ხელმეორედ განხილვისას პლენუმმა დადებითად გადაჭრა აჯანყების საკითხი, ხოლო მისი მოწყობა მიანდო ტფილისის ბიუროს.

აქ საჭირო არ არის ლაპარაკი ამ აჯანყების ისტორიაზე. ის შეუძლებელი შეიქნა მხოლოდ იმ ტეხნიკურ ორგანოების შემთხვევითი მარცხის გამო, რომლებიც ამზადებდენ მას.

იძულებული ვიყავით შ. გვეჩერებია ზოგიერთ ადგილებში წარმოშობილი აჯანყებები. ამ აჯანყებამ დიდი მსხვერპლი შეიწირა ჩვენგან, მაგრამ ჩვენ გამოცდილებით გავიგეთ, სად იყო ჩვენი ძლიერება და სად სისუსტე.

1920 წ. ზამთარში და გაზაფხულის დასაწყისში, საქართველოს და აზერბეიჯანის საზღვრებთან წითელი ჯარების მოახლოვების გამო, ჩვენ გაცხოველებული მუშაობა გვქონდა მებრძოლი რაზმების მოწყობის მიზნით. ამ რაზმების ნაწილი იგზავნებოდა ჩრ.-კავკასიაში დენიკინის ზურგში აჯანყებების მოსაწყობად. ამ რაზმებმა, სხვათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის, პირველად დაიკავეს კავკავი და სხვა პუნქტები წითელ ჯარების მისვლამდე.

ყველა ამ ამბების გამო 1920 წ. ზაფხულში საქართველოში შეიქმნა უზომოდ გართულებული მდგომარეობა. საყოველთაო აზრი ისეთი იყო, რომ მენშევიკურ ხელისუფლებას დაუდგა არსებობის უკანასკნელი დღეები. საოლქო კომიტეტი ითვალისწინებდა ამას და ღებულობდა სათანადო ზომებს, რათა მზად ყოფილიყო მომავალ ამბებისათვის. ამ დროს ხდება ორი ფაქტი:

1) **აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება და იქ წითელი ჯარების შესვლა** (27 აპრ. 20 წ.) **და**

2) **რევოლიუციონური მოძრაობა სომხეთში პირველი მაისის** დღესასწაულის გამო, რამაც კინალამ არ გამოიწვია იქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

ყველა ამის გამო საქართველოს მენშევიკები გარშემორტყმული აღმოჩნდენ სამი მხრიდან. მაგრამ კიდევ უფრო კატასტროფიული იყო მდგომარეობა საქართველოში ერთის მხრივ გლეხობის დიდი უკმაყოფილების, ხოლო მეორე მხრივ ნაციონალურ ნიადაგზე წარმოშობილ გართულების გამო.

დადგა ყველაზე უფრო კრიტიკული მომენტი მენშევიკებისათვის თითქოს შველაც არსაიდან იყო, მაგრამ ამ დროს მათ უშველა ურატაძემ, რომელმაც შესძლო გაუწაურებლად წასულიყო მოსკოვში და საჩქაროდ დაედო ხელშეკრულობა ამხ. ჩიჩერინთან. ეს მოხდა 1920 წ. 7 მაისს.

ეს ხელშეკრულება სავალდებლო იყო როგორც მენშევიკებისათვის, ისე ჩვენთვისაც, როგორც რუს. კომპარტიის წევრებისათვის.

მენშევიკები არასოდეს არ ფიქრობდენ ხელშეკრულების პირობების სისწორით შესრულებას. ჩვენ კი ამ პირობებს თითქმის წვრილმანლამდეც ვასრულებდით. რ. კ. პ. კავკასიის საოლქო კომიტეტი, რომელიც შეუცვლელად მუშაობდა სამი წლის განმავლობაში არალეგალური არსებობის .მძიმე პირობებში და გააფთრებულ სამოქალაქო ომის დროს ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა, რათა იქ ყოფილიყო, სადაც ეს საჭირო იყო, — ეხლა იშლებოდა.

კავკასიის ამ ძველმა საოლქო კომიტეტმა, რომელიც აწარმოებდა მუშაობას კავკასიაში ნაციონალისტურ, შოვინისტურ და კაცთ-მოძულე პარტიების (მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატისტების და სხვ.) ბატონობის ყველაზე უფრო მძიმე პერიოდში და გართულებულ მდგომარეობაში, რომელიც მწვავდებოდა დასავლეთ-ევროპის მტაცებლების ინტერვენციით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საქმეებში, ღირსეულად შეასრულა თავისი დაკისრებული რევოლიუციონური სამხედრო ამოცანა. ის ეწეოდა ამ მძიმე სამსახურს არა შინის ქვეშ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ სინიდისის კარნახით. და თუ ზოგჯერ მის წევრებს შორის ადგილი ქონდა უთანხმოებას და წინააღმდეგობას, ეს მუდამ გამოწვეული იყო წმინდა საქმიანი მოსაზრებებით, მაგრამ არასოდეს არავითარ პირად მოტივებით, და ყველა ეს უთანხმოებანი არ სცილდებოდა თვით კომიტეტის ჩარჩოებს. მის წევრებს შორის სუფევდა სრული ნდობა და ამიტომ მისი ავტორიტეტი არა თუ არ მცირდებოდა, არამედ ის სარგებლობდა დიდი ნდობით ყველა ორგანიზაციების და ცალკე ამხანაგების მხრივ. რომელთაც მასთან ჰქონდათ ესა თუ ის საქმე.

დასკვნა.

აქ მე ვსვამ წერტილს. მაგრამ დასასრულ მინდა კიდევ რამდენიმე სიტყვა ვსთქვა.

მე გავაკეთე მხოლოდ ზოგადი და მოკლე მიმოხილვა ჩვენი პარტიის წარმოშობისა და განვითარების შესახებ, ვჩერდებოდი რა მხოლოდ იმ საფეხურზე, რომლებიც გაიარა ჩვენმა პარტიამ ამიერკავკასიაში და კერძოთ საქართველოში. 30—40 წელი, რომელიც გავიდა ჩვენი პარტიის პირველი იაჩეიკების წარმოშობის დღიდან ძველერ მცირე პერიოდია ხალხთა ცხოვრებაში; მაგრამ ამ დროის განმავლობაში ჩვენმა პარტიამ მოახდინა უდიდესი გადატრიალება ვეებერთელა ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში და ხელი მიჰყო საზოგადოების გარდაქმნას სოციალისტურ საფუძველზე. მსოფლიოში არც ერთ პარტიას ერთხელაც არ მოუნდომებია ამის მზგავს რამესი გაკეთება. სოციალიზმის განხორციელებისათვის ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტი გასაკეთებელია მომავალში.

და როდესაც ჩაუფიქრდები ამას, მე თავის თავს ვეკითხები: როგორ შესძლო ჩვენმა პარტიამ იმ კოლოსალურ გამარჯვებების მიღწევა, რომლების მოწამე გახდა მთელი მსოფლიო?

ეხლა ნუ შევეხებით ბრძოლის პირობებს, რომლებიც შექმნილი იყო ბურჟუაზიის კაპიტალიზმის მემამულეების ბატონობით; ხოლო შევეხოთ პირველ ყოვლისა ამ ბრძოლის სუბიექტებს, მის ხელმძღვანელებს ე. ი. იმათ, რომელითაც უხდებოდა მთელი სიმძიმის თავის საკუთარ მხრებზე ტარება, იმათ, რომლებიც თავგანწირულად ებმებოდენ ამ ბრძოლაში, ეცემოდენ და იღუპებოდენ მასში. და მე ვეუბნები ჩემ თავს: რომ არ ყოფილიყვნენ რევოლიუციის ეს გმირები. მოციქულები და ფანატიკოსები, ჩვენი პარტია ამ ხნის განმავლობაში ვერ მიაღწევდა იმ შედეგებს, რომელთაც მან მიაღწია.

ვინ იყვნენ ისინი, ეს გმირები? მუშები, გლეხები, თუ ინტელიგენტები, ჩვენ მათ ეხლა არ ვხედავთ. ათასობით და ათი ათასობით იხოცებოდენ ისინი მომავალი თაობის ბედნიერებისათვის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვიცით მხოლოდ რამოდენიმე მებრძოლების სახელები. ისინი მიდიოდენ პარტიასთან, რევოლიუციასთან, რათა როგორც ერთისათვის, ისე მეორესათვის მიეცათ ყოველივე ის, რაც მათ გააჩნდათ, არ ღებულობდენ და არც მოელოდენ რა სამაგიეროს. აი რაში მდგომარეობდა ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო **ძლიერი მხარე**, აი რაში იყო და არის მისი **მორალური დაუძლეველი ძლიერება**.

დღეს, კომპარტიის არსებობის 25 წლის თავზე ჩვენ ვიგონებთ ამ ათას და ათი ათას უსახელო გმირებს, რომლებმაც მსხვერპლად მიიტანეს თავისი სიცოცხლე მუშათა კლასის საქმისათვის, სოციალიზმისათვის და ჩვენ მუხლს ვიდრეკთ მათი წმინდა ხსოვნის წინაშე.

მაგრამ ეს საკმაო არ არის: თვითეულმა კომუნისტმა, თვითეულმა ატიოსანმა მუშამ და გლეხმა უნდა ამოიკითხოს ისტორიიდან, თუ. რით გაიმარჯვა ჩვენმა პარტიამ წარსულში, რით იღებდა ის მიუვალ სიმაგრეებს და მაშინ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ჩვენი საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ხ. ს ხ ა ბ ა ი ა

რუსეთის კომპარტიის არსებოგის 25 წლის თავი.

(მ ო ბ ო ნ ე ბ ა ნ ი)

ვრცელი მოგონებისათვის საჭიროა სქელი ტომები. მოკლე მოგონებისათვის კი მეოთხედი საუკუნის მუშაობის შესახებ ისეთი პარტიის შესაქმნელად, როგორც რუსეთის კომპარტიაა, რომლის განუყოფელ ნაწილად ისტორიულადაც და დღეს ფაქტიურადაც ითვლებიან კავკასიის: აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს კომპარტიები, საჭიროა ფელეტონების, წერილების მთელი სერია, ასე გთქვათ კარგა მოზრდილი ბროშურაც. ამისათვის კი არც მე მაქვს ფიზიკური შესაძლებლობა (დრო), არც ადგილობრივ რედაქციებს აქვთ ადგილი... ამიტომ ერთი გზა-ღა დამრჩენია—დავკმაყოფილდე ¡მხოლოდ წმინდა კონსპექტიურ-სქემატიური გეგმით რუსეთის კომპარტიის განვითარების და რევოლიუციონურ მოძრაობაში მისი როლის შესახებ.

* * *

რუსეთის კომპარტია 1918 წლამდე რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის სახელწოდებას ატარებდა. პირველი ყრილობა იყო სრულ 25 წლის წინად.

მან მისცა საერთო რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის სახელწოდება მუშათა წრეებს, ჯგუფებს, კავშირებს და სხვ., რომელნიც სტიქიურად ვითარდებოდენ...

ცარიზმის რეჟიმის დროს თვალუწვდენელ ქვეყანაში ვლადივოსტოკიდან ვარშავამდე და ჰელსინფორსიდან ტაშკენტამდე, „დიდი რეფორმების“ შემდეგ (გლეხთა ბატონყმობისაგან განთავისუფლება და სხ...), წასული საუკუნის 50-იან წლებში—ტარდებოდა ეკონომიკის ბუნებრივ განვითარების გზით კაპიტალისტური სისტემა ევროპის „ცივლიზაციის და კულტურის“ მიხედვით.

რუსეთის მუშათა კლასი დღითი-დღე იზრდებოდა განადგურებულ სოფლის ხარჯზე და 70-იან წლების მეორე ნახევრიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის სისტემატიურად აწყობდა ფაბრიკებსა და ქარხნებში ეფერო-
და უფრო დიდ გაფიცვებს. განსაკუთრებით ამ გაფიცვებმა მიიღეს
ფართო, არა-შემთხვევითი, არამედ დარაზმული ხასიათი 1890--91--92
წლებში რუსეთში დამდგარ საშინელ შიმშილობის შემდეგ.

და ამ მომენტისათვის, და შემდეგი 5 წლის განმავლობაში
არსდება იმ დროინდელ რუსეთში სოც.-დემ. მუშათა მრავალი ორგა-
ნიზაციები და წრეები...

ამ დროისათვის ჩვენც—კავკასიის მარქსისტებიც კერძოთ
ტფილისის. ბათომის, ქუთაისის მარქსისტები და რუსეთის სხვა
ადგილებიდან ჩამოსული ზოგიერთებიც ასე ვსთქვათ „ავმოძრა-
ვდით“....

გავმართეთ ჯერ პირველი ყრილობა ზესტაფონში 1892—93
წლ. შობის დღესასწაულებში...

„ყრილობამ“, რა თქმა უნდა, არ მიიღო და მას არც შეეძლო
მიეღო რაიმე პროგრამა, მაგრამ მოასწრო საბოლოოთ ჩაეშალა
„ნაციონალ-დემოკრატიული პროგრამის პროექტი“, მაშინ ახალ-
გაზრდა ჭაბუკის... ვარშავის ვეტერინარ სტუდენტის, რომელსაც
საბოლოოთ შეეთვისებია იქ ნაციონალიზმი დემოკრატიული და
თითქმის სოციალისტური ელფერით—პოლონეთის მემარჯვენე ეპე-
სოველების დაგვარად,—შემდეგ ცნობილი მენშევიკის ნოე ჟორდა-
ნიასი. ჩვენ მივიღეთ 2 დებულება რევოლიუციონური, მარქსისტული
ხასიათისა: 1) ჩვენ უწინარეს ყოვლისა ვართ სოციალისტ-მარქსი-
სტები და 2) ჩვენ დავირაზმებით რუსეთის სხვა მუშებთან სრულ
კონტაქტებში.

შევსწყვიტეთ რა იქ, ყრილობა გავაგრძელეთ ტფილისში.
არსებულის იქით, რომელიღაც გამოქვაბულში... ჩვენ გვერქვა ცენ-
ტრალური წრე, რომელსაც მიზნათ ქონდა დასახული გაერკვია
საპროგრამო საკითხები,—მოეწყო არალეგალური ბიბლიოთეკები და
ამისათვის კავშირი დაეჭირა საზღვარ-გარეთთან და რუსეთის სხვა
ცენტრებთან...

1893 წლის გაზაფხულზე კინალამ მოვახერხეთ საზღვარ-გარე-
თიდან ლიტერატურის მიღება. ტრანსპორტი დაიჭირეს ვარშავაში...

და მხოლოდ 3—4 წლის შემდეგ მე მოვახერხე ქუთაისით (იმ
დროს აფთიაქის მოწაფის მიტროფანე ლაღიძის მიერ მოცემულ
მისამართით) მთელი კავკასიისათვის არალეგალური ლიტერატურის
ტრანსპორტის მოწყობა...

მაგრამ მე უკვე გადამასახლეს აქედან 5 წლით,—სწორეთ რუს
სოც.-დემოკრატ. მუშათა პარტიის 1 ყრილობის მოწვევის მომენტში...

მე მოვახერხე ხარკოვში 2—3 თვე არალეგალური მუშაობა
შემდეგ კი ეკატერინოსლავში 1898 წლის გაზაფხულიდან 1900

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის ივლისამდე. აქ მოვახერხე რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის საკმაოთ მტკიცე კომიტეტის მოწყობა, ორგანო „იუჟნი რაბოჩის“ გამოცემა და არალეგალური სტამბის შეძენა... როგორც ვიცით, „იუჟნი რაბოჩიმ“ გადააბიჯა კუსკოვას „ეკონომიზმის“, „აგიტაციას“, „კრედოს“ დ პეტერბურგის „რაბოჩაია მისლს“ დ საზღვარ გარეთის „რაბოჩეე დელოს“, რომელნიც უარყოფდენ ჩვენ მოძრაობაში პოლიტიკის გადამწყვეტ მნიშვნელობას.

1902 წლის შემოდგომიდან მე ისევ აქ ვიყავი, ვცხოვრობდი ქუთაისში განსაკუთრებულ ზედამხედველობის ქვეშ.

1903 წლის გაზაფხულიდან დავაარსეთ რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ბაქოს, ტფილისის და ბათომის კომიტეტებისაგან **სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაციების კავკასიის** (შემდეგ დაერქვა ამიერ-კავკასიის) „**კავშირი**“ და საკავშირო კომიტეტთან ვავაერთიანეთ ორი ორგანო—„**ბრძოლა**“ ქართულ ენაზე და „**პროლეტარიატი**“ სომხურზე. ერთ ორგანოში „**პროლეტარიატის ბრძოლა**“. იგი გამოდიოდა როგორც ყველა სხვა ფურცლები, პროკლამაციები და ბროშიურები (უტიფოდ მენშევიზმის წარმოშობამდე) სამ ენაზე: რუსულად, ქართულად და სომხურად... ჩვენ შევეცადეთ მიგვემატებია მუსლიმანურიც, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. ახალ ორგანიზაციების აღმშენებლობა სდუღდა და ვიაარდებოდა. ბათომის კომიტეტთან (და მის კანტროლის ქვეშ), ჩვენ მოვაწყეთ პარტიის ორგანიზაცია და დამოუკიდებელი კომიტეტი ქუთაისში „**იმერეთ—სამეგრელოში**“ რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა ჭიათურას, ტყიბულს, სოფლებს და თვით ქალაქ ქუთაისს.

რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის II ყრილობაზე 1903 წელს ამიერ-კავკასიიდან წარმოდგენილი იყო 3 კომიტეტი (სხვები სრულუფლებიანები არ იყვენ, მხოლოდ არსებობდენ)—ბაქოს, ტფილისის და ბათომის...

განხეთქილების დროს, ორი—ბაქოს და ბათომის— დელეგატი დაბრუნდა ბოლშევიკათ, ხოლო მესამე—ტფილისის— მენშევიკათ, რისთვისაც ჩვენ ის გამოვრიცხეთ „**საკავშირო კომიტეტის**“ შემადგენლობიდან ყველა ხმებით ტფილისის კომიტეტის 2 წარმომადგენლის მონაწილეობით.

მუშაობა ძველებურად წავიდა—რევოლიუციონურ-ბოლშევიკური. მე მომიხდა ყველა დელეგატების მაგიერ გამეკეთებინა მოხსენებები ბაქოში, ტფილისში, ბათომში და ქუთაისში რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის მე-2-ე ნამდვილ დამფუძნებელ ყრილობის მუშაობის შესახებ. ხოლო ამავე დროს მე იმ ყრილობაზე არ ყოფილვარ. მე მაშინ საორგანიზაციო მუშაობას ვეწეოდი ბათომს, ქუთაისსა და ტფილისში, როგორც საკავშირო კომიტეტის წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენვე ჩავატარეთ, საზღვარ-გარეთ მე-2 ყრილობის სხდომებისა დროს, ცნობილი პირველი საყოველთაო გაფიცვა სამხრეთ რუსეთსა და ამიერ-კავკასიაში 1903 წ. ზაფხულზე...

მაგრამ მენშევიზმი საზღვარ-გარეთიდან რუსეთის სხვადასხვა ადგილებში შემოიპარა და ბოლოს, ამიერ-კავკასიაში, საზღვარ გარეთის მენშევიკების აგენტები რევდენ სხვადასხვა მუშების გონებას თავიანთი ფსევდო-დემოკრატიზმით და ადგილობრივი კომიტეტების ავტონომიით. საზღვარგარეთის **„ისკრა“** მენშევიკური გახდა. ბლეხანოვმა უღალატა მე-2ე ყრილობას. ლენინი გამოვიდა ყველა დაწესებულებებიდან გარდა ცეკასი და გამოსცა გაზეთი **„ვპერიოდი“** — ეს იყო რუსეთ-იაპონიის გაცხარებულ ომის დროს. და ბოლოს, ცეკა ჩაეფლო ჭაობში, „შემთანხმებლობაში“, რომელიც უდრიდა მაშინ გამცემლობას, მეორე ყრილობისადმი ღალატს.

მაშინ კავკასიის კონფერენციამ სრულიად რუსეთის ორ სხვა კონფერენციასთან ერთად დაარსა **„მეუმრავლესთა კომიტეტების ბიურო“** და მან მოიწვია პარტიის მე-3 ყრილობა ლონდონში, 1905 წლის გაზაფხულზე.

ყრილობას 1905 წლის 9.22 იანვრის შემდეგ, რომელმაც ახადა სარქველი შემდეგი წლების რევოლიუციონურ ქარტეხილს, რა თქმა უნდა, უნდა გაეცა პასუხი ყველა იმ საკითხებზე, რომელსაც მომენტი აყენებდა (მაშინ სწარმოებდა რუსეთ-იაპონიის ომი, რომელიც ცარიზმს გარედან დამარცხებას, ხოლო შიგნივ კრახს უმზადებდა)... რევოლიუციონური მოძრაობა გიგანტური ნაბიჯებით მიმდინარეობდა და მიუახლოვდა ოქტომბერ-დეკემბერს. ოქტომბერ-ნოემბერში — რკინისგზელთა და სხვა მუშების, და შემდეგ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, ხოლო დეკემბერში — მოსკოვის შეიარაღებული აჯანყება.

ამ ხანებში წარმოიშვა **მუშათა დეპუტატების საბჭო პეტროგრადში** და სხვა ქალაქებში.

რევოლიუცია, რეაქციონურ ევროპის, განსაკუთრებით საფრანგეთის კაპიტალის დახმარებით დამარცხდა, თუმცა 1900—907 წ. ცარიზმმა გაატარა გავარვარებულ რევოლიუციონურ ატმოსფერაში. 1-ლ და მე-2 სახელმწიფო სათათბიროები მან გარეკა ჯერ კიდევ მის მორჩილებაში მყოფ გლეხურ ჯარისკაცების ხიშტებით.

ამ დროს გაიმართა მე-4 გაერთიანებული ყრილობა სტოკჰოლმში, მხოლოდ პოლონელების და ბუნდის გარეშე... მენშევიკები უმრავლესობაში აღმოჩნდენ შეუგნებელ (ფსევდო-რევოლიუციონურ-სოციალისტურ), როგორც მაგ. გურიის გლეხთა დელეგატების წყალობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა ძლიერდებოდა, ჩვენ ვემზადებოდით მეხუთე, ბოლოთლაც გამაერთიანებელ ყრილობისათვის, სადაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის ყველა ხუთ ფრაქციებს — ბოლშევიკებს, მენშევიკებს, პოლონელებს, ლატიშებს და ბუნდს. ეს ყრილობა გაიმართა ლონდონში.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი ყრილობა მენშევიკებთან ერთად. ეს იყო ჩვენი რევანშში სტოკჰოლმის წინააღმდეგ, აქ მიღებული იქნა ჯერ ერთი ჩვენი ძირითადი რევოლიუციონური რეზოლიუცია **„პროლეტარულ პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ“** და სხვა რეზოლიუციები—ყველა ჩვენი მიმართულების.

აქ ჩვენ დახმარება გაგვიწია დაუვიწყარმა როზა ლიუქსენბურგმა, რომელმაც პოლონეთის სოც.-დემოკრატები გაურკვეველ მდგომარეობიდან გამოიყვანა და საბოლოოთ გადმოიყვანა ისინი ჩვენ, მემარცხენე ბანაკში.

* * *

მაგრამ უკვე იყო რევოლიუცია სუსტდებოდა, დადგა სტოლიპინის სამხედრო საველე იუსტიციის შავბნელი რეაქცია, რომელიც დამთავრდა ნიკოლოზ 2-ეს პრემიერ ეზნაურის ბ—ნ სტოლპინის მოკვლით მისი საკუთარი „შპიკის“ „ოხრანის“ აგენტის მიერ.

* * *

1911 წლიდან ხელ-ახლა დაბერა რევოლიუციონურმა სიომ.

მაგრამ ამ დროს საერთაშორისო ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ ტრესტებმა გერმანიის კაპიტალიზმის სახით, ერთის მხრივ, და ინგლისის, მეორეს მხრივ, დასინჯეს ერთმანეთის ღონე, ჯერ გამართეს შესავალი-უვერტიურა, იტალიის ომი ტრიპოლიტანიაში და ბალკანეთში ოსმალეთის წინააღმდეგ სხვა ხალხთა ომი 1914 წლამდე, ხოლო ამ წელს, როგორც ვიცით, აგვისტოს თვიდან დაიწყო I იმპერიალისტური ომი, რომელმაც საბოლოოდ დაანარცხა მიწაზე საერთაშორისო სოც.-დემ. ყვითელი 2 ინტერნაციონალი. 2 ინტერნაციონალის წინამძღოლები გახდენ სოციალ-შოვინისტები. ასეთებად გახდენ რუსეთის მენშევიკები—1917 წლის თებერვლის რევოლიუციის სხვა და სხვა ჯურის თანამოძმენი დაწყებული მეტიჩარა წერეთელი და დანიდან და გათავებული გამოჩენილ ვეტერანებით მარტოვით, აქსელროდით და კომპანიით.

ჩვენ კი, ბოლშევიკებმა რევოლიუციის დაწყების დღიდანვე ჩვენ კონფერენციაზე (1917 წ. აპრილში) გავეცით პასუხი ომის და რევოლიუციის საკითხებზე: ჩვენ მოვითხოვდით პურს ხალხისათვის, ომის შეწყვეტას, მშვიდობიანობას მთელ მსოფლიოსათვის და ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ძალაუფლებას და არა მატყუარა პარლამენტარიზმს, თუნდაც მისთვის ფორმად და ხალხის მოსატყუებლად რევოლიუციონური დამფუძნებელი კრებაც ეწოდებიათ... და მივაღწიეთ ჩვენ მიზანს 1917 წლის ოქტომბერში სრულიად რუსეთის მაშტაბში, ხოლო განაპირა კუთხეებში კი როგორც მაგალითად აზერბეიჯანში, სომხეთში და საქართველოში გაცილებით გვიან (1920-21 წ. წ.). რუსეთის კომპარტიის როლი მისი ს.-დ., 7, 8, 9, 10 და 11-ე ყრილობებით დიდია ძველი რუსეთის საბჭოთა საფუძვლებზე გარდაქმნისათვის, მისი როლი დიადია საერთაშორისო მაშტაბშიაც; მის ფრთების ქვეშ არა მარტო არსებობენ სოც.-საბჭ. რესპუბლიკების დიდი კავშირის ყველა საბჭოთა რესპუბლიკები, არამედ გამარჯვებულია მსოფლიოს ყველა კომპარტიების გაერთიანება—მე-3 **ინტერნაციონალი, კომინტერნი,** რომელიც ჭეშმარიტად არის საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის დიდი შტაბი!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს კომინტერნს და პროფინტერნს!

გაუმარჯოს რუსეთის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს რუს. კომპარტიის 1923 წ. აპრილში განზრახულ 12-ე ყრილობას!

გაუმარჯოს მის განუყოფელ ნაწილებს—ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებს, აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს კომპარტიებს..

გაუმარჯოს კომუნიზმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ. მახარაძე.

როგორ გავხდი მარქსისტი.

(დასასრული *)

ვარშავის პერიოდი.

I

თორმეტმა წელმა (1878—1890) რომელიც მე გავატარე სასულიერო სასწავლებლების (პირველად სასულიერო სასწავლებელი, ხოლო შემდეგ სემინარია) კედლებში შექმნა ჩემგან პირველად დაუცხრომელო პროტესტანტი და ათეისტი, ხოლო შემდეგ მეამბოხე და მომზადა ნიადაგი შემდეგი ჩემი რევოლიუციონური მოღვაწეობისათვის. მე უკვე ვსთქვი, რომ სემინარიაში ყოფნის დროს მე გარკვეულათ დავადგენ რევოლიუციონურ გზას.

ეს კიდევ ცოტაა: მე თავის თავს სოციალისტათაც ვსთვლიდი, არ გამეგებოდა რა ჯერ კიდევ სისწორით—თუ რა იყო სოციალიზმი.

მაშასადამე, ყოველივე ის, რაც სემინარიაში ყოველი საშუალებით და ძალღონით სურდათ შთაენერგათ ჩვენთვის, ყოველივე ის, რასაც სულიერი მამები და სხვა და სხვა ღვთის მსახურნი რამოდენიმე წლების განმავლობაში ჩაგვჩიჩინებდენ,—ყოველივე ეს ჩვენს მიერ უკუგდებული იყო და, პირიქით, ეღებულობდით და ეთვისებდით იმას, რასაც ეს ბატონები ასე გულმოდგინეთ გვარიდებდენ. რას გვასწავლიდენ ჩვენ? ვის აშზადებდენ ჩვენგან? და რა მოხდა?—უნდა ვიფიქროთ, რომ ამ კითხვებზე თითქმის არც ერთი სემინარიის ხელმძღვანელთაგანი სერიოზულათ არ დაფიქრებულა. ისე ბრმად და ისე შეუგნებლად ასრულებდენ ისინი თავიანთ მოვალეობას. ჩემგან ისინი აშზადებდენ ეკლესიის და ტახტის, ესე იგი ქრისტიანობის და მეფის თვითმპყრობელობის მსახურს და ერთგულს, ნამდვილად კი ჩემში შექმნეს ყველაზე უფრო შეურიგებელი მოძულე და მტერი, როგორც ეკლესიის, ისე სარწმუნოების და ტახტის. მაგრამ მეტი მათ არც კი მოეთხოვებოდათ. ასე იყო თუ ისე, სემინარიასთან ყოველივე ანგარიშები უკვე გავასწორე. ერთად-ერთი ჩემი საზრუნავი, ერთად ერთი განუყრელი სურვილი ახლა, სემინარიის დამთავრების შემდეგ, იყო სწავლის გაგრძელება. სემინარიამ ხომ ვერ მოგვცა საბოლოოდ ნამდვილი სწავლა. მან ჩვენ ვერ აღგვეურვა იმ იარაღით,

*) იხ. რევოლ. მატიანე № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნით, რაც ცხოვრებაში აუცილებელი საჭირო იყო ჩვენთვის. ვინაიდან მთელი სქოლასტიური აბდა-უბდა, მთელი ღვთის მეტყველების ზღაპარი, რომელითაც სურდათ გაეყლინთათ ჩვენი ტვინი, ჩვენ უკვე თავიდან მოვიშორეთ, ჩვენში დარჩა ხარვეზი, (пробелы), რომლის შევსება აუცილებელი იყო დადებითი ცოდნით რათაც არ უნდა დაგვჯდომოდა.

ვგრძნობდით ულზომო წყურვილს, რათა შეგვეძინა ცოდნა ბუნების-მეტყველების, მათემატიკის და განსაკუთრებით საზოგადოების მეცნიერების ანუ სოციოლოგიის დარგიდან. ამ გზაზე ჩემს წინაშე იყო მრავალი დაბრკოლებანი, რაც ხელს უშლიდა ჩემი სურვილის განხორციელებას, პირველყოვლისა მატერიალური საკითხი, ესე იგი საშუალებათა უქონლობა. ტფილისში სწავლის დროს მე ვლებულობდი ჩემი ძმისაგან თვიურად სულ დაახლოვებით 8 ან 10 მანეთს. ამ ფულით იმ დროს კიდევ შეიძლებოდა ტფილისში ნახევრად-მშიერი ცხოვრება და ამ თანხიდან ნაწილის კიდევ წიგნების შესაძენად გადადება. მაგრამ აშკარა იყო, რომ საუნივერსიტეტო ქალაქში ამ ფულით მაშინაც შეუძლებელი იყო ცხოვრება, ხოლო ამაზე მეტი საშუალება მე არ მომეპოებოდა [1]).

მაგრამ ამის გარდა იყო კიდევ უფრო სერიოზული დაბრკოლება, რომელიც მიღობავდა მე გზას სწავლის გაგრძელებისათვის. საქმე იმაშია, რომ სემინარიის ატესტატი ცუდი ნიშნით ყოფაქცევაში მე საშუალებას მისპობდა ყველა უმაღლეს სასწავლებელში, განსაკუთრებით უნივერსიტეტში შესვლისათვის. სემინარიას კი გამოვეთხოვე. მაგრამ წინ წასვლა აღარ შეიძლებოდა. ძალაუნებურად მიხდებოდა დაცდა, ესე იგი თავისი სურვილის განხორციელების გადადება რამოდენიმე ხნით. უკიდურეს შემთხვევაში ერთი წლით მაინც.

რას წარმოადგენდა ქუთაისი 1890 წლებში.

1890 წ. ზაფხულში ტფილისიდან მე პირდაპირ გავემგზავრე ქუთაისში, სადაც მაშინ ცხოვრობდა ჩემი უფროსი ძმა—მაქსიმე, რომელიც მიუხედავად მისი სიღარიბისა, როგორც წინად ისე შემდეგში ვარშავაში ყოფნის დროსაც, მიწევდა მატერიალურ და ზნეობრივ დახმარებას. ქუთაისში ჩემი ძმის დახმარებით მაშინვე ვიშოვე ერთ ერთ კერძო სკოლაში მასწავლებლის და რეპეტიტორის ადგილი, რის გასამჯელოთ ვლებულობდი ბინას, სადილს, ხოლო ფულის ჯილდოს სიტყვიერი დაპირების სახით. მაგრამ მე ამითაც კმაყოფილი ვიყავი, ვინაიდან ვგრძნობდი, რომ ვცხოვრობ საკუთარი შრომით და არავის არ ვაწუხებ.

[1]) თუმცადა მშობლები ამ თანხაზე სიამოვნებით უარს იტყოდნენ და ამჯობინებდნენ, რომ მიმეტოვებინა ყოველგვარი სწავლა და ჩამეცვა ანაფორა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ შეწუხებული ვიყავი მით, რომ ტფილისიდან მე მოვხვდებოდი რაღაც წუმპეში. ტფილისის შემდეგ ქუთაისი ჩემთვის ნამდვილი სიკვდილი იყო. რას წარმოადგენდა მაშინ ქუთაისი? ვგონებ, რამდენად მე ეს მახსოვს, არც ერთ ჩვენს ბელეტრისტს არ აუწერია ქუთაისი იმ პერიოდში, რომელზედაც მე ვლაპარაკობ, მე კი სამწუხაროდ არ შემწევს მხატვრული სიტყვებით გამოთქმის უნარი, რომ ავწერო მაშინდელი ქუთაისის სურათი. ეს კი ძლიერ სამწუხაროა, ვინაიდან მივიღებდით ძლიერ საინტერესო სურათს. წარმოიდგინეთ პატარა, ღარიბი ქალაქი, სადაც ცხოვრობენ მხოლოდ მეეტლეები, პოლიციელები, მედუქნეები, გახუნებული მოხელეები და უქმად მოხეტიალე აზნაურები; დაუმატეთ ამას კიდევ საშუალო სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობა და აგრეთვე არდადეგებზე ჩამოსული სტუდენტები. რა თქმა უნდა ამ მასას არ აქვს არავითარი საერთო ინტერესი, გარდა წმინდა ეგოისტურ და გათახსირებამდე დაქვეითებულ მეშჩანურ ინტერესებისა. ეს საზოგადოება, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ მას, ჩაფლული იყო მყრალ ჭაობში, ხოლო ეს ჭაობი თვითვე ის იყო. ირგვლივ არც ერთი ცოცხალი არსება, არც ერთი ცოცხალი ადამიანი.

აი როგორი იყო მაშინ ქუთაისი [1]). იქ სუფევდა მომწამვლელი ატმოსფერა, შეიძლებოდა იქ კაცი სავსებით დაკარგულიყო, ეს ატმოსფერა და ეს წრე ჩაითრევდა ვინც არ უნდა ყოფილიყო, წაახდენდა და გაათახსირებდა სამუდამოდ. მე მან მაშინვე შორს გამისროლა თავისგან და ამიტომ მე სრულიად მარტოკა დავრჩი, არავინ იყო ისეთი, რომ აზრები გამეზიარებია. მე ამ ხანას ვიგონებ როგორც ყველაზე უფრო წყვდიადით მოცულ დროს ჩემს ცხოვრებაში, რომელმაც ჩემში დასტოვა წარუშლელი მოგონებანი. მთელი ჩემი გონება მაშინ მიმართული იყო ერთ რამეზე: როგორმე თავი დამეღწია ამ დამყაყებულ ატმოსფერისაგან და წავსულიყავი სადმე. რაც შეიძლებოდა შორს მისგან. მაგრამ როგორ?

ცდა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელათ.

რა გზით? იყო ეთი გზა—მომზადებულვიყავი და ჩამებარებინა ექსტერნის სახით სიმწიფის ატესტატის გამოცდა, მაგრამ ეს პირდაპირ ფიზიკურათ შეუძლებელი იყო მაშინ ჩემთვის.

რა უნდა მექნა? დამრჩენოდა კიდევ ერთი საშუალება. სახელდობრ, კვლავ მიმემართა სემინარიის გამგეობისათვის და მომეთხოვა ყოფა-ქცევაში ნიშნის გადასწორება, ან ისეთი მოწმობის მოცემა, რომელიც გააბათილებდა ყოფაქცევაში დასმულ ოთხს. გადავსწყვიტე

[1]) მან რამდენიმედ დღემდეც შეინარჩუნა ეს თვისებები. ის დარჩა მეშჩანურ—წვრილ ბურჟუაზიულ ქალაქად, მაგრამ, რასაკვირველია, ამ ხანის გინმავლობაში ბევრი რამ გაუმჯობესდა იქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესინჯა ეს საშუალებაც. ამ მიზნით 1891 წელს, მაისის ბოლოს ბინცხვებში ტფილისში გავემგზავრე, რათა მენახა სემინარიის რექტორი, ესე იგი ინ კაცი, რომელთანაც ერთი წლის წინეთ მე მქონდა ცნობილი შეტაკება. ჩემი მისვლა, რასაკვირველია, მისთვის სრულებით მოულოდნელი იყო.

მის შეკითხვაზე: „რა გინდა შენ“—მე უპასუხე სრული სიმშვიდით, მაგრამ გაბედულად, რომ მე მინდა უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, ხოლო ის მე გზას მიღობავს. მე უთხარი, რომ თუმცა მე ვერ შევსძლებ სწავლის გაგრძელებას, მაგრამ ამ უბედურებაში ბრალს ვსდებ მხოლოდ იმას, ვინც ცუდი ნიშანი დამისვა ყოფაქცევაში-მეთქი. სიმართლე გითხრათ, დიდ ხანს არ დამჭირდა მისი დარწმუნება, რადგან იგი ჩქარა მოლბა და თანახმა გახდა მოეცა ჩემთვის განსაკუთრებული მოწმობა **ვარშავის საბეითლო ინსტიტუტში შესასვლელად.** ეს იყო მაქსიმუმი, რაზედაც მას შეეძლო დათანხმება. თავისთავად ინსტიტუტს მე სრულებით არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევდი. მე ვცდილობდი, რათა გზა გამეკაფა. ამ დროს მე სრულებით არ ვფიქრობდი გამხდარიყავი საქონლის ექიმი, ან რაიმე სპეცი. ეს ახალი მოწმობა [1]) წინანდელ ატესტატიან ერთად მე დაუყოვნებლივ გავგზავნე ვარშავაში საბეითლო ინსტიტუტის გამგეობაში, საიდანაც ძლიერ ჩქარა დადებითი პასუხი მივიღე.

ამ რიგად ერთ-ერთი ჩემი სურვილი თითქოს განხორციელდა. მე საჩქაროთ მოვემზადე გასამგზავრებლათ, დიდი ვაი-ვაგლახით მოვაგროვე სამგზავრო და 1—2 თვის გაჭირვებული ცხოვრებისათვის სამყოფი თანხა.

მაშინდელი პოლონეთი.

1891 წ. აგვისტოს დასასრულს, ნ. ჟორდანიასთან, სერ. მიქაძესთან და მ. მირიანაშვილთან ერთად მე ჩავჯექი გემში (მგონი მას ერქვა „პუშკინი“), რომელიც მიდიოდა ოდესაში. ვიგონებთ საკმაოთ გრძელ მოგზაურობას: ვარშავამდე ჩვენ გზაში დავჭყივით ერთ კვირაზე მეტი. მახსოვს როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თვითეულ ჩვენგანზე პოლონეთმა და კერძოთ თვით ვარშავამ. მანამდე არც ერთ ჩვენგანს არ ჰქონდა არავითარი წარმოდგენა ამ ქვეყანაზე. თვალსა-

1) მოწმობაში სხვათა შორის აღნიშნული იყო შემდეგი: „ყოფა-ქცევაში“ ოთხი „დასმული აქვს მიტომ, რომ ბრალად არ დადიოდა ეკლესიაში და კითხულობდა ზმოლოდ საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ხასიათის წიგნებს“, ამ სიტყვების გამო, როგორც მე შემდგომში გავიგე, ვარშავის საბეითლო ინსტიტუტის გამგეობაში ბევრი იცინეს, რასაკვირველია სემინარიის გამგეობის მისამართით; მაგრამ მათ ხომ არ იცოდენ თუ რაში იყო საქმე. მოწმობის ძალით ინსტიტუტის გამგეობამ მიიღო კიდევ სხვა ჩემი სემინარიელი ამხანაგები, რომლებსაც ჩემსავით ოთხი ჭკონდათ ყოფაქცევაში, როგორც მაგალითად ნ. ჟორდანია და სხვები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინო იყო დიდი განსხვავება პოლონეთის, რომელიც პოლონეთის სამეფოთ იწოდებდა მაშინ, და რუსეთს შორის. ენაც, კულტურაც და ზნე-ჩვეულებაც მათში სულ სხვა და სხვა იყო, თვით ზერელე შეხედვითაც შეიძლებოდა იმაზე ლაპარაკი თუ **პოლონეთის კულტურის დონე რამდენად მაღალი იყო მაშინდელ რუსეთის იმპერიის რომელიმე ნაწილთან შედარებით.**

არ შეიძლებოდა არ შეგვემჩნია, რომ ჩვენ უეცრად მოვხვდით ძლიერ საინტერესო პირობებში. ჩვენ, რასაკვირველია ვიცოდით, რომ პოლონეთი და პოლონეთის ხალხი იჩაგრება დიდი რუსეთის დესპოტიზმის მიერ ისევე, როგორც მის მიერ დაჩაგრული იყო კავკასია, ამიერ-კავკასია და კერძოთ საქართველო, ქართველი ხალხი. მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ რუსეთის დესპოტიზმმა, შეიძლება მცირეოდენი დადებითი როლიც ითამაშა კავკასიაში, მაგალ., ევროპის კულტურასთან დაახლოვებით, თუმცა ეს ხდებოდა ბარბაროსულ და მოუხეშავ ზომებით. ასე იყო თუ ისე რუსეთის დესპოტიზმმა კავკასიაში იმ დროისთვის უკვე შესძლო ადგილობრივ ერების წინააღმდეგობის გატეხა უხეში ფიზიკური ძალით და მათი დამორჩილება მისი გავლენისათვის.

მაგრამ ამის თქმა პოლონეთზე არ შეიძლებოდა. აქ სწარმოებდა ნამდვილი ომი რუსეთის სახელმწიფო ორგანოებს და პოლონეთის საზოგადოებას შორის. რომ უფრო ღრმად ჩაეწედმოდით ამ რუსეთ-პოლონეთის ანტაგონიზმს, საჭირო იყო საფუძვლიანად გაცნობა არა თუ არსებულ მდგომარეობის, არამედ აგრეთვე რუსეთის და პოლონეთის სახელმწიფოების ურთიერთობის ისტორიის წარსულ 100—150 წლის განმავლობაში. მაგრამ მიუხედავად ამისა, მე ვამჩნევდი, რომ აქ სწარმოებდა ბრძოლა პოლონეთის სრულ გარუსებისათვის. ეს იყო უსასტიკესი რეაქციის ეპოქა სულთამხუთავ ალექსანდრე მე III-ის და მის დამქაშების და ბნელეთის მოციქულების დელიანოვების, პობედონოსცევების, აპუხტინების, იანოვსკების და სხვების, რომლებმაც სხვათა შორის სკოლა აქციეს დაბეჩავების და ჩაგვრის იარაღად.

უკვე 1863 წლის პოლონეთის აჯანყების შემდეგ გასულიყო დაახლოვებით 30 წელი. ეს განვლილი გეგონებოდათ, მაგრამ მოგონებანი მასზე კვლავ სცოცხლობდენ და მკაცრი და სასტიკი ზომები რუსეთის მთავრობისა პოლონეთის და პოლონეთის ხალხის წინააღმდეგ ისევ გრძელდებოდენ. თუ რანაირ უკიდურესობამდე მიდიოდა ეს ზომები, მტკიცდება, სხვათა შორის მით, რომ პოლონელებს აკრძალული ჰქონდათ თავიანთ ენაზე ელაპარაკათ ხალხში, ქუჩებში, კრებებზე და სკოლებშიც კი ამ ენაზე აკრძალული იყო სწავლება... მაგრამ გარუსების პოლიტიკა საბოლოოდ გაკოტრდა, მან სწორედ, საწინააღმდეგო შედეგებს მიაღწია. ამ პოლიტიკამ კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ უფრო გაამლიერა და გამოაცოცხლა პოლონელებში სიძულვილი არა თუ რუსეთის ბატონობისადმი, არამედ თვითეულ რუსისადმი, ყოველგვარ რუსულ სულიერ და მატერიალურ კულტურისადმი. ეს სიძულვილი აღწევდა სრულ უარყოფამდე თვით რუსული სულიერი კულტურის, რომლის გამომხატველები იყვნენ ისეთი კორიფეები, როგორიც იყვნენ ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, დოსტოევსკი, ტურგენევი, ლ. ტოლსტოი და სხვ... ეს სიძულვილი მიდიოდა იმის აღიარებამდე, რომ რუსეთში არ შეიძლება იყოს საერთოდ რაიმე კარგიოასე ფიქრობდა თვითეული პოლონელი. აშკარაა რომ ეს იყო პირდაპირ სიგიჟე ანუ გონების დაბრმავება, რაც აიხსნებოდა იმ დროს რუსეთში ნაციონალური საკითხის ძალზე გამწვავებით საერთოდ, ხოლო კერძოთ პოლონეთის მიმართ კი ჩადენილი იყო გაუგონარ ბოროტებათა მთელი რიგი. პოლონეთის ხალხის ბედი პირდაპირ ტრაგიკული შეიქნა. მისი ცოცხალი ორგანიზმი მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში საძჯერ იყო ძალდატანებით დაჭრილ-დასერილი, მას სჭრიდენ და აქუცმაცებდენ ნაწილებად, და მისი ორგანიზმის თვითეული ნაწილი ეძლეოდა ერთ-ერთ მის მოსაზღვრე სისხლის მღვრელ სახელმწიფოს, ზოგი რუსეთს, ზოგი პრუსიას ან ავსტროუნგრეთს. რასაკვირველია, პოლონეთის ხალხი არ იყო დამნაშავე იმაში, რომ ის მოხდდა სამ ძლიერ მტაცებელ მეზობელს შორის. პოლონეთის ხალხი არ იყო დამნაშავე აგრეთვე იმაში, რომ თავის ნახევრად—ბარბაროსულ და დესპოტიურ მოსაზღვრე სახელმწიფოთა შორის **პოლიტიკურად** სწორედ ის აღმოჩნდა უფრო განვითარებული. ეს გარემოება მტკიცდება თუნდაც იმ ისტორიულ ფაქტით, რომ 1789 წლის საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ პირველი გამოძახილი პოვა სწორედ პოლონეთის ხალხში. ამავე დროს პოლონეთმა ორჯერ დაიფარა ეს რევოლიუცია საერთაშორისო ჟანდარმების და ჯალათებისაგან, ესე იგი რუსეთის, ავსტრო-უნგრეთის და პრუსიის ჩარევისაგან, რისთვისაც საჭირო შეიქნა მისი დასჯა.

პოლონეთის დანაშაული მისი ხალხის ჯალათების წინაშე ორკეცდებოდა კიდევ მით, რომ მან ჯერ კიდევ 1791 წელს პირველად შემოიღო ნამდვილი **დემოკრატიული კონსტიტუცია**, რასაც მას არავითარ შემთხვევაში არ აპატიებდა ეკატერინა მეორეს ნახევრად—ბარბაროსული და დესპოტიური რუსეთი. და მართლადაც, რამოდენიმე ხნის შემდეგ რუსეთის ჯარები სუვოროვის მეთაურობით შეიჭრა პოლონეთში და გაცხარებული ბრძოლის შემდეგ დაიპყრეს ის (1795 წ.), რის შემდეგ პოლონეთი აღარ არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. შემდეგ ამისა, თუმცაღა ნაპოლეონ პირველმა, თავისი ბატონობის დროს რუსეთის პოლონეთიდან შექმნა რაღაც ნახევრად—დამოუკიდებელი სახელმწიფო, **„ვარშავის საგერ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოგო"-ს [1]) სახით, მაგრამ ის მოისპო ნაპალეონის საბოლოო დამარცხების შემდეგ 1815 წელს. რადგან რუსეთის პოლონეთი კვლავ მოექცა რომანოვების მონარქიის ბატონობის ქვეშ. მაგრამ, თავისთავად იგულისხმება, რომ ამით სრულებითაც არ მოღებია ბოლო პოლონეთის ხალხის ტანჯვა-წვალებას. პოლონეთის, დაქუცმაცებულს რამდენიმე ნაწილებად, რუსეთის, ავსტრიის და პრუსიის პოლონეთის სახით, დამცირებულს და შეწუხებულს მცარცველების და მტაცებლების მიერ, არა ერთხელ აღუმართავს აჯანყების დროშა მის მჩაგვრელების წინააღმდეგ. 1830 წლიდან ვიდრე 1863-დე მრავალი იყო ასეთი აჯანყება, მათ შორის: 1830 წ. რუსეთის პოლონეთში, 1846 წელს ავსტრიის პოლონეთში, 1848 წელს პოზნანში ანუ გერმანიის პოლონეთში და ბოლოს, 1873 წელს უკანასკნელი აჯანყება რუსეთის პოლონეთში... არსებითად აქ ჩვენ ვხედავთ განუწყვეტელ აჯანყებებს, რომლებსაც აქრობდენ დრაკონისებური და ბარბაროსული ზომებით, და მიუხედავათ იმისა, რომ ამ აჯანყებებში მონაწილეობას ღებულობდენ რეაქციონური კლასები, პოლონეთის „შლიახტის", წვრილი ბურჟუაზიის და სხვ. სახით, ყველა ამათ მაინც რევოლიუციონური ხასიათი ქონდათ. სწორედ ამიტომ მარქსი და ენგელსი ჯერ კიდევ 1848 წელს „ახალ რეინის გაზეთში" სწერდენ თანაგრძნობის წერილებს ამ აჯანყების შესახებ, რომლებიც აღსავსე იყო აღშფოთებით და გულისწყრომით. [2])

პოლონეთის საკითხი,—ამბობს ფრ. მერინგი დიდი ხანია აღელვებს დასავლეთ ევროპის კულტურულ ხალხთა რევოლიუციონურ ელემენტებს. პოლონეთის დანაწილების და დაბეჩავების გამო აღმოსავლეთის სამი სახელმწიფო გახდა მნიშვნელოვანი რეაქციონური ძალა; პოლონეთის აღდგენა იქნებოდა ევროპაში რუსეთის ჰეგემონიისათვის გულში მახვილის ჩაცემა". ხოლო 1864 წ. სანტმარტინის—ლონდონის მიტინგზე, რომელზედაც მოხდა მარქსის და ენგელსის მიერ მოწვეული საფრანგეთის და ინგლისის მუშების და სხვა სახელმწიფოების რევოლიუციონურ ორგანიზაციების თათბირი, საფრანგეთის საპასუხო მიმართვა იწყებოდა შემდეგი სიტყვებით: „პოლონეთი კვლავ იხრჩობა თავის შვილების სისხლში, ხოლო ჩვენ კი უბრალო მაყურებლებად ვრჩებით"-ო.

ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლიუციის შემდეგ მრავალი პოლონელი რევოლიუციონერები იყვნენ გაფანტული ევროპის სხვა და

[1]) ასეთი სახელწოდება შემოღებული იქმნა იმიტომ, რომ სიტყვა „პოლონეთი" რუსეთის მეფის მოთხოვით გადგენილ იქნა ხმარებიდან.

[2]) იხ. ამის შესახებ ფრ. მერინგის წიგნი სათაურით „კარლ მარქსი, ისტორია მისი ცხოვრების". რუს. თარგმანი გვ. 129—81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვა სახელმწ იფოებში და ამერიკაშიაც, სადაც აფრიალებდენ რევოლიუციის დროშას და იდგენ რევოლიუციის პირველ რიგებში.

სამაგიეროდ თვით პოლონეთში, ყველა ამ აჯანყებების და მათი ძალით ჩაქრობის, განსაკუთრებით 1863 წლის შემდეგ, შეიქმნა პირდაპირ ჯოჯოხეთური მდგომარეობა. მართალია, პირველად რუსეთის მთავრობამ თითქო ალერსი დაუწყო პოლონეთის გლეხობას, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. პოლონური ენის, კულტურის, განათლების დევნა და შევიწროება, ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა გარუსება, აქედან პოლონელების გაძევება და ნაცვლად რუსების დაყენება—ყველა ეს ღონისძიებანი ვერაფითარ შემთხვევაში ვერ დაამშვიდებდა ქვეყანას, პირიქით, ეიდევ უფრო აქეზებდა და აღშფოთებდა მცხოვრებლებს.

ჩვენ უკვე ზემოდ დავინახეთ თუ სადამდე აღწევდა პოლონეთში სიძულვილი ყოველივე რუსულისადმი. საქმე იქამდე მივიდა, რომ პუშკინების და ლერმონტოვების, ნეკრასოვების და დობროლიუბოვების, ბელინსკების და ჩერნიშევსკების, ტოლსტოების და ტურგენევების რუსეთს ურევდენ ჯალათ მურავიოვების. ხალხის სულთამხუთავ დამქაშების რუსეთში. ყველაფერს და ყოველივეს ისინი ერთი საზომით უდგებოდნენ [1]) რას გაიწყობ,—ასეთია ყოველგვარ ნაციონალიზმის მარტივი ელემენტარული ლოგიკა.

ყოველივე ეს ერთად აღებული იყო ბუნებრივი და ლოგიკური შედეგი იმ დრაკონისებური და მტაცებელ აქტებისა, რომლებს სისტემატიურად ახდენდენ პოლონეთის ხალხის წინააღმდეგ უკანასკნელ 100—150 წლის განმავლობაში, მაგრამ გარდა იმ სიძულვილისა, რომელსაც პოლონელები იჩენდენ რუსების და პრუსიელების მიმართ, მათში იმავე ისტორიული მიზეზების გამო, რომლის შესახებ ჩვენ ზემოდ ვლაპარაკობდით, განვითარდა კიდევ შემდეგი დამახასიათებელი თვისებანი: ეს **იყო ეჭვი და უნდობლობა ყველა არა პოლონელისადმი**. ყოველივე ეს ხელს გვიშლიდა ჩვენც, არა რუსებს, დავაბლოვებოდით პოლონელებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვენ ძლიერ თანაგრძნობით გვეპყრობოდენ. რასაკვირველია, თუ მოინდო-

[1]) „ვისაც პოლონეთში არ უცხოვრია—ამბობს ამბ. მ ა რ ხ ლ ე ვ ს კ ი—იგი ძნელად გაიგებს, თუ როგორ მწვავე სიძულვილის იწვევდა ეს სისტემა (პოლონეთის ერის გამასხარავების სისტემა), თუ თვითეულ მოაზროვნე პოლონელს რატომ ეზიზღებოდა ეს მოხელენი—ჯალათები რასაკვირველია, პასუხისმგებლობის დაკისრება რუსეთის ხალხისათვის, რომელიც თვით კენესოდა ცარიზმის უდელ ქვეშ უაზრობაა, მაგრამ არაფერი გასაკვირია. თუ ეს ხდებოდა, თუ დღეუკელ აჯანყებულთა შვილები სიძულვილით უყურებდენ ყველაფერ რუსულს, თუ ბნელი მასა, რომელიც არ [illegible]ვიდა პოლიტიკურ საკითხებში, გულში აღარებდა სიძულვილს „მოსკოველებისადმი“, თუ ადშფოთება მრავგრელთა წინააღმდეგ გადაჭრილნდათ რუსეთის ხალხზე. ეს. ი. მ ა რ ხ ლ ე ვ ს კ ი: „პოლონეთი უცხოეთის უდელ ქვეშ“. 1920.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებდი. შეიძლებოდა მათთან დაახლოვება და მართლადაც საქართველოდან ვარშავაში მყოფი მოწაფეობის უმრავლესობა კიდეც დაუახლოვდა პოლონელებს, მაგრამ პირადათ მე, მიუხედავად მათდამი თანაგრძნობისა, ვერ შევძელი ჩემი იქ ყოფნის დროს მათთან დაახლოება და შეგუება.

II

პოლონეთის მუშათა მოძრაობა.

მე დავახასიათე მოკლეთ ის გარეგანი პირობები, რომელშიაც მე მოვხდი ვარშავაში 1891 წლის მეორე ნახევარში, მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ იძლევა სრულ სურათს იმ მდგომარეობისას, რომელშიაც მაშინ იმყოფებოდა პოლონეთი.

საქმე იმაშია, რომ 1863 წლის უკანასკნელ აჯანყების შემდეგ პოლონეთის მსხვილი მრეწველობა წინ მიდის პირდაპირ გიგანტური ნაბიჯებით. ეს აიხსნება შემდეგი მიზეზით: პირველ ყოვლისა მეფის მთავრობამ 1863 წლის აჯანყების შემდეგ გაატარა აგრარული რეფორმა, რის გამო პოლონეთის გლეხი გახდა მის მიერ დასამუშავებელ მიწის მესაკუთრე. ამ გარემოებამ აღადგინა სასოფლო მეურნეობა და ხელი შეუწყო იქ კაპიტალის შეტანას. ამას გარდა, დაახლოვებით იმავე ხანებში მოსპობილი იქნა ის საბაჟო ზღუდეები, რომლებიც ყოფდენ პოლონეთს რუსეთისაგან.

ამ რიგად გერმანია-პოლონეთის კაპიტალი, რომელიც ეყრდნობოდა უფრო განვითარებულ და უფრო უკეთეს ტეხნიკას, ვინემ რუსეთს, ამის შემდეგ პოლონობდა რუსეთში პირველ ყოვლისა ნედლ მასალას (სელს, ბამბას, მატყლს და სხ.) და შემდეგ, რაც უმთავრესია, დიდ ბაზარს თავის პროდუქტების გასანაღდებლად. ამის გამო პოლონეთის მრეწველობა სწრაფად განვითარდა, მან მოიპოვა მაშინდელ რუსეთის იმპერიაში თითქმის უმნიშვნელოვანესი როლი. მაგრამ ამასთან პოლონეთის კაპიტალისტური მრეწველობის (საფეიქრო—ლოძის და ვარშავის რაიონები, ქვა-ნახშირის—დომბროვის რაიონი) გიგანტიურ ზრდასთან ერთად, წარმოიშვა, როგორც კაპიტალის ანტიპოდი, **პოლონეთის** მრავალ-რიცხოვანი **პროლეტარიატი**, რომელსაც აშკარა ბრძოლა უნდა გაემართა მის მყვლეფელ კაპიტალისტურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. თავის თავად იგულისხმება, რომ ამ გარემოებას უნდა გამოეწვია პოლონეთში კლასობრივი ბრძოლის განვითარება და გამწვავება. კლასობრივი ბრძოლის განვითარებას კი უნდა გამოეწვია შინაგან საზოგადოებრივ ძალთა განწყობილების შეცვლა, უნდა გამოეწვია ნაციონალიზმის თუ სხვა გახრწნა არა, მნიშვნელოვანი შესუსტება მაინც. ამგვარათ პოლონეთის ბურჟუაზია, რომელიც, როგორც ნაციონალისტური და შოვინისტური, პირველ ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებში იბრძოდა პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის, ეხლა კი ოჩვენ კლასობრივ, ჯიბის ინტერესების გამო, ემხრობა უკვე გაერთიანებას თვითმყრობელურ დესპოტიურ რუსეთთან, რომელიც სჩაგრავდა და ამეჩავებდა პოლონეთის ხალხს, ვინაიდან თვითმყრობელობის რეჟიმი იყო კაპიტალის საუკეთესო დამცველი მუშების პრეტენზიებისაგან. ამავე დროს რუსეთის ცარიზმი კიდევ უფრო ერთგული დამცველი იყო პოლონეთის მემამულეების და მიტომაც დროთა განმავლობაში პოლონეთის მემამულეების არისტოკრატია თანდათან ურიგდება რუსეთის თვითმყრობელობას. ამ რიგად პოლონეთის გაბატონებული კლასები, როგორც კაპიტალისტური ბურჟუაზია, ისე მემამულეთა არისტოკრატია, გადაჭრით გადავიდენ ცარიზმის მხარეზე, რაც არსებითად ნიშნავდა იმავე მხრით პოლონეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე უარის თქმას. მაგრამ ამ გარემოებამ სრულებითაც ვერ შეასუსტა ნაციონალისტური მისწრაფებანი პოლონეთის ხალხის სხვა კლასებში. მე ვლაპარაკობ არა მარტო წვრილ ბურჟუაზიულ, არა მარტო ინტელიგენტურ წრეებზე, არამედ მე მხედველობაში მაქვს უმთავრესად **პოლონეთის პროლეტარიატი**. მას კარგათ ახსოვდა წარსული ბრძოლა მოსკოვის მჩაგვრელების წინააღმდეგ. პოლონეთის მშრომლებისათვის რუსეთის ცარიზმის ჩაგვრის და ძალადობის უღელს ესეთი დაღი დაესვა, რომ პოლონეთის მუშები თავის უშუალო ექსპლოატატორებთან—პოლონეთ-გერმანიის კაპიტალისტურ ბურჟუაზიასთან ბრძოლის დროს, უარს ვერ იტყოდენ მთელი პოლონეთის ხალხის წმიდათა წმიდა მისწრაფებაზე, ისე იგი უცხოეთის, ამ შემთხვევაში მეფის რუსეთის უღლისგან განთავისუფლებაზე.

პოლონეთის პროლეტარიატი უკვე გასული საუკუნის სამოცდათიან წლებში იწყებს თავის **კლასობრივ** ორგანიზაციების შექმნას კაპიტალთან საბრძოლველად და ეს ორგანიზაციები იმთავითვე ატარებენ სოციალისტურ ხასიათს; ამავე დროს პოლონეთის სოციალისტების პროგრამა-მინიმუმის ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნილებას შეადგენდა პოლონეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკის დაარსება, ვინაიდან ასეთი რესპუბლიკა მათ ძლიერ გაუადვილებდა ბრძოლას სოციალისტურ წესწყობილებისათვის.

მაგრამ საინტერესოა ის, რომ ასე ფიქრობდენ არა მარტო პოლონეთის მუშები და მათი პირველი ხელმძღვანელები, არამედ ამავე აზრის იყვენ საერთაშორისო პროლეტარიატის უდიდესი ბელადები, სახელდობრ **მარქსი და ენგელსი**. ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ უყურებდენ მარქსი და ენგელსი პოლონეთის საკითხს 1848 და 1864 წლებში. მაგრამ ამავე აზრს ადგა ენგელსი შემდეგშიაც. ამას ამტკიცებს შემდეგი ფაქტი.

МУЗЕЙ РЕВОЛ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კომუნისტური მანიფესტის“ პოლონური თარგმანის ახალი გამოცემის წინასიტყვაობაში 1892 წ. ენგელსი ხაზს უსვამს, „არა მარტო პოლონელებისათვის, არამედ ყველა ჩვენთაგანისათვის, დამოუკიდებელ, ძლიერ პოლონეთის აღორძინების“ შესაძლებლობას. ეს დოკუმენტი იმდენად საინტერესოა ყოველ მხრივ, რომ მე აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია მოვიყვანო ის თუ სრულათ არა, შემოკლებით მაინც. ენგელსი ამბობს: „მანიფესტის“ ახალი პოლონური გამოცემა მიუთითებს პოლონეთის მრეწველობის მუდმივ ზრდაზე, ხოლო ასეთ ზრდას რომ ნამდვილათ ადგილი ჰქონდა უკანასკნელი გამოცემის გამოქვეყნებიდან ათი წლის განმავლობაში, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. პოლონეთის სამეფო გახდა რუსეთის სახელმწიფოს მსხვილი სამრეწველო ოლქი.

„პოლონეთის მრეწველობა თავს იყრის შედარებით მცირე სივრცეზე და სარგებლობს ამ კონცენტრაციის როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეებით. დადებითი მხარე კარგად ესმით რუსეთის ფაბრიკანტებს, რომლებიც, მიუხედავათ ყველა პოლონელების გარუსების ღრმა სურვილისა, მოითხოვენ მფარველობითი ბაჟებს პოლონელების წინააღმდეგ. უარყოფითი მხარეს პოლონეთის ფაბრიკანტები და რუსეთის მთავრობა ხედავდენ პოლონეთის მუშებს შორის სოციალისტურ იდეების სწრაფ გავრცელებაში და „მანიფესტზე“ მოთხოვნილების განუწყვეტელ ზრდაში.

„მაგრამ პოლონეთის მრეწველობის სწრაფი განვითარება, რომელიც გაცილებით აჭარბებდა რუსეთისას, წარმოადგენს თავის თავად პოლონეთის ხალხში დაუშრეტელ, სასიცოცხლო ენერგიის არსებობის ახალ დამტკიცებას და **მომავალ ნაციონალურ აღორძინების ახალ გარანტიას. ხოლო დამოუკიდებელ, ძლიერ პოლონეთის აღორძინება ისეთი საქმეა, რომელიც ძლიერ მნიშვნელოვანია არა მარტო პოლონეთისათვის, არამედ აგრეთვე თვითეულ ჩვენთაგანისათვის. ევროპის ხალხთა მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითეული ამ ხალხთაგანი იქნება თავის სახლში სრული ბატონ-პატრონი.**

1848 წ. რევოლიუციამ, რომელმაც პროლეტარიატის დროშის ქვეშ მიიყვანა პროლეტარიატის მებრძოლები იქამდე, რომ მათ ბურჟუაზიისათვის თავიანთი ხელებით გამოჭქონდათ ცეცხლიდან წაბლი; იმავე დროს ნაპოლეონის და ბისმარკის ხელით შექმნა დამოუკიდებლობა იტალიის, გერმანიის და უნგრეთისათვის, ხოლო პოლონეთი, რომელმაც 1791 წლიდან მეტი გაკეთა რევოლიუციის საქმისათვის, ვინემ სამივე ამ ხალხმა ერთად, მიტოვებული იქნა თავის ანაბარათ 1863 წ. როდესაც ის დაბეჩავებული იყო ათჯერ უფრო ძლიერ რუსეთის სახელმწიფოს მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შლიახტა"-მ ვერ შესძლო ვერც შენარჩუნება, ვერც მოპოება დამოუკიდებლობის; ბურჟუაზიისათვის ის დღითი დღე ჰკარგავს მნიშვნელობას. მისი **მოპობა შეუძლია მხოლოდ პოლონეთის ახალ გაზრდა პროლეტარიატს**, მხოლოდ მის ხელში მისი ბედი საიმედოა. ამიტომ დასავლეთ ევროპის მუშა არა ნაკლებ დაინტერესებულია პოლონეთის განთავისუფლებაში, ვინემ თვით პოლონელი პროლეტარიატი (კურსივი ყოველგან ჩემია **ფ. მ.**)

ასე ამბობდა ენგელსი. 1892 წელს. მაშასადამე, ჯერ კიდევ 1892 წ. „დამოუკიდებელ ძლიერ პოლონეთის" შექმნა იყო პოლონეთის პროლეტარიატის სავსებით რევოლიუციონური მოთხოვნილება; არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთი მოთხოვნილება, სხვათა შორის, პოლულობდა თავის დასაბუთებას იმაში, რომ რუსეთის მუშებს შორის იმ დროს რევოლიუციონური მოძრაობა ძლიერ სუსტი იყო, ძლივს მოსჩანდა, მაშინ, როცა პოლონეთში ეს მოძრაობა იზიდავდა თითქმის მთელ მუშათა კლასს. ამიტომ პოლონეთის პროლეტარიატს საკმაო საბუთი ჰქონდა დიდი იმედი არ დაემყარებია რუსეთის მუშებზე თავის განმათავისუფლებელ ბრძოლაში მჩაგვრელების და მოძალადეების წინააღმდეგ. ასეთივე აზრია გატარებული ზემოდ მოყვანილ ფრ. ენგელსის სიტყვებშიც.

რასაკვირველია, შემდეგში, როდესაც რუსეთის მუშათა კლასი ჩაერია რევოლიუციონურ მოძრაობაში, როდესაც მან მთელ რიგ პოლიტიკურ აჯანყებით მთელი მსოფლიოს წინაშე დაამტკიცა, რომ მას შეუძლია არა მარტო ბრძოლა მეფის თვითმყრობელობის წინააღმდეგ, არამედ მას შესწევს უნარი და ძალა სოციალისტური წესწყობილების მოპოებისათვის, პოლონეთის პროლეტარიატის უმიდეობას რუსეთის მუშებისადმი თანდათანობით ადგილი უნდა დაეთმო იმ რწმენისთვის, რომ მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვება მის მტრებზე შეიძლება მხოლოდ რუსეთის, პოლონეთის, ფინეთის, უკრაინის და სხვა ეროვნებათა მუშების სოლიდარობის გზით, და პოლონეთის პროლეტარიატის უფრო შეგნებული ნაწილი ძალიან ჩქარა რწმუნდება იმაში, რომ მის ყველაზე უფრო საიმედო მოკავშირეს დიად განმათავისუფლებელ ბრძოლაში წარმოადგენს სწორედ რუსეთის მუშათა კლასი. მაგრამ მეორეს მხრივ ჩვენ ვიცით, რომ ნაციონალიზმი პოლონეთის მუშებ შორის საკმაოდ ფეხმოკიდებულია ეხლაც. ეს გარემოება აქვს სახეში, სხვათა შორის, ამბ. **ა ვარსკისაც „კომუნისტურ ინტერნაციონალში"** (№ 23, წერილი „პარტიულ საკითხებზე"). აქ სხვათა შორის ეკითხულობთ: **„პოლონეთში მუშათა მოძრაობაში ნაციონალიზმთან ბრძოლა წარმოადგენდა ... ა წარმოადგენს რევოლიუციონური სოციალიზმის ოპორტიუნიზმთან და** რევიზიონიზმთან ბრძოლის უმთავრეს ფორმას. ყველა ქვეყანაში ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა ეწყობოდა პრაქტიკულად სხვა გვარად. პოლონეთში რევ-ზიონიზმის პრაქტიკული გამოხატულება იყო ნაციონალიზმი, რომელიც იწვევდა ბურჟუაზიასთან შეთანხმებას და მასთან თანამშრომლობას. და პირიქით,—ნაციონალიზმთან ბრძოლას მივყავდით აუცილებლად სოციალური რევოლიუციის ბანაკში" (კურსივი ჩემია **ფ. მ.**).

თავის თავად ცხადია, რომ ჰილსუდსკის და დაშინსკის ეპოქაში, როდესაც „პე-პე-ეს" (P. P. S) საბოლოოდ გადაგვარდა და გადიბარგა შოვინისტური ბურჟუაზის ბანაკში, ამბ. ვარსკი სავსებით მართალია, როდესაც ის ამბობს, რომ „პოლონეთში მუშათა მოძრაობაში ნაციონალიზმთან ბრძოლა ყოველთვის წარმოადგენდა რევოლიუციონური სოციალიზმის ოპორტიუნიზმთან და რევიზიონიზმთან ბრძოლის უმთავრეს ფორმას",-მაგრამ ეს აზრი არ არის სწორი პოლონეთის მუშათა მოძრაობის პირველ საფეხურის შესახებ, იმ საფეხურის რომელიც, სხვათა შორის, მხედველობაში ქონდა ფრ. ენგელსს, როცა ზემოდ მოყვანილ სიტყვებს წერდა. დიახ, პოლონეთის მუშათა მოძრაობას აქვს ბრწყინვალე წარსული. ამის უარყოფა არავის არ შეუძლია. ჯერ კიდევ 1884 წელს პირველად გამოქვეყნდა პოლონეთის სოციალისტური პარტიის „პროლეტარიატი"-ს პროგრამა. ამ პარტიას უკვე იმ დროს მოეპოებოდა ძლიერი ორგანიზაცია პოლონეთის მუშებს შორის. 1889 წ. „პროლეტარიატის" პარტიამ დასდო ხელშეკრულება **„სახალხო თავისუფლების"** პარტიის **ამმასრულებელ კომიტეტთან**. ამ ხელშეკრულების ძალით, პოლონეთის პარტია იტოვებდა „სრულ დამოუკიდებლობას და პასუხისმგებლობას პოლონეთში თავისი პარტიის ყველა საქმეების წარმოებაში და უკავშირდებოდა, როგორც დამხმარე საკავშირო კორპუსი, რუსეთის რევოლიუციონერების ძალებს, კერძო ამოცანის—რუსეთის თვითმყრობელობის დამხობის სისრულეში მოყვანის მიზნით. „პროლეტარიატის" ორგანიზაცია 1884—85 წლებში განადგურებული იქნა; 1885 წ. ვარშავაში მოხდა „პროლეტარიატის" 28 წევრის გასამართლება, რომელთაგან ოთხი: ბარდოვსკი, ოსსოვსკი, ჰუნიცკი და პეტრუსინსკი დასაჯეს სიკვდილით 1886 წელს, ხოლო დანარჩენები გაგზავნეს კატორღაში. [1]) მაგრამ მიუხედავად ამ განადგურებისა, პარტია კიდევ განაგრძობდა არსებობას და აწყობდა მუშათა გაფიცვებს. ერთ ერთი გრანდიოზული გაფიცვა იყო მოწყობილი 1892 წელს ლოძში პირველ მაისს, ამ გაფიცვაში მონაწილეობას ღებულობდა დაახლოვებით ასი ათასამდე მუშა. „პროლეტარიატი" უსათუოდ იდგა კლასობრივ ნიადაგზე (მის მთავარ ორგანოს, რომელიც გამოდიოდა საზღვარ-გარეთ, ეწოდებოდა **„კლასთა ბრძოლა"** —Walka klas). ის სთარგმნიდა და ავრცელებდა მუშებში მარქსისტულ

[1]) იხ. ა. ტუნი. История революционных движении в России პეტრ. 1920 წ. გვ. 243-44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურას — როგორც მაგ. „კომუნისტურ მანიფესტს“, „ფულ-რავებული შრომა და კაპიტალი“, „სიტყვა ვაჭრობის თავისუფლების შესახებ“ და მარქს—ენგელსის სხვა წვრილ ნაწერებს. მაგრამ არ შეიძ-ლება ითქვას, რომ „პროლეტარიატის“ პარტია იყო სავსებით მარქ-სისტული ანუ, როგორც ჩვენ ეხლა ვლაპარაკობთ კომუნისტური პარ-ტია. მეორეს მხრივ იმ პერიოდში, რომელსაც მე ეხლა ვეხები, პოლ-ონეთში არ იყო ისეთი პარტია, როგორც მაგალითად გერმანიის სო-ციალ-დემოკრატია. თუმცაღა იყო ტენდენცია ასეთი ორგანიზაციის შექმნისათვის. არსებობდა პატარა ჯგუფი ანუ წრე, რომელიც 1890—95 წ. სცემდა ვარშავაში ლეგალურ ორგანოს „**პრავდას**“, ლეგალურ მარ-ქსისტულ ჟურნალის სახით, მაგრამ იმ დროს ამ ცდას ნაყოფი არ ჰქონდა. ამ რიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ პოლონეთის მუშათა მოძრაობა ვითარდება თითქმის დამოუკიდებლად რუსეთის მუშათა მოძრაობი-საგან; მას კავშირი ჰქონდა დასავლეთ ევროპის სოციალისტურ მოძ-რაობასთან, მით უმეტეს, რომ პოლონეთის სამივე ნაწილებს (რუსე-თის, ავსტრიის და პრუსიის), მიუხედავად საზღვრების „კორდონებისა“, მჭიდრო დამოკიდებულება ქონდათ ურთიერთ შორის. ამავე დროს ავსტრიის პოლონეთი იმყოფებოდა შედარებით უფრო ლიბერალურ პირობებში, ადვილად აწვდიდა რუსეთის პოლონეთს რევოლიუციო-ნურ და სოციალისტურ ლიტერატურას პოლონურ ენაზე.

III

მარქსისტების რიგებში.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისი ითვ-ლება გადახრის ხანათ მთელი ყოფილი რუსეთის იმპერიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ამ დროიდან იწყება არა მარტო შეკრება მუშების ცალკე დაქსაქსულ ჯგუფების და წრეებისა უფრო მწყობრ და ჩამოყალიბებულ ორგანიზაციებათ, არამედ, რაც კიდევ უფრო შესანიშნავია, ყველა ეს ცალკე არსებული ჯგუფები და წრეები რუსე-თის მოწინავე მუშებისა ახრებიან მეცნიერულ სოციალიზმისაკენ ანუ რევოლიუციონურ მარქსიზმისაკენ. მაგრამ უფრო ძლიერი ამ მიმარ-თულების ცოტათ თუ ბევრათ ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ იყო, როგორც ამაზე განაცხადა. ჯერ კიდევ 1893 წელს რუსეთში მეცნიე-რული სოციალიზმის დამაარსებელმა გ. ვ. პლეხანოვმა [1]). ეს რასაკვირ-

[1]) თავის წერილში პოლონელ ამხანაგების მიმართ, პლეხანოვი, სხვათა შორის, სწერდა: „რუსეთში საერთოდ და არა თუ მარტო სოციალ-დემოკრატებში, „ჯერ კიდევ არაა ძლიერი რევოლიუციონური ორგანიზაცია. რუსეთში არიან ისეთი პირები, რომლებიც უკვე გადავიდნენ მეცნიერული სოციალიზმის თვალთახედვის წერტილზე, მაგრამ „რომლებიც კიდევ ვერ ბედავენ აღიარონ თავისი თავი სოციალ-დემოკრატებათო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველია არ ეხებოდა პოლონეთს, სადაც იმ დროს არსებობდა არა მარტო ძლიერი მოძრაობა მუშებისა, არამედ, აგრეთვე არსებობდა ძლიერი რევოლიუციონური მუშათა პარტია „პროლეტარიატი"-ს სახით.

1891 წელს, როდესაც მე მომიხდა ცხოვრება ვარშავაში, რა თქმა უნდა, ყველა ამაზე მე სრულიად არაფერი ვიცოდი. მე არ ვიცოდი არსებობა საზღვარ გარეთელ ორგანიზაციის „შრომის განთავისუფლების ჯგუფისა" ან და არც ცალკე სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფების და წრეების, რომლებიც არსებობდნენ რუსეთის ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვან ცენტრებში და ბოლოს—არც პოლონეთში მუშათა ძლიერი მოძრაობის არსებობა.

ვარშავაში, როგორც მთელ პოლონეთში, ძლიერ რთული პირობები იყო. იქაურ პირობების შეთვისება ახალ მოსულ პიროვნებისათვის და ისიც მოსულისათვის ისეთ ჩამორჩენილ მხარედან, როგორიც იყო მაშინ მთელი კავკასია და კერძოთ ამიერ-კავკასია, იყო ძალიან ძნელი. ერთის მხრივ ძლიერი პატრიოტული მოძრაობა პოლონეთის ხალხში, რომელიც ორკეცდებოდა სამინელი ნაციონალური და ხშირათ მხეცური სიძულვილით პოლონელებსა და რუსებს (ანუ „მასკალებს" როგორც რუსებს ეძახოდნენ იქ) შორის, მეორე მხრივ, პოლონეთის პროლეტარიატის სოციალისტური მოძრაობა შექმნილ ისტორიულ პირობების გამო გაჟღენთილი იყო ნაციონალისტური მისწრაფებით.

პარტიული მოძრაობა და რუსებ-პოლონელებს შორის ანტაგონიზმი მე შორს მტყორცნიდა პოლონელთაგან, მეორე მხრივ, პოლონეთის მუშათა კლასის სოციალისტური მოძრაობა იყო ჩვენთვის მიუწდომელი, კონსპირაციის გამო, რომელიც უფრო გაძლიერდა დარბევის შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა რამოდენიმე წლების წინ. ამ მოპყრობასთან დაახლოვების საშვალების პოვნა უცხო პიროვნებისათვის, როგორც ვიყავი მაშინ მე, შეუძლებელი იყო ფიზიკურათ. ჩემს გარეშემო ვერ ვნახე კაცი, რომელსაც შესძლებოდა, არამც თუ შეყვანა „პროლეტარიატი"-ს პარტიის ორგანიზაციაში არამედ თვით ამ მოძრაობის გაცნობაც.

ამავე დროს ინსტიტუტში, სადაც მე მივისწრაფოდი, სამეცნიერო მეცადინეობა თუმცაღა იყო საინტერესო, მაგრამ მე მაინც ვერ მაკმაყოფილებდა, და პირიქით, ეგ მაცადინეობა მეორე ხარისხოვანი უნდა გამხდარიყო ჩემთვის, რაც მალე მოხდა.

როგორც ზემოთ ვსთქვი, საზოგადოთ პოლონელებთან და უფრო პოლონელ სტუდენტებთან დაახლოვება და ცოტათ თუ ბევრათ მჭიდრო კავშირის დაჭერა ძალიან ძნელი იყო, მაგრამ სტუდენტთა შორის, რომლებიც უმთავრესათ იყო პოლონელები, იყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე რუსებიც და ებრაელებიც. მართალია, ეს ელემენტები, უმთავრესათ რუსები, უმეტეს შემთხვევაში არაფერი გამოსადეგი იყვნენ, რადგანაც წარმოადგენდნენ რეაქციონერებს ან აშკარა შავრაზმელებს. მაგრამ, მიუხედავათ ამისა რუს და ებრაელ სტუდენტთა შორის ვარშავაში მოიპოვებოდნენ, თუმცაღა გამონაკლისის სახით, ჯანსაღი ელემენტებიც. ვამბობ, ისინი იყვნენ ძალიან ცოტა, მაგრამ მაინც იყვნენ. ჩვენ, ე. ი. მე და ჩემთან ერთად საქართველოდან ვარშავაში ჩამოსული ჟორდანია, მიქაძე და მირიანაშვილი, მალე გავეცანით ზოგიერთ სტუდენტებს. სწორედ ამ უკანასკნელ კატეგორიიდან მე დღემდინ კარგად მახსოვს გვარები ყველა ამ პირების, თუმცაღა მას შემდეგ გავიდა 30 წელი და ამ ხნის განმავლობაში აღარ მქონია მაშასადამე შემთხვევა მენახა ისინი [1]. დავასახელებ აქ მათ გვარებს: **შუმოვი, რუნკევიჩი, ლიუბომსკი, ცვეტკოვი, ნევსკი, ანტოკოლსკი, პესკინი და ვიტკინდები** (და-ძმა).

მარქსიზმის შესწავლის წრე

როდესაც მათ გაიგეს, რომ ჩვენი უმთავრესი მიზანია შესწავლა სოციალიზმისა და გაცნობა სოციალისტურ მოძრაობისა, მათ გვითხრეს, რომ ამისათვის საჭიროა ყველაზე უწინ გაცნობა **პოლიტიკური ეკონომიასთან კ. მარქსის თეორიის სახით.** შემდეგ ჩვენ გავიგეთ იმათაგან, რომ ისინი თავს უწოდებენ **სოციალ-დემოკრატებს** ანუ „**შრომის განთავისუფლების ჯგუფის**“ მიმდევრებს, რომლის მეთაური იყო **პლეხანოვი.** ისიც გავიგეთ, რომ არსებობს, სხვათა შორის, გერმანიაში, მეტათ ძლიერი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომელსაც თავისი წარმომადგენლები ყავს გერმანიის რეიხსტაგში და სხვა. ყველა ეს იყო ჩვენთვის სრულიად **ახალი ამბავი, თითქმის აღმოჩენა,** რომელიც ყირამალა აყენებდა ყველა წარმოდგენებს და ყველა ჩვენს ისედაც ბუნდოვან და უაღრესათ დაბნეულ მსოფლმხედველობას. მე მიკვირდა, როგორ გამოგვეპარა ყოველივე ეს აქამდის, რატომ ვერ შევსძელითთ მიგვექცია ყურადღება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობისათვის, მარქსის და ენგელსის მოძღვრებისათვის, პოლიტიკური ეკონომიის შესწავლისათვის და სხვ. სხვათა შორის აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემობა: თითქმის რუსეთის ლიბერალურ პრესაში (განსაკუთრებით გაზ. „რუსეთის უწყებებში“) შეიძლებოდა ამოკრეფა საკმაო ცნობების იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ავსტრიის და განსაკუთრებით კი გერმანიის სოციალ დემოკრა-

[1]. მხოლოთ სრულიად მოულოდნელად, შემთხვევით შევხვდი ერთი იმათგანს, ამბ ანტ კოლსკის, რომელსაც მე დავშორდი დაპატიმრების წინ 1893 წლის დასაწყისში და რომელიც რაღაც სასწაულით რამოდენიმე საათით ეიხილა ელდიკაკეში, 1918 წელს ის იყო ბოლშევიკი, ამის შემდე მასზე არაფერი ეიცე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიულ პარტიებში, რომლებიც ახალი გამოსული იყო არალეგალურ მდგომარეობიდან. ყველა ამასთან მე და ჩემს ამხანაგებს გვიხდებოდა პირველი გაცნობა, და თავის თავად იგულისხმება თუ როგორი გულმოდგინებით მოვეკიდეთ ყველა ამას. წინასწარ ვიტყვი რამდენიმე სიტყვას ზემოხსენებულ პირების დასახასიათებლათ, რომლებმაც, შეიძლება ასე ვთქვათ, პირველათ აგვიხილეს ჩვენ თვალები გარშემორტყმული სინამდვილის დასანახათ. უწინარეს ყოვლისა ყველა ისინი იყვნენ ვარშავაში მოსული ელემენტები, უმეტესი მათგანი ვილნოდან და ამისათვის უმეტეს შემთხვევაში იმათ ყავდათ ნაცნობთა ძლიერ განსაზღვრული წრე, [1]) ამიტომაც პოლონეთის პროლეტარიატისათვის ისინი უცხო ელემენტები იყვნენ.

ეს იყო უარყოფითი მხარე. შემდეგ მათ შორის იყვნენ ისეთი პირები, რომლებსაც ჰქონდათ უკვე შედარებით დიდი რევოლიუციონური სტაჟი და ბრძოლის ისტორია; მაგ. შუმოვი და რუნკევიჩი, უფრო უკანასკნელი, რომელსაც ამისათვის ჩვენ ვეძახდით „რევოლიუციის გენერალს“. რაც შეეხება დანარჩენებს, უმეტეს შემთხვევაში ისინი მარქსიზმში ჩვენსავით ეოკვეოდენ.

ამ გაცნობის შემდეგ, ყველა ჩვენს წინაშე ბუნებრივათ დაისვა საკითხი **მუდმივი წრის** დაარსების შესახებ, რათა შეგვესწავლა მარქსიზმი გარკვეული გეგმით, ასეთი წრე ჩქარა კიდეც დავაარსეთ. მე არ შემიძლია გარკვევით დავასახელო თუ რიცხვით როდის დავაარსეთ წრე. დაახლოვებით, შეიძლება ითქვას, რომ ეგ იყო 1991 წლ. ნოემბერში თუ დეკემბერში. წრეში იყვნენ: პესკინი, ანტოკოლსკი, ვიტკინდი (ძმა), ლიუბიმსკი, ცვეტკოვი, ნევსკი და ოთხი ჩვენ: მე, ჟორდანია, მიქაძე და მირიანაშვილი, ამ უკანასკნელმა მალე დაანება თავი; ჟორდანია რამოდენიმე თვის შემდეგ, 1892 წ. ზაფხულის დასაწყისში გამოემგზავრა სამშობლოში.

მიქაძემ მიაღწია ჩვენი ჯგუფის მთლათ განადგურებამდინ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1893 წ. აპრილში, რომლის შემდეგ ის, ისე როგორც მირიანაშვილი, სრულიად ჩამოშორდა როგორც სოციალიზმს, ისე მუშათა კლასს საზოგადოთ. ჯგუფის სხვა წევრებიდან პესკინი 1892 წელს გაიქცა საზღვარ გარეთ; ვიტკინდი კი დაპატიმრებულ იქმნა ჯერ კიდევ წრის საბოლოოდ განადგურებამდე. ასევე გავიდნენ წრიდან წინასწარ ცვეტკოვი და ნევსკი. რაც შეეხება რუნკევიჩს და შუმოვს, ისინი წრეში არ შემოდიოდნენ, მაგრამ გარედან ხელმძღვანელობდნენ მას. წრე იკრიბებოდა სისტემატიურათ კვირაში ორჯერ. მეცადინეობა სწარმოებდა ძალიან ბეჯითათ. ჩვენ დავიწყეთ მარქსიზმის შესწავლა კაუცკის ბროშურით: „მარქსის ეკო-

[1]) მხოლოთ რუნკევიჩს და შუმოვს როგორც ძველ სტუდენტებს ყავდათ ჩემთან შედარებით ნაცნობები პოლონელებში, რომლებიც დიდ პატივს სცემდენ მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომიური მოძღვრება“, რომელიც ჩვენ ვგეკონდა მხოლოდ ხელნაწერი და რომელშიაც შემოკლებით იყო მოთავსებული მარქსის „კაპიტალი“-ს პირველი ტომის შინაარსი. იმავე დახმარებას გვიწევდა ჩვენ **ხვიდერსკის** ბროშურა პოლიტიკურ ეკონომიაზე, რომელიც მაშინ ლეგალურად იყო გამოცემული პოლონურ ენაზე და შემდეგ გადათარგმნილი რუსულად.

მარქსიზმის საფუძველებთან ასეთი წინასწარი გაცნობის შემდეგ ჩვენ შევუდექით მარქსის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ნაწარმოების შესწავლას, სახელდობრ „კაპიტალი“-ს პირველ ტომს, რომელშიაც ყველაზე უფრო რთულია პირველი თავი, რომლის დაძლევა ჩვენ შევსძელით დიდი ენერგიის დახარჯვით. ამასთან ერთდროულად, ცოტა თუ ბევრად თითქმის უფრო ადრე ჩვენ შევისწავლეთ ფრ. ენგელსის „**ანტი-დიურინგის**“ ერთი თავი, „**უტოპიიდან მეცნიერულ სოციალიზმისაკენ**“, რამაც ძლიერ გაგვიადვილა **ისტორიის მატერიალისტურად გაგების** გარკვევა. იმავე დროს დიდი სიამოვნება გვაგრძნობინა ჩვენ **მარქსის და ენგელსის** „კომუნისტური პარტიის მანიფესტმა“. ეს შეიძლება ითქვას, არის კომუნიზმის ნამდვილი სახარება, თუმცალა, უნდა ვაღიაროთ, რომ უკანასკნელი თავები და სახელდობრ მესამე თავიდან დაწყებული ჩემთვის მაშინ დარჩა მიუწდომელი, რადგანაც ამისათვის საჭირო იყო ცოტათ თუ ბევრად ახლო გაცნობა მაშინდელ გერმანიაში არსებულ ფილოსოფიურ და სოციალისტურ მოძღვრებისა, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენ მაშინ გვაკლდა. მიუხედავად ამისა „**კომუნისტური მანიფესტი**“ **ს** შესწავლამ ითამაშა გადამჭრელი როლი ჩემი მსოფლმხედველობის საბოლოოთ განმტკიცებაში. როგორც საზოგადოთ მარქსიზმის შეთვისებაში აგრეთვე, განსაკუთრებით რუსეთის სოციალისტურ პარტიების გაცნობაში ძვირფასი ღვაწლი მიუძღვის ჩვენთვის პლეხანოვის ნაწარმოებებს და განსაკუთრებით „**სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა**“ და „**ჩვენი უთანხმოება**“. ეს უკანასკნელი ნაწარმოები მოხერხებულად და ბრწყინვალედ ააწარავებდა რუსეთის სინამდვილეს. ამ წიგნს მრავალჯერ გადვიკითხავდი, ამან მომცა საშუალება საბოლოოთ გამერკვია თავისთვის როლი და მნიშვნელობა რუსეთის ცნობილი **თემის** (**община**), აგრეთვე როლი და მნიშვნელობა რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში მუშათა კლასის ყველა იმ სოციალისტურ („ნაროდნიკების“) პარტიების, რომლებიც ყველა თავის იმედებს ამყარებდენ თითქმის მარტო ამ თემის არსებობაზე.

წრის ასეთ ცხოველ მეცადინეობაში, ჩქარა გადიოდნენ დღეები, კვირეები, თვეები. თვით რუსეთში ამ დროს მძვინვარებდა საშიშარი სიმშილი 1891 წლის მოუსავლობის გამო. ყველა ამას, რათქმა უნდა, უმალავდენ საზოგადოებას, პრესას, მაგრამ, მაინც რაღაც ყრუ ხმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის ამ უბედურებაზე იპარებოდნენ პოლონეთის პრესაში, აქა-იქ. ამ უბედურების მთელ სიმძიმეს ჩვენ მაშინ ვერ ვგრძნობდით, ძალიან შორს ვიყავით ჩვენ მაშინ ყველა ამაებიდან. მაგრამ ჩვენ გაფაცებით ვადევნებდით თვალ-ყურს ცხოვრებას და განსაკუთრებით მოღვაწეობას **გერმანეთის სოციალ-დემოკრატიისას**, რომელმაც თავისუფლათ ამოისუნთქა სოციალისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონების მოსპობის შემდეგ. ეს პარტია, რომელიც დიდ ხანს წარმოადგენდა ნიმუშს და მაგალითს ყველა ქვეყნის სოციალისტურ პარტიებისათვის, თითქმის ჩვენს თვალის წინ იზრდებოდა, ძლიერდებოდა და აღწევდა დიდ წარმატებას და უმორჩილებდა თავის გავლენას მუშების უფრო და უფრო მეტ რიცხვს. ჩვენ აღტაცებაში მოვყავდით უმთავრესათ გერმანეთის პროლეტარიატის ბელადების გამოსვლებს (ბებელის, ლიბკნეხტის და სხვ.) გერმანიის რეიხსტაგში, სადაც ისინი აშკარათ და გაბედულათ ეწინააღმდეგებოდნენ ყველა ჯურის რეაქციონერებს, დაწყებული კლერიკალებიდან და გათავებული პროგრესისტებით, მზგავსათ **ევგენი რიხტერისა**.

გერმანიის სოციალ-დემოკრ. მოღვაწეობა, რომელსაც თვალყურს ვადევნებდით გაზეთებით (მხოლოთ და მარტოთ მოსკოვის გაზეთებით „რუსეთის უწყებები"-თ), წარმოადგენდა თითქოს დამატებას ყველა ამისას, რასაც ჩვენ ვითვისებდით თეორიულათ. ეს იყო თითქოს შემოწმება პრაქტიკაში ჩვენნ თეორიული განვითარების და ცოდნის. საქმე იმაშია, რომ სანამ ჩვენ ვიყავით შორს ნამდვილ პრაქტიკისაგან, ე. ი. მუშებისაგან ჩვენ მხოლოდ ვემზადებოდით, რომ სულ ახლო ხანში გავმხდარიყავით მათი ორგანიზატორები და ხელმძღვანელები, პროპაგანდისტები და აგიტატორები.

ასეთი იყო იმ დროს საკითხის დაყენება არა მარტო ჩვენს ვიწრო წრეში ვარშავაში, არამედ აგრეთვე მთელ დანარჩენ რუსეთშიაც, სადაც კი მოიპოებოდა ასეთი სოციალ-დემოკრატიული წრეები. და ეს აუცილებელიც იყო, ვინაიდან, როგორც ჩვენი პარტიის ისტორიკოსი, ამბ. ბატურინი ამბობს: „მომზადებულ მუშა სოციალ-დემოკრატების რიცხვი ჯერ უმნიშვნელო და შეუმჩნეველი იყო ბნელი მასების ზღვაში. ცხადია, რომ წრეებში პროპაგანდის პერიოდში სოციალ-დემოკრატია სდგას განზე მუშათა მოძრაობისაგან" [1]).

ჩვენი უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ თუმცაღა ჩვენ ვცხოვრობდით მუშათა ბოძრაობის ცენტრში, მუშებთან დაახლოვება კიდევ ვერ შეესძელით, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ მზად ვიყავით ყოველგვარი მსხვერპლის გაღებისათის, მხოლოდ კი მოგვეტანა მათ-

[1]) იხ. ბატურინი, ნარკვევები რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიიდან. ქართ. თარგ. გვ. 71—2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის რაიმე სარგებლობა. მაგრამ ეს ჯერ ფიზიკურად შეუძლებელი იყო ჩვენთვის. ამავე დროს გადიოდა 1892 წელი. ინსტიტუტში მეცადინეობა მივიწყებული მქონდა. მე უკვე არ დავდიოდი ლექციებზე და პრაქტიკული მეცადინეობაზე, გამოცდების დრო ახლოვდებოდა ეხლა იყო საჭირო ძალების დაჭიმვა, რომ არ დავრჩენილიყავი, მაგრამ ეს ასე ადვილი საქმე არ იყო, ვინაიდან ის მეთოდი, რომელსაც მე ვიყენებდი სემინარიაში—გამოცდების წინ ყველაფერის გაზეპირება სახელმძღვანელოებში,—აქ უკვე არ შემეძლო გამომეყენებია. მაგრამ როგორც იყო დიდი ვაი-ვაგლახით, გადავედი. გადავწყვიტე საზაფხულო არდადეგებზე დავრჩენილიყავი ვარშავაში *) და გამომეყენებია ეს დრო ადგილობრივ პირობების უფრო გასაცნობათ. ამავე დროს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით იძულებული ვიყავი ამეღო კერძო გაკვეთილები, რისთვისაც მაშინ ძლიერ მცირე გასამჯელოს იძლეოდენ.

სწორედ ამ დროს მომიხდა პირველად კონსპირატიული კავშირის დაჭერა მუშებთან და ისიც არა ნამდვილ ფაბრიკის მუშებთან, არამედ ნახევრად პროლეტარებთან—ებრაელ ხელოსნებთან. ისინი სამნი იყვნენ: მხოლოდ ამავე დროს არც მე და არც ერთმა მათგანმა ერთი მეორის ნამდვილი გვარი არ ვიცოდით, ერთგვარი პაროლით მივდიოდი მე მათ სახლში, ვამაცა

ინებდი ვბრუნდებოდი უკან და მოვდიოდი. პირველად მე მათთან გავდიოდი რუსულ ენას და ანგარიშს, მხოლოდ შემდეგ პოლიტიკურ ეკონომიის ანბანს კუაცკის ან სვიდერსკის წიგნით. ეს მეცადინეობა გაგრძელდა 3—4 თვე, რის შემდეგ კავშირი ამ ჯგუფთან შეწყდა.

IV

არალეგალური ლიტერატურ-ს გავრცელება.

1892 წ. შემოდგომაზე, სამოსწავლო წლის დაწყებიდან ჩვენმა წრემ, თავის ჩვეულებრივ მეცადინეობის გარდა გადაატანა თავისი მოღვაწეობა სხვა მხარეზე ე. ი. დაიწყო ცოტათი თავისი მოღვაწეობის გაფართოვება. საქმე იმაშია, რომ რაიმე ჩამოყალიბებული და მით უმეტეს მოწესრიგებული ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლებოდა უცხოეთიდან შემოეტანა რუსეთში სოციალისტური ლიტერატურა, კერძოთ „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ გამოცემანი, ჯერ კიდევ არ მოიპოვებოდა. რასაკვირველია ამხანაგების ცალკე ჯგუფები და აგრეთვე ცალკე პირები ეწეოდენ ამ საქმეს; მე ვიცოდი, რომ ზემოდ დასახელებული რუნკოვიჩი და შუმოვი ხშირად აწყობდენ ვარშავის საშუალებით რუსეთში არალეგალურ ლიტერატურის შემოტა-

*) ჩვენ ოთხს შორის მხოლოდ ყორდანია გავიგზავნენ სამშობლოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნას. უნდა ითქვას, რომ ვარშავა მართლაც ისეთ ცენტრალურ და ძლიერ ხელსაყრელ პუნქტს წარმოადგენდა ამ მხრივ, რომ სწორედ მისი საშუალებით უნდა მომხდარიყო არალეგალურ ლიტერატურის შემოტანა რუსეთის სხვა და სხვა ადგილებში. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ჩვენი წრე თანდათან ჩაება ამ საქმეში. მაგრამ, ცხადია, წრე, როგორც ასეთი სპეციალურად, ამ საქმით არ იყო გართული. განსაკუთრებით პირველ ხანებში, ის მხოლოდ ხელს უწყობდა მას.

მე მახსოვს, რომ ჩვენი წრის წევრებიდან ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგა ამხ. პესკინმა. იგი იყო ძლიერ მოხერხებული ახალგაზრდა. იგი გადაიარდა საზღვარს ავსტრიის ან პრუსიის რომელიმე ჰატარა ქალაქიდან და ბრუნდებოდა უკვე დატვირთული ლიტერატურით; ზოგიერთ შემთხვევაში ეს ხდებოდა ამისათვის საგანგებოდ გაკეთებულ ჩემოდანის საშუალებით. მაგრამ ეს იყო წვეთი ზღვაში.

ამ საშუალებით, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო სტიქიურად წარმოშობილ მუშათა მოძრაობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ მაინც ამასაც მნიშვნელობა ჰქონდა. სამწუხაროდ პესკინი უცხოეთში ერთ-ერთ ასეთ მოგზაურობის დროს სადღაც ავსტრიის საზღვარზე შეპყრობილ იქნა, როგორც ეძახიან დანაშაულის ადგილზე, რუსეთის ჟანდარმერიის მიერ, მაგრამ მოახერხა თავის დაღწევა და გაიქცა უცხოეთში. მასში ჩვენ დავკარგეთ სამუდამოდ გამოცდილი და საქმიანი ამხანაგი.

ამის შემდეგ ვალდებულებანი და ზრუნვა არალეგალური ლიტერატურის ტრანსპორტისათვის, როგორლაც თავისთავად, სტიქიურად დაგვეკისრა მე და ანტოკოლსკის. მე თავის თავს სრულიად გამოუცდელად ვსთვლიდი ამ საქმეში. მაგრამ აქ ჩემი მონაწილეობა აუკილებელი იყო. რაც შეეხება ანტოკოლსკის, მე იგი მომაჩნდა უფრო გამოცდილად და ამ საქმისათვის უფრო გამოსადეგად. სამწუხაროდ ეს ასეარ გამართლდა. უცხოეთის არალეგალურ ლიტერატურის გასავრცელებლად გაბმული იყო კავშირი ხარკოვთან, ვილნოსთან და სხვა ქალაქებთან. ამასთან ერთად მე გადავსდგი ნაბიჯები ამ ლიტერატურის ტფილისში გასაგზავნად. მე კიდეც მოვასწარი იქ ცოტაოდენი ლიტერატურა გადამეგზავნა 1892 წ. ბოლოს.

მაგრამ მე განზრახული მქონდა გამეგზავნა ტფილისში გაცილებით უფრო მეტი, ხოლო ამისათვის მე ვსთხოვე ტფილისელებს მოეწყოდებათ ჩემთვის საშუალება ამ მიზნისათვის. მართლაც ტფილისიდან ფული გამოგზავნეს და ამის შესახებ მე მივიღე ცნობა დაუკოწყარ **ეგნატე ინგოროყვასაგან**, მაგრამ ამ ფულების მიღება მე არ დამცალდა, ვინაიდან მე იმავე დღეს დამაპატიმრეს. სანამ მე გადავიდოდე ჩემი მომხილვის საბოლოო ნაწილზე, მე მინდა აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევჩერდე რამოდენიმე ფაქტებზე ჩემი ცხოვრების ვარშავის პერიოდიდან.

არჩილ ჯორჯაძის წრე ვარშავაში.

პირველ ყოვლისა მე მსურს რამოდენიმე სიტყვა ვსთქვა აქ კიდევ ერთი „წრის“ შესახებ, რომელიც ჩემი იქ ყოფნის დროს წარმოიშვა ვარშავაში.

ამ წრეში შედიოდნენ მხოლოდ ქართველი სტუდენტები და მას ქონდა წმინდა პატრიოტულ ნაციონალისტური ხასიათი 1891 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტიდან ქ. ვარშავაში გადმოვიდა **არჩილ ჯორჯაძე**—შემდეგში საქართველოს სოციალსტ-ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი. უკანასკნელმა პატრიოტულად განწყობილ ქართველ სტუდენტებს, რომელთა შორის იყვნენ სხვათა შორის **შ. დედაბრიშვილი** (არაგვისპირელი) **ნ. შენგელია** და სხვა, გაუღვიძა აზრი ფარულ საზოგადოების, „საქართველოს ლიგა-ს სახელწოდებით დაარსების შესახებ, რომლის მიზანი უნდა ყოფილიყო არც მეტი არც ნაკლები—საქართველოს განთავისუფლება დესპოტიური რუსეთის უღლისაგან.

შემუშავებული და დამტკიცებული იყო წესდება ამ საზოგადოების, რომელსაც განყოფილებები უნდა ჰქონოდა არა მარტო საქართველოში, არამედ აგრეთვე რუსეთის ყველა-საუნივერსიტეტო ქალაქებში. რამდენად მე ვიცი, ეს წესდება დაიგზავნა მრავალ ქალაქებში, მაგრამ ის მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და არსად და არავინ არ ფიქრობდა ასეთი საზოგადოების დაარსებაზე. ჩვენი მარქსისტული წრე, ცხადია, აწკარა წინააღმდეგი იყო როგორც ასეთი „ლიგის“ ისე ყველა ამდაგვარ უნიადაგო ცდებისა. მაგრამ, ერთი კურიოზული შედეგი მაინც მოჰყვა ამ „ცდას“. ჩვენი წრის წევრების დაპატიმრების დროს 1893 წ. აპრილში, ერთ მათგანს (მირიანაშვილს) სრულიად შემთხვევით აღმოაჩნდა არქივი, რომელშიაც მოიპოვებოდა ფარულ საზოგადოება „ლიგის“ ყველა ქაღალდები და დოკუმენტები. ყველა ეს დოკუმენტები დაწერილი იყო ქართულ ენაზე, რომელიც, რასაკვირველია, ჟანდარმებს არ ესმოდათ. მაგრამ იფიქრეს, რომ წაიწყდენ მათთვის დღემდე უცნობ დიდ ორგანიზაციის კვალს და შეწრიალდენ იმ იმედით, რომ აღმოაჩენდენ მას სავსებით და მით დაიმსახურებდენ წარმატებას და ჯილდოს გროშებს. გამოიწერეს პეტერბურგიდან საიმედო მთარგმნელი (თუ არ ვცდები, მგონი პატივცემული პროფესორი მარრი), ხოლო საქართველოში გამოგზავნეს სპეციალურად ამ მისიით ცნობილი ჟანდარმერიის პოლკოვნიკი **დებილი**. მაგრამ ადრე ბატონ ჟანდარმებს იმედი გაუცრუებდათ, ვინაიდან მათთვის ძლიერ სამწუხაროდ ისინი უნდა დარწმუნებულიყვნენ იმაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არსად და არასოდეს ასეთი „ლიგა“ არ არსებობდა. საქმეც ამით დამთავრდა.

ნოე ჟორდანიას პროექტი „ნაციონალ-დემოკრატების პარტიის დაარსების შესახებ საქართველოში.

დაახლოებით 1892 წლის მეორე ნახევარში, იანვრის დასაწყისში ნ. ჟორდანიასაგან, რომელთანაც მე განუწყვეტელი მიწერ-მოწერა მქონდა და რომელიც მაშინ ცხოვრობდა საქართველოში, მივიღე წერილი, რომელშიაც იყო პროგრამის და წესდების პროექტი, ჩვენში **„ნაციონალ-დემოკრატების“** სახელწოდებით ახალი პოლიტიკური პარტიის დაარსების შესახებ. ჟორდანია გვთხოვდა ჩვენ წრეს და კერძოდ მე გამოგვეთქვა ჩვენი აზრი ამ პროექტის შესახებ. რა-საკვირველია, მე დაუყოვნებლივ წარვადგინე ის ჩვენს წრეში. ცხადი იყო, რომ ჟორდანიას თავის პროექტით სურდა ერთად მოეთავსებია სხვა და სხვა გვარი დებულებები და მოვლენები. თავისთავად იგულისხმება, რომ მას მხედველობაში ჰქონდა სოციალისტური პარტიის დაარსება და აზრად ქონდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის ან პარტიის შექმნა. მაგრამ ნამდვილად კი გამოდიოდა წინაალმდეგი, სახელდობრ, მისი პროექტი მოითხოვდა **ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ლიბერალურ პარტიის დაარსებას.**

ერთი სტტყვით ეს „პროგრამა“ ცდებოდა როგორც მარქსიზმის, ისე მუშათა კლასის წინაშე. ეს აიხსნებოდა ძლიერ ადვილად. ის არ იყო შედგენილი მუშათა კლასის უშუალო გავლენის ქვეშ, არამედ ის წარმოიშვა ინტელიგენტის გონებაში და ისეთ პირობებში, სადაც ჯერ კიდევ არ იყო არა თუ არავითარი მუშათა მოძრაობა, არამედ აზრიც კი არ იყო ამაზედ დაბადებული. მაგრამ ჟორდანია ვარშავაში ყოფნის დროს გაეცნო მარქსის და ენგელსის მოძღვრებას, ესე იგი მეცნიერულ სოციალიზმს. იცოდა უცხოეთში **„შრომის განთავისუფლების ჯგუფის“** არსებობის შესახებ, რომელსაც ჰქონდა სოციალ-დემოკრატიული პროგრამა, იცოდა აგრეთვე გერმანიაში ძლიერ სოციალისტურ პარტიის **გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის** არსებობის შესახებ. ვიკითხოთ, თუ ყველაფერი ეს იცოდა, რატომ მან მაინც ვერ მოახერხა თავიდანვე სწორი კურსის აღება. იყო ეს მაშინ შემთხვევით მოხდარი შეცდომა, თუ აქ ჰქონდა თავისი გამოხატულება იმ ორ-აზროვანმა პოზიციამ, რომელიც მას ეჭირა შემდეგში თვით იმ დრომდე, როდესაც საბოლოოდ გადავიდა პროლეტარიატის აშკარა მტრების მხარეზე.

ვიცნობთ რა მის როლს ჩვენში მუშათა მოძრაობის მთელი ისტორიის განმავლობაში, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემცდარი კურსი ზემოდ აღნიშნულ პროგრამის შედგენის დროს მის მიერ აღებული იყო არა შემთხვევით.

ასე იყო თუ ისე, ჩვენმა წრემ თავიდან ბოლომდე შეუბრალებელ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ზემოდ მოხსენებული პროგრამის პროექტი და საკმაოდ შეეხო თვით პროექტის ავტორსაც. ამ მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდენ, წრის წევრების გარდა, აგრეთვე რუნკევიჩი და შუმოვი. რამდენად ჟორდანიას პროექტში ლაპარაკი იყო პარტიის ან ორგანიზაციის დაფუძნებაში, ჩვენ წინადადება მივეცით ჟორდანიას დაეარსებია **სოციალ-დემოკრატიული პარტია** და საფუძვლად დაედო მისთვის კ. მარქსის და ფრ. ენგელსის **მეცნიერული სოციალიზმი.** ყველა ამის შესახებ პასუხის მიცემა დამავალეს მე, რაც დაუყონებლივ შევასრულე. ვიცოდი, რომ ეს პროექტი ახლო მომავალში წარდგენილი უნდა ყოფილიყო ერთ ერთ ყრილობაზე საქართველოში. შემდეგში ეს ყრილობა მართლაც შესდგა, მგონი ყვირილაში და იქ ჟორდანიამ მართლაც წარადგინა პროგრამის ერთნაირი პროექტი. მაგრამ მე არ ვიცი,—მან იქ წარადგინა პროექტი პირველყოფილი სახით, თუ ჩვენ მიერ უკვე ვარშავაში შესწორებული და მისთვის გაგზავნილი ტექსტი. ვფიქრობ, რომ ჩვენი კრიტიკის შემდეგ მას არ შეეძლო წარედგინა ის პირველყოფილი სახით, სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოუღწევია პროგრამის არც ერთ ტექსტს—არც პირველყოფილს და არც ჩვენს მიერ შესწორებულს. თავისთავად ცხადია, რომ ეს დოკუმენტები შუქს მოაფენდენ ჩვენში, საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წარმოშობის ისტორიას. მაგრამ ეს ჩვენ არ მოგვეპოება და არც არავითარი იმედია, რომ ვინმე შესძლებდეს ამ ჟამად მის აღდგენას წინანდელი სახით.

1893 წელი წარუშლელი იქნება მუდამ ჩემს ცხოვრებაში, განსაკუთრებით მისი დასაწყისი. ამ წლის პირველი სამი თვე შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე უფრო გაცხოველებულ და ენერგიულ მუშაობის დროთ. თვით მეც ვგრძნობდი, რომ ვიჩენდი მაქსიმუმ ენერგიას, ვაღწევდი გატაცების უმაღლეს წერტილს. პარტიულმა მუშაობამ საბოლოოდ შთამქა და გამიტაცა მე. რასაკვირველია, ინსტიტუტში მეცადინეობა მე სრულებით არ მაინტერესებდა და იქ სრულებით ალარ შევიხედავდი. ვგრძნობდი, რომ ყველაფერი ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა, რომ კატასტროფა ან მარცხი აუცილებელი იყო, მით უმეტეს, რომ ჩვენ ირგვლივ გარშემორტყმული ვიყავით ჯაშუშებით და პროვოკატორებით.

1893 წ. 14 მარტს სრულდებოდა პირველი ათი წლის თავი ჩვენი დიადი მასწავლებელის **კარლ მარქსის** გარდაცვალების დღიდან. ჩვენ გადავსწყვიტეთ რითიმე აღგვენიშნა ეს დღე, მაგ., საღამოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწყობით, როძელიც უნდა გვეძღვნა მის ხსოვნის აღსანიშნავათ. ოფიციერატის შედგენა მარქსის მნიშვნელობის შესახებ დავალებული მქონდა მე. ჩვენს შორის იყვნენ პირები, რომლებსაც ჩემთან შედარებით გაცილებით უფრო უკეთესათ ესმოდათ მარქსის მოძღვრება და ამიტომ ეს დავალება ჩემთვის ერთის მხრივ ძლიერ საამაყო იყო, მეორე მხრით, ვგრძნობდი მთელ სიძნელეს დაკისრებულ მოვალეობის შესრულებაში მაგრამ შემიძლია ვსთქვა, რომ ეს ამოცანა მე ღირსეულად შევასრულე. მე ვ•სარგებლე მაშინ ჩვენს განკარგულებაში არსებულ მარქსიზმის მთელი ლიტერატურით. ჩემი რეფერატი გამოვიდა ძლიერ ვრცელი. საღამოზე თითქმის ყველა არა თუ კმაყოფილი დარჩა არამედ შემდეგ ის მიჰქონდათ, და მორიგეობით ხელმეორედ-კითხულობდენ. იყო აგრეთვე წინადადება მცირე ცვლილებით გამოცემული ყოფილიყო ის ცალკე ბროშიურად, მაგრამ ეს არ მოხერხდა იმ მომენტში, ხოლო შემდეგ იმ პირებმა, რომლებსაც ჩემი დაპატიმრების შემდეგ დარჩათ ის, ჩხრეკის შიშით დასწვეს.

საღამოზე—მარქსის ხსოვნის აღსანიშნავად—14 მარტს 1893 წ. შეეკრიბა საკმაოდ ფართო საზოგადოება, დაახლოვებით ას კაკამდე ხოლო ეს იმ დროს ვარშავის პირობებში, როდესაც თვითეული სახლს ჰყავდა მეეზოვე, რომელიც ერთსა და იმავე დროს იყო პოლიციის და თითქმის ჟანდარმერიის სამმართველოს თანამშრომელი. ჩაითვლებოდა კონსპირატიულ ხეზოვნების უდიდეს მიხწევათ.

საგულისხმოა ის, რომ ამ კრებაზე იყვნენ არა მარტო რუსები და ებრაელები, არამედ აგრეთვე—პოლონელებიც და ამ რიგად ეს კრება ნამდვილი ინტერნაციონალური იყო. რასაკვირველია, უმრავლესობას შეადგენდენ ახალგაზრდა სტუდენტები. ამავე დროს აქ იყვნენ, რასაკვირველია, არა მარტო სოციალ-დემოკრატები, არამედ აგრეთვე სხვა პარტიების წარმომადგენლებიც, როგორც მაგალითად „პროლეტარიატის“ პარტიის წარმომადგენლები. იყვნენ ალბად ისეთებიც, რომლებიც ამ დროს არ ეკუთვნოდენ არც ერთ სოციალისტურ პარტიას, მაგრამ თანაუგრძნობდენ სოციალისტურ იდეებს. საღამო ჩატარდა ცოცხლად და ნაყოფიერად. რასაკვირველია, სიფრთხილე დაცული იყო, რათა თავიდან აგვეცდინა პოლიციის თავდასხმა, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ვიცოდით როგორი პასუხი მიგვეცა. კრება დაიშალა, შეუმჩნეველად მეფის პოლიციის და ჟანდარმერიისთვის, რომლებიც თითქოს ყოველგან იყვნენ და ყველაფერს ტყობილობდენ. მაგრამ მიუხედავათ ამისა მთავარი აქტი ახლოვდებოდა, მე ამას ვგრძნობდი და ვიცოდი, რომ დღეს თუ ხვალ ეს აუცილებლად უნდა მომხდარიყო, მაგრამ უკან არ ვიხევდი და სრული შეგნებით მივდიოდი წინ ერთხელ არჩეული გზით, იმის აშკარა შეგნებით, რომ ამ გზიდან გადახვევა იქნებოდა საქმის ღალატი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დატყვევება.

ეს დაიწყო ასე. დაახლოვებით მარტის მეორე ნახევარში ჩვენ გამოგვეცხადა ერთი უცნობი ამხანაგი, რომელმაც გვაცნობა, რომ პოლონეთის ერთ პატარა საზღვრის განაპირა ქალაქიდან ვარშავაში სატრანსპორტო საზოგადოება „ნადეჟდა"-ს საშუალებით გამოგზავნილია არალეგალური ლიტერატურის დიდი ტრანსპორტი, რომელიც შემოტანილია პოლონეთში კონტრაბანდათ. ლიტერატურა ჩაწყობილია დიდ ყუთში, საოჯახო ნივთების სახით, ლიტერატურა იყო მხოლოდ და მარტო სოციალ-დემოკრატიული, სახელდობრ „შრომის განთავისუფლების ჯგუფი"-ს უკანასკნელი გამოცემანი, მათ შორის **პლეხანოვის** წერილები **„რუსეთში სიმშილობის შესახებ"**, ახალი მარქსისტული ჟურნალი „სოციალ-დემოკრატის" სახელწოდებით და სხვა მრავალი წიგნები და ბროშიურები. მთელი ეს ტრანსპორტი-იგზავნებოდა მხოლოდ რუსეთისათვის და ამავე დროს წიგნები უკვე წინდაწინ დანაწილებული იყო სხვა და სხვა ქალაქებს შორის; ამ. განაწილებაში კავკასია და კერძოდ საქართველო არ შედიოდა, მაგრამ მე მაინც ვფიქრობდი შემენახა კავკასიისათვის ამ ლიტერატურის ნაწილი, ვინაიდან უკვე იყო ასეთი დაპირება საქართველოს ამხანაგებისადმი და მე ვიცოდი, რომ მათ უკვე გამოგზავნილი ჰქონდა ამისათვის ფული. უცხოეთიდან ლიტერატურის მიღებას ჩვენ ველოდებოდით დღითი დღე, ჩვენ არ ვიცოდით სად და როგორ მივიღებდით მას. ხოლო ეხლა ვიცოდით, რომ ეს ლიტერატურა. რომელსაც ჩვენ დიდი ხანია ველოდით, ეხლა უკვე მიღებული იყო ვარშავაში და ინახებოდა საზოგადოება „ნადეჟდა"-ს საწყობში. ეხლა საკითხი მდგომარეობდა იმაში, თუ როგორ წამოგვეღო ის აქიდან. ითქმის ეს იყო უბრალო აპოცანა: მივსულიყავით საზოგადოების კანტორაში, წაგვიდგინა დოკუმენტი განსაზღვრული ტვირთის მისაღებად და წამოგვეღო ის, მაგრამ საკითხი რთულდებოდა შემდეგი გარემოებით: იმ ამხანაგმა, რომელმაც გადმოგვცა ჩვენ ეს დოკუმენტები ამ ტვირთის მისაღებად, სხვათა შორის სთქვა, რომ ლიტერატურის „ნადეჟდა"-ს კანტორიდან მიღების დროს საჭიროა დიდი სიფრთხილე, რადგან ეჭვი არის აღებული, რომ მთავრობამ იცის, თუ ნამდვილად რა აწყვია ყუთში და რა თქმა უნდა იგი ამ ყუთის საშუალებით შეეცდებოდა მიეგნო ორგანიზაციის კვალი, მის დასაჭირათ. რასაკვირველია, ეს იყო მხოლოდ ეჭვი, მაგრამ შეიძლებოდა, ის გამართლებულიყო და მაშინ ლიტერატურასთან ერთად ჩვენ შეგვეძლო დაგვეღუპა მთელი ჩვენი ორგანიზაცია; ამიტომ რასაკვირველია უმჯობესი იყო უარი გვეთქვა სავსებით ლიტერატურის მიღებაზე. თუ ასეთი ეჭვი გამართლდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, ეს არ შეგვეძლო ჩვენ გვექნა მხოლოდ სიტყვიერი განცხადების მიხედვით, მით უმეტეს, რომ ჩვენი მოქმედება მუდამ „რისკის“ გაწევა იყო. სხვა გვარად ჩვენ რაღა რევოლიუციონერები ვიქნებოდით?

ამ ამოცანის შესრულება დამეკალა მე და ანტოკოლსკის. ჩვენ შევიმუშავეთ ტრანსპორტის მიღების გეგმა და გავინაწილეთ როლები ურთიერთშორის; პირველ ყოვლისა ამოვარჩიეთ ბინა, სადაც კანტორიდან პირდაპირ უნდა მიგვეტანა ყუთი, ბოლოს ჩვენ ავირჩიეთ მირიანაშვილის ბინა, როგორც უფრო მოხერხებული კონსპირატიული მხრით. ჩვენი გეგმა მე გავაცანი მირიანაშვილს, რომელიც სრულებით არ ხედავდა ამაში საფრთხეს და თვით საფრთხის შემთხვევაშიც მას შეეძლო თავი ემართლებია მით, რომ ეს ყუთი, რომელშიაც მან სრულებით არ იცოდა რა იყო, გამოვუგზავნე შესანახად მე. ამ პირობებში მირიანაშვილი თანახმა იყო დაეთმო ჩვენთვის თავისი ბინა და ამავე დროს, ყოველ შემთხვევაში, მას წინასწარ უნდა დაეცალა თავისი ბინა არალეგალურ ნივთებისაგან, რომლებსაც ჩვენ მასთან ინახავდით, რაც მან სავსებით მაინც ვერ შეასრულა, მიუხედავად ჩემი კატეგორიულ განცხადებისა. შემდეგ უნდა გვეპოვნა ისეთი კაცი, რომელიც კანტორიდან მიიღებდა და შემდეგ წამოიღებდა ჩვენთვის ისე ძვირფას ყუთს.

ბოლოს ჩვენ გადაეწყვიტეთ შეგვესრულებია ეს ერთ-ერთ შიკრიკის საშუალებით, რომლის სპეციალობას შეადგენდა სახელდობრ ასეთ დავალებათა შესრულება. ამავე დროს ჩვენ მაინც მიზანშეწონილად ვსცანით დაგვეკალებია ეს საქმე უფრო საიმედო შიკრიკისათვის, თუ ასეთს ვიპოვნიდით, რომელსაც ჩვენი საიდუმლოება, რასაკვირველია, არ უნდა სცოდნოდა, ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ასეთ საიმედო კაცს წარმოადგენს შიკრიკი № 85.

დანიშნულ დღეს, დაახლოვებით აპრილის პირველ რიცხვებში, დილით ადრე მე და ანტოკოლსკი გამოვედით ქუჩაში. ჯერ უნდა გვენახა შიკრიკი № 85, შემდეგ ჩვენი როლები ნაწილდებოდა ასე: ბარგის დამტარებელთან საქმე მე უნდა მქონოდა, მხოლოდ ანტოკოლსკი შიკრიკის მიერ კანტორიდან ყუთის მიღების დროს უნდა ყოფილიყო, როგორც გარეშე კაცი, მას თვალყური უნდა ედევნებია კანტორაში მყოფ პირებისათვის და გამოერკვია უთვალთვალებს თუ არა ვინმე ყუთის მიღებას. იმ შემთხვევაში, თუ ის შეამჩნევდა, რომ ყუთის საქმე ცუდათ არის, გამოვიდოდა რა ქუჩაში, სადაც მე მას ველოდებოდი, იგი მე მანიშნებდა. მე ვიცოდი, თუ რა უნდა გამეკეთებია. ასეთი თადარიგების მიცემის შემდეგ ის წავიდა კანტორა „ნადეჟდაში“, მე კი მოვძებნე შიკრიკი და გადავეცი მას დოკუმენტები ყუთის მისაღებად და აგრეთვე მისამართი—სადაც უნდა წაეღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებული ნიკთი, მაგრამ მე მას მივეცი არა ნამდვილი მისამართი, არამედ ყალბი, ვინაიდან თუ ანტოკოლსკი შენიშნავდა, რომ ტვირთის საქმე ცუდათ იყო, მაშინ უმჯობესი იქნებოდა დაკარგულიყო ეს ლიტერატურა, მაგრამ სამაგიეროდ, ამ შემთხვევაში ჩვენ თავიდან ავიშორებდით თითქმის მთელი ჩვენი ორგანიზაციის დაღუპვას. და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანტოკოლსკი გამოარკვევდა, რომ ყუთზე ეჭვი არ არის აღებული, მე უნდა მიმეცა შიკრიკისათვის ნამდვილი მისამართი უკვე ყუთის მიღების შემდეგ.

დასახული გეგმა შესრულებული იყო სისწორით. მე ვიდექი ქუჩაზე კანტორის შენობის გამოსავალთან. უეცრად მე ვხედავ, რომ ჩემი შიკრიკი მოდის და ძლივს-ძლიობით მოათრევს ზურგით მძიმე ყუთს, მას მოყვება უკან თვით ანტოკოლსკიც, რომელსაც დიდი აღელვება ეტყობოდა სახეზე მოლაპარაკების თანახმად — ის ჩემთან ახლო არ უნდა მოსულიყო, და მხოლოდ ნიშნით უნდა ეცნობებია ჩემთვის, თუ რა უნდა გამეკეთებინა მე.

ხოლო ის კი პირდაპირ მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ ჩვენ ყველანი ჩავვარდით. ეხლა შიკრიკისათვის ნამდვილი მისამართის შეცემა საჭირო არ იყო, პირიქით, თვით ჩვენ უნდა გავმძვრალიყავით სადმე შეუმჩნეველად. მე ერთი წუთი დავფიქრდი და მივხედი, რომ საქმე წაგებული იყო, რომ ლიტერატურა დაიკარგა. ამ დროს მე მოვტრიალდი მეორე მხრით და ვხედავ, რომ შიკრიკი სდგას შუა ქუჩაში და ეკაჭრება მეეტლეს; ის უკვე სდებს ყუთს ეტლში და უნდა ჩაჯდეს შიგ. მაშინ, ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ, გამსჭვალული რაღაც გაურკვეველი გრძნობით, მე მივირბინე მასთან და გადავეცი მას ნამდვილი მისამართი იმ ბინის, სადაც მას უნდა მიეტანა ყუთი. მან ჯერ ვერ გაიგო, მაგრამ მე კატეგორიულად ვუბრძანე, რომ მას წაეღო ყუთი ახალი მისამართით. მე კვლავ გამოვბრუნდი ტროტუარზე, შიკრიკი წავიდა ეტლით, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ მეც ჩავჯექი ეტლში და გავყევი უკან, რომ მეთვალთვალებია თუ ვინმე მოდიოდა ჩვენს უკან! უნდა აღვნიშნო, რომ ქუჩა, რომელზედაც ყველაფერი ეს ხდებოდა, სავსე იყო ხალხით, კონსპირატიული მხრით ეს კარგიც იყო და ცუდიც,—ცუდი იყო იმ მხრით, რომ აქ თუ ჩვენ „შპიკები“ ვვითვალთვალებდნ, ამის შემჩნევა ძნელი იყო. მაგრამ როცა ჩვენ მოვშორდით ამ ადგილს უფრო ადვილი იყო ჩვენი მიგნება [1]). და აბ ვიხედები ირგვლივ, მე ვაიმედებ ჩემს თავს, რომ ტრანსპორტს სრულებით საფრთხე არ მოელის და რომ ჩვენ უკან არავინ არ მოგვდევს, ვინაიდან ეჭვი რომ აღებული ყოფილიყო, მე უსათუოდ დამედევნებოდნენ პოლიციის საიდუმლო აგენტები და ჯაშუშები, რომლებითაც ავსებული იყო ვარშავა.

[1]). ანტოკოლსკი ცალკე წავიდა ეტლით სხვა მიმართულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიფრთხილის გულისათვის ჩამოვხტი ეტლიდან სანამ მირიანაშვილის ბინას მიუახლოვდი მე კარგათ დავათვალიერე ყველაფერი, რომ შემემჩნია თუ საეჭვო პირი გამოჩნდებოდა. როდესაც დავრწმუნდი, რომ არავინ არ არის ასეთი, მე გავსწიე მირიანაშვილის სახლისკენ. სახლის მახლობლად არაფერი საეჭვო არ იყო. სახლში შესასვლელად საჭირო იყო ეზოს გავლა. ეზოში სრული სიწყნარე იყო. მე გავეშურე მირიანაშვილის ბინაში, რომელიც სახლში დაგვხვდა, როგორც შეპირებული „მყავდა.

მირიანაშვილმა მთხოვა, რომ რაც შეიძლება ჩქარა გაგვეთავებინა ფულებია მისი ბინა ყუთისაგან. მე შევპირდი, რომ ეს დღესვე საღამოს იქნებოდა შესრულებული; მივეცი შესაფერი დარიგება ყოველ შემთხვევისთვის და წამოვედი. ამოდენა მღელვარების შემდეგ მე მოქანცულად ვიგრძენი თავი და მინდოდა ცოტა დამესვენებია ჩემს ოთახში. გზაში, სახლში რომ ვბრუნდებოდი, შევედი საპარიკმახეროში და პირველად ჩემს ცხოვრებაში [1]) მოვიპარსე წვეროც და ულვაშიც, ასე რომ უეცრად გამოვიცვალე ფიზონომია და ტანსაცმელიც რომ გამომეცვალა, მაშინ ეშმაკიც ვეღარ მიცნობდა. სახლში დამხვდა ანტოკოლსკი, მან მითხრა, რომ როდესაც სახლში მოდიოდა მას ეტლით დაედევნენ „შპიკები“ და რომ ძლივ გადაურჩა დაჭერას. იგი ღელავდა ამ ზომამდე, რომ მზად იყო თვითვე წასულიყო ჟანდარმერიის სამმართველოში. განეცხადებია ყველაფერი და თავის თავი დამნაშაეეთ ეცნო. მე შევეცადე დამემშვიდებინა იგი და გამეფანტა ყველა მისი ეჭვები. ამისათვის პირველად მე გავაკანონ მას საქმის ფაქტიური მდგომარეობა, ვუთხარი, რომ იქ თუ „შპიკები“ ყოფილიყვნენ და დაგვდევნებოდენ ყუთს და ჩვენ, პირველად გამოუდგებოდენ იმას, ვინც ეს ყუთი წამოიღო, ხოლო შემდეგ დამედევნებოდენ მე, ვინაიდან ყველა შეამჩნევდა, რომ მე მქონდა პირდაპირი კავშირი მასთან; რომ არც ერთს, არც მეორეს ადგილი არ ქონებია, რომ ყუთი ლიტერატურით იქ ინახება, სადაც ის უნდა იყოს, რომ დაბოლოს, მეც იქ ვიყავი და ჩემი თვალებით ვნახე, რომ ირგვლივ სიმშვიდე იყო და არავითარი საეჭვო პირი არ ყოფილა. ამის შემდეგ ის გონზე მოვიდა და აღიარა, რომ ყველა მისი ეჭვები ნაყოფია ავადმყოფური ფანტაზიის. მაშინ მან მირჩია წავსულიყავით ამხ. შუმოვთან და რუნკევიჩთან და მოგველაპარაკებია თუ შემდეგში როგორ მოვქცეულიყავით. ამ წინადადებაზე მე დავთანხმდი, და ცოტახნის შემდეგ წავედით მათთან. შუმოვი სახლში დაგვხდა და უამბეთ მას ყველაფერი, რაც ამ დღეს მოხდა, მასთან ანტოკოლსკის ლაპარაკიდან

[1]) ამ საშვალებას უკანასკნელ დროს ძლიერ ხშირად მიმართავდი შენშვიკების ბატონობის დროს საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჩანდა, რომ მას კიდევ ეჭვი ქონდა ამ ისტორიის მშვიდობიანად დასრულებაში.

ჩვენი მოსმენის შემდეგ, შუმოვი უსიტყვოდ გავიდა სახლიდან და რამოდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა ჩვენს შიკრიკთან ერთად, ხოლო მის დაბრუნებამდე მოვიდა კიდევ რუნკევიჩი.

შიკრიკის დანახვისას ანტოკოლსკი სიხარულისაგან ზეზე წამოიჭრა, კინაღამ მოეხვია მას და დაუწყო გულახდილად ლაპარაკი, რომ ყუთში, რომელიც მან დღეს კანტორიდან გამოიტანა, იყო საიდუმლო არალეგალური ლიტერატურა, ხომ არავის უკითხავს მისთვის ამ ყუთის შესახებ და სხვა...

ანტოკოლსკის ამ განცხადებით ჩვენ უზომოდ ნაწყენი დავრჩით, ვინაიდან ჩვენ შორის არავის აზრადაც არ მოსვლია შიკრიკისთვის ჩვენი საიდუმლოების გაზიარება. ამ გარემოებით ჩვენ ყველანი უმაყოფილონი დავრჩით და ვხედავდით, რომ ანტოოოლსკიმ დაუშვა მიუტევებელი შეცდომა, შეიძლება მეტიც. მაგრამ კიდევ უფრო გაკვირვებული დარჩა ანტოკოლსკის გულახდილობით თვით შიკრიკი, იგი ცოტათი შეკრთა ამ ამბის გაგონებით და ვერაფერი სთქვა, გარდა იმისა, რომ მან არაფერი იცის. ყველამ უხერხულობა ვიგრძენით და ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად ერთმა ჩვენთაგანმა აჩუქა მას ათი მანეთი და შიკრიკი წავიდა. მისი წასვლის შემდეგ ჩვენ ყველამ შენიშვნა მივეცით ანტოკოლსკის, რომ მისი განცხადება დიდი შეცდომა იყო და, რომ შიკრიკისათვის ამის გამხელა სრულებით საჭირო არ იყო. თუმცაღა იმ წუთში არც ერთი ჩვენთაგანი არ ფიქრობდა იმას, რომ იგი ჩვენ გაგვცემდა. ასეთი ეჭვი რომ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ ვიცოდით როგორც უნდა მოვქცეულიყავით. ანტოკოლსკი ამას თვითონვე გრძნობდა. მართლაც ბოლო ხანებში ის იმდენად ნერვიული შეიქმნა, რომ ვერ შეიძლო თავის დაჭერა. საერთოდ იგი იყო საუცხოვო ადამიანი, იშვიათი მეგობარი და ამხანაგი, როგორიც იშვიათად შემხვდენია ცხოვრებაში.

შუმოვის ბინაზე ჩვენ გადავწყვიტეთ: მირიანაშვილის ბინიდან ღღესვე წამოგველო ლიტერატურა. ეს საქმე დაგვაკისრეს მე და რუნკევიჩს. ამის შემდეგ ჩვენ სწრაფად გავეშურეთ მირიანაშვილის ბინისაკენ, რაც საკმაოდ დაშორებული იყო ამ ადგილიდან. ანტოკოლსკის ურჩიეს წასულიყო ჰირდაპირ სახლში, მაგრამ იგი ამის მაგივრად წასულიყო ჩემს ბინაზე, სადაც იგი დააპატიმრეს და იქვე ყველაფერში გამომტყდარიყო. როდესაც ჩვენ მიუახლოვდით მირიანაშვილის ბინას უკვე გვიან იყო, საღამოს 9 საათზე მეტი იქნებოდა. ჩვენ წყნარად დავაკაკუნეთ კარებზე. იმ წუთშივე კარები გაგვიღეს ვიღაც საეჭვო პირებმა, რომლებიც მუხანათურად ილიმებოდენ და რომლებმაც მაშინვე გარს შემოგვერტყენ. დერეფანში მე დავინახე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ყუთი, რომელზედაც ისხდენ ორი საეკვო სახის კაცი. ჩვენ ყველამ ვიგრძენინი, რომ ჩავცვივდით, რომ გაცემული ვართ. ცხადი იყო, რომ აქედან ჩვენ აღარ გაგვიშვებდენ, მაგრამ მაინც ვსცადეთ უკან დაბრუნებულვიყავით, მაგრამ გადაგვიდგენ გზაში და მოგვიღორეს იარაღი. ამის შემდეგ შეგვიყვანეს უკვე დაპატიმრებულ მირიანაშვილის ოთახში; იგი ძლიერ დაღონებული იყო. მან ქართულ ენაზე გადმომცა, რომ დაახლოვებით 20—30 წუთით წინ მას თავს დაესხენ „სისჩიკები“, ჟანდარმერიის სამმართველოს აგენტები ვიღაც როტმისტრის მეთაურობით და მოსთხოვეს მას ყუთი, რომელიც მან მიიღო საზოგადოება „ნადეჟდასაგან. მან, რასაკვირველია დაკმაყოფილა მათი მოთხოვნილება და როტმისტრის შეკითხვაზე, თუ ვინ გამოუგზავნა მას ეს ყუთი, მან უპასუხა, რომ ის გამოგზავნა ფ. მახარაძემ და რომ მან არაფერი იცის, თუ რა არის ყუთში მოთავსებული. მაშინ როტმისტრს თავის აგენტების ნაწილი გაეგზავნა ჩემს ბინაზე, ხოლო მეორე ნაწილი დაეტოვებია მის ბინაზე. მას კიდევ დამთავრებული არ ჰქონდა ლაპარაკი, როდესაც ოთახში შემოიყვანეს მიქაძე, რომელსაც მე ქართულად ვუსაყვედურე, თუ რისთვის მოვიდა ის აქ. მან ამიხსნა, რომ ჩვენთან [1]) ბინაზე მოვიდენ ვიღაც უცნობი პირები და შენ ე. ი. მე მიკითხეს. მიქაძემ იფიქრა, რომ რამე საქმისათვის ვესაჭიროებოდი იმათ და წამოვიდენ ჩემს საძებრად, რათა გადმოეცა ეს ჩემთვის. იგი საიდან იფიქრებდა, რომ ისინი მთავრობის აგენტები იყვნენ. ამ რიგად იგი სულ შემთხვევით ჩავარდა. ყველაზე უფრო მე მებრალებოდა მირიანაშვილი, მაგრამ მე ის დავარწმუნე, რომ მას დიდხანს არ გააჩერებენ ციხეში, რომ ბოლოს და ბოლოს მე თავის თავზე ავიღებ ყველაფერს, როგორც ეს წინად აღუთქვი მას. თავის მხრით მას კატეგორიულად უნდა განეცხადებია, რომ შან არაფერი იცოდა თუ რა იყო ყუთში [2]). ცოტა ხნის შემდეგ მოვიდენ კიდევ ჟანდარმერიის სამმართველოს სხვა აგენტები, გაგვჩხრიკეს და შემდეგ ცალ-ცალკე წაგვიყვანეს. პირველად წამიყვანეს მე. როგორც კი შემიყვანეს ჟანდარმერიის სამმართველოში, მაშინვე მტაცეს ხელი რამოდენიმე კაცმა, ამწიეს ჰაერში და ასე გამხადეს ტანზე სულყველაფერი. შემდეგ აიღეს ცალ-ცალკე თითოეული ნივთი და გასინჯეს თვითეულად, რომ არაფერი იყოს შიგ ამოკერებულიო. მხოლოდ ასეთი პროცედურის შემდეგ გამიყვანეს მეორე ოთახში დაკითხვაზე. იქ იყო ორი ჟანდარმის ოფიცერი, ერთი პოლკოვნიკი დებილი, ხოლო მეორე როტმისტრი, რომლის გვარი არ მაგონდება.

[1]). მე და მიქაძე ერთ ოთახში ვცხოვრობდით.

[2]) მართლაც ასეთ ჩვენების შემდეგ მირიანაშვილი ჩქარა გაათავისუფლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამკითხა როტმისტრმა, მე ისეთი ჩვენება მივეცი, რომ როტ-მისტრმა ვერ გადასწყვიტა დაეწერა ორდერი დასაპატიმრებლათ. იგი შეეყოყმანდა, ეს შენიშნა დებილმა და დაიწყო ყვირილი, რომ მე შეცდომაში შემყავს მოხუცი კაცი. მის ყვირილზე მე მკაცრად ვუპასუხე. ამის შემდეგ ორდერზე სასწრაფოდ ხელი მოაწერეს და მე წამიყვანეს.

ახლა სხვებიც უნდა დაეკითხათ.

მე დაუყონებლივ ჩამსვეს დახურულ კარეტაში და ბნელ-ლამეში წამიყვანეს სადღაც. მე ვიცოდი სადაც მივყავდით. ეს იყო ცნობილი **ალექსანდრეს ციტადელი**. ერთი საათის შემდეგ მე უკვე ვიჯექი ამ საშიშარი შენობის მაღალ და დაღვრემილ კედლებთან. ჩქარა გაიღო რკინის დიდი კარები, რომელიც შესვლისას ისევე სწრაფად დაიხურა ყრუთ და დიდი ხნით.

იანვარი, 1923 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროტ. ბინიაძე.

ჩემი მოგონებანი

(1903 წ. 1920 წლამდე).

ქუთაისის სასულიერო სემინარიაში ახლად შესული ვიყავი, როდესაც რუსეთში და საქართველოში რევოლიუციონურმა მოძრაობამ ისე თუ ისე ფართო ხასიათი მიიღო. ჯერ კიდევ 15-16 წლის ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც რევოლიუციონურმა მოძრაობამ საკმაოდ გამიტაცა.

ეს იყო 1902—3 წლებში. ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოში მუშაობდნენ ეგრედ წოდებული მესამე დასელები. ამათი ჟურნალი „კვალი" საუკეთესო საკითხავ საგნად იყო გადაქცეული ყველა ახალგაზრდებისათვის. კარგათ ვერ ვერკვევი იმ დროს თუ რა იყო მიზანი და რომელ კლასს წარმოადგენდა მესამე დასელები. მხოლოდ ერთი რამ ცხადი იყო ჩემთვის: მესამე დასელები ჩემს თვალში წარმოადგენდა ღარიბთა დამცველს, მდიდრებისა და მთავრობის მტრებს. განსაკუთრებით მიტაცებდა ის, რომ გაგონილი მქონდა: მესამე დასელებს მთავრობა სდევნის და ისინი კი მაინც განაგრძობენ მუშაობასო. პროტესტანტობა, აკრძალულის გაკეთება ჩემი ბუნების სტიქიას შეადგენდა. რევოლიუციონური მოძრაობით გატაცებას ხელი შეუწყო ჩემმა სოციალურმა მდგომარეობამ. ჩვენი ოჯახი ულარიბესი ოჯახი იყო მაშინ ჩვენს სოფელში. მდიდრებათ წარმოდგენილი მყავდა ადგილობრივი ვაჭრები, რომლებიც საშინლად მეჯავრებოდა. თუ კი იმათ წინააღმდეგ ვინმე გაილაშქრებდა მეც მზათ ვიყავი. ასეთი სულით ვიყავი გაჟღენთილი, როდესაც ქუთაისის სასულიერო სემინარიაში შევედი. ეს იყო 1903 წელი. სემინარიაში კარგა ხანია არსებობდა თურმე მოწაფეთა წრეები. მეც დიდი ხანი არ დამიყოვნებია და ერთ-ერთ წრეში მოვხვდი. წრეში მიმიღო მაშინ ტფროსი კლასის მოწაფემ გერმანე იმნაიშვილმა. აქ პირველად გავეცანი საზოგადოების ორ კლასად დაყოფას: მუშებს, გლეხებს, ბურჟუაზიას და სხვას. ამავე წრეებში გავეცანი რუსეთის საუკეთესო მწერლებს, კრიტიკოსებს: ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, მიხაილოვსკის, ბელინსკის, პისარევს, პლეხანოვს და სხვებს. სემი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარიაში შესვლის პირველ წელშივე 1903 წელში მოხდა არეულობა—„ბუნტი“, როგორც მაშინ ვეძახდით. არეულობას ამზადებდენ უფროსი კლასის მოწაფენი. მახსოვს არეულობის პირველ დღეს დილით სემინარიის ეკლესიაში ლოცვის დამთავრების შემდეგ გამოვიდნენ უფროსი ამხანაგები, თავ-თავიანთ კლასებში წასვლის მაგიერ გამოგვიყვანეს ერთ-ერთ დიდ ზალაში და იქვე მყოფ ადმინისტრაციას გამოუცხადეს: ჩვენ ვკვეთავთ სწავლას მანამდის, სანამ ჩვენი მოთხოვნილებები შესრულებული არ იქნებაო. შეიქნა დიდი ხვეწნა ადმინისტრაციის მხრით, მუქარაც ბევრი იყო, მაგრამ მოწაფენი, გარდა რამოდენიმე სულმოკლეებისა მაგრად იდგნენ და ადგილიდან არ იძვროდენ. განსაკუთრებით სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა დალმატი გალდავა, ქავჯარაძე, დემინაშვილი და სხვები.

ადმინისტრაციამ გამოიწვია პოლიცია პოლიცმეისტერი ლისოვსკის მეთაურობით: შემოვიდა თუ არა ლისოვსკი სემინარიის ეზოში შეიქნა ერთი ალიაქოთი, გინება პოლიციელებისა, ხმაურობა, ყვირილი. პოლიცია იძულებული იყო უკან გაბრუნებულიყო. ჩვენ პატარა, ახალგაზრდა მოწაფეები უცქეროდით ყველა ამას გაკვირვებით. და რასაც უფროსები გვეტყოდენ, ვასრულებდით: როცა ყვირილი შეიქნებოდა ჩვენც ავყვირდებოდით, დაჩუმდებოდნენ ჩვენც დავჩუმდებოდით. ეს იყო ჩემი პირველი მონათვლა საპროტესტო ასპარეზზედ. ორი კვირის შემდეგ გაფიცვა „ბუნტი“ გასტეხეს. ბევრი დაიჭირეს და თავ-თავიანთ მშობლებს ჩაბარეს, ზოგი ეტაპით სოფლებში გაგზავნეს. მეთაურების ჩამოცლის შემდეგ დანარჩენები გატყდნენ. ბევრი სასწავლებლიდან დათხოვეს. ვინც გადარჩა გამორიცხვას სწავლას შეუდგნენ. მე როგორც ახალ შესული გამორიცხვას გადავრჩი. შემდეგ ამისა კვლავ შეუდექით მეცადინეობას წრეებში. შესდგა ახალი ორგანიზაცია, რომელმაც მაშინ საქმე დაიჭირა ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტთან, რადგანაც მოწაფეთა ორგანიზაცია ღებულობდა ინსტრუქციებს. ვემზადებოდით ახალი საპროტესტო გამოსვლების მოსაწყობად.

თითქმის მთელი 1903 წელი და 1904 წ. დასაწყისი მზადებაში გატარდა. ამ ხნის განმავლობაში უკვე ვერჩევოდი პარტიულ პროგრამებში. ჩქარა მოგვეცა საშუალება ჩვენი მზადება ცხოვრებაში გაგვეხორციელებინა. 1904 წელში გამოცხადდა რუსეთ-იაპონიის ომი. ქუთაისის კომიტეტმა, რამდენადაც შესაძლებელი იყო არა-ლეგალურ პირობებში, გამართა კომპანია ომის წინააღმდეგ. უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობაში იყო მუშაობა. მოსწავლე ახალგაზრდობა მაშინდელ პირობებში კარგად იყო შეკავშირებული. ყველა სასწავლებლებს ერთი მეორეში ჰქონდა წარმომადგენლობითი კავშირი ხშირად შეერთებული კრებები ხდებოდა. დიდათ ბევრი ვიყავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღეს, როდესაც კრება წარმომადგენლებისა ჩემს ბინაზე მოხდა ბოდა. გადავწყვიტეთ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოგვეხდინა. დირეკტიგებს, რასაკვირველია ქუთაისის სოც.-დემოკ. კომიტეტი გვაძლევდა, მხოლოდ ფრიად ფრთხილი იყო მისი ხელი. დემონსტრაციის ღღეთ 3 თებერვალი დავნიშნეთ. სემინარიიდან გამოყვანა მოწაფეების გვქონდა მინდობილი მე, ვანო იწყკირველს და დიმიტრი ჩხაიძეს. სანამ დემონსტრაციისათვის ვემზადებოდით სასწავლებლები მოეტენილი იყო ომის საწინააღმდეგო პროკლამაციებით. ერთმა მოწაფემ, თუ მეხსიერება არ მოალატობს, ბოჭორიშვილმა, ნაბა თუ არა პროკლამაცია, მაშინვე სემინარიის რექტორს „მამა“ სილიბისტროს მიართვა. „მამა“ სილიბისტრომ ამ პროკლამაციაზე ასაშენა მთელი ქადაგება. მახსოვს 2 თებერვალს მირქმის დღესასწაულზე წირვის ბოლოს ჩვენმა რექტორმა დაიჭირა ხელში ომის საწინააღმდეგო ფურცელი და ძალზე აღელვებული მოგვმართა ჩვენ მოწაფეებს: „სირცხვილ თქენ, სასულიერო სასწავლებლის მოწაფენო, თქვენ მომავალო მამებო მორწმუნეთაო, რომ თქვენ შორის ასეთ ფურცლებს გავრცელებას აქვს ადგილი. ნუ თუ არ იცით თქვენ, რომ ამ ფურცლის შინაარსი ჩვენი მთავრობის საწინააღმდეგოა. ურწმუნოთა ურდოები იაპონელები—სამართლმადიდებელო რუსეთს შემოესია მათ სურთ მოსპონ მართლმადიდებელთა ეკლესია, სარწმუნოება შეგვიგინონ, გაანადგურონ რუსეთის სახელმწიფო. ამ პროკლამციის გამავრცელებელნი იაპონიის მიერ მოყიდულნი არიან, მათ სურთ მეფის ტახტის მოსპობა, მთავრობის ჩამოგდება.

მაგრამ სანამ ეს ღვთის ტახტი (მიუთითებს წმინდათა-წმინდაში ტრაპეზს) აქა სდგას, მანამ მეფის ტახტის დანგრევა შეუძლებელია. ღვთის ტახტი მუდმივია, მეფის ტახტიც სამუდამოაო. დაათავა სიტყვა (ნეტავ სად არის ეხლა მამა სილიბისტრო). ჩემს გვერდით იდგა მაშინ ჩემი სკოლის ამხანაგი კლავდიოზ ტყემალაძე, რომელსაც გადაულაპარაკე ჩუმათ: „ბიჭო უჩემოთ არ წახვიდე, წირვის შემდეგ“.

გათავდა წირვა, ვემთხვიეთ ჯვარს და გამოველით ბარეთ. დაუძახე ჩემს მეგობარს კლავდიოზს და უთხარი: ამელამ შუაღამისას რათაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა შევიდეთ ჩვენს ეკლესიაში და ის ღვთის ტახტი თავდაყირა უნდა დავსცეთ. ვაჩვენოთ ჩვენს რექტორს როგორ სამუდამოა ის და რომ მეფის ტახტიც მაგრე ადგილად დაინგრევა-თქვა. მან სიხარულით დამსთანხმდა. ასეთი საცელქო რამეები სხვაც ბევრი გაგვიკეთებია ჩვენ ერდად. თუ რა შედეგები მოყვებოდა ჩვენთვის პირადათ, ამაზე სრულებით არც კი გვიფიქრია. როდესაც სახლში მოვვდით ერთ ამხანაგს აკაკი ქარცივაძესაც გავანდეთ ჩვენი საიდუმლოება და ისიც დაგვეთანხმა მონაწილეობის მიღებაზე. ღამის 12—1 საათზე შევიყარეთ ერთად თავი და გავსწიეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სემინარიის ეკლესიისაკენ. შეიარაღებული ძლიერ „ჯარგათ“ ვიყავით. მე საჯიბე დანა მქონდა, ქარცივაძეს მსხვილი ჯოხი, ტყემალაძე სულ ცალიერი იყო. მივადექით ეკლესიას უკანა ფანჯრებიდგან. ქარცივაძე დავტოვეთ ცოტა მოშორებით: თუ ვინმე გაიგებდა ის დაგვიფშტეხენდა ჩვენ. ორი მიველით ახლოს ფანჯარასთან, პატარები ვიყავით და ვერ მივწვდით ფანჯარას, რომელიც თან დაკეტილი გამოდგა. ამოვიღე ჩემი დანა და შეხტომით რაც ძალა და ღონე მქონდა გავარტყი ფანჯარას. ფანჯარა გასკდა და თან საშინელი ჩხრიალი მოახდინა. ჩვენ ჩავჯექით და გავტრუნეთ სული. მიმოვიხედეთ—არავინაა. არავის გაუგია ხმაურობა. კლავდიოზი დავაყენე ოთხზე და მე ჭურგზე შევადექი. თავისუფლათ გავყავი ხელი გატეხილ ფანჯარაში და შიგნიდგან რაზი გიეხსენი. ფანჯარა გაღმა ეხლა ადვილი იყო გადასვლა ფანჯარაში, რომელიც სწორედ „წმინდათა-წმინდაში“ შედიოდა—თავი წმინდათა-წმინდაში ამოვყავით. ჯერ ზედ რაც ეწყო მივლეწ-მოვლეწეთ. გვერდზე ორი ბოთლი წითელი ღვინო იდგა—ისიც დავღვარეთ (არ დაგვილევია იცოდეთ). შემდეგ შეუდეგით ორი მხრიდგან ტრაპეზს. პირველ აწევაზე ვერ დავსძარით. მეორეჯერ მოვიკრიფეთ უკანასკნელი ძალა და კიდევ ავსწეეთ. როგორც იყო ავაგლოჯეთ იატაკს და ფეხებს-აღმა გავშლარეთ ტრაპეზი იატაკზე. მე მოვინდომე თვით სამლოცველოში გაესვლა და ზოგიერთ ხატების „შეურაცყოფა“. ჩემი ამხანაგი მიძახის: წავიდეთ აწი, შენი სახლი ხომ არაა აქ, რომ ასე დათარეშობო“. მე არ დავიჯერე და მაინც გავედი. გამომყვა ისიც. ამოვიღე ჩემი დანა და ორი თუ სამი ხატი წმინდანების, რომელიც ტილოზე იყო ფახტული გავსჭერი მუცელზე. ამის შემდეგ დავტოვეთ წმინდათა-წმინდა“ და მოვკურცხლეთ სახლისკენ. ჩვენს დარაჯს, თუ მეხსიერება არ მღალატობს, დასძინებოდა კიდეც გავაღვიძეთ და გავწიეთ შინისკენ. ისეთ კმაყოფილებას ვგრძნობდი პირადათ მე, რომ ახლად დავიბადე მეგონა. მკვდარივით მეძინა მთელი ღამე. მეორე დილით ისევ შევიყარეთ მე და ტყემალაძე და ყველაზე. ადრე მოვირბინეთ სემინარიაში. წარმოდგენილი გვქონდა რეტორი, რომელიც მიდის ეკლესიაში და თვალ წინ აფორიაქებული საყდარი ხვდება. ყველაზედ უფრო მისი გაოცებული სახის გამომეტყველება გვამხიარულებდა. აგერ დავინახეთ მოდის „მისი კურთხევა“, არავის არ აქცევს ყურადღებას. ჩქარი ნაბიჯით გარბის ეკლესიისაკენ. ჩვენ უკან დავედევნეთ. შევიდა ეკლესიაში და რა ნახა ყველაფერი ის, ერთი შეიდგა, მიიხედ მოიხედა ჩვენ დანახვაზე სახე შეიკუმუხნა. ასე გეგონებოდათ ოდაც შეგვატყოო. ჩვენც გავინაწილეთ მისი მწუხარება. კლავდიოზმა წაიღუღღუნა „ღმერთი არ გაუშვებს მაგის მწყველებს“—ოგამოვეღით გარეთ და არ მახსოვს მე თუ ტყემალაძემ გაუშვით ასეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანეგდოტი: „წმინდანებს ღვინო დაულევიათ, დამთვრალან, შემდეგ წმინდა ნინოზე ჩხუბი მოსვლიათ, ერთმანეთი დაუჩეხიათ და თან ეკლესიაც აუფორიაქებიათ“-ო. საინტერესო იყო მორწმუნე მოწაფეების სულიერი მდგომარეობა. დაბუმებულნი იყვნენ, თითქო რაღაც ახლობელი მოკვდომიათ. გულში ალბათ კიდევაც უჯავრდებოდენ თავიანთ ღმერთს, თუ როგორ ამაების ჩამდენი იქავე ვერ გააქვავეთ. ბევრი მოწაფენი ამის გამო მხიარულობდნენ; ზოგიერთები უფრო იმიტომ რომ იმ დღეს წირვა არ იქნებოდა (ფრიად მობეზრებული ვიყავით უქმე-დღეებზე წირვა ლოცვით). ისე დაწვრილებით გვასრულებინებდენ საეკლესიო წესებს. რომ წირვა ლოცვის დროს გინების ქეტს არაფერს ვაკეთებდით. ბევრ მოწაფეებს იმის იმედიც კი ჰქონდათ, რომ სემინარიას დახურავდენ.

იმ დროს იყო სერიოზიული პოლიტიკური მიმდინარეობა სემინარისტებში მიმართული სასულიერო სასწავლებლების სრულებით დახურვისაკენ. მოწაფეებს ამახინჯებს ესდა რაც მეტი დაიხურება ასეთი სკოლები მით უკეთესიაო, ამბობდენ ისინი. მათ შორის მეც ასეთი აზრის ვიყავი. მაგრამ სემინარიის ადმინისტრაცია ჩვენზე უფრო ხერხიანათ შოიქცა. მან მოინდომა ამ აქტის დაფარვა. ეკლესიის „შეურაცყოფა“ ორ თებერვალს მოხდა, მეორე დღისთვის—სამი თებერვალისთვის დემონსტრაცია იყო დანიშნული. სამს დილით მოვედით სასწავლებლებში. მე მქონდა მონდობილი ჩემი კლასის გამოყვანა. სულ უნდა გამოსულიყო დემონსტრაციაში სამი კლასი—პირველი, მეორე და მესამე. უფროსი კლასები არ იღებდნენ მონაწილეობას. ბევრმა ამხანაგებმა გვიმუხთლა. ვერ გაბედეს სასწავლებლის დატოვება...მოვიყარეთ თავი ხელმძღვანელებმა და შეუდექით ძალის დატანებას. ზოგიერთი ჩვენთაგანი მოწაფეებს თავზე ხელ-აღებულ ადამიანებათ მიაჩნდათ. შეუდექით კლასებიდგან გამორეკას. კლასებიდან გამოდიოდენ როგორც იყო დიდის ყვირილით, მუქარით, შერცხვენით, ერთად შეუყარეთ ეზოში თავი. აქ კი, როდესაც ბევრმა მოიყარა თავი ერთად, გული მოეკაცათ და დაიძრნენ... მახსოვს ერთი ეპიზოდი: გადამეღობა წინ ერთი ბერ-მონაზონი, მეუბნება: სად ერეკები ამ მოწაფეებს, ნუ იზამ მაგას, გამგებინე—თუ კარგია მეც წამოვალო და ანნაირად გულს უცრუებდა ხელმძღვანელებს. დიდი გრძელი წვერები ჰქონდა. გაბრაზებულმა ვტაცე ხელი წვერში და მაგრად მივაქანჯალე. მოგვშორდა და ჩვენ გზას გაუდექით. ყველა სასწავლებლებიდგან თავი ბულვარის ახლოს უნდა მოგვეყარა. უცდით ჩვენ სემინარიელები და არსაიდგან არავინ არ სჩანს. რამოდენიმე ამხანაგმა გაუარეთ სახელმწიფო გიმნაზიას, საიდგანაც **ს. ჭავთარაძეს** უნდა გამოეყვანა მოწაფეები—გამოირკვა, რომ სასწავლებლის ადმინისტრაციას გაეგო მოწაფეთა განზრახვა და მოწაფენი ჩაეკეტათ. რეალურ სასწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელიდან მოხდა, „მთავარ სარდლათ“ წოდებული ბესო კვირკველია მოხდა აგრედვე ქალთა გიმნაზიიდანაც. ქალების ეპარქიალურ სასწავლებლიდგან კი 30 მოსწავლე ქალებს მოესწროთ გამოსვლა ანეტა სულაქველიძის და ფაცია გალდავას მეთაურობით. დაგვინახეს თუ არა გიმნაზიელებმა იყვირეს, დალიწეს ფანჯრები, გადმოვიდენ რკინის ღობეზე და შემოგვიერთდენ ჩვენ, ხელმძღვანელობდა მათ ამხ. **ს. ქავთარაძე**. ყველანი გამოუცდელები ვიყავით. არ ვიცოდით წესი დემონსტრაციისა. ხუთას კაცამდის ვიქნებოდით. დავედევით ქუთაისის ქუჩებს და ყვირილით: „ძირს ომი, ძირს თვითმპყრობელობა“, მოვირბინეთ ყველა ქუჩები. რეალურ სასწავლებლიდან მხოლოდ ექვსი კაცი შემოგვიერთდა ბესო კვირკველიას მეთაურობით.

გავრბივართ ერთად და თან პოლიცია მოგვდევს. ასე გეგონებოდათ თვით პოლიციელებიც დემონსტრაციის მონაწილენი არიანო.

ბოლოს გამოიწვიეს ცეცხლის მქრობელი რაზმი და წყლით დაგვშალეს. ზოგი ამხანაგები ისე გაეტაცებია ლოზუნგებს, რომ დემონსტრაციის გათავების 15 წუთის შემდეგაც ყვიროდენ „ძირს ომი, გაუმარჯოს რევოლიუციასო“. თუ არ ვცდები ქუთაისის მოწაფეთა დემონსტრაცია პირველი იყო იმ ხანებში მთელ რუსეთში, მთაბეჭდილებაც დიდი იყო, რადგან იმ ხანაში ჰაერში რევოლიუციონური სუნი ტრიალებდა და ასეთ გამოსვლებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა.

დემონსტრაციის მეორე დღეს გამოვცხადდით სასწავლებელში ვითომ და აქ არაფერი ყოფილიყოს. დაიწყო კვლევა-ძიება. ხელმძღვანელების გამოძებნა. სანამ დამთავრდებოდა გამოძიება—ჩვენ ის გვაწუხებდა—დახურავდენ თუ არა სემინარიას. ხმები დადიოდა, რომ ყველაფერი დაფარეს. სემინარიას არავითარი საფრთხე არ მოელისო. ვიგონებდით სხვა და სხვა ხერხს. ბოლოს გადავწყვიტეთ კლასიდან ჩამოგვეღო ერთი ხატი და საპირფარეშოში დაგვესვენებია. თქმა და შესრულება ერთი იყო მე ჩამოვიღე ხატი, ვანო ინწკირველმა ამოიდგა პალტოს ქვეშ (მას პალტო ეცვა) და „დიდის შორიდებით“ საპირფარეშოში დაასვენა. ამ დროს შემთხვევით სანიტარულმა კომისიამ ჩამოიარა.. საპირფარეშოებიც დაათვალიერეს. ნახეს თუ არა ხატი ასეთ „შეუფერებელ“ ალაგას, დაუძახეს იქვე მდგომ მოწაფეებს. უკანასკნელებმა დიდის შიშით და მოკრძალებით გასვრილი ხატი სამასწავლებლო ოთახში შეასვენეს. აქ რექტორმა თავისი თმით და ნაკურთხი წყალით გაასუფთავა ხატი. აკოცა და კედელზე მიასვენა. სანიტარულმა კომისიამ სასწრაფოთ აცნობა ეს უკანასკნელი ამბავი ტფილისში ეგზარხს, რომელმაც სასწრაფო გამოძიება დანიშნა. აქ კი ყველაფერი გამოირკვა და სამი თვის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სემინარია დახურეს სავსებით. დახურვამდის ადმინისტრაციამ ინც მოასწრო და დეპონსტრაციიდგან ორი კვირის შემდეგ 13 მოწაფე გამოირიცხა სემინარიიდან. ცამეტ-ცამეტი მოწაფე გამორიცხეს აგრეთვე სხვა სასწავლებლებიდანაც. ჩვენ გამორიცხვას სემინარიიდან რაღაც მოსაზრებით უშუალოთ ჩვენ არ გვაგებინებდენ. ერთი თვის შემდეგ მშობლებს გააგებინეს: „თქვენ შვილს შეუძლია ქაღალდის მიღების შემდეგ სემინარიაში არ გამოცხადდესო“. ჩვენ კი წინდაწინ ვიცოდით ჩვენი „უბედურება“. გაგვაგებინა ერთ-ერთმა მასწავლებელმა დობრიჩენკომ, რომელიც გულში ფრიად თანაგვიგრძნობდა ჩვენ. შეგვხდა გზაში, გაგვაჩერა და დაგვიწყო მუსაიცი: ხომ არ ნანობთ, რომ გამოგრიცხესო. ჩვენ უპასუხეთ, რომ სანანებელი არაფერი გვაქს-თქო, იმანაც გვითხრა, რომ სანანებელი არაფერია, მხოლოდ ეცადეთ თავი არ გაიფუჭოთ, ნაძირალებათ არ გადაიქცეთ, განაგრძეთ სწავლა და ბრძოლა, ხალხის სასარგებლო ადამიანი გამოდითო. მოგვეფერა, ბეჭებზე ხელი გადაგვკრა და ხელის ჩამორთმევით გამოგვეშვიდობა. ძლიერ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე მისმა დარიგებამ და ჩვენ მოემზდებაზე დასტურის დაკრამ. ჩვენ ვიგრძენით, რომ მარტონი არ ვყოფილვართ, თვით მასწავლებლებშიაც თანაგრძნობები გვყოლია.

აქედან იწყება ჩემი, ასე რომ ვთქვათ, რევოლიუციონური მოღვაწეობა. უკეე მოთხოვნილებათ გადამეიქცა რაიმეს გაკეთება. ვეძებდი საშუალებას. ამ მიზნით გავიცანი,—თუ მან მომნახა—ბარონ ბინეიშვილი. ის მაწვდიდა არა-ლეგალურ ლიტერატურას. გაშმაგებით დავეწაფე არა-ლეგალურ გამოცემებს, განსაკუთრებით „ისკრას“. ბარონი გვაძლევდა ფურცლებსაც გასავრცელებლად. მოახლოვდა აღდგომის დღესასწაულები. ბარონმა მე და ვალოდია სულაქველიძეს მოვგვაწოდა საღაღგომო და ომის საწინააღმდეგო ფურცლები, რომლებიც მოვფინე ეკლესიებში წირვის დროს და ყაზარმებში—ჯარის კაცებში. დამიწყეს ჟანდარმებმა დევნა. ბარონს გავაგებინე, რომ მდევნიან მეთქი. იმანაც დაფაცურდა. მომცა ერთი ძველი მისი პიჯაკი, შავი „შლიაპა“ და სათვალეები: „ჩაიცვი, გამოგცვლის და ვეღარ გიცნობენონ“. არა-ლეგალური ცხოვრება ჩემთვის ახალი იყო. გამოცვლით კი გამოვიცვალე, მაგრამ ბინაზე თავის სახლში ვიყავი და ბულვარში დავსეირნობდი. ერთ ღამეს დაღლილი მოვედი ოთახში. თან ორი აბზანაგი მოვიყვანე ღამის გასათევად—ერთი აბაშიძე და მეორე გვარი დამავიწყდა. ოთახში არა-ლეგალური ლიტერატურით მოფენილია ყველაფერი. ღამის პირველ საათზე შეიქნა ბრახუნი. მე არაფერი გამიგია. იქვე ახლო ცხოვრობდა ნინა ბაბაძის ქალი ეპარქიალური სასწავლებლის მოწაფე, გამოვიდა ის და გამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვიძა. მითხრა პოლიცია მოვიდა, ჟანდარმებიც არიანო. ყოველ მხრიდან სახლს გარს არტყიანო. ავდექი. შარვალი ჩავიცვი და ბარონის მოცემული პიჯაკი. გამოვიტანე „დერეფანში". ლიტერატურა და გასარეცხი საცვლების შესანახ „უჯრაში" ჩავდეკი—საცვლების ქვეშ, ვითომ ძალიან „შორს" დავმალე. ამხანაგებს უთხარი: შეიძლება მე გავიქცე და თქვენ არ შეგეშინდეთ, უთხარით, რომ სახლში არ ყოფილა-თქვა. გამოველი. წინ მოსამსახურე ბიჭი შემომხვდა სულ ცახკახებდა. მე კი ჩემი თავი „გმირად" მიმაჩნდა. ასე ვმსჯელობდი: თუ გავიქეცი ხომ კარგი და თუ არა დამიჭერავენ, როგორც პოლიტიკურ მომუშავეს. ეს კიდეკ უკეთესი; მოსამსახურეა მითხრა: ჩემი ოთახიდან პატარა ფანჯარაა, საიდგანაც მეორე ეზოში გადახტომა შეიძლებაო. მეორე სართულში ვიმყოფები. შევედი ოთახში, გადვიხედე ფანჯრიდან; კედელზე ერთი არშინი მოშორებით ლობეა, რომლის იქით რაღაც ხუნდაძის ეზოა. ლობეს და კედელს შუა ასე სამი საჟენით მოშორებით დგას „გოროდოვოი". მიიხედა თუ არა „გოროდოვოიმ" მეორე მხარეზე, მეც ვისკუპე და მეორე ეზოში ბრაგვანი მოვადინე. გაიგეს ძალლებმა და დამიწყეს საშინელი ყეფა როგორც იყო თავი დავახწიე. სირბილით მივირბინე ორი ამხანაგის ბინაზე. მიხა ხუტულაშვილის და კლავდია ტყემალაძისაში. არც ერთი სახლში არ დამხვდნენ. თუმე ყველა ისინი იმავე სახლში ქვემო სართულში ერთ ამხანაგთან იყვნენ და ჩემთან აპოსელამდის დაეპატიმრებიათ, რომ მე არაფერი გამაგებინონ. ეს ამბავი არქელის ბოიჯზე იყო. იქიდგან ძირს ჩამოველი—ქალაქში ღამე სასტუმროში გავათენე—ავადმყოფი ამხანაგის ჭანტურიშვილის ოთახში.

ამის შემდეგ კიდევ მეტად უფრო მალულად უნდა მეცხოვრა, მაგრამ რა ვიცოდი მალვა რას ნიშნავდა... ისევ ბულვარი და ისევ ამხანაგებთან ხეტიალი. ერთი რამ კი ვიცოდი. **ბარონთან** მისვლა არ შეიძლებოდა. კომიტეტი ჩავარდებოდა.

ერთხელ ერთი ჩვენი წრის მოწაფე ქალი მიდიოდა ტფილისში. ჩვენც მოვინდომეთ მისი გაცილება. შევიყარეთ 10 15 კაცამდის და ისე ჩვენებურად, ახალგაზრდულად, ყვირილით, ხმაურობით, სიცილით გამოვედით სადგურზე. აბა სად მალვა და სად სადგურზე ხეტიალი. გამოვყევით რიონამდის. გზაში აყალ მაყალი მოგვივდა ობერ-კანდუქტორთან, რომელიც, ეხლა რომ უკვირდები არავითარი დამნაშაგე არ იყო. მაგრამ ჩვენ მაშინ, როგორც იტყვიან, ღვთის წყალობა შეურაცყოფად მიგვაჩნდა. ჩვენი ჩხუბისათვის თვალ ყური უდევნები ერთ-ერთ ჟანდარმს და როცა რიონში ჩამოვედით, მოგვადგა ჟანდარმი და ხელ მეუბნება: აქეთ წამობრძანდითო. მეც გავყევი და თან ამაყათ ვეჩხუბები. აქ ჩემი განუყრელი მეგობარი კლავდიოს ტყემალაძესაც მოაბრძანებენ. აყალ-მაყალში აუცილებლად ორივე უნდა ვყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილიყავით. მე დავიწყებდი,—ის ჩაერეოდა—ის დაიწყებდი მე ჩაფლერეოდი.

გვეკითხებიან სახელსა და გვარს. ის ეუბნება: შეყლაშვილი ვარო, მე ვეუბნები გაიპარაშვილი ვარ—თქო. დაკითხვა გათავდა. აღარ გვიშკებენ. დაუწყეთ ჩხუბი. ვერაფერი გავაწყეთ და მერე დაეღრიჯა კლავდიოზი და ეუბნება: ამხანაგი გამოვაცილეთ, სირცხვილია, ბაგვიშვი, თუ გეშინიათ გაგვაყოლეთ თითო ჟანდარმიო.—დაიჯერა. გამოგვაყოლეს ერთი ჟანდარმი და პლატფორმაზე გამოველ. მატარებელი მოვიდა. ხალხი აირივ-დაირია. აბა, ბიჭო, კლავდიოზ, უდურთრთ სადგურის უკან ტყეში თქვა. დიდი აღარ დავვიყოვნებია. გაეძვერით სადგურის უკან და მოვკურცხლეთ ფეხით ქუთაისიაკენ 8 თუ 10 ვერსტია. სული არ ამოგვითქვამს ისე სირბილით ჩამოველით „წვანე-ყვავილას“ სასაფლაოზე. ამის შემდეგ არ გასულა ერთი თვე, დამიჭირეს ისევ ამხანაგთან. ბოქაულ მახარაძეს გადაეცეა ჩოხა და აგენტებით გამყოლოდა სახლამდის. ეს აბა რა ვიცოდი—ან აგენტი ან შპიონი და ან გადაცმა თუ შეეძლო ბოქაულებს. დამიჭირეს და გადამცეს ჟანდარმერიას, იქიდან გამაგზავნეს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში,—ახალ ბინაზე. ჩამსვეს ჯერ ცალკე. მერმე ვიღაც ჩინოვნიკი შემოიყვანეს. აქ იყვნენ პოლიტიკურები, რომლებმაც დამარიგეს: რა კითხვაც არ მოგცეს ყველაფერზე უარი უპასუხეო. ორი კვირის შემდეგ დამიძახეს. მეკითხებიან: ვინ მოგცა ლიტერატურა, შენია თუ არაო. მეც დარიგებისამებრ უპასუხებ: ჩემი არაა, არავის ვიცნობ და სხვა და სხვა. გამაჩერეს 6 თვე. ამ ხნის განმავლობაში პასუხისგებაში მიმცეს სადგურზე აყალ-მაყალისათვის. მომრიგებელ მოსამართლემ დამიძახა. ჯერ წინადადება მომცა მიმეღო მანიფესტი, რომლის ძალით ასეთი საქმეები ისპობოდა (ალექსის დაბადების გამო იყო მანიფესტი). მაშინ ისეთი ხანა იყო, რომ არა თუ მეფის მანიფესტი, არამედ მეფეს ოქროები რომ გადმოეყარა, იქით კენ არ გაეხედავდი. მანიფესტი არ მივიღე,—მედიდურად განუცხადე: „მე მეფისაგან მოწყალებას არ ეღებულობთქვა“. დარბაზი ხალხით ვაჭედილი იყო. მოსამართლე გაოცდა. ხალხს ეტყობოდა ესიამოვნა ჩემი ასეთი პასუხი. მიმისაჯა ორი კვირის ციხე. უკან ციხეში გამომბარეს. ექვსი თვის შემდეგ, როგორც მცირე წლოვანი მშობლების ხელწერილით გამომშვეს. ციხემ დიდი სარგებლობა მომიტანა. აქ გავეცანი ყველა მაშინდელ მოწინავე ამხანაგებს, მუშებსა და ინტელიგენტებს: აქ იყვნენ ბუდუ მდივანი, ვარდენ კალანდაძე, დათიკო ლორთქიფანიძე, გიორგი თელია, ალექსანდრე დგებუ-ძე, კანდელაკი და სხვები. ჩემს ციხეში ყოფნის დროს მოიყვანეს გურიიდგან დატყვევებული გლეხები.

პირველი ადგილი გლეხებში შეკნებით და რიცხვითაც ეჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათ გურულ გლეხებს. მათ შემდეგ იმერელი გლეხები, უფრო
რესად სამტრედია-ხონის რაიონებიდან, დასავლეთ საქართველო-
ში იმ დროს ძლიერი რევოლიუციონური მოძრაობა იყო. მოძრა-
ობა სოციალ-დემოკრატიულ დროშის ქვეშ სწარმოებდა. უფრო საინ-
ტერესო იყო, რომ გლეხურ მოძრაობას დასავლეთ საქართველოში
არ ქონებია კუთხური ხასიათი. პირიქით, მოძრაობა ფრიად ღრმა იყო
და ყველა ლოზუნგები ეფარდებოდა რუსეთის და საზოგადოდ საერ-
თაშორისო მუშურ მოძრაობის ლოზუნგს, რადგან ის სწარმოებდა
სოც.-დემოკ. პარტიის მუშაობით. მიზეზი გლეხების დაჭერისა იყო
აშკარა დემონსტრაციები მთავრობის წინააღმდეგ. ბევრ ადგილას
მიტინგები და დემონსტრაციები სისხლის ღვრითაც კი დამთავრდა.
მიუხედავათ ამისა, რომ მთავრობა სასტიკ ზომებს ღებულობდა მოძ-
რაობის წინააღმდეგ და ბევრგან სისხლიანი შეტაკებებიც კი მოხდა
— გლეხები მაინც ყოჩაღათ იყვნენ და არ ეტყობოდათ ოდნავათაც
გულის გატეხა. პირიქით, იმათმა შემოსვლამ ციხე გააამხიარულა,
გამოაცოცხლა. პირველად დავინახე თვალით და ვიგრძენი მთელი
ჩემი არსებობით სიდიადე განმათავისუფლებელი მოძრაობისა. რევო-
ლიუციონური მუშების და გლეხების დანახვამ ციხეში საშინლად
ამითამაშა გული და პირველად მთელი ჩემი არსებობით მომენატრა
თავისუფლება, ციხიდგან გამოსვლა და მუშაობა. მანამდის არც კი
მიგრძვნია თავისუფლების უქონლობა, ცხოვრებაზე მოწყენეტა. ამას
ზედ დაერთო კიდევ ციხეში მეკადინეობა. აქ შევისწავლე პოლიტი-
კური ეკონომია, ძველი რევოლიუციონური მოძრაობა და სხვა და
სხვა. როცა რაც ძალი და ღონე მქონდა დავეწაფე მეცადინეობას
სწორედ ამ დროს გამომიცხადეს განთავისუფლება. ამხანაგებმა და-
ამზადეს წერილები. გამეკეთეს ფეხსაცმელებში და პირადათაც მომ-
ცეს ბევრი დავალებანი. განსაკუთრებით ერთი დიდათ სერიოზული
შინაარსის წერილი გამატანეს ბათუმში ვლადიმერ ჯიბლაძესთან.
ის ბათუმში მუშაობდა მაშინ. შინაარსი ეხებოდა ამხ. გიორგი
თელიას და მისი რამოდენიმე ამხანაგის განთავისუფლებას. უნდა
დახვედროდენ გზაში და ძალით გაენთავისუფლებიათ. ფარმოუდგე-
ნელ სიხარულს განვიცდიდი, როცა ბათუმში ასეთი სერიოზული
დავალების შესასრულებლად გავემგზავრე ციხიდგან გამოსვლის მეორე
დილითვე წერილი ჩაუტანე და მივეცი ლ. ჯიბლაძეს. იქიდგან გამო-
ბრუნებული ქუთაისში ჩამოველ. მინდოდა მიმემართა კომიტეტისა
თვის, რომ ესარგებლათ ჩემით. განსაკუთრებით მიტაცებდა „პრო-
პაგანდისტობა“. მე აღარ დამჭირდა მიმართვა. მახსოვს ბულვარის
ახლოს ქუთაისში „სესიას კონდიტერი“ იყო. აქ შემხვდნენ კოლია
ქარცივაძე—მაშინ გამოჩენილი რევოლიუციონერი—ბოლშევიკი (დღეს
რენეგატი) და ალიოშა ჯაფარიძე—(თურქესტანში ინგლისელ—მენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევიკ—ესერებისაგან ვერაგულად დახვრეტილი). გამაჩერეს და მკითხეს: წამიკითხავს თუ არა რ. ს. დ. მ. პ. პროგრამმა, ბოგდანოვის პოლიტიკური ეკონომია, კომუნისტური მანიფესტი და რაღაც კიდევ ბროშურები ჩამომითვალეს. მე დადებითი პასუხი მივეცი... ჩემი დადებითი პასუხი საკმარისი იყო, რომ მე ჭიათურაში ვ. ინწკირველთან ერთად „პროპაგანდისტათ“ გავეგზავნეთ. ამ დროს ქუთაისში **ტალინი** მუშაობდა... რამოდენიმე ლექცია ამანაც წაგვიკითხა. უფრო პარტიულ განხეთქილების შესახებ, რომელიც მხოლოდ პარტიული მეთაურების სფეროში ტრიალებდა. ეს ნოემბრის შუა რიცხვები 1904 წელი იყო. კარგად გარკვეული პარტიულ განხეთქილების საკითხში არც ლიდერები იყვნენ მაშინ. მხოლოდ ხდებოდა გარდატეხა ჯერ ხელმძღვანელ ორგანიზაციებში; შემდეგ განხეთქილების საკითხი მასაშიაც გადავიდა. მე და ვანო ინწკირველს თავი ბოლშევიკებათ მიგვიჩნდა.

გავემზადე ჭიათურაში წასასვლელათ... დამტვირთეს არა-ლეგალური გამოცემებით და გავსწიეთ ჭიათურაში. გული მიფანცქალებს. ვიცი რამდენიმე დღის შემდეგ მუშების წინაშე პროპაგანდისტათ უნდა წავიდგე. თან მიხარია და თან ვშიშობ—ვაი თუ კარგათ ვერ ვილაპარაკო, ვაი თუ შევრცხვე-თქვა. ჭიათურაში შიმიყვანეს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზატორების სახლში—ქრისტაფორე ნელეულასთან და ვანო ლომთაძესთან. მაშინ ჭიათურაში ინტელიგენტთაგანი ჩვენ ორის მეტი არავინ იყო.—მე ვამბობ პროფესიონალურ პროპაგანდისტებიდან.

ვზივართ სახლში: მე, ვანო ინწკირველი და სამი კიდევ ადგილობრივი მუშები. უცბათ კარები გაიღო და შემოვიდა ნესტორ ჩხიკვაძე სამი-ოთხი უცხო პირების თანხლებით. ნესტორი ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო ორგანიზატორად იმ დროს. მართლაც იყო ეს. შემოსვლისთანავე მოგვესალმა და ვინაიდგან ჩემი სახელი არ იცოდა სალამი ასე გამიკეთა: გამარჯობა კოტე შენი. აქედგან დამერქვა კოტე და მის შემდეგ სხვა სახელი არც კი მესმის. არც ნამდვილი ჩემი სახელი მესმის, როცა ხანდახან ნათესავებიდგან ვინმე დამიძახებს ეხლა.

დაუფასებელი ხანა იყო. ყველაფერი რევოლიუციით სუნთქავდა. დრო მომზიდველი და გამტაცებელი იყო. არავინ თავის თავზე არ ფიქრობდა. ამხანაგობა, მეგობრობა მიმზიდველი იყო, გულწრფელი იყო ერთმანეთ შორის დამოკიდებულება, თვითეული ჩვენგანის სატკივარი,—ყველას სატკივარი იყო.

მართლა გვიყვარდა ერთმანეთი. ადგილობრივ ამხანაგებს ორგანიზატორებს ხედ-მიწევნით დაუახლოვდით „პირში სულს უბერავდენო“ რომ იტყვიან, სწორედ ასე იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით, გამოუცდელები. კონსპირაცია ნაკლებად გვესმოდა. გვინდოდა უფრო აშკარად მოქმედება. ამხანაგები კი გვიფრთხილდებოდნენ. ეშინოდათ არ ჩავარდნილიყავით თორემ ძნელი იყო ახლების შოვნა: ცოტანი იყვნენ ორგანიზაციაში „მცოდნე“ ამხანაგები. მთელი დღე ოთახში ვიჯექით ტყეებივით, ძხოლოდ ღამღამობით მივდიოდით მადნებში მუშებთან სამუსაიფოთ—ან როგორც მაშინ ვეძახოდით „საპროპაგანდოთ“. მთელი ჭიათურა დაყოფილი იყო ხუთ პარტიულ რაიონად: პერევისა, შუქრუთი, მღვიმევი, რგანი და თვით ჭიათურა.*)

საშინელი მდგომარეობა იყო მუშების. მადნებში მუშაობა ერთ-ერთ მძიმე სამუშაოდ ითვლება. მუშებისათვის არ არსებობდა არც ბინები, არც განათება, არც სიწმინდე, არც ტანისამოსი, არც საკმელი. პიროტყვები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ცხოვრობდნენ, ვიდრე ჭიათურის მუშები. სამუშაო დღე ხშირად 16—18 საათი იყო. 15 საათზე ნაკლები არსად არ ყოფილა. ხელფასი ფრიად მცირე, თუ არ მღალატობს მეხსიერება ორ-აბაზს არ აღემატებოდა დღიური ხელფასი. თვით მადნებში მუშაობის დროს უბრალო ჭრაქებით ინათებდნენ სამუშაოს. თვით მუშები საშინელ სანახავს წარმოადგენდნენ. მთელი, თვეობით მუშებს არ შეეძლოთ საცვლები გამოეცვალათ. შავი ქვის შავი მტვრისგან გამურულები მთელი თვეობით მუშაობდნენ, წელში მოხრილნი. ჩვენი პარტიული მუშაობისათვის დიდებული ნიადაგი იყო.

ჩვენც ვსარგებლობდით ასეთი მდგომარეობით და რამდენათაც მეტრმეტყველება გვიჭრიდა ულვიგებდით მუშებს რევოლიუციონურ გრძნობებს და შეგნებას.

ჩვენ ორი პროპაგანდისტი ვიყავით. 5 რაიონი და თან კვირა უქმეებში სოფლებიც გაყოფილი იყო ჩვენ ორ ამხანაგს შორის მე რამოდენიმეჯერ გავყევი ამხ. ინწკირველს და ესმენდი თუ როგორ ეწყოდა პროპაგანდა-აგიტაციას, რადგან ის უკვე გამოცდილი იყო. შემდეგ მარტო დავიწყე სიარული.

როგორც ზემოთ ვსთქვი, დღითი გარეთ არ გვიშვებდნენ. ზამთარი იყო. ასე საათის 7-8 გამოვიდოდით მადნებში მუშებიც დაახლოვებით 8-9 საათზე ათავებდნენ მუშაობას. ამ დაღლილ დაქანცულ მუშებთან ერთ—ან $1^1/_2$ საათს ვლაპარკობდით, ლაპარაკის დროს ხშირად დაღლილობისაგან მუშები იძინებდნენ ხოლმე.

მიუხედავათ ამისა $2^1/_2$ თვის განმავლობაში შევკარით 40-50 წრე. წრეში 10-15-20 კაცამდი შედიოდა. ასე რომ 1905 წლის შვა იან-

*) თითეულ რაიონს თავის ორგანიზატორი ყავდა: პერევისაში გიორგი წერეთელი, შუქრუთში ქრისტაფორე მელუა, მღვიმევში-ხაჭარია ჯურული, რგანში — ნესტორ ჩხიკვაძე და შიგ ჭიათურაში ვანო ლომთათიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრისათვის გვყავდა ორგანიზაციაში 300-350 მუშამდე. ჭიათურის ორგანიზაციას მიზნათ ქონდა დასახული ერთი დიდი დემონსტრაცია და თან გაფიცვა მოეწყო ჭიათურაში.

თუ არ ვცდები დემონსტრაცია—გაფიცვა 25-26 იანვრისათვის დანიშნეთ, ენერგიული მუშაობის და ადგილობრივი ორგანიზატორების დაუფასებელი შრომით შესანიშნავად ჩატარდა, როგორც დემონსტრაცია ისე გაფიცვა. 25 იანვარს დილით ყველა ხუთი რაიონიდან ჭიანჭველასავით გამოვიდნენ მუშები დანიშნულ ადგილას.

ჩვენც, მე და ვ. ინწკირველი ჩოხებში გადაცმულები მივედით. წითელი დროშის აფრიალების ბედი მე შეხვდა. 25-30 კაცი იმ დროსთან შედარებით კარგათ შეიარაღებულნი დროშას გარს ერტყენ.

10 ათას კაცამდის შეიკრიბა სულ. მეტად სასიამოვნო სანახავი იყო შავი ქვის მტვერში გასვრილი, გმბურული მუშების დანიშნული ადგილიდგან ჭიათურის ქალაქისაკენ მსვლელობა. პირადათ უდიდეს კმაყოფილებას განვიცდიდი, როცა ვხედავდი, რომ ორი-სამი თვის მუშაობამ და შრომამ ტყუილად არ ჩაიარა. ყველა დემონსტრანტს სახეზე კმაყოფილების ელფერი ეტყობოდა, ყველა ყოჩაღად და ფხიზლად იყო. ასე დარაზმული, წესიერად და რიგ-რიგობით, მარსელიეზის გუგუნით მიუახლოვდით ქალაქს. წინ რამოდენიმე ჩაფრებით შემოგვეგება ბოქაული ბერეჟიანი. დანახვის თანავე მუშებმა დასტყვევლს და მუქარითა და ხმაურობით გაექანენ პოლიციელებისაკენ... შეიარაღებულებმა თოფები მომმარჯვეს. მუშების გაბედულ მოქმედების, მათი ხმაურობის და შეტევის დანახვაზე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. მინდოდა სათითაოდ გადამეკოცნა ყველანი.

ასეთ განწყობილების დანახვაზე ბ. ბოქაული თავისი ჩაფრებით შედრკა, იბრუნა პირი და თვალის დახამხამებაზე სადღაც მიიმალნენ. დემონსტრაცია ქალაქში შევიდა, გაიარა და რკინის გზის სადგურის წინ დადგა.

გაიმართა შესანიშნავი მიტინგი. მშვენივრად და მჭერმეტყველად დაასურათა მუშების მდგომარეობა ამხ. ვ. ინწკირველმა.

აქვე ამხ. ვანომ (სტეპკომ) ჭიათურის ორგანიზაციის და ქუთაისის კომიტეტის სახელით მოუწოდა მუშებს გაფიცვისაკენ. მუშებმა სიხარულით შეეგება ამ მოწოდებას და ფიცი დასდეს: არც ერთი მუშა სამუშაოს არ შეუდგება, სანამ გაფიცვა გამარჯვებით არ დამთავრდება. წინდაწინვე გამომუშავებული მოთხოვნილებანი წაკითხულ იქნა, რაც ერთხმად მიიღო მიტინგმა და დაიშალა. ამ გაფიცვის მოგებაზე იყო დამოკიდებული სოც-დემოკრატიის მიერ სახელის მოხვეჭა და პრესტიჟის მოპოება მუშათა მასაში. გაფიცვა $1^1/_2$ თვე გაგრძელდა. გაფიცულთა კომიტეტმა ჭიათურის ორგანიზაციის ხელმძღვანელობით შეუდგა გაფიცულთა სასარგებლოდ სახსარის შევრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებას. ყველა შეძლებულთ გააწერეს შეძლებისდაგვარად, რომ საგანგებო ფონდი შეედგინათ. თვით კაპიტალისტებს, რომლის წინააღმდეგ იყო გაფიცვა მიმართული, შეაწერეს 15 ათას მანეთამდი. კაპიტალისტები ისე იყო დაშინებული, რომ დიდი ხანი არ დაუყოვნებიათ ფულის შემოტანით. ამნაირად $1^1/_2$ თვის შემდეგ გაფიცვა სრული გამარჯვებით გათავდა. მუშების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. არა ნაკლებ სიხარულს განვიცდიდით ჩვენც. ცხადია, რომ ასეთი გრანდიოზული დემონსტრაცია და გაფიცვა მთავრობის მხრით უყურადღებო არ დარჩებოდა. გაფიცვის გამოცხადების მეორე დღეებშივე ჟანდარმერიამ გააძლიერა თავისი მუშაობა. ჭიათურა მოფინა ჯაშუშებით. ამ მუშავა ადგილობრივი თავისი აპარატი. ადგილობრივმა აგენტებმა (შპიონებმაც) წამოყვეს თავი და შეუდგნენ ცნობების შეკრებას და მიწოდებას. განსაკუთრებით მოსვენებას არ გვაძლევდა ანნაური ნორეანანა ჩხეიძე და პოლიციის მწერალი მხეიძე. ჭიათურის ორგანიზაციამ გადასწყვიტა ორივეს თავიდან მოშორება. ერთი მათგანი ჩხეიძე სულ მოკლე ხანში მოკლულ იქნა ტერორისტებისაგან. მწერალი მხეიძის მოკლა კი მიანდეს უფრო გამოცდილ და მანე ამხანაგს შაქრო გიუნაშვილს. შაქრომ შეაგროვა რამდენიც საჭირო იყო გამოცდილი და გულადი ამხანაგები. ათ შორის იყო ამბ. კირკიტაძე, რომელსაც თავის სამსახურის გამო თავი სუფლად შეეძლო პოლიციაში შესვლა და გამოსვლა. შაქრომ მოუყარა ყველას თავი და დაავალა, რომ იმის და უნებურად არავის ნაბიჯი არ გადაედგა აქტის შესასრულებლად. ის ელოდებოდა ხელსაყრელ მომენტს, რომ უეცრად თავს დასხმოდა. ასეთი მომენტი მისი აზრით იყო ღილის საფოსტო მატარებელის მოსვლა, რომლის შესახვედრად პოლიციიდგან თითქმის ყველა ჩაფრები უნდა წასულიყო. ასე, რომ პოლიციაში დარჩებოდა მწერალი და ორი ან სამი ჩაფარი. მაგრამ ამბ. კირკიტაძემ დისციპლინა ვერ გამოიჩინა და შაქროსა და სხვების დაუკითხავად გასწია პოლიციაში ტერორის სისრულეში მოსაყვანად. შევიდა მწერლის კაბინეტში, ამოიღო რევოლვერი და 6-ჯერ დაახალა მწერალს, რომელიც პირველი სროლის-თანავე წაიქცა ზგიდის გვერდით. ამბ. კირკიტაძე გამოვიდა გარეთ მშვიდათ და გამოსწია შაქროსკენ სახარობლად, მაგრამ საუბედუროთ მას ვერც ერთი ტყვია ჯაშუშისათვის ვერ მოერტყა. მწერალმა მორთო ყვირილი და გამოიწვია იქვე მყოფი ჩაფრები, რომლებსაც მიუთითა მიმავალ კირკიტაძეზე. ერთმა ჩაფარმა ესროლა ამბ. კირკიტაძეს და დასჩა მკლავში. დაჭრილი კირკიტაძე გადმოხტა ბღილი კლდიდგან, დაიჭირა ხელში მოტეხილი მეორე მკლავი და „გაუმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოს ერთობას“ ძახილით შემოვიდა ბაზარში. თოფის და სროლის ხმაზე შაქრომ იგრძნო, რომ რაღაც ცუდათაა საქმე. დაავლო თოფს ხელი (ის იქვე ახლო ფეხსაცმელს აკეთებინებდა სახელოსნოში) და გაექანა იქითკენ, საიდანაც თოფის სროლა მოესმა. შეუდგა თუ არა პოლიციისკენ მიმავალ აღმართს, მან დაინახა ერთ-ერთი ჩაფარი თოფით ხელში ჯერ კიდევ მისდევს კირკიტაძეს. შაქრომ იქვე წამოუწოქა და შეჰყვირა რუსულად: (რადგან ჩაფარი რუსი იყო) „სტოი ტი მაია ზაკუსკა“-ო და ესროლა. დახე უბედურებას, თოფი არ გავარდა, გამოსცვალა მეორე პატრონა, თოფმა კიდევ უმტყუნა. დახედა თოფს და დაუღრიალა იქვე მდგომ უბრალოდ მაყურებელ ამხანაგებს-„ჩემი თოფი მომიტანეთო“, მაგრამ აღარ დასცალდა. ის იყო მობრუნდა თოფის გამოსაცვლელად. ჩაფარი გონს მოვიდა და ესროლა შაქროს. ტყვია წელში მოხვდა ერთი ვეფხვივით შეუხტა მაღლა და დაეცა. თოფი ხელიდგან გაუვარდა. ამხანაგებს შესძახა „თოფი არ გაატანოთ მაგ ჯალათსო“ ვერავინ ახლოს მისვლა ვერ გაბედა. დანარჩენი შეიარაღებული ტერორისტებიც არ იყვნენ ახლოს— ისინი შაქროს განკარგულებას უცდიდნენ სადღაც ჩაფარი მივიდა ხელიდგან გავარდნილი თოფი შაქროსი აიღო და პოლიციისაკენ მოჰკურცხლა.

გამორიკვა, რომ როდესაც შაქრომ თოფის ხმის გაგონებაზე თოფს ხელი წაავლო და სწრაფად გამოვიდა, თავის თოფის მაგიერ სხვისი თოფი მოჰყოლოდა ხელში, რომელსაც აღარ მიუდგა საკუთარი თოფის პატრონები და ასე შემთხვევით თავი წაავგო.

დაჭრილი შაქრო საავადმყოფოში წაიყვანეს. იცოცხლა ორი საათი. საკვდილის წინა წუთებში თავის ამხანაგ-მეგობრებს შესთხოვა: „შური იძიეთო“. რამოდენიმეჯერ გაიმეორა ეს უკანასკნელი სიტყვები საკვდილის წინ.

საათის 4-5 იქნებოდა ამბ. შაქრო რომ გარდაიცვალა.

6-7 საათზე ჩვენი სახლი გაივსო მოწინავე მუშებით, შაქროს ამხანაგ მეგობრებით და გულდამწვარნი მოითხოვდნენ მათთვის თოფების დარიგებას. ორგანიზაციას იმ დროს საწყობში მოეპოვებოდა რამოდენიმე თოფი.

„მოგვეცი თოფები, სისხლი უნდა ავიღოთ, შური უნდა ვიძიოთ მტაცვალებზე, შაქროს საკვდილის შერჩენა, შაქროს დათმობა ჩვენ არ შეგვიძლიანო“-გაიძახოდნენ მუშები.

ჩვენც არაფერი გვქონდა საწინააღმდეგო. იარაღი დაურიგეთ. მთელი ღამე ჭიათურა სამზადისო ბანაკს წარმოადგენდა. არც ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილიკი შეუკრავი არ დარჩენილა. ყველგან შეიარაღებული მუშები იდგნენ, მთელ ჭიათურას გარშემო ალყა ჰქონდა შეკრულ-ტყმული შეიარაღებული მოწინავე მუშებისაგან და ორგანიზაციის ორგანიზატორებისაგან.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ალაფარდოვისა.

ჩვენი არა-ლეგალური სტამბა.

1902 წლის ივლისში ნახალოვკაში (ლოტკის მთა), საკავშირო კომიტეტის დავალებით აშენებული იყო „წყალობა“ და ბაგრატ სოლომონის ძე სოლოლაშვილების სახლის ეზოში ერთ-თვალიანი პატარა სახლი. ამ სახლის სარდაფში მოწყობილი იყო სტამბა (პატარა დაზგა და ნახევარი ფურცლის საბეჭდავი მანქანა—„ამერიკანკა“). სტამბის მოწყობა ითავეს ვანო ბოლქვაძემ და გიგო ლელაშვილმა. ცოტა ხნის შემდეგ სტამბის გამგეთ დაინიშნა ამხ. ლადო დუმბაძე.

ამ სტამბაში იბეჭდებოდა მხოლოდ საკავშირო და ტფილისის კომიტეტის ფურცლები. მაგ. გამოიშვა რამდენიმე ფურცელი იმ გაფიცვების შესახებ, რომელიც იმ დროს მოედვა მთელ სამხრეთ რუსეთს და ჰპოვა ნაწილობრივი გამოხმაურება კავკასიაშიაც. გამოშვებული იყო აგრეთვე მოწოდებები ოფიცრებისა, მუშებისა და გლეხებისადმი.

დრო გამოშვებით სტამბა ბათუმისა და ქუთაისის ორგანიზაციებსაც ემსახურებოდა და ბეჭდავდა მათ შეკვეთილებსაც.

რამდენიმე თვის შემდეგ სტამბას უბედურება ეწვია; იგი განადგურებულ იქნა ბუნების სტიქიის მიერ,—განუწყვეტელი წვიმების გამო მას მოასქდა მთიდან დიდი ნიაღვარი და სულ ერთიანად წალეკა იგი.

სტამბა მალე გადატანილ იქნა ჩუღურეთში, ალექსანდრეს ქუჩ., ამხ. გვენცაძის სახლში. აქ მუშაობდენ ამხ. ლადო დუმბაძე, ჭიჭიკო კალანდაძე, მანასე გოგუაძე და ბაბე ლაშაძე. ეს უკანასკნელი ასრულებდა დიასახლისის როლს. სტამბა მოთავსებული იყო ოთახში და ეს გარემოება დიდ საშიშროებას უმზადებდა მას, რადგან პოლიციას ადვილათ შეეძლო მიეკვლია მისთვის.

ამ სტამბაში იბეჭდებოდა საკავშირო კომიტეტის ჟურნალი „ბრძოლა“ ქართულ ენაზე სულ გამოიცა ამ ჟურნალის 4—5 №№. გარდა ჟურნალისა დაიბეჭდა და გამოვიდა წიგნაკი „ოთხი ძმა“ და მრავალი ფურცლები როგორც საკავშირო, ისე ტფილისის კომიტეტებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე დროს გადაწყდა გაფართოებულიყო ბეჭედის საქმე. მოწყობილიყო იგი უფრო საიდუმლო და უშიშარ ალაგზე. დაიწყეს შესაფერ ადგილის ძებნა და ბოლოს 1903 წლის ივლისში კიდეც მიაგნეს ასეთს. ეს ადგილი მდებარეობდა ავლაბარში პეტრე-პავლეს სახელობის სასაფლაოს პირდაპირ და ეკუთვნოდა დავით როსტომაშვილს, რომელმაც შესთავაზა იგი ახმანაგებს დასახულ მიზნისათვის.

შეუდგენ საქმეს. შემოავლეს ეზოს მაღალი ფიცრული ღობე და დაიწყეს შენობის აგება. გადწყვეტილი იყო აეშენებიათ ორ-თვალიანი სახლი სარდაფით. ამ სარდაფს ქვეშ განზრახული იყო მეორე სარდაფის გაკეთება და ამ უკანასკნელში სტამბის გამართვა.

დიდი ფიქრი დასჭირდათ იმის შესახებ თუ როგორ და საიდან გაეკეთებინათ ჩასასვლელი მეორე სარდაფში.

შემთხვევით ამ დროს ამხ. მიხო ბოკორიძე კითხულობდა სენკევიჩის რომანს „ცეცხლითა და მახვილით“, სადაც აღწერილია ერთ ბულგარელ რევოლიუციონერის ცხოვრება, რომელსაც მოწყობილი ქონდა მიწაში ხვრელები და საიდუმლო ადგილები და ფარულად უყრიდა იქ თავს თავის თანამოაზრეებს საჭიროების დროს.

ამ შემთხვევით ისარგებლეს სტამბის ორგანიზატორებმა და შეადგინეს შემდეგი გეგმა მეორე სარდაფში ჩასასვლელის გასაყვანათ

(გ ე გ მ ა).

ამნაირად სტამბაში ჩამსვლელთ ჯერ უნდა გაევლოთ სარაიიდან ჭა და შემდეგ გვირაბი, რომელიც გაყვანილი იყო მიწაში ეზის ძირიდან სტამბის კარებამდე. საცხოვრებელი ბინიდან ამ სტამბაში გაყვანილი იყო ელექტრონის ზარი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო სტამბაში მომუშავეების გაფრთხილება თავზე დატეხილ საფრთხის დროს. სახლის აშენების დროს დურგლის ხელობას ასრულებდა 3 ძმა ჩოდრიშვილები და კალატოზობას კი ძმები მირიმან და სანდრო.

შენობის დასრულების შემდეგ აქ გადმოიტანეს ჩუღურეთის სტამბა. გავიდა რამდენიმე ხანი და ამხანაგებმა მოინდომეს გადმოეტანათ ბაქოდან დიდი საბეჭდავი მანქანა ც. კ. (რ.ს.დ .მ პ.) სტამბიდან. ეს საქმე მიანდეს ამხ. ლადო დუმბაძეს, რომელმაც დიდის ძალისხმევით ჩამოიტანა ტფილისში აღნიშნული მანქანა და გამართა. ეგი ახლად აშენებულ სტამბაში.

ამ სტამბაში რეგულიარულად იბეჭდებოდა სამი ორგანო: „ბრძოლა“ ქართულ ენაზე, „ბორბა“ რუსულ ენაზე და „ბანვორი კრივ“ სომხურზე. იბეჭდებოდა აგრეთვე მრავალი ბროშურები სამივე ენაზე „ახალ გზაზე“, „ობობები და ბუზები“, „რითი სცხოვრობენ ადამია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნები“ დიკშტეინისა, მოწოდებები და ფურცლები მთელი ამიერ-კავკასიისთვის.

მთელი მუშაობა სტამბაში დაკისრებული ქონდათ ამხ. ლადო დუმბაძეს (გამგე), მანასე გოგუაძეს, ჭიჭიკო კალანდაძეს, გიგო ლელაშვილს, ვასო ურუშაძეს, ბაბე ლაშაძეს, რომელიც იმავე დიასახლისის როლს ასრულებდა და ტიგრანს.

სტამბამ იმუშავა განუწყვეტლივ 1903-დან 1905 წლამდე (ოქტომბრის მანიფესტამდე) ამის შემდეგ მუშაობა შესწყდა $1\frac{1}{2}$—2 თვით, რადგან ამ ხნის განმავლობაში უკვე ლეგალურათ გამოდიოდა „კავკაზსკი რაბოჩი“.

მაგრამ გაძლიერდა ისევ რეაქცია და საჭირო შეიქნა არა ლეგალურ პირობებში გადასვლა და ავლაბრის სტამბაში მუშაობის გაჩაღება. ერთი თუ ორი თვის შემდეგ 1906 წ. მოხდა გაერთიანება მენშევიკებთან და რადგან ამ უკანასკნელებს თავისი სტამბა ქონდათ გამართული ქალაქის ცენტრში, მთელი სასტამბო მუშაობა გადატანილ იქნა იქ.

1906 წლის აპრილში ავლაბრის სტამბას ეწვია უბედურება და იგი დაილუპა.

აი რა პირობებში მოხდა ეს.

1906 წლის იანვარში გაერთიანებულმა საკავშირო კომიტეტმა დაადგინა გამოყოს 6 ამხანაგიდან შემდგარი ჯგუფი პარტიზანულ გამოსვლების მეთოდებისა (ქუჩებში ბარიკადებში ბრძოლის წარმოება და სხ.) და აგრეთვე ასაფეთქებელ მასალების დამზადების შესასწავლად.

ამ ჯგუფში შედიოდა სამი მენშევიკი—სილიბისტრო ჯიბლაძე, კალისტრატე გოგუა და (მესამეს გვარი არ მახსოვს) და სამი ბოლშევიკი (მიხო ბოჭორიძე, ნინა ალაჯაროვისა და ნუშიკ ზავარიანი). იანვრის შუა რიცხვებში ჯგუფი შეუდგა მაკადინოვბას სპეციალისტის ხელმძღვანელობით და ორი თვის შემდეგ, როდესაც უკვე შეესწავლა ამ საქმის თეორეტიული მხარე, საჭირო შეიქნა პრაქტიკულ მუშაობაზე გადასვლა (ბომბების, ფუგასების და სხ. დამზადება). გადასწყვიტეს ამ მიზნისათვის გამოეყენებინათ იმ დროს თავისუფალი შენობა ავლაბრის სტამბისა. მთელი ჯგუფი გარდა სილ. ჯიბლაძისა და კ. გოგუასი აქ გადმოვიდა. ამ დროს დიასახლისათ ისევ ბაბე ლაშაძე იყო. სამი კვირის შემდეგ გაჩნდა ბოროტი ადამიანი, ვინმე მუშა ტატუზოვი (მენშევიკი), რომელმაც გასცა ეს საქმე და სტამბა დაილუპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამხიცებულმა კაზაკებმა დაანგრიეს და მიწასთან გააslწორეს სტამბის შენობა და თვით სტამბა კი, რომელიც წარმოადგენდა ამიერ კავკასიის პროლეტარიატის სიამაყეს და რომელიც მრავალ წლების განმავლობაში სწედდა და ავრცელებდა ტანჯულთა შორის რევოლიუციურ აზროვნებას—გადაიტანეს ხელმწიფის მოადგილის შტაბში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. თოდრია

ალიონიდან გათენებამდე.

(პირადი მოგონებები).

თუ რომ პირველი შვილის დაბადებას, და ისიც ვაჟის, სიხარულით და თოფის ცემით შეხვდებოდენ გურიაში, რაც უნდა ღარიბი ოჯახი ყოფილიყო—მეხუთე შვილის ყოლა, ცხადია, ვერაფერ დიდ მხიარულებას გამოიწვევდა. მით უმეტეს, რომ ამ მეხუთე შვილის მშობლებს სამი ქცევა მიწის და ერთი ფაცხა სახლის მეტი თუ არაფერი გააჩნდათ. ასეთ ღარიბ ოჯახში დავიბადე მეხუთე შვილათ 1880 წელში.

—ვალმა სთქვა: „ჭუჭრუტანაში შემოვძვრები და კარებში კი ვეღარ გავეტევიო“.—ეს სიტყვები ხშირად მსმენია დედაჩემისაგან.

ამიტომ „ვალი“ და „მევალე“ მე წარმოდგენილი მქონდა რაღაც საშინელ ცხოველათ, რომელიც უნდა გაიზრდებოდა, უნდა დაპატარავდებოდა, საჭიროების მიხედვით,—და მუდამ მხოლოთ იმაზე ფიქრობდა, თუ ვის რა ვნება მოუტანოვო!

რადგან დედაჩემის მუდმივი წუწუნი მევალისა და ვალის შესახებ მეც ძლიერ მაწუხებდა, ამიტომ სულით და გულით მწადდა, როგორმე მივშველებოდი და მომეშორებია თავიდან ეს მავნე ცხოველი.

მაგრამ ეზოში ან სახლში მას ვერსად ვხედავდი. ამიტომ ვფიქრობდი, რომ თუმცა ის ჯერ არ არის შემოსული, მაგრამ მოსალოდნელია ყოველ წუთში მისი შემოძრომა ღობის რომელიმე ჭუჭრუტანიდან მეთქი.

ხშირათ დავდიოდი ღობე-ღობე და ვათვალიერებდი ჭუჭრუტანებს, და თუ სადმე შევამჩნევდი ასეთს,—ამოვლობავდი, ან ქვას მივადებდი ზედ.

ერთ ასეთ მოგზაურობის დროს ეზოს გარშემო, წავაწყდი ზედ ერთ ცხოველს, რომელიც დაფუყულიყო, დაეყვლიპა თვალები და გაშტერებული შემომცქეროდა. მუცელი მას ებერებ-ეჩუყებოდა, თითქოს არ იცის რა ქნას: გეიბეროს ისე, რომ კარებში ვეღარ გაეტიოს, თუ დაპატარავდეს ჭუჭრუტანაში გასაძრომათო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის დანახვაზე თმა ამებურძგლა, ტანში ჟრუანტელმა დამბარა. ალბათ ნაცრის ფერიც დამედო. ისე გავშეშა, რომ აღარ ვიცოდი გავქცეულიყავი, თუ დამეყვირნა.

საშინელი ცხოველიც ალბათ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდა ჩემს დანახვაზე, რადგან ისიც უძრავად გაშეშებულიყო.

განვლო რამდენიმე წუთმა. გაშტერებულ თვალებს ერთმანეთს წამითაც კი არ ვაშორებდით,

ბოლოს ცოტათი გონს მოვედი, თმა თავის ადგილას დავშო, ჟრუანტელმაც გამიარა და ალბათ ფერხედაც მოვედი. ცხადი იყო, რომ ჩემ წინ ვალი ან მევალე იჯდა, მხოლოდ არც ისეთ საშიშრობებას წარმოადგენდა, რადგან მანაც არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: გაზრდილიყო და შემტაკებოდა, თუ დაპატარავებულიყო და გაქცეულიყო ღობის ჭუჭრუტანაში. რაღაი დავრწმუნდი მის ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში, მეც გული მომეცა. თუმცა ცხოველისთვის თვალი არ მომიშორებია, მაგრამ მაინც შევამჩნიე ჩემს გვერდით მდებარე კარგი პრტყელი ქვა.

ნელ-ნელა წავიწიე ქვისაკენ, ფოთხილათ ავიღე ხელში, კარგათ ძოვიმარჯვე, თან გასაქცევათაც ფეხი წინ წავდგი: ვინიცობაა ქვა ასცდენოდა და გამომდევნებოდა ვალი—სახლამდის რომ მიმესწრო.

რაც ძალა და ღონე მქონდა მოუქნიე და ვსთხლიშე თავში, თანაც სახლისკენ მოვცოცხე. მაგრამ ჩქარა დავრწმუნდი, რომ უკან არავინ მომსდევდა.

შევჩერდი; მივიხედ-მოვიხედე, გული მოვიცავი და დაებრუნდი უკან, სანახავათ, თუ რა მოუვიდა საშინელ ცხოველს.

პრტყელი ქვა ისე მარჯვეთ დამეტრტყა წელზე, რომ მხოლოთ თავი და ოთხივე გაჭიმული ფეხები მოსჩანდა ქვეშიდან.

ჩემი გამარჯვება ცხადი იყო. გათამამებულმა და გაგულადებულმა მოვტეხე მაგარი ჯოხი და ისე გაუჭეჭკე თავი, რომ გაცოცხლება ყოვლად შეუძლებელი იყო. ხელათ გავთხარე იქვე სამარე, ჩავფალი შიგ და ზედ დიდი ქვა დავადე.

ამის შემდეგ მხიარული კრიმანჭულით გავსწიე სახლისაკენ. შინ რომ მივედი, შეკაზმული ცხენი დავინახე სახლის პარმახზე მიბმული. პარმახში კი უცხო კაცი დაიარებოდა წინ და უკან.

გაფითრებული დედაჩემი შემომხვდა წინ და ხმის კანკალით მითხრა:

—გეიქეცი ყანაში მამაზენთან და უთხარი ამ წუთში მოვიდეს შინ,—მევალე მეყიდათქვა!

არ ვიცი, როდის უფრო ცუდათ ვგრძნობი თავს: მაშინ, როცა საშინელ ცხოველს,—ბარდის გომბიოს,—პირველათ წავაწყდი რამდენიმე წუთის წინეთ, თუ ეხლა, როცა მევალე ადამიანის სახით წარმომიდგა თვალწინ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, რანაირათ დაედო მამაჩემს ვალები: ერთ წელიწადს თუ-მე თუთუნები ძალიან კარგ ფასებში გაიყიდა. ამ წელს მამაჩემს ცოტა ჰქონდა ნაკეთები და გვარიანათ მოეთბო ხელი მასში აღებული ფულებით. მეორე წლისთვის წაქეზებულებს: მამაჩემსა და ორ ჩემს ბიძას ყანებისთვის სულ მიენებებიათ თავი და მარტო თუთუნის კეთებისთვის მოეკიდნათ ხელი. აელოთ მიწები სარახეიროთ დასამუშავებლათ მეზობელ ღარიბ აზნაურებისაგან და დაეთესათ თუთუნი. მაგრამ ფასები ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო ამ წელს, რომ არა თუ მარტო მამაჩემს და ბიძებს, არამედ მთელ რიგ გლეხებს, ვისაც კი თუთუნის კეთებისათვის მოეკიდნა ხელი, არ მოესურვებიათ ეაყიდეა ასეთ მცირე ფასში. მეორე წელს ფასებს არ მომატებოდა, თუთუნის წონა კი გახმობის გამო ბევრათ დაკლებულიყო. თან სარჩო მჭადი და ლობიო საყიდელი ჰქონდათ. ამიტომ იძულებული გამხდარიყვენ გაეყიდათ თუთუნი თითქმის მუქთათ და მჭადის ყიდვაში აღებული ვალი ვერც კი გაესწორებიათ თუთუნში აღებული ფასით.

ეს ვალი კი იზრდებოდა წლიდან წლამდე, რადგან ნამთავნიმანეთზე აბაზი წელიწადში-ზედ ემატებოდა.

ეს სიღარიბე უმწვერვალესამდე იყო ასული იმ დროს, როდესაც მე სოფლის სასწავლებელში შევედი. მახსოვს, რომ დედაჩემი სადილის დასამზადებლათ, მარილის უქონლობის გამო, ხმარობდა ცხენის მარილს, რომელიც დარჩენილიყო ერთხელ ცხენის ყოლის დროიდან.

სასწავლებელში სიარული არ მიყვარდა პირველისავე დღიდან და აი რატომ: წერა-კითხვა სახლში მასწავლა უფროსმა ძმამ. დედენა და ბუნების კარი შინ მქონდა წაკითხული. სასწავლებელში იმავე წიგნების კითხვა დამაწყებიეს ისევ და რადგან ყველაფერი ეს უკვე ვიცოდი, ამიტომ აღარც ხალისი მქონდა და თვით მასწავლებელიც აღარაფერს მეკითხებოდა. ამას ზედ დაერთო კიდევ ზოგი პატარა ეპიზოდი, რომლებმაც თითქმის შემაძულა სკოლაში სიარული. მაგალითად, ერთხელ, საღმრთო სჯულის გაკვეთილების დროს, ძმობიდა თავში აზრი შეეკითხებოდი მასწავლებელს შემდეგს: ადამსა და ევას ჰყავდათ ორი შვილი — კაინი და აბელი. კაინმა მოჰკლა აბელი. შემდეგ მიეცათ მესამე შვილი — სეთი. ესენი გამრავლდენ. საიდან იშოვნეს მათ ცოლები, როდესაც ქვეყანაზე სხვა ადამიანები არავინ სცხოვრობდენ მეთქი. ამ შეკითხვისთვის მასწავლებელმა კარგა ამიწოილა ყურები, ხელებზე ტყავი ამაძრო სახაზავის ცემით და თმა ამჭირა. პასუხი კი არაფერი მოუცია. ერთხელ მოსწავლეები ცუდათ კითხულობდენ რაღაც გაკვეთილს დედა-ენიდან. მასწავლებელმა მითხრა მე წამეკითხა მოთხრობა „გვრიტი“ და მეჩვენებია მაგალითი სხვებისთვის, თუ როგორ უნდა წაკითხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ავიღე ჩემი ძველი დედა ენა, ჩემი ძმის ნაქონი და დავიწყე კითხვა. ჩავედი იმ ადგილზე, სადაც ეწერა: „გლეხი გარეთ გამოვარდა. აქ კარებში ატუზულმა ვირმა ლაზათიანი წიხლი **სდრუზა**“... ამ სიტყვებზე შეიქნა სკოლაში ბავშვების საერთო სიცილი. საქმე იმაში იყო, რომ სხვების ახალ გამოცემულ დედა-ენაში ეწერა „ვირმა წიხლი ჰკრა“, ჩემსაში კი—„სდრუზა“...

ამაზედაც გვარიანათ მიმბეგვა მასწავლებელმა, რატომ ახალი გამოცემა არ გაქვსო.

თხოულობდა აგრეთვე მასწავლებელი ჩემგან, რომ რვეული ან ქაღალდი მეყიდნა და არა მარტო დაფაზე მეწერა. მახსოვს, ერთხელ დედამ გამაგზავნა დუქნებზე ნავთის და საპონის საყიდლად. მედუქნემ, რომ შემდეგშიდაც მასთან და არა სხვებთან მივსულიყავი სავაჭროთ, მომცა კამფეტი საჩუქრათ. მე კი დაუბრუნე უკან კამფეტი და ერთი ფუოცელი საწერი ქაღალდი ვსთხოვე სამაგიეროთ. გაკვირვებულმა მედუქნემ, როცა გამომკითხა, თუ რათ მინდოდა ქაღალდი,—კამფეტიც მომცა და ერთის მაგიერ სამი ფურცელი ქაღალდი მაჩუქა. ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, მაგრამ გზაში უბედურება მეწია. დაუშვა ისეთმა კოკისპირულმა წვიმამ, რომ მთლათ გამატანა ყველაფერში და ისე დამისველა ქაღალდი, რომ აღარაფრათ გამოდგებოდა.

ერთხელ დიდი მარხვის პირველ კვირაში წაგვიყვანეს ეკლესიაზე საზიარებლათ. ეკლესიის შენობა პატარა იყო და ყველა მოსწავლეები მლოცველებთან ერთად ვერ ვეტეოდით შიგ. ამიტომ რამდენიმე ბავშვი შეგიიყვანეს საკურთხეველში და მღვდლის მარჯვენივ და მარცხნივ დაგვაყენეს კუთხეში. მე მომეხასიათა ერთი ჯგუფიდან მეორე ჯგუფში გადასვლა, გაურბინე უკან ხუცესს და შეუერთდი მეორე ჯგუფს, მაგრამ მომაძახეს იქედან აქედან მღვდელმა, დიაკონმა, მესაკეცლურემ და ზოგმა მოწაფეებმაც, მტაცეს ხელი და გამარბენინეს ისევე უკან წინანდელ ადგილზე იმავე გზით. თურმე აღსავლის კარებსა და მღვდლის ტრაპეზის შორის გარება აკრძალული ყოფილიყო. მე კი, იმის მაგიერ, რომ შემენანებინა ასეთი აკრძალული წესის დარღვევა, პირიქით შევედავე მღვდელს და დიაკონს: თუ გარება აკრძალულია—მე ერთხელ გევიარე და თქვენ კი მეორეჯერაც იქვე რატომ გამატარეთ მეთქი.

ამისათვისაც ამისრისა ყურები მასწავლებელმა წირვის გათავების შემდეგ.

თავი და თავი მიზეზი შკოლის შეძულების კი ის იყო, რომ სასწავლო გადასახადი,—სამი მანეთი წელიწადში, არც ჩემს ძმას ჰქონდა შეტანილი, რომელსაც უკვე გათავებული ქონდა შკოლა, და არც მე, რასაც ყოველ ცისმარე დღე მეჩიჩინებოდა მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მთხოვდა მოტანას. მაგრამ ისე გავათავე, ძალაუნებურათ, სასწავლებელი, რომ არ ჩემი და არც ჩემი ძმის სასწავლო გადასახადი არ შეგვიტანია მესამედიც კი.

თორმეტი თუ ცამეტი წლის ვიქნებოდი, როდესაც წამოვედი სახლიდან „ფულის საშუარათ“.

ჭიათურის რკინის გზა ჯერ არ იყო დამთავრებული და შავი ქვის გადაზიდვა ურმებით და ცხენებით სწარმოებდა ზესტაფონამდე.

ზესტაფონში სასტუმროში მსახურებდა ჩემი უფროსი ძმა, რომელთანაც მივედი და დავდექი მოსახსურეთ მეც. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს სასტუმრო პატრონმა გაჰყიდა, თითონ გადავიდა კერძო ბინაზე და ახალი რამე საქმის დაწყების მოლოდინში მეც თან წამიყვანა, ჩემი ძმა კი დარჩა ახალ სასტუმროს პატრონებთან.

აქ, ამ კერძო ბინაზე, ჩვენს გარდა სცხოვრობდა ადგილობრივი სასწავლებელის მასწავლებელი—წერეთელი, რომელსაც ოთახში ბევრი წიგნები ეწყო. მე თავისუფალ დროს ვკითხულობდი ამ წიგნებს. შემამჩნია რა მასწავლებელმა ჩემი ასეთი წიგნების კითხვის ხალისი, ცოტა გამოცდასავით გამიკეთა, რითაც კმაყოფილი დარჩა. შემდეგ მან მოელაპარაკა ჩემს ძმას, რომ მივებარებინე მე მისთვის და ის იკისრებდა ჩემს სახელმწიფო ხარჯზე სასწავლებელში გამოზრდას, რის შემდეგაც მე შემძლებოდა რაიმე სახელმწიფო სამსახურში შესვლა.

ამაზე ჩემი ძმა არ დათანხმდა, რადგანაც ჩვენ სოფლიდან ვიყავით წამოსული იმ განზრახვით, რომ ცოტა ფულები გვეშოვნა და გაგვეგზავნა სახლში დედამამისთვის ვალების გადასახდელათ და ორი დის გასათხოვ-გასამზითებლათ.

ამის შემდეგ. რადგან ჩემმა ხაზეინმა ვერაფერ საქმეს ვერ მოჰკიდა ხელი და სასტუმროში აღებული ფული ნელ-ნელა შემოელია, ამიტომ ჩემმა ძმამ იწყო ჩემთვის ახალი ალაგის ძებნა. ასეთი იპოვნა შავი ქვის წვრილი მწარმოებელი და მემამულე თავადი სანდრო აბაშიძე, რომელმაც წამიყვანა თავის სასახლეში სოფ. სვირში.

ეს ერთ დროს შეძლებული თავადის დავით აბაშიძის ოჯახი ცხოვრობდა ეხლა ღარიბათ, მაგრამ გარეგნულ ბრწყინვალების შენარჩუნებას მაინც ცდილობდა. მოჯამაგირე ოსები, მოსამსახურე გოგო და ბიჭი, მეძებარი და მწევარი ძაღლები, მიმინო,ცხენები—ყველა ეს შეადგენდა თავადის აუცილებელ მოთხოვნილებას, მიუხედავათ იმისა, რომ ძლივსძლიობით შოულობდა ბანკში შესატან პროცენტების ფულს დაგირავებული მამულის საჯაროთ გაყიდვისგან გადასარჩენათ.

ძველი ჩვეულების შენარჩუნებასთან ეს ოჯახი არ იყო მოკლებული ახალი დროის ზეგავლენასაც. აქ მე გავეცანი ქართულ თანამედროვე ლიტერატურასთან ერთად ჟურნალ-გაზეთებსაც. „კვალის“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „ივერიის“ ნომრები მოდიოდა აბაშიძეს და მე, რადგან თავისუფალი დრო ბევრი მქონდა, ვკითხულობდი მათ. აქვე წავიკითხე ვეფხის ტყაოსანი, თამარიანი, აკაკის და ილიას ნაწარმოები და სხვა.

აბაშიძის ოჯახში გატარებული წელიწად ნახევარი არის ჩემი სიყმაწვილის საუკეთესო ხანა. მაგრამ, რადგან აბაშიძეს არ ჰქონდა იმდენი შედლება, რომ ჩემთვის, რომელიც თითქმის არავითარ საჭიროებას არ წარმოვადგენდი ოჯახში, გარდა იმისა, რომ ხანდახან სანადიროთ გავყოლოდი ან ჩაქურაში გამოწყობილი ვხლებოდი სადმცსტუმრობის დროს, — ჯამაგირი ეძლია, ამიტომ ჩემმა ძმამ წამიყვანა ისევ უკან ზესტაფონში. აქ მას ეხლა თითონ ქონდა არენდათ აღებული პატარა სასტუმრო, სადაც მე გამაწესა მოსამსახურეთ. აბაშიძის ოჯახში შედარებით საინტერესოთ გატარებულ წელიწად ნახევრის შემდეგ ჩემთვის ვერაფერი სასიამოვნო საქმე იყო სასტუმროში მოსამსახურეობის როლი. წაკითხულ წიგნებს და ჟურნალ გაზეთებს უკვე საკმაო გავლენა ჰქონდათ ჩემზე მოხდენილი და ამიტომ ვერ ურიგდებოდი სასტუმროში ადამიანის ღირსების ყოველად დამამცირებელ სამსახურს.

ჩემმა ძმამ შემატყო, რომ მე ველარ გამოვდგებოდი მის დამხმარეთ და არჩია ჩემი სოფელში გაგზავნა. ცოტა ხანს დავჩი სახლში, მაგრამ იქ ჩემი ყოფნა შეუძლებელი იყო, — ერთი რომ მამაჩემს მიწა ცოტა ჰქონდა და თითონაც არ ყოფნიდა მარტო დასამუშავებლათ; მეორე — არც მე მინდოდა სოფელში მიწის მუშა გლეხი გამხდარიყავი. ვარჩიე ისევ მეორე ძმასთან ჭიათურაში წასვლა, სადაც უკვე გაყვანილი იყო რკინის გზა და სადაც ის მსახურებდა ტელეგრაფისტათ.

ჭიათურაში მე მოვკიდე ხელი ტელეგრაფის ხელობის შესწავლას და იმავე დროს ვმსახურობდი უფროს ტელეგრაფისტის ოჯახში ხელზე მოსამსახურეთ. როცა რკინის გზის გაყვანა სრულებით დამთავრდა, ის გადავიდა რკინის გზის საერთო სამმართველოს განკარგულებაში. ყველა მოსამსახურეებს გამოუძახეს ტფილისში და მოსთხოვეს ეგზამენის ჩაბარება. ეგზამენებში ჩემი ძმა ჩაიჭრა რუსული წერა-კითხვის საკმაოთ უცოდინარობის გამო. ამის შემდეგ ჩემს ტელეგრაფის შესწავლას ანგარიში აღარ ჰქონდა, რადგან რუსული წერა-კითხვა მე მასზე უფრო კუდათ ვიცოდი.

მივანებე თავი ტელეგრაფზე სწავლას და გადავედი ადგილმბრივ სამკითხველო-ბიბლიოთეკაში გამგეთ.

ეს იქნებოდა ათას რვაას ოთხმოცდა თოთხმეტში თუ თუთხმეტში (1894—5). ბიბლიოთეკა-სამკითხველო იყო დაარსებული ჭიათურაში შავი ქვის წარმოებაში დაბანდებულ მოსამსახურე ინტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიგენტთა მიერ. ესენი იყვნენ „მესამე დასელები“: თედო კიკვაძე, ერ. კიწმარიშვილი, კარპე მოდებაძე, გ. დეკანოზიშვილი და სხვა. სამკითხველოში მე შეუდექი აბაშიძისგან წამოსვლის შემდეგ შეწყვეტილ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვას. ამ დროს სწარმოებდა საბერძნეთ-ოსმალეთის ომი, რაც კიდევ უფრო მახალისებდა გაზეთების კითხვას. ჩემი სიმპატია, რა თქმა უნდა, საბერძნეთისკენ იყო, რადგან ოსმალეთის მიმართ ანტიპატია ბავშობიდანვე სხვა და სხვა საშინელ ამბების მოთხრობებთან ერთად თანმეზრდებოდა სისხლ-ხორცში.

ის გარემოება, რომ რუსული წერა კითხვის სათანადო უცოდინარობის გამო ტელეგრაფისტობისთვის თავი უნდა მიმენებებია, მიძღუღებდა რუსული წიგნების კითხვისთვის მომეკიდნა ხელი, რათა შემესწავლა ეს ცხოვრებაში საჭირო ენა. ეკითხულობდი უსისტემოთ, რაც კი მომხვდებოდა ხელში,—უფრო მოთხრობებს, რასაკვირველია. იმავე დროს თვალ-ყურს ვადევნებდი „კვალს“, „ივერიას“ და ახლად გამოსულ „ცნობის ფურცელს“. სერიოზული კამათი ამ სამი მიმართულების ჟურნალ-გაზეთებს შორის—მესამე დასელების „კვალი“, ნაციონალ-დემოკრატების „ივერია“ და ფედერალისტების „ცნობის ფურცელი“, არ მახსოვს. მახსოვს ხხოლოთ ის, რომ დიდხანს კამათობდენ იმაზე, თუ რომელი უფრო წმინდა ქართულია: „ჩქერი“, თუ „ჩანჩქერი“, ან და, „აღვიარებ“, თუ „აღიარებ“. გძელი წერილები იბეჭდებოდა ასეთ სულ წვრილმან უბრალო რამეებზე და სერიოზული საზოგადო მოღვაწენი თავგამოდებით იცავდენ თავიანთ პოზიციებს.

ყოველ შემთხვევაში, ჩემი სრული თანაგრძნობა „კვალის“ მიმართ იყო, შეიძლება იმიტომ, რომ იქ იბეჭდებოდა ამ დროის სახუმარო-გასართობი „დარისპანის და გოჯასპირის“ ერთმანეთში მუსაიფის სახით. ეს იუმორისტული მოთხრობები იპყრობდენ ჩემს ყურადღებას ყველაზე უფრო მეტათ. გარდა ამისა, ვიცოდი, რომ ჩემი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დამაარსებელი „მესამე დასელები“ ეკუთვნოდენ „კვალის“ მიმართულებას; აგრეთვე ისიც მქონდა გაგონილი, რომ სილ. ჯიბლაძე, ჩემი დედიდისშვილი, „დასელი“ იყო და ნათესაური გრძნობაც ალბათ მიზიდავდა აქეთკენ.

სამკითხველოში დავყავი წელიწადზე მეტი, დავრჩებოდი კიდევ დიდხანს; მაგრამ ამ დროს მოხდა ისეთი შემთხვევა, რამაც გამოიწვია სამკითხველოს დახურვა.

ადგილობრივი ბოქაული, გარუსებული ქართველი არდიშვილი. კარ ხანია კბილებს ილესავდა სამკითხველოზე, მაგრამ ადგილობრივ ინტელიგენციას საშვალება ჰქონდა არდიშვილის დების საშვალებით ეხსნათ სამკითხველო დახურვისგან. მაგრამ, ნათქვამია, კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო. ასეთმა მფარველობამ ბოქაულის დებისამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ დაიფარა სამკითხველო დახურვისაგან. ერთხელ ერთმა მოწაფემ წაიღო წიგნი და აღარ დააბრუნა უკან. როდესაც მეორეთ მოვიდა წიგნის წასაღებათ, მე მოვსთხოვე წაღებული მოტანა, რაზედაც უარი განაცხადა. მე წავართვი ყაბალახი და დავექადნე, სანამ წიგნს არ მოიტან, მანამ ყაბალახს ვერ მიიღებ-მეთქი. მოსწავლე წასულიყო ბოქაულთან საჩივლელათ. იშოვნა რა მიზეზი არდაშვილმა, თითონ მოვიდა სამკითხველოში და დამიწყო უკმეხათ ლაპარაკი. უკმეხ სიტყვებზე მეც უკმეხათ უპასუხე. ყაბალახი დამაბრუნებია მოსწავლისთვის და მიბრძანა წავყოლოდი საბოქაულოში. მე უარი განუცხადე წაყოლაზე იაკინთე მოდებაძის, სახლის პატრონის ჩაგონებით. ბოქაული წავიდა და ჩაფრები გამოგზავნა ჩემს წასაყვანათ. იმავე ი მოდებაძის ჩაგონებით მე არც ჩაფრებს გავყევი და მოვთხოვე ბოქაულის მოწერილობა. ჩაფრები წავიდნენ და აღარ მობრუნებულან. მაგრამ გაბრაზებულმა ბოქაულმა მაინც თავისი გაიტანა: დაიბარა სამკითხველოს გამგეობის წევრები და წინადადება მისცა, საჩქაროთ დაეხურათ სამკითხველო თავისი ნებით, თორემ უსიამოვნება შეემთხვეოდათ ამის გამო.

მესამე დასელი ხერხემალ-რბილი ინტელიგენცია იძულებული იყო დამორჩილებოდა ბოქაულის ბრძანებას და სამკითხველო დახურულ იქმნა.

მე დავრჩი უადგილოთ. ჩემი ძმაც ამ ხანათ უსაქმოთ იყო. ტელეგრაფისტობიდან გადაყენების შემდეგ ერთხანს ის მეისრეთ იყო, მაგრამ როცა შეატყო, რომ არაფერი ხეირი გამოვიდოდა,—მიანება თავი და შავი ქვის მწონელათ დადგა, სადაც დიდხანს ვერ გასტანა. როგორც გამოუცდელმა წონის მახინაციებში და ჩალვადრების მოტყუილებაში, რასაც ფართოჯ ადგილი ჰქონდა.

ჩემმა ძმამ წინადადება მომცა, რომ დაგვეწყო ერთათ მუშაობა მაღაროში, რაზედაც მე უარი განვაცხადე, დავსტოვე ჭიათურა. ცოტა ხანს დავყავი სოფელში და შემდეგ წავედი ბაათუმში.

აქ დავდექი კბილის ექიმთან,—თან კბილის ტეხნიკას ვსწავლობდი და თან ხელზე ვემსახურებოდი. მაგრამ მე და ექიმი ჩქარა წავიჩხუბეთ გაზეთის კითხვის გულიზა.

თავისუფალ დროს მე გაზეთის კითხვას ვანდომებდი, მას კი სურდა მუდამ ტილოთ ხელში ავეჯეულობიდან მტვერი მეწმინდა, სულ-ერთია, იქნებოდა მტვერი ზეთ, თუ არა.

რამდენათაც მახსოვს, ამ დროს დრეიფუსის საქმე ირჩეოდა საფრანგეთში და გაზეთები დიდ ინტერესს წარმოადგენდა.

დამიშალა რა გაზეთის კითხვა ხაზეინმა, მივახიე გაზეთის ფურცელი სახეში და მივატოვე სამსახური. დავრჩი რა უადგილოთ, ნიკო ჯაყელის ბათუმის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშვალებით გავმართე მოლაპარაკება სტამბის პატრონ კოწიან თავართქილაძესთან, რათა მივეცე სტამბაში ასოთ-ამწყობის მაგრ-დათ. კოწიამ სამი წლის უჯამაგიროთ შეგირდობა მომთხოვა. ეს მე არ ვქენი და გავმართე ისევ პირადათ მოლაპარაკება მეორე სტამბის პატრონ გურსკაიას ქალთან, რომელმაც ამიყენა უჯამაგირო შეგირ-დათ ექვსი თვის ვადით.

მე დავთანხმდი,—ცოტა ფული მქონდა ექიმთან სამსახურის შემდეგ, ცოტა ჩემმა ძმამ გამოიგზავნა ჭიათურიდან, რომელიც ახლა ქვის წარმოებას ეწეოდა, და ამნაირათ მოვკიდე ხელი მუშაობას.

ისეთი ერთგულობა და გამსჯელობა გამოვიჩინე, რომ ექვსი თვის მაგიერ—სამი თვის შემდეგ დამინიშნა ჯამაგირი გურსკაიას ქალმა, და არა ერთი თუმანი თვეში, როგორცდაპირება იყო წინეთ-არამედ თორმეტი მანეთი.

როდესაც რამდენიმეთ შევისწავლე ასოთ-ამწყობობა, მოვინ-დომე საბეჭდავ მანქანაზე მუშაობის შესწავლაც, რისთვისაც გადა-ვედი იქვე საბეჭდავ მანქანაზე, მიუხედავათ იმისა, რომ ასოთ-ამწყო-ბათ მეტ ჯამაგირს მპირდებოდენ, მანქანაზე იმავ თორმეტ მანეთად ვამჯობინე დარჩენა. ჩქარა ეს ხელობაც შევისწავლე საკმაოთ და ჯამაგირსაც ერთი ორათ ვღებულობდი ცოტა ხნის შემდეგ.

მიხდებოდა შავრაზმულ გაზეთის „Черноморский Вестник"-ის ბეჭდვა, რომელიც გამოდიოდა ვინმე ყოფილი ოპერეტული მომღე-ერალი პალმის რედაქტორობით. ბევრი შავრაზმელი გაზეთი მინახავს და წამიკითხავს შემდეგში, მარა ასეთი პირწამებული არ შემხვედ-რია. ერთხელ შეტაკებაც—სიტყვიერი, რა თქმა უნდა, მომიხდა რედაქტორთან ერობის შესახებ, რომლის წინააღმდეგ ის ილა-შქრებდა.

1900 წელში ადგილობრივი მესამე დასელები,—კ. ჩხეიძე, ის-რამიშვილი, ევგენია სოლორაშვილის ქალი და სხვ. აწყობდენ საკვი-რაო შკოლებს მუშებისთვის, სადაც კითხულობდენ ლექციებს ბუნე-ბის მეტყველებაზე, ისტორიაზე და აგრეთვე წერა-კითხვასაც ასწავ-ლიდნენ უცოდინარეებს.

ასეთ ლექციებს დავესწარი მეც ქართულ შკოლაში მ. ორმო-ცაძესა, მ. წულაძესა, გ. თავართქილაძესა და კიდევ რამდენიმე მოწონავე მუშასთან ერთად. ამავე წელში დაიწყო სხვა და სხვა დარგის მუშების ერთმანეთში შეკავშირება ერთნაირი თავისებური მოვლენით: შაფათ საღამოობით, ან კვირაობით შევიყრიდით თავს, მოვაგროვებდით ერმანეთში ფსონს და წავიდოდით სარდაფში სადი-ლის ან ვახშმის საჭმელათ. თუმცა ამ ვახშმებზე სადღეგრძელო ბევრი ითქმებოდა, მაგრამ მუშათა მოძრაობის შესახებ კი ჯერ არაფერი გამოსჭვიოდა. შიგ. ხან და ხან უფრო სამშობლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლებაზე თუ ვინმე წარმოსთქვამდა მხურვალე სიტყვას. კვირაობითვე იმართებოდა ქალაქ გარეთ ცეკვა და ბურთის თამაში. აი, ეს საერთო ვახშმები და ცეკვა-ბურთაობა გადაიქცა შემდეგ წრეების თავმოსაყრელ ნიადაგათ. იმ დროს, როდესაც ახალგაზრდა გოგო-ბიჭები ბუჭნას უვლიდენ და უქმე დღეზე დასვენების მაგიერ კიდევ უფრო იღლებოდენ, გადარჩეული ჯგუფი მუშებისა იქვე მახლობლათ გუმრალაში მუშათა მოძრაობის საკითხზე ვმსჯელობდით და ორიოდე გეკტოგრაფზე გადაბეჭდილ ბროშიურას ვკითხულობდით. 1901 წელს კი ერთ ასეთ ვახშამზე შემდეგნაირათ მოგვიხდა პირველი მაისის დღესასწაულის გადახდა

პირველი მაისის წინა ღამის ცხრა თუ ათი საათი იქნებოდა.

ნორიაში ერთი სამოკიტნო დუქანის უკანა ოთახში, ყოველივე წინასწარ სიფრთხილის დაცვით, თავი მოვიყარეთ რვამ, თუ ათმა სხვა და სხვა ქარხნებში და სტამბებში მომუშავე მუშამ.

შეუკვეთეთ ვახშამი და მის მოტანამდის ერთმანეთში ხმა დაბლა ბაასი გავაბით.

ერთმა ჩვენგანმა ამოაძვრინა ჩექმების ყელიდან სამაისო არალეგალური გაზეთის ნომერი.

ყველამ მისკენ მივიჩოჩეთ და დაუწყეთ გაფაციცებით თვალიერება გაზეთს.

საერთო ჩუმი სიცილი გამოიწვია გაზეთის ბოლოში წარწერამ: „ნება დართულია ცენზურისაგან“ და „სტამბა ეძებე“. რა თქმა უნდა, ერთიც და მეორეც მოგონილი იყო.

მოსაბსახურის შემოსვლაზე გაზეთი სტოლ ქვეშ მიიმალა და მის მაგიერ დემონსტრატიულათ „შავი ზღვის მოამბე“ ადგილობრივი შავრაზმული გაზეთის ფურცელი აშრიალდა მაგიდაზე.

როდესაც მოსამსახურემ სუფრა გაშალა და მოიტანა, რაც მოსატანი იყო, ოთახი დასტოვა და ჩვენ შეუდექით თან ვახშმობას, თან სამაისო არალეგალურ გაზეთის კითხვას.

არ გაუვლია რამდენიმე წუთს, რომ გვერდის ოთახიდან ხმაურობა მოისმა.

ჩვენ ყურები ვაქვიტეთ.

ოთახიდან რამდენიმე კაცის რუსულად ლაპარაკი მკაფიოთ მოისმოდა.

ერთი ჩვენგანი გავიდა ამბავის გასაგებათ გარეთ, მაგრამ იმ წუთშივე უკანვე შემოირბინა გაფითრებულმა.

მან მოგვიტანა საზარელი ამბავი, რომ გვერდის ოთახში ჟანდარმები არიანო.

ამის გაგონებაზე ყველას ციმა ოფლმა დაგვასხა და პირში ლუკმა შეგვრჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფურცელი იმ წუთშივე ჩექმის ყელში მოექცა.

ვითომ გარეგნული სიმშვიდით ჭამას მივყევით ხელი იმის მოლოდინში, რომ საცაა გაიღება კარები და შემოკვივიან ჟანდარმები ჩვენს გასაჩხრეკათ და დასატუსაღებლათ.

გაპარვა ყველას შეუძლებლათ მიგვაჩნდა, რადგან გვერდის ოთახი სწორეთ გასავლელი გზის მხრით იყო.

გადიოდნენ წუთები, მაგრამ ჟანდარმები არ შემოდიოდენ.

ჩქარა მათი ოთახიდანაც საინების და ჭიქა ბოთლების წკარუნი შემოისმა.

ამ გარემოებამ ცოტათ დაგვამშვიდა, მაგრამ მაინც მეტათ ცუდ გუნებაზე ვიყავით.

ბოლოს დავრწმუნდით, რომ ჟანდარმების მოსვლას არ ჰქონდა პირდაპირ მიზნათ ჩვენი დატუსაღება.

ვითომ სიმღერის შემოძახებაც ვცადეთ, მაგრამ ყველას ხმა ჩახლეჩილი გამოგვაჩნდა.

ამ დროს უეცრათ კარები გაიღო და ოთახში შემოვიდა აყლაყუდა ჟანდარმი. მის დანახვაზე ყველას ფერი გვეცვალა და ხეზე წამოვიწიეთ. მაგრამ ჟანდარმმა ბოდიში წაილულლუღა და ისევ გაბრუნდა უკან.

ალბათ გარეთ გავიდა საჭიროებისათვის და კარები შეეცვალა.

მაგრამ ჩვენ კი ჩვენი დაგვეპართა!

ამის შემდეგ უგემურზე უგემურათ წავყლაპეთ ვაზშამი და საჭქაროთ დავშალენით.

„ჟანდარმები“, რომლებიც აღმოჩნდენ უბრალო ჯარის კაცები, მადიანათ განაგრძობდენ სმა-ჭამას და ჩვენი დარღი ალბათ არც კი ჰქონდათ.

ამნაირათ უხეიროთ ჩატარდა ჩვენი პირველი მაისის პირველი დღესასწაული!...

ამავე 1901 წელს მოხდა ასოთ-ამწყობების გაფიცვა გაზ. „Чер Вест.“, რომელშიდაც მივიღე მე მონაწილეობა და აგრეთვე მოვინაოლე აქტიური რევოლიუციონერის მირონცხებით.

მეტათ მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა ასოთ ამწყობებს სამუშაო დრო განსაზღვრული არ იყო. ხშირათ დილის შვიდი საათიდან საღამოს 10-11 საათამდი მუშაობდენ, სადილისთვის ერთი საათის შესვენებით. გაზეთს განსაზღვრული შტატი აწყობდა და თუ ვინმე დააკლდებოდა ავათმყოფობით, ან სხვა მიზეზით, დანარჩენებს უხდებოდათ ზედმეტი მუშაობა უსასყიდლოთ. იყო შემთხვევები მუშაობის დროს გულის შეწუხებისა დაქანცულობისგან. იყო თუ არა გარედან რაიმე გაფიცვის გამოწვევი გავლენა არ ვიცი, როგორც დუმბაძე იხსენებს თავის მოგონებაში. მახსოვს მხოლოთ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი გაზეთზე მომუშავე ასოთ-ამწყობი წავიდა სოფელში დეტ-ავათმყოფობის გამო. სამაგიერო კაცი მოსთხოვეს ასოთ-ამწყობებმა ხაზეიკას, მაგრამ მან არ მოისურვა აქციდენციის სამუშაოდან გაზეთზე ასოთ-ამწყობის გადაყვანა, თუმცა ეს სულ ადვილი მოსახერ-ხებელი იყო. ამის გამო მუშებმა მიატოვეს გაზეთის წყობა. მიუხ-დავად იმისა, რომ მე საბეჭდავ მანქანაზე ვმუშაობდი და ამტყდარი კონფლიქტი მე პირადათ არ მეხებოდა—შეუერთდი გაფიცულებს.

თუ რამდენათ სტიქიური და შეუგნებელი იყო გაფიცვა, ეს სჩანს შემდეგი მისი მიმდინარეობიდან: გაფიცულებმა გამოვედით თუ არა სტამბიდან, გავემართეთ პოლიციმეისტერის სამმართველოსკენ, რომ აგვეხსნა პოლიციმეისტერისთვის ჩვენი გაფიცვის მიზეზი და თა-ვი გვემართლებია.

როდესაც მივედით სამმართველოში, ის უკვე გაფრთხილებული იყო ალბათ გურსკაიასა და პალმისაგან ტელეფონით, ამიტომ მან არ მიგვიღო და გვაცდია კარიდორში. ამ ხანათ მოვიდა გურსკაია და პირდაპირ მოუხსენებლათ შევიდა პოლიციმეისტერთან. მისი გა-მოსვლის შემდეგ დაგვიძახა ჩვენ პოლიციმეისტერის თანაშემწე კურ-დიუმოვმა და შესვლისთანავე ფეხების ბაკუნით, „ღორების“ და „ვირების“ ძახილით შეგვეგება. ასეთ შეხვედრას პირველმა მე გაუ-წიე წინააღმდეგობა და დაუწყე მტკიცება, რომ ჩვენ ღორები და ვირები არა ვართ. საპასუხოთ კურდიუმოვმა შარი მომდო, თუ რო-გორ ბედავ ყვირილს და ხელების ქნევას იქ, სადაც ჭკიდია მისი უდიდებულესობის იმპერატორის სურათიო და გამგზავნა „ჩულანში“. აქედან გადამგზავნეს საბოქაულოს ნაწილში საიდანაც ჩვენების ჩამორთ-მევის შემდეგ დამაკავეს რამდენიმე საათი და საღამოზე გამომიშვეს.

ჩვეს დატუსაღებას მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოეხდინა ბიჭებზე, თან კურდიუმოვი დაქადნებოდათ—ოცდა ოთხ საათში გაგზავნით აქედანო. როდესაც მე მნახეს გამოშვებული გადასწყვე-ტეს, რომ არც ისე საშიშროთ ყოფილა საქმე და გული მოეცათ. სტამბაში კი ამ დროს გაზეთი იწყობოდა დარჩენილი აქციდენციის მომუშავეების საშვალებით. ჯერ ერთი კაცი არ უნდოდა მოეცა გურ-სკაიას გაზეთისთვის, ეხლა კი მთელი შტატი გადაიყვანა გაზეთზე და გამოუშვა მაინც აუარებელი ძველი აწყობილი განცხადებების მოთავსებით. აგრეთვე მეორე და მესამე დღეს. შემდეგ ჩამოვიდა სოფლიდან ასოთ ამწყობი მ. ნოდია, რომლის გულისთვის დაიწყო ეს გაფიცვა და ბიძა მისი მღვდელი ჩხიკვაძის ზეგავლენით დაიწყო მუშაობა, ამ გარემოებამ გააუარესა ჩვენი მდგომარეობა, გაზეთი თუმცა დიდი დაბრკოლებით, მაგრამ მაინც გამოდიოდა. ამ დროს მოვიდა ჩემთან ნ. ჩიჩუა, ბათომის საავათმყოფოს ფერშალი და წინა-დადება მომცა, რომ თუ გაზეთის გამოცვლას შევაჩერებდით რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორმე ერთი კვირით მაინც, შესაძლებელი იქნებოდა ხუთას მანეთამდი ფულის შოვნა ამ მიზნისთვის და თან გადმოცა იქვე თორმეტი მანეთი აუცილებელ საჩქარო საჭიროებისთვის,-დანარჩენის მოცემას შემპირდა საჭიროებისამებრ.

ამ დროს ტფილისიდან ჩამოვიდა ორი სომეხი ასოთ-ამწყობი, გვარები არ მახსოვს, რომლების ჩამოსაყვანათ ტფილისში გაგზავნა გურსკაიამ მბეჭდავი არ. ჯალალოვი.

ნოდიას და ამ ჩამოსულ ასოთ-ამწყობებს ბევრი უტრიალე, ვაძლიე ფულები, დავეჭადნე გალახვასაც, მარა არ იქნა და არა, ვერ ავაღებიე ხელი მუშაობაზე.

ამნაირათ ცხადი შეიქნა ჩვენთვის გაფიცვის წაგება მუშებისვე ღალატის გამო. გამოვაცხადეთ რა გაფიცვა გათავებულათ, დავთანხმდით მუშაობის დაწყებაზე, მაგრამ ეხლა გურსკაიამ აღარ ინება ყველა ჩვენგანის უკლებათ უკანვე მიღება. არც გაფიცვის დროს ხელფასის მოცემა. ამ გარემოებამ გვაიძულა მიგვემართა ოლქის უფროსის სლავოჩინსკისთვის თხოვნით. მაგრამ იმ დროს, როდესაც მე და ხარ. ლომთათიძე მივედით თხოვნით ხელში სლავოჩინსკის ეზოში, ეხსი ფანჯრიდან გადმოიყურებოდა პოლიციმეისტერის თანაშემწე კურდიუმოვი და თითით გვემუქრებოდა. სლავოჩინსკიმ თხოვნა არც კი ჩამოგვართვა, ისე გამოგვისტუმრეს: ჩემი საქმე არ არისო.

ამის შემდეგ ზოგი ჩვენგანი გურსკაიას გადარჩევით დაბურნდა უკანვე სამუშაოთ, ზოგი ტფილისში წავიდა, ზოგი ბათუმში მოთავსდა სხვა და სხვა სტამბებში.

ამ გაფიცვამ დიდი ხმაურობა გამოიწვია ბათუმის მუშათა წრეებში.

(**შემდეგი იქნება**).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. სანგალი

ჩემი მოგონებებიდან

(1890 წ.—1905 წლამდე).

ძნელია დაწვრილებით, მეხსიერების საშუალებით ყოველივე იმის აღდგენა, რაც მოხდა ამ რამოდენიმე ათი წლის წინეთ წერილობითი ცნობები კი ხელთ არაფერი გვაქვს. კონსპირაციის შენახვის გამო შეუძლებელი იყო მაშინ რევოლიუციონურ მოძრაობაზე წერა და მით უმეტეს ასეთი ნაწერების ჟანდარმების თავდასხმიდან გადარჩენა. რევოლიუციონურ მოძრაობის იმ ხანაზე, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, დღემდის თითქმის არაფერი არ დაწერილა. მე შინდა ამ წერილში უმთავრესად მკითხველის ყურადღება შევაჩერო რევოლიუციონურ მოძრაობის იმ მომენტზე, როდესაც პირველათ დაარსდა ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მუშათა წრეები. სანამ ჩვენ ამას შეუდგებოდეთ საჭიროთ მიგვაჩნია შევეხოთ იმ საერთო პირობებს და მდგომარეობას, რომელიც წინ უძღოდა ამ მომენტს. რუსეთში ფრიად მდიდარი ისტორია აქვს ნაროდნიკულ მოძრაობას. რამდენიმე ათეული თაგვანწირული ინტელიგენტი, ათეული წლობით აწარმოებს ეს წორო და მედგარ ბრძოლას თვითმპყრობელობასთან. ეს ბრძოლა იწყება 1870 წ. და გრძელდება 1890 წლამდე. ამ გმირულ ბრძოლას ჩვენწინაც ჰქონდა, თუმცა მკრთალი, მაგრამ მაინც ერთგვარი გამოხმობა. ეს აიხსნება იმით, რომ აქ ნაროდნიკულ მოძრაობას ნაკლები ნიადაგი ჰქონდა. ჩვენში ამ მოძრაობის ერთ საუკეთესო გამომხატველად უნდა ჩაითვალოს გოლა ჩიტაძე. გოლა ჩიტაძემ და მისმა ამხანაგებმა შესძლეს და გააკეთეს ის, რის გაკეთებაც მანამდე ვერავინ ვერ შესძლო. მან პირველმა მოაწყო ტფილისში საიდუმლო სტამბა, მან პირველმა შეადგინა მუშების წრეები და აწარმოებდა მათში ნაროდნიკულ-პროპაგანდა-აგიტაციას და ამზადებდა სასოფლო აგიტატორებს. დამარცხდა რუსეთში ნაროდნიკობა და დამარცხდა ჩვენშიც. გოლა ჩიტაძე ჭკუაზე შეიშალა; ამ გარემოებამ თავზარი დასცა მის აღსანაგებს . . . ისინი იძულებული გახდენ ლიკვიდაცია ექნათ როგორც სტამბისთვის ისე სხვა კონსპირატიული საქმეებისათვის. დაიშალა მუშათა წრეები და ყველაფერი სასოწარკვეთილებამ. მოიცვა . . . ამ დროს, რუსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თში აზროვნების სფეროში ჯერ კიდევ გაბატონებული იყო ნ. მიხაილოვსკი, ეს უკანასკნელი ბურჯი ნაროდნიკულ აზროვნებისა, ფილოსოფიისა. მის აზროვნებას ყავდა შეპყრობილი რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა. ნაროდნიკულმა მოძრაობამ ვერ გაამართლა საზოგადოების იმედები: შვებნელმა რეაქციამ უფრო მაგარი რკინის საალტეეფონ შებოჭა და შეჭკრა რუსეთის მოწინავე საზოგადოების თავისუფალი აზროვნება და მისწრაფებანი. მაგალითად, რუსეთის პრესა 1870 წლებში უფრო თავისუფლათ მსჯელობდა და აზროვნობდა სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე, ვიდრე 1880 წ. ძალიან ბევრი გამოცემები, რომლებიც 1870 წ. გამოვიდა, 1880 წ. აკრძალეს. ამავე დროს კაპიტალისტური წარმობა რუსეთში სწრაფის ნაბიჯით ვითარდებოდა. ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა ახალი კლასი—სამრეწველო პროლეტარიატი. 1888 წ. *) ცოფილი ნაროდოვოლეცი გ. ვ. პლეხანოვი აარსებს საზღვარგარეთ შრომის განმთავისუფლებელ ჯგუფს („გრუპპა ოსვობოჟდენია ტრუდა"). ეს ჯგუფი თავის უანლოეს მიზნათ ისახავს ნაროდნიკულ მსოფლმხედველობის კრიტიკას და მის ალაგას აყენებს მარქს-ენგელსის მოძღვრებას. ჯგუფი, უმთავრესად თავის გამოცემების საშუალებით, ამტკიცებს, რომ რუსეთში კაპიტალისტური წარმოება სწრაფად ვითარდება და ის ძალიან მოკლე ხანში კაპიტალისტურ ქვეყნათ გადიქცევა და, როგორც ყველა კაპიტალისტური ქვეყნებში—იქაც სამრეწველო პროლეტარიატი გახდება რევოლიუციის ერთ უმთავრეს მამოძრავებელ ძალათ. ამიტომ ჩვენი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული ამ კლასზე. ეს კლასი უნდა აღვზარდოთ პოლიტიკურათ, შევაკავშიროთ ორგანიზაციულათ და ავამოძრაოთ კლასიურათ. „შრომის განთავისუფლების ჯგუფის" თავის დროზე დაწყებულმა პროპაგანდა-აგიტაციამ საზღვარგარეთ მაღე შესაფერი ნაყოფი გამოიღო რუსეთში და მასთან ერთად ჩვენშიც. სხვათა შორის დიდი გავლენა მოახდინა ამ მხრივ, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში გ. პლეხანოვის წიგნმა („ნაბიჯაზნოგლასია") „ჩვენი უთანხმოება". არალეგალურ გამოცემებს საზღვარგარეთ „შრომის განთავისუფლების ჯგუფისას", რომლების შემოტანა და გავრცელება რუსეთში, მაშინდელ პოლიტიკურ პირობებში, ნამეტანი ძნელი იყო, —მაღე გამოეხმაურა რუსეთში ლეგალური პრესაც პეტრე სტრუვეს, ტუგან-ბარანოვსკის და სხვეების სახით. პირველმა გამოუშვა წიგნი „კრიტიკული შენიშვნები" კაპიტალიზმის განვითარების შესახებ რუსეთში. თუ არ ვცდები, ეს წიგნი გამოვიდა

*) აქ ავტორი ცდება. ხსენებული ჯგუფი დაარსდა 1883 წელს პლეხანოვ-აქსელროდის მიერ. რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1894 წ. და 1895 წ. გამოვიდა ლეგალურათ „მონისტიური შეხედულება ისტორიაზე“ ბელტოვისა (ვ. პლეხანოვის) ამ წიგნმა ნამდვილი რევოლიუცია მოახდინა მარქსისტულ აზროვნებაში და სამუდამოთ გაჰფენტა ნაროდნიკული ჯანღ-ბურუსი. ჩვენში მარქსისტულ აზროვნობის ლეგალურ გამოხმობათ უნდა ჩაითვალოს „მესამე დასი“ და ამ მესამე დაისის ცენტრალურ ფიგურათ ე. ნინოშვილი. მართალია, სახელწოდება „მესამე დასი“ ამ მიმართულებამ ნინოშვილის დაკრძალვის დროს გურიაში, ჩოჩხათის სასაფლაოზე მიიღო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ის ჩვენში გაცილებით ადრე დაიბადა. ე. ნინოშვილი, მიხ. ცხაკაია, სილბისტრო ჯიბლაძე, ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე, კარლო ჩხეიძე და სხვ. შეადგენდენ მესამე დასის სულის ჩამდგმელებს, იმ დროს „მესამე დასელების“ მოღვაწეობა განისაზღვრებოდა უმთავრესად მოწინავე მოსწავლე ახალგაზრდობაში მეცადინეობით და რამდენათაც ეს შესაძლებელი იყო, ლეგალურ პრესაში პუბლიცისტურ და სხ. წერილების წერით. დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული მოსწავლე ახალგაზრდების თეორეტიულ მომზადებას, უფრო ნიჭიერებს საზღვარგარეთ გგზავნას და იქ მარქსის მოძღვრების საფუძვლიანათ შესწავლას. „საჭიროა ჯერ ჩვენ მოვემზადოთ, შევისწავლოთ საფუძვლიანათ მარქსის ფილოსოფია, მოვამზადოთ, როგორც, აქ ისე საზღვარ-გარეთ საკმარისი რიცხვი ინტელიგენტ-პროპაგანდისტ-აგიტატორებისა და მერე დავიწყოთ-ო, მუშებში მუშაობა“ ამბობდენ „მესამე დასელები“. პრაქტიკულ მუშაობას მოსწავლე ახალგაზრდობაში უმთავრესად მიხ ცხაკაია და ე. ნინოშვილი აწარმოებდენ. მაგალითად ტფილისის სასულიერო სემინარიის შეგირდების გაფიცვას მაწინ ხელმძღვანელობდა მიხ ცხაკაია, რომელიც მალე საქართველოდან რუსეთში გადაასახლეს [1]). მარქსისტულ იდეების გავრცელებაში პრესის საშუალებით დიდი როლი ითამაშეს ჩვენში ნ. ჟორდანიამ და ფ. მახარაძემ.

1891—1892 წ. ჩამოვიდა ტფილისში ე. ნინოშვილი. ის, თუ არ ვცდები, პირველათ ზაქარია ჭიპინაძესთან სცხოვრობდა მთაწმინდაში შემდეგ გადაესახლა მიხაილოვის ქუჩაზე, მიხაილოვის საავადმყოფოსთან ახლო (ახლა პლეხანოვის პროსპექტი, სახლი № 54). აქ ის სცხოვრობდა ერთ ნოტიო სარდაფში, ის სახლი და ის სარდაფი ახლაც არის თუ არ ვცდები იმავე სახით, როგორც იყო მიშინ. ეს სარდაფი ისტორიული სარდაფი იყო. აქ იკრიბებოდენ „ნესამე და-

[1]). ეს იყო დაახლოვებით 96-97 წ. მ. ცხაკაია მოვიდა ხარკოვში, იქიდან კი ეკატერინესლავში, სადაც იწყებს მარქსისტულ წრეში მუშაობას; ემბება სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სელები", აქ კითხულობდენ ისინი რეფერატებს, მოხსენებებს, წაკითხულ-
ად რუსეთში ლეგალურათ მარქსიზმის შესახებ ახლათ კამოცემულ
წიგნებს და სხ. ერთი სიტყვით ეს სარდაფი იყო არა ლეგალური კლუბი
„მესამე დასელებისა" და სარდაფში მცხოვრები ე. ნინოშვილი ამ ახალი
აზროვნების ტონის მომც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვრებაში და თავის თავად ცხადია, ამ შეხვედრამ დიდი სარგებლობა მომიტანა პირადათ მე. ბევრ საკითხებში უკეთესად გამოვერკვიე და ტფილისში რომ დავბრუნდი, ჩემ თავს საკმარისათ მომზადებულ მარქსისტათ ვთვლიდი. როგორც ზევით აღვნიშნე—„მესამე დასელები„-ს წრეს მე გავეცანი 1892 წლიდან. სამი წელიწადი ვტრიალებდი ამ წრეში, ბევრ თვით-განვითარების წრეებში ვღებულობდი მონაწილეობას, ბევრს ვკითხულობდი და ბევრს ვფიქრობდი... ყველაფერი ეს მე მომწონდა, ხოლო არ მომწონდა ერთი რამ,—ყველა ჩემი მეგობარი „მესამე დასელები“ სამი წლის განმავლობაში ხმოლოდ თვითგანვითარებაზე, მოსწავლე ახალგაზრდობაში მეცადინეობაზე და ათში უფრო ნიჭიერთა საზღვარგარეთ გაგზავნაზე ფიქრობდენ. მათი პრაქტიკული მოღვაწეობა ამ ფარგლებს არ ცილდებოდა. მე, რასაკვირველია ეს არ მომწონდა. ჩემი მეგობრები თავის ასეთ საქმიანობას, როგორც ზევით აღვნიშნე, იმით ასაბუთებდენ რომ სამი წლის განმავლობაში საკმარისი რიცხვი პროპაგანდისტებისა ვერ მოამზადეს; თუმცა ამ დროს „ხელამე დასელების“ ჯგუფი მრავალ-რიცხოვანი იყო. ასე იყო თუ ისე მარქსის რევოლიუციონურ სოციალიზმის იდეების პრაქტიკულათ მუშებში გადატანაზე ჯერ კიდევ არავინ ფიქრობდა... მე ბოლოდათ არ ვიზიარებდი „დასელების“ აზრს და ვფიქრობდი, რომ შესაძლებელი იყო მუშათა წრეების დაარსება და მათში რევოლიუციონურ მუშაობის გაჩაღება. სამწუხაროთ ამ ჩემ აზრს არავინ იზიარებდა და მე, როგორც რუსები ეტყვიან: „Один в поле не воин“-ო მარტო რას ვავკეთებდი. იმედს მაინც არ ვკარგავდი და ენერგიულათ ვეძებდი ჩემ აზრის მომხრეებს. 1894 წ. ოქტომბრის შუა რიცხვებში, სილიბისტრო ჯიბლაძე ჩამოვიდა სურამიდან (ის იმ წელიწადს ფილოქსერის პარტიაში დატოვეს „რაზსლედოვატელათ“ მთელი წლით და ზამთარში უნდა ეცხოვრა სურამში) ტფილისში და კარგათ აღარ ახსოვს სად შევხვდით ჩვენ ერთმანეთს. ერთ საღამოს მე და სილიბისტრო ჯიბლაძე წავედით ერთ ამხანაგთან, რომელიც ცხოვრობდა არსენალის ქუჩაზე და რომლის გვარი სახელი აღარ მახსოვს. იქ ჩვეულებრივათ დიდი კამათი გაჩაღდა მარქსის ფილოსოფიაზე. მთელი ორი საათის განმავლობაში ჩვენს მსჯელობას უაღრესათ თეორეტიული და განყენებული ხასიათი ჰქონდა. აქ პირველათ გავიცანი ახალგაზდა ყმაწვილი, ზემლემერის სასწავლებლის შეგირდის ფორმაში გამოწყობილი, რომლის სახელი და გვარი, როგორც შემდეგ გამოირკვა, იყო **სტანისლავ რენიგერი**. აქედან მე და რენიგერი ერთად წამოვედით სახლში. ქუჩაში კი ხანს ორივე ჩუმათ მივდიოდით. ეს სიჩუმე ბოლოს რენიგერმა დაარღვია და მითხრა:—აი, წარმოიდგინეთ თქვენ, რომ ყოველთვის ასე ხდება—შეიყრებიან ეს თქვენი მარქსისტები და გაჩაღებენ დაუსრულებელ ფილოსოფიურ სჯა-ბაას, ილაპარაკებენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილაპარაკებენ და დაიშლებიან. მეორე წელია, რაც მე ტფილისში ვცხოვრობ, ვიცნობ თითქმის ყველა ქართველ მარქსისტებს, ბევრი მათგანი თეორეტიკულათ საკმარისათ მომზადებულია და ამასთან ერთად ნიჭიერიც, მაგრამ რა გამოვიდა, ყველა გაურბის მუშებში მუშაობას, ყველას უნდა ჯერ ფილოსოფოსი გახდეს, ყველა ოცნებობს საზღვარ-გარეთ წასვლაზე. მე გოცებით უსმენდი რენიგერს: ეს პირველი ადამიანი იყო, რომელიც ისე ფიქრობდა, როგორც მე და ამიტომ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. რენიგერი გულდაწყვეტით განაგრძობდა: დღეს ტფილისში მუშაობა ძალიან კარგათ შეიძლება. არის აქ მოწინავე მუშები, არის მათში დიდი ინტერესი თვით-განვითარებისა, რევოლიუციონურ მუშაობისა, ძალიან მოკლე დროში შეიძლება მოეწყოს მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეები, მაგარი და ფართო ორგანიზაციები. კონსპირატიული პირობებიც აქ კარგია: ამ საქმის გასაძღოლათ მომზადებული ხალხიც არის. ერთი სიტყვით ყველაფერი ხელს უწყობს რევოლიუციონურ მუშაობას და სამწუხაროთ კი არაფერი კეთდება. არამც თუ არაფერი არ კეთდება—ფიქრათაც არავის მოსდის ასეთი მუშაობის დაწყება... მე ჩემის მხრივ განვუცხადე რენიგერს, რომ მეც ისეთივე აზრისა ვარ ამ საკითხზე, როგორც ის და ვსთხოვე უფრო დაწვრილებით მოგვიელაპარაკნა ამაზე. მან ჩემს განცხადებას სკეპტიკურათ შეხედა. რაღაც უნდობლობა ეტყობოდა. ცოტა დაფიქრდა და მითხრა: ხვალ ნაშუადღევის ხუთ საათზე მოდით საბაღოსონო ზკოლაში და იკითხეთ **კოკი**; მე იქ ვიქნები; მოვიელაპარაკოთ. შევთანხმდით რა შეხვედრის ადგილზე და დროზე ჩვენ მალე გავშორდით ერმანეთს. მე რენიგერი ძალიან მომეწონა; მისმა გულწრფელმა ლაპარაკმა ღრმა შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. გულში იმედებმა გაიღვიძა. ვიფიქრე—მე რენიგერში ვიპოვე ერთი თანამოაზრე მაინც მეთქი. მეორე დღეს დანიშნულ დროზე და ადგილზე ჩვენ შევხვდით ერთმანეთს. რენიგერი ახლა უფრო მხიარულათ შემხვდა. როგორც შემდეგ გავიგე მას უკვე შეეკრიბა ჩემს შესახებ ცნობები და ეტყობოდა, რომ ეს ცნობები მისთვის დამაკმაყოფილებელი იყო, ამიტომ მის საუბარს ჩემთან უფრო გულახდილი და საქმიანი ხასიათი ჰქონდა. აქ მე იმან მითხრა, რომ ტფილისში არის ერთი პატარა ჯგუფი მარქსისტებისა, რომელსაც ის ეკუთვნის. ამ ჯგუფს გადაწვეტილი აქვს ტფილისის მუშებში რევოლიუციონური მუშაობა აწარმოოს. ჯგუფს აქვს მოწყობილი კი მდიდარი ბიბლიოთეკა მუშებისათვის და გეგტოგრაფი. ბიბლიოთეკა მრავალფეროვანი: მოთხრობები მუშათა და გლეხთა ცხოვრებიდან, პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები, მეცნიერების სხვა და სხვა დარგებიდან, პოპულიარული, მუშებისათვის ადვილათ გასაგები წიგნები ტ წიგნაკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკაში მოიპოვებოდა ოთხმის ყველა გამოცემები „შრომანი განთავისუფლების ჯგუფისა“. ყველა რუსეთში ლეგალურად დაბეჭდილი წიგნები და სხვა და სხვა ჟურნალებიდან ამოკრებილი წერილები მარქსიზმის შესახებ ერთი სიტყვით—მისი ლაპარაკიდან გამოიჩკვა, რომ ჯგუფს დიდი ნაყოფიერი წინასწარი მუშაობა გაუწევია; მართალია ის მუშათა წრეებში ჯერ კიდევ არ აწარმოებდა პროპაგანდა-აგიტაციას. მაგრამ მას ზოგიერთა მოწინავე მუშებში, ბიბლიოტეკის საშუალებით კავშირი მაინც ჰქონდა. ამ მუშებს წიგნებს აძლევდენ წასაკითხავათ. მუშათა ბიბლიოთეკის შექმნა უკვე ნახევრ საქმეთ უნდა ჩაითვალოს. სანამ ამ ჯგუფს გავიცნობდი ძალიან ბევრს ეფიქრებდი ასეთი ბიბლიოთეკის მოწყობაზე. კარგათ ვიცოდი, რომ სერიოზული მუშაობის წარმოება მუშებში შეუძლებელი იქნებოდა უბიბლიოთეკოთ. ბიბლიოთეკა მუშათა კლასიურ თვით-შეგნების საფუძველია. არ შეიძლება მოწინავე მუშების მომზადება თუ ამისთვის საჭირო ლიტერატურა არ გექნა, ამიტომ ამ ამბავმა მე ძალიან გამაკვირა და გამახარა;—გამაკვირა იმდენათ, რამდენათაც მე ამ ჯგუფის და მუშათა არა-ლეგალურ ბიბლიოთეკის არსებობას არ-მოველოდი და გამეხარდა იმიტომ, რომ ჯგუფის და ბიბლიოთეკის არსებობა იძლეოდა სრულ გარანტიას მუშებში პრაქტიკულ მუშაობის დაწყებისას, რომელზედაც მე რამდენიმე წელიწადი მხოლოდ ვოცნებობდი. აქ მე, სრულიად მოულოდნელად წავაწყდი, ან უკეთ რომ ვსთქვა—აღმოვაჩინე ორგანიზაცია, რომლის შექმნა მე მარტო ვერ შეეძელი. რენიგერმა მიამბო იმის შესახებაც თუ როგორ შეიძინეს მათ ეს წიგნები.

ტფილისში იმ დროს ბევრი იყო ესრეთ წოდებული: „ყოფილი ადამიანები“ („ბივშიე ლიუდი“) ყოფილი ნაროდნიკი რევოლიუციონერები. ბევრ მათგანს სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში გამოჩენილი ადგილი ეჭირათ და გვარიან ჯამაგირს იღებდენ. ამ „ყოფილ ადამიანებთან“ მჭიდრო კავშირი ჰქონდა რენიგერის ჯგუფსა. ეს ყოფილი ხალხი დიდის ყურადღებით და თანაგრძნობით ეპყრობოდენ მარქსისტთა ჯგუფის დაწყებულ საქმეს, მათ იცოდენ, რომ ბიბლიოთეკა ეწყობოდა მუშებისათვის. ამ თანამგრძნობ პირებს შეწერილი ჰქონდათ გადასახადი, როგორც წიგნებით, ისე ფულით. ფულს ისინი იხდიდენ ყოველთვიურათ. ფულების შეკრება მათ შორის მინდობილი ჰქონდა კოკს. ამ ფულით ჯგუფი იძენდა წიგნებს საზღვარ-გარეთიდან ლიტერატურის მიღება მინდობილი ჰქონდა რენიგერს. რენიგერი, სხვათა შორის, დიდი კონსპირატორი იყო. არავინ არ იცოდა როგორ და რანაირათ ახერხებდა ის საზღვარ გარეთიდან არა-ლეგალურ წიგნების მიღებას. ჯგუფი შესდგებოდა სულ ოთხი კაცისაგან: სტანისლავ რენიგერი, (მისი კონსპირატიული

„კლიჩკა“ იყო იუსტინე), თედორე აფანასიევი, მიშა კლიმიაშვილი და კოკი. აფანასიევი მუშა იყო. ის მუშაობდა მეხანიკის თანამდებობაზე ზინგერის საკერავ მაშინების ცენტრალურ მაღაზიაში. ბიბლიოთეკა და გექტოგრაფი მოთავსებული იყო აფანასიევის ბინაზე (ახლა კოლოუბნის ქუჩა სახ. № 20, სალდათის ბაზართან). მე რომ ჯგუფში შევედი—მიშა კლიმიაშვილი იქ აღარ იყო, მაგრამ როგორც რენიგერმა გადმომცა—მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო ბიბლიოთეკის შეძენა—მოწყობაში. ჯგუფის პირველი კრება, ჩემი თანადასწრებით მოხდა აფანასიევის ბინაზე. აქ—პირველათ დაისვა საკითხი მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეების მოწყობაზე. მე ტფილისის სახელოსნო შკოლა გავათავე და ზოგიერთ ჩემ შკოლის ამხანაგებთან, რომლებიც ამიერ კავკასიის რკინის გზის სახელოსნოში მუშაობდენ, მაშინ უკვე მქონდა კავშირი. მათ ხშირათ ვხედავდი, წიგნებს ვაძლევდი, ბევრს ვებაასებოდი მარქსის მოძღვრებაზე, მუშებში მარქსისტულ წრეების და ორგანიზაციების დაარსებაზე. როდესაც ჯგუფის კრებაზე ეს საკითხი პრაქტიკულათ დაისვა—მე იმათ გავაცანი ჩემი დამოკიდებულება მუშებთან და უთხარი, რომ ეს საქმე მე შეძიძლიან ვიკისრო. ისინი ჩემ განცხადებას სიხარულით შეხვდენ. ამავე კრებაზე დაისვა საკითხი ბიბლიოთეკისთვის კონსპირატიულ ადგილის გამოძებნაზე; რადგან ჯგუფს თავისი კრებები აფანასიევის ბინაზე ჰქონდა,—ამიტომ იქ ბიბლიოთეკის დატოვება საშიშო იყო. სამწუხაროთ ამ ბიბლიოთეკის გადატანა დიდხანს ვერ მოხერხდა და 1896 წ. წიგნების დიდი ნაწილი ჟანდარმებს ჩაუვარდათ ხელში. ამავე კრებაზე იყო დასმული საკითხი—წიგნებით ესარგებლა მხოლოდ მუშებს. გამონაკლისს შეადგენდენ ის ინტელიგენტები, რომლებიც ჯგუფის ხელმძღვანელობით მეცადინეობდენ, ან შემდეგში იმეცადინებდენ მუშებში. წიგნების გაცემის დროს დაცული უნდა ყოფილიყო სასტიკი კონსპირაცია. წიგნები უნდა მისცემოდა ისეთ პირებს, რომლებსაც ჯგუფის წევრები კარგათ იცნობდენ და რომლებიც სრული ნდობით იქნებოდენ აღჭურვილი. ამნაირათ ჩვენ ურთიერთშორის ერთგვარი შრომის განაწილება მოვახდინეთ: ბიბლიოთეკის გამგეობა იკისრა აფანასიევმა, კოკი დარჩა თავის თანამდებობაზე—ის ბიბლიოთეკის სასარგებლოთ ფულებს აგროვებდა „ყოფილ ადამიანებში“, რენიგერი არა-ლეგალურ ლიტერატურის ღებულობდა საზღვარგარეთიდან, მე მომანდვეს მუშათა წრეების შედგენა და მათი ხელმძღვანელობა. ჩვენი მიზანი იყო, ყოველთ უწინარეს ხელში ჩაგვეგდო ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის დეპო და სახელოსნო. ვინაიდან ჩვენ ვიცოდით, რომ ამ სამრეწველო დაწესებულებებში მუშების მეტი ნაწილი წერა-კითხვის მცოდნე იყო. ამ მუშებიდან კი ადვილად შეიძლებოდა, მომავალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელების და აგიტატორ-პროპაგანდისტების დამზადება და მათი საშუალებით მუშათა ფართო მასებში ფართო რევოლიუციონურ მუშაობის დაწყება. საზოგადოთ ჩვენი ჯგუფი ძალიან სკეპტიკურათ უყურებდა ინტელიგენციას. ის დარწმუნებული იყო იმაში, რომ მუშათა საქმე-მუშათა ხელით უნდა გაკეთებულიყო. აქედან თავის თავად ცხადია ჯგუფის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო მუშებში მეცადინეობაზე. რკინის გზის დეპო-სახელოსნო მაშინ შეადგენდა უმთავრეს ძარღვს წარმოებისა მთელ ამიერ კავკასიაში და საჭირო იყო ამ ძარღვის დაპყრობა, რომელიც გაგვიადვილებდა დანარჩენ ფაბრიკა-სახელოსნოებში და ქარხნებში მუშაობას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ქალაქებში და სამრეწველო პუნქტებში. ამიტომ ჩვენ რევოლიუციონური მუშაობა აქედან დავიწყეთ. ჩვენი ვარაუდი სამაგალითოთ გამართლდა. ამ სამრეწველო დაწესებულებამ უდიდესი როლი ითამაშა არა თუ მარტო ტფილისის მუშათა მოძრაობაში, არამეთ მთელ ამიერ-კავკასიაში. ის მუდამ სათავეში ედგა ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობას. ის იყო როგორც ავანგარდი, ისე ხელმძღვანელი და ტონის მიმცემი ხანგრძლივი და მედგარ ბრძოლისა. პირველი მუშათა წრეები ამ სახელოსნოში დაკარსეთ. 1894 წ. ნოემბრის პირველ რიცხვებში შეიკრიბა მუშათა პირველი წრე. ამ წრეში შედიოდენ: ე. გიორგობიანი, ვანო ჭავჭავაძე (გლეხია გორის მაზრიდან), იოსეს არავიაშვილი, სერგო ჯაფარიძე, *) და შემდეგ ამავე წრეში შემოვიყვანეთ არჩილ არავიაშვილი, უფროსი ძმა იოსეს არავიაშვილისა. გიორგობიანი და ჭავჭავაძე რკინის გზის სახელოსნოში მუშაობდენ. იოსებ არავიაშვილი, ხელობით ღურგალი-მუშაობდა კერძო სახელოსნოებში და მჭიდრო კავშირი ჰქონდა ტფილისის თამბაქოს ფაბრიკების მუშებთან. არჩილ არავიაშვილმა სალდათობა გაათავა და სოფელში ცხოვრობდა, საიდანაც ჩვენ ის გამოვიწვიეთ და რკინის გზის სახელოსნოში მივიღებინეთ. გიორგობიანს, ჭავჭავაძეს და ძმებს არავიაშვილებს ტფილისის სახელოსნო შკოლა ჰქონდათ გათავებული. ხელობით, იოსებ არავიაშვილის გარდა, ყველა სლესარები იყვნენ. მე იმათ სახელოსნო შკოლიდან ვიცნობდი; არჩილ არავიაშვილს და ზაქარია ჩოდრიშვილს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სახელოსნო შკოლაში ვსწავლობდით, კავშირი ჰქონდათ გოლა ჩიტაძის წრესთან, საიდანაც ისინი დებულობდენ, რუსულიდან ქართულ ენაზე ნათარგმნ ლიტერატურას. მე მახსოვს, ჯერ კიდევ პირველ კლასში, სახელოსნო სკოლაში არჩილ

*) ეს არ არის ის ეკეკილი სერგო ჯაფარიძე, რომელსაც მკითხველები იცნობენ პირველ სახელმწიფო სათათბიროდან, როგორც დეპუტატს ს.-დ. ფრაქციისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავიაშვილმა გადმომცა წასაკითხათ „ოთხი ძმის ისტორია“ ერთი კიდევ რალაც სხვა ბროშიურა. ასე რომ ამ ამხანაგებს მე სახელოსნო შკოლიდან ვიცნობდი. რაც შეეხება სერგო ჯაფარიძეს ის ინტელიგენტი იყო, სიმწიფის ატესტატზე ემზადებოდა და შემდეგ მოწინავე წრეებში ქართველ მუშებს რუსულ ენას ასწავლიდა. ჯაფარიძე შემდეგ საზღვარ-გარეთ წავიდა და იქ (თუ არ ვცდები, გერმანიაში) ელექტრო-ტეხნიკური სასწავლებელი გაათავა, შემდეგში ამ წრიდან დიდი როლი ითამაშა არჩილ არავიაშვილმა, მაგრამ ამაზე შემდეგ.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანოზ ფანცხავა-

ჩემი მოგონებების ნაწყვეტი.

80 წლების მეორე ნახევრიდან მე შევუამხანაგდი გ. ჩარკვიანს, რომელიც ტფილისში განაგებდა წიგნის მაღაზიას და ჩაბმული იყო სტამბის საქმეშიც. ამ დროს საქართველოში ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა ერთად ერთი ქართული დღიური გაზეთი—„ივერია“, რომელიც ღარიბ ქართულ მწერლობას, რა თქმა უნდა ვერ აკმაყოფილებდა, ვერც მკითხველებს სჯუნდა ახალ რამეს. ამიტომ რამდენიმე პირმა გადავწყვიტეთ შეჩერებულ ყოველი კვირეული გაზეთი—„თეატრი“ გაგვეახლებია (ახალის გამოცემის ნებას მაშინ არ იძლეოდენ). ფაქტიურად რედაქტორობა და კორექტურაც ამ გაზეთისა ამხანაგებმა მე მომანდვეს და 88 წელს სექტემბრის პირველ რიცხვებიდან გაზეთის გამოცემის საქმეც უკვე მოეწყო.

ამ გაზეთში თავი მოიყარეს სამუშაოთ საქართველოს ცნობილმა ლიტერატორებმა დიდ მგოსან აკაკისთან ერთად.

საქმის ვითარებამ შემდეგი დაგვანახვა, რომ ამდენ ლიტერატურულ ძალებს ერთი კვირეული გაზეთი ვერ წვდებოდა და გადავწყვიტეთ, გაზეთი „თეატრი“ ყოველ თვიურ სქელ ტანიან ჟურნალად გადაგვექცია და ქართულ ლიტერატურაში შეგვეტანა სრულიად ახალი, ჯერ არ გაგონილი მარქსისტული მსოფლ-მხედველობა. მაშინ მე და ვასილ წერეთელი საქართველოში პირველ მარქსისტებად ვითვლებოდით. (ამის შესახებ იხ. ჩემი წერილები იმავე წლის „თეატრში“ გაზ. „ივერიაში“ ჭრელაშვილს, დონ-იაგოს და ნალის წინააღმდეგ დაწერილი. რამდენიმე ჩემი სტატია მაშინდელმა ცენზორმა—რაფიელ ერისთავმა სულ აკრძალა).

ფილიპე მახარაძე და ნოე ჟორდანია მაშინ მოწაფეები იყვნენ სწავლობდენ სემინარიის მეექვსე კლასში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ხანებში პროვინციიდან მომივიდა ეგნატე ნინოშვილის ფსევდონომით ხელმოწერილი მოთხრობა,—თუ არა ვცდები „გოგია უიშვილი“. მოთხრობა მომეწონა, იგი ცოცხალი, ნიჭიერი მხატვრული ენით იყო დაწერილი და ამიტომ მოვთათავსე კიდეც „თეატრში“. მე აქ ვფიქრობდი თან ეგნატე ჟურნალის მუდმივ თანამშრომელათ მომეწვია, მაგრამ ეშმაკი თურმე სხვანაირად ფიქრობდა. მთავრობას უკვე გაეგო, რომ ეს წრე ჟურნალის თანამშრომლებისა სოციალისტებისაკან შედგებოდა... ამის შემდეგ გაზეთს დიდხანს აღარ უბოგინია,—დაიხურა.

92 წლის მიწურულში ზესტაფონში მყოფ ეგნატე ნინოშვილისაგან მომივიდა პატარა ბარათი, რითაც იგი მეპატიჟებოდა.

ეგნატე ნინოშვილი იმ დროს მსახურობდა მოლარეთ შავი ქვის ბრეწველის, ცნობილ ნიკოლოზ ღოღობერიძის კანტორაში და იქვე იდგა ბინათაც. ეგნატეს ბინაზე მე დამხვდა სხვა სტუმრებიც. როგორც გამოირკვა მას ჩემს გარდა მოეპატიჟა სხვებიც. ესენი იყვნენ: კარლო ჩხეიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, დარჩია, დიმიტრი კალანდარაშვილი. კარლამ ჭიჭინაძე და სხვა, რომელნიც ახლა აქ არ მაგონდება,—ასე თუთხმეტამდის ყმაწვილ-კაცობა იქნებოდა თავმოყრილი.

ეგნატეს ბინაზე, რომ მოვედი, ოთახიდან სწაფად გამოვიდა ერთი ქერა სანდომიანი თვალტანადი, ინტელიგენტური სახის ყმაწვილი კაცი, ასე 27 წლისა, რომელმაც თავი გამაცნო ეგნატე ნინოშვილად.

ეგნატეს მაინც და მაინც მხიარული სახე არ ჰქონდა, არ იყო პირმცინარე, თითქო მუდამ რაღაცაზე სწუხდაო. ეს ინტელიგენტური ნაღველი და სევდა ამ ლამაზ კაცს უხდებოდა და სასიამოვნო, მეტად მიმზიდველი საყურებელიც იყო. იგი ნაზი, გულითადი და, გულწრფელი მოსაუბრე იყო. ამასთან ყოფნა არ მოგწყინდებოდა. ჩემთან ახლო მჯდომმა ეგნატემ დამიწყო ლაპარაკი სალიტერატურო ორგანოსა და ახალი „ქართული წიგნების მბეჭდავი ამხანაგობის“ საქმეებზე, ზოგიერთი სტუმართაგანი ქართველი ინტელიგენციის საქმიანობაზეც მეკითხებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ გაწყობილ სუფრას შემოუსხედით და ვახშმის ჯამას შევექეცით. ჩვენ ეგნატესთან ერთად გავმხიარულდით და ავმეტყველდით. ეხლა არ გვეშინოდა ჯაშუშების, თავზე დაჭცემლების, მოვხსენით ენას კლიტე და გაბედულათ ავლაპარაკდით პოლიტიკაზე, ლიტერატურაზე, გლეხებზე და ასე გასინჯეთ პროლეტარიატზეც ...

სუფრას ჩვეულებისამებრ ყავდა თამადა.

სიტყვის თქმის ნება გამოითხოვა პირველად მასპინძელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგნატემ. მან დაახასიათა მომენტი, მოგვითხრო შექმნილი ეკონომიური და პოლიტიკური პირობები და დაასკვნა: აბსოლიუტიზმი ახჩობს მშრომელ ხალხს, იგი სისხლსა და ტვინს სწოვს მას. მშრომელი ხალხის სიცოცხლე, ენერგია და ნიჭი სრულიად კვდება. ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს მშრომელი ხალხი ავამოძრაოთ, რომ ამ გაყინულ წერტილიდან დავძრათ დამყაყებული საზოგადოებრივი ცხოვრება.

აქ შემდეგ შეიქნა ლაპარაკი რუსეთის მოსწავლე ახალგაზრდობის გმირულ რევოლიუციონურ მოძრაობაზე, რომელიც მიმართული იყო, როგორც თვითმყრობელობის, ისე შეძლებულ ხალხის,—მდიდრების წინააღმდეგ.

ეგნატეს შემდეგ ილაპარაკეს სხვებმაც.

მეც მომიხდა აქ დაბოლოს ლაპარაკი.

რუსეთის ახალგაზრდობა, სტუდენტობა და მთლად ინტელიგენცია—ვამბობდი მე,—რაც უნდა გამწარებით დაეტაკოს დესპოტიზმს, იგი მაინც ვერაფერს გახდება და სრულიად გაისრისება. მთავარი საძირკველი კი, რაზეც დაყრდნობილია ეს საშიში დესპოტიზმი, მაინც შეურყეველი დარჩება.

საჭიროა ჩვენი პოლიტიკური გზა და მიზანი ძირიან ფესვიანად შეიცვალოს. უპირველესად საჭიროა, რუსეთის სამრეწველო ცენტრებში,—მდიდარი ქალაქების ფაბრიკებსა და ქარხნებში მომზადდეს და დაირაზმოს პროლეტარიატი, გათვითცნობიერდეს იგი პოლიტიკურად, რომ მუშათა შორის კოლექტივიზმის იდეამ ფეხი მაგრად მოიკიდოს, და როცა მუშათა კლასი რუსეთში ამაოთავს ბრძოლის დროშას და მისი ბატონობის ქვეშ თავს მოიყრის რევოლიუციონური ელეს-ჯაკობა, ჯარი და სტუდენტობა, აი, მაშინ დესპოტიზმსაც ძირში მოტყდება ფეხები და მოისპობა.

მე აქ მოვიგონე გერმანეთის სოციალ-დემოკრატია, მისი ბელადის ავგუსტ ბებელის სიტყვები, რომელიც არ უყურებდა დიდი ოქროდით სტუდენტების პოლიტიკურ ბრძოლას, რომელმაც პოლიტიკური ბრძოლის როლი მხოლოდ და მარტოდ მუშათა კლასს მიაკუთვნა...

ჩვენი ვალდებულობაა მივბაძოთ ამ შემთხვევაში გერმანეთის სოციალ დემოკრატიას და იმასავით დავამზადოთ, გავათვიცნობიეროთ,—მუშათა კლასი, შევაგნებინოთ მას თვისი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა და იგი თავის თავად აღზდგება დესპოტიის წინააღმდეგ და მოსპობს კიდეც მას სავსებით, დავასრულე მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიმართა აქ დიდი სჯა-ბაასი, სადაც შემდეგ, პოლიტიკის ამ სფეროში მუშაობისათვის შემუშავებული იქნა შესაფერი გეგმა და დავიშალენით. *)

*) ეს იყო პირველი მარქსისტულად მოაზროვნე ჯგუფის კრება ყვირილაში, რის შედეგად წარმოიშვა „მე-3 დასი". რ. ფანცხავას ამ მკრთალ ნაწყვეტს ვთავაზობთ აქ როგორც ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც რამოდენიმეთ ფურდას ხდის, თუ როგორ წარმოიშვა პირველი მარქსისტული ჯგუფი საქართველოში და რა-გორ პირობებში მომზადდა იგი. დაწვრილებით ამის შესახებ მკითხველი ნახავს ჟურნალის ამავე ნომერში მოთავსებულ ამბ. ფ. მახარაძის მოგონებაში.

რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოგიოგრაფიები.

რაქდენ კალაძე.

დავიბადე 1871 წელს სოფელ ეწერში (ქუთაისის მაზრა) სოფლის ღარიბ მღვდლისა და მწერლის ოჯახში. მღვდელი იყო ბაბუა, მამა კი ჯერ იყო სოფლის მწერალი, შემდეგ ის სოფელში მასწავლებლობდა, ბოლოს მედავითნეცე იყო და მასწავლებელიც. დედა გლეხის ქალი იყო მარა წერა კითხვის მცოდნე; მასთან იგი ყოველ მხრივ ზედმიწევნით პატიოსანი, კარგი მეოჯახე, ღვთის მმოსავი ადამიანი და თავის შვილების უკიდურეს თავგანწირულებამდი მოყვარე.

სოფელში დავყავი 9 წლამდი, როდესაც კი 9 წლის გავხდი, წამიყვანეს ქუთაისში და იქ სასულიერო სასწავლებელ ში მიმცეს.

ეს სასწავლებელი დიდი წარმატებით დავასრულე და აქედან გადავედი ტფილისის სასულიერო სემინარიაში. აქ კარგათ ვსწავლობდი, განსაკუთრებით ლიტერატურასა და ლოღიკას, მაგრამ სრული უნიჭობა და დაუდევრობა გამოვიჩინე სამღვთო ცოდნის დარგში და განსაკუთრებით საეკლესიო გალობაში, რისთვისაც დამტოვეს იმავე კლასში (მეოთხე საერთო განათლების კლასი). დარჩენის შემდეგ აღარ ვისურვე სასწავლებელში დარჩენა და გამოვედი სემინარიიდან იმ აზრით, რომ რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში გამეგრძელებია სწავლა, მაგრამ ეს განზრახვა ჩემი სიღარიბისა და ბუნებრივ მოკრძალულობის გამო ვერ მოვახერხე. ამის შემდეგ ქართული და რუსული წიგნების საშუალებით შეუდექი თვით-განვითარებას. ყველაფერი ეს იყო 1880 წლიდან 1891 წლამდე.

უაღრესათ მე დავინტერესდი რუსეთის სოციალისტებით მაშინ, როდესაც მათ მოახდინეს ისტორიული მნიშვნელობის ტერორისტული აქტი—1881 წლის 1 მარტს (თვითმპყრობელი მეფის ალექსანდრე მე-II მკვლელობა). მაშინ მე ვიყავი 10 წლის და ვსწავლობდი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ბავშობიდანვე ეუარვყოფდი ყოველგვარ სამღვდლო წესებს, ცურუმორწმუნეობას და არ მჭონდა რელიგიური რწმენა. მეფის მოკვლის გაგებამ ჩემში დაბადა სოციალურ საკითხებისადმი ინტერესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათეიზმი და სოციალიზმი, აი ორი დასაწყისი, რომელიც ბავშობიდანვე გადაეჯდო ჩემს შეგნებას.

სემინარიაში გადასვლის, ქართულ ლიტერატურის გაცნობის და განსაკუთრებით სემინარიის ლეკტორის, ჩუდეიკის მოკვლის (1885-წ.) გავლენით, აგრეთვე დიმიტრი ყიფიანსა (მაშინდელი თავად აზნაურთა წინამძღოლისა და ცნობილი მოღვაწის) და საქართველოს ეგზარხის პავლეს შორის ჩამოვარდნილ კონფლიქტს, მიწერ მოწერის და შეტაკების შემდეგ მე დავინტერესდი ქართული ხალხის ბედით და შევიქენი დიდი „პატრიოტი“.

ამგვარათ ჩემში იყო მაშინ სამი სხვადასხვა ელემენტი: 1) **წმინდა იდეური**, 2) **სოციალისტ-რევოლიუციური** და 3) **ნაციონალური**, და მე ვიყავი ერთდა იმავე დროს ათეისტი, რეალისტი რევოლიუციონერი და „პატრიოტიც“. ამავე დროს ვკითხულობდი ლევ ტოლსტოის თხზულებებს და გავხდი „ტოლსტოველიც“, არ ვსვამდი ღვინოს და არც ხორცეულს ვჭამდი. ვცდილობდი ყოველმხრივ გამეუმჯობესებია ჩემი პირადი „მე“. ეს იყო 1891 წ. მე მაშინ 20 წლის ვიყავი

ამ წელს სემინარიიდან გამოსვლის შემდეგ მე გავეცანი ჩვენი რევოლიუციონური ცხოვრებისა და აზროვნების ორ ბელადს—სახელგანთქმულ ქართველ ბელეტრისტს ეგნატე ნინოშვილს და ახალგაზრდა რევოლიუციონერსა და სოციალისტს მიხა ცხაკაიას. ესენი იყვენ ჩემი პირველი მასწავლებლები და ხელმძღვანელები. დაუახლოვდი მათ, განსაკუთრებით ეგნატეს და, რომ შემეძლო ცოდნა და შემემუშავებია მსოფლმხედველობა, წიგნების კითხვის და წაკითხულ წიგნებზე რეფერატების წერის გარდა, მათთან ხშირათ ვმართავდი კამათს სხვა და სხვა საკითხებზე, უმეტესათ სოციალურ და ლიტერატურულ-მხატვრულ ხასიათის საკითხებზე.

ეგნატემ და მიხამ შექმნეს ახალგაზრდა სოციალისტ ინტელიგენტებისაგან წრე, რომელში მეც ვითვლებოდი. ამ წრეში ვკითხულობდით და ვარჩევდით ლავროვის ისტორიულ წერილებს.

1892 წლის დამლევს ეგნატეს ინიციატივით შედგა დ. ყვირილაში პირველი არალეგალური კრება ქართველ მარქსისტებისა, რომელსაც ეგნატეს მიწვევით მეც დავესწარი. აქ მე პირველათ მოვიმინე მარქსისტული აზრები და დაუპირდაპირე ის ნაროდნიკობას მოვბრუნდით ტფილისში და აქ ჩვენ კიდეგ შეკავდგინეთ მოწაფეთა რამდენიმე წრე.

1893—4 წელს ამ ელემენტებისაგან შესდგა ჩვენში **„მესამე დასი“**, რომელიც შემდეგ ეგნატე ნინოშვილის სიკვდილისა გარდიქმნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიათ.

ამ პირველ „მესამე დასელებისაგან“ 1897 წელს შედგა ტფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისში პირველი საინიციატივო რევოლიუციონური კომიტეტი, რომ-
ლშიც ჩემს გარდა შედიოდენ:

1. ვასო ცაბაძე, 2. სილიბისტრო ჯიბლაძე, 3. სევერიანე ჯუღელი, 4. საშა ზატილოვი, 5. ზაქარია ჩოდრიშვილი, 6. მიხა ბოჭორიძე და 7. არაქელა ოქუაშვილი.

ამ ამხანაგებში უფრო რევოლიუციონერობა ემჩნეოდა ყველა
მუშებს, ნახევრად მუშებს და ნახევრად ინტელიგენტს ვასო ცაბაძეს.
შემდეგში ბოლშევიკურ ფრაქციაში მოვხვდით (მე და ხსენებული სა-
მი მუშა).

1891 წლიდან ჩვენ დავაარსეთ პირველი „მუშათა წრეები“,
სადაც ვაწარმოვებდით არა-ლეგალურ სოციალისტურ პროპაგანდას
მარქსის მოძღვრების თვალსაზრისით. ამ წრეებში აღიზარდენ და
გამოვიდნენ შემდეგი ცნობილი ბოლშევიკი მუშები: ვანო სტურუა,
გიორგი თელია (მუშა—პუბლიცისტი) და გიორგი ჩხეიძე.

1898 წელს ლადო კეცხოველმა გამაცნო მისივე წრეში მომა-
ცადინე, დღეს რუსეთში ცნობილი და მაშინ კი ახალგაზდა სემინა-
რიელი ამხ. სოსო ჯუღაშვილი, რომელიც იმ დროს სკოლიდან დათ-
ხოვნილი იყო. სოსოს ვუშოვე სამსახური ტფილისის მეტეოროლოგი-
ურ ობსერვატორიაში, სადაც იმ დროს ვმსახურობდი.

ამხ. სოსო იმ დროიდანვე (1898 წლიდან) შეუდგა რევოლიუ-
ციურ მოღვაწეობას ჩვენი ხელმძღვანელობით და, როდესაც ჩვენ
„მესამე დასელები“, ე. ი. სოც.-დემოკრატები, თითქმის ყველა და-
გვატუსადეს, 1901 წელს საქართველოში რევოლიუციური მოძრაობის
ხელმძღვანელობა მოუხდა მარტო მას.

1898 წელს ამხანაგებთან ს. ჯუღელთან, ლადო კეცხოველთან
და მუშა ზაქრო ჩოდრიშვილთან, მიხა ბოჭორიშვილთან და არაქელა
ოქუაშვილთან ერთად პირველი საინიციატივო ს.-დ. კომიტეტის
დადგენილების თანახმად (რომლის წევრებიც ზემოთ მოვიხსენიე)
მოვაწყვე პირველი მასსიური არა-ლეგალური დღესასწაული 1 მაისისა.

იმავე კომიტეტის დადგენილების თანახმად მოვაწყვე ვასო ცა-
ბაძესთან და ლადო კეცხოველთან ერთად „კოკის“ მოსასახურეთა
კაფიცვა, რომელსაც თავის თავათ პოლიტიკური ხასიათი მიეცა. ეს
მოხდა 1900 წლის 1 იანვარს, როცა კაფიცული მუშების სისხლი
ტფილისში პირველათ დაიღვარა. შემდეგში (1904), როცა მე უკვე
დაავთმყოფებული ვიყავი, მოვაწყვე კიდევ ეკონომიური ხასიათის
კაფიცვა დაბა სამტრედიაში მოსკოველ მეფაბრიკის ილინის აბრე-
შუმის ძაფის საღებ ფაბრიკაში. რამდენიმე კვირით ადრე აქ, ამ ფაბ-
რიკაში მომუშავე ქალის, ანეტა გაბილაიას მეთაურობით და ინი-
ციატივით მე მოვაწყვე მუშა ქალთაგან წრე სოც.-დემოკრატიული
პროპაგანდის გასაწევად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ პოლიტიკურ დემონსტრაციებში მე არ მიმიღია მონაწილეობა, რადგან ბაქოში არა-ლეგალურათ ცხოვრების საშინელი პირობების გამო და შემდეგ ათ თვეს ციხეში ჯდომის გავლენით ნერვიული დამბლა დამეცა და 1902 წლიდან ვიდრე 1904 წლამდე ნახევრად ინვალიდი დავრჩი.

მხოლოდ 1905 წელს ქუთაისის ს. დ. ბოლშევიკების კომიტეტმა დამავალა გამეწია პარტიული ხელმძღვანელობა სამტრედიის რაიონისათვის. ვხელმძღვანელობდი ამ რაიონს როგორც ბოლშევიკი მაისამდე, ხოლო მაისში ცნობილ გენერალ ალიხანოვის განკარგულებით დამატუსაღეს, მაგრამ ვარანცოვ დაშკოვის ტფილისში ჩამოსვლის გამო გამანთავისუფლეს მაისის დამლევს.

1907 წლიდან უმთავრესად ლიტერატურულ შრომას ვეწეოდი: ვთანამშრომლობდი ყველა ს. დ. ლეგალურ გაზეთებში და დრო გამოშვებით ვაწარმოებდით ბოლშევიკურ პროპაგანდას მუშათა წრეებში. ძხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როდესაც მე მონაწილეობა მიკიღე ქართულ არა-ლეგალურ გაზეთის „ბრძოლა“-ს გამოცემაში, რომელსაც მაშინ ხელმძღვანელობდა ამხ. ბ. ნანეიშვილი; ამ საქმეში მონაწილეობა ამხ. მგელაძემაც (ვარდინმა) მიიღო, რომელიც მაშინ ასოთამწყობი იყო.

მებრძოლ ჯგუფებში და ტერორისტულ აქტებში მე მონაწილეობა არ მიმიღია და არც შემეძლო მიმეღო ავადმყოფობის გამო, თუმცა მიუხედავათ ამისა, 1919 წლის 15 სექტემბერს მენშევიკურმა მთავრობამ მაინც დამატუსაღა დენიკინის გენერალის, ბარათოვის აფეთქების გამო, ვინაიდან მე მჭ დრო ურთიერთობა მქონდა ვასიკო წიგნიკაძესა და არკადი ელბაქიძესთან, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ ამ საქმის მოწყობა.

ვიჯექი ციხეში სხვა და სხვა დროს ორი წელიწადი, გადახალებული ვიყავი ორჯერ და ვიმალებოდი სამ წელიწადს. ქუთაისის ციხეში 1901 წელს ჩემთან ერთად იჯდა ნოე ჟორდანია და შემდეგ ასობით ბოლშევიკები, რომელთა შორის იყვნენ გამოჩენილი და თავდადებული ამხანაგები დაწყებული ამხ. მ. ცხაკაიადან და გათავებული ლადო სუხიშვილითა და ნოე ლეკვათი.

რევოლიუციურ მოღვაწეობას მაწყვეტინებდა მხოლოდ ციხეში ჯდომა და ავადმყოფობა.

თებერვლისა და ოქტომბრის გადატრიალების დროს მე ვიყავი ტფილისში და ვრედაქტორობდი ბოლშევიკური მიმართულების მუშურ ეურნალს ქართულ ენაზე. ამ რევოლიუციებში ჩემი მონაწილეობა გამოიხატა მხოლოდ ლიტერატურული მოღვაწეობით. ჩემთან ერთათ მუშაობდენ: ამხ. მიხა, ფილიპე, ლადო დუმბაძე, ს. თოდრა, ვანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლქვაძე და სხვები. 1917—18 წელს ჩვენ ვუშვებდით გაზეთ „ბრძოლას“, რომელიც ს. სოც.-დ. (ბოლშევიკების) ლეგალურ ორგანოთ ითვლებოდა.

შემდეგ ამხ. ფილიპესთან ერთათ ვმუშაობდი გაზ. „კომუნისტზე

მენშევიკურ საქართველოში არა-ლეგალურ ორგანოებშიც ვმუშაობდი: ვეხმარებოდი ამხ. ფილიპეს არა-ლეგალური ბიულეტენების დამზადებაში და ვთარგმნიდი არა-ლეგალურ რუსულ პროკლამაციებს. 1919 წელს ვთარგმნე რ. კ. პ. ჩვენში არა-ლეგალურად გამოსული პროგრამა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოსეგ სიმონის-ძე მორჩილაძე.

მე დავიბადე 1876 წელს. რევოლიუციონურ მოძრაობაში თავიდანვე ვღებულობდი მონაწილეობას.

მამა ჩემი იყო მეწყალე და მე თითონ მუშა-პროლეტარი ვმსახურებდი რკინის გზაზე. როგორც პროლეტარი იძულებული ვიყავი ბრძოლა მეწარმოებია კაპიტალის წინააღმდეგ. მე მიმიღო პარტიაში გორის ორგანიზაციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვანო კეცხველი.

1905 წ. ვღებულობდი მონაწილეობას წითელ რაზმში, რომელიც მოქმედებდა ახალქალაქის რაიონში შავრაზმულ ორგანიზაციის წინააღმდეგ, ე. ი. მემამულეთა და თავად-აზნაურთა ცხენოსანი რაზმის წინააღმდეგ. წითელი რაზმის უფროსი იყო არსენ კორსიძე. ვღებულობდი მონაწილეობას რკინის გზელთა გამოსვლაში ხაშურში. ამიტომ დატუსაღებული და მოთავსებული ვიყავი გორის ციხეში.

არჩეული ვიყავი ახალქალაქის, რაიონის თავმჯდომარეთ და ვასრულებდი სხვა და სხვა კონსპირატიულ დავალებებს.

1905 წლის რევოლიუციის დროს ვიყავი ტფილისში და ამბ. (სტალინ) ჯუღაშვილის წინადადების თანახმად გამაგზავნეს გორის ორგანიზაციაში. ვღებულობდი მონაწილეობას ახალქალაქის წითელ რაზმში, რომლის უფროსადაც არსენ კორსიძე იყო.

მონაწილეობას ვღებულობდი ტერორისტულ აქტებში—სადგ. ვრაკალში მოვკალი ცნობილი ჯამუში კოშაძე და გორის ხიდზე ციცაშვილი, რომელიც დავალებული მქონდა გორის ორგანიზაციის ერთი ჯგუფისაგან.

პოლიცია მუდამ მსდევნიდა და დამატყვევა კიდეც. სამხედროსავალე სასამართლომ მომისაჯა ოთხი წლის კატორღა. ციხეში ჩემთან ერთად იჯდა განსვენებული კოკოლა ოდიშვილი, ქიტესა ჯანიაშვილი და მიხა ბატკუაშვილი. პარტიულ მუშაობას ვაწარმოებდი განუწყვეტლივ.

თებერვლისა და ოქტომბრის რევოლიუციების დროს მოვხვდი ქ. ტრაპეზუნდში, სადაც მე ვითვლებოდი სამხედრო სამსახურში მოხალისეთ. რევოლიუციის დროს იქ ვიყავი არჩეული საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნების დელეგატათ და შემდეგ საბჭოს წევრად, რომლის თავ-მჯდომარედაც ამხ. კვირკველია იყო.

1900—1903 წლამდი ვიყავი ტფილისში, 1903—1907 წლამდი გორში, 1906—1909 წლამდი ვიჯექი გორის ციხეში. 1909 წელს გადამასახლეს, საიდანაც გამოვიპარე და ვიმალებოდი 1914 წლამდი. 1914—1917 წლის ბოლომდი ვიყავი ტრაპეზუნდში. 1917 წლის დამლევს ჩამოვედი ტფილისში და ამირჩიეს აქ 1 რაიონის საბჭოში. 1919 წლიდან 1921 წლის დამლევამდე ვიყავი ტფილისის კომიტეტის წევრად. ამავე წლებში ვიყავი 1 რაიკომის ბიუროს წევრიც. 1921 წელს არჩეული ვიყავი დელეგატად პარტკონფერენციაზე.

1919-სა და 1920 წლებ'ში არჩეული ვიყავი წარმომადგენლათ ტფილისის მუშათა ცენტრში. 1921 წელს დამატუსაღეს და ვიჯექი ქუთაისისა და ბათუმის ციხეებში—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარლამ ძნელაძე.

დავიბადე 1884 წელს გლეხის ოჯახში სოფ. ბურნათში (ოზურგეთის მაზრა, ქუთაისის გუბ). ბავშობისას მე ვიყავი ავათმყოფი.

ჩვენი მატერიალური მდგომარეობა უარესდება ოჯახში განვითარებულ ავადმყოფობით, რომელმაც იმსხვერპლა შვიდი სული მშობლებთან ერთად.

თავდაპირველად მე ვსწავლობდი ხაშურის სასოფლო სკოლაში, ხოლო ამის შემდგომ შევედი იქაურ რკინის გზის სასწავლებელში.

ექიმების რჩევით მე გადავედი ტფილისში საბაღოსნო შრომის სკოლაში. ეს იყო 1896-1897 წლებში. ამ სკოლაში საქმის დაწყობა მე არ მაკმაყოფილებდა, ამისათვის 1899 წელს გავემგზავრე ბესარაბიაში, ქ. კიშინიოვში, სადაც დავიწყე მზადება მეღვინეობის უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, მაგრამ მატერიალურის მხრივ უმწეო მდგომარეობამ იძულებული მყო დავბრუნებულიყავი 1900 წელს გორში.

ცოტა ხნის შემდეგ მე მომიხდა სამსახურში შესვლა ბორჩალოს მაზრაში მელიკოვებთან, სადაც საფუძვლიანად შევისწავლე მევენახეობა და მეღვინეობა. აქ ვიმსახურე თითქმის ერთი წელი, ხოლო შემდეგ დავბრუნდი ისევ გორში.

მე დიდხანს განზე ვუდექი პოლიტიკურ მიმდინარეობას, მაგრამ ხაშურში მუშების დახვრეტამ მოახდინა ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება და დასძრა ჩემი ფიქრები პოლიტიკისკენ

აქედან იწყება ჩემი პირველი გამოსვლა რევოლიუციონურ სარბიელზე.

1903 წელს ნიკოლოზ ფერაძის დახმარებით მე შევედი ესდეკების პარტიაში, მის ხაშურის ორგანიზაციაში. იქ მუშაობდენ გარდა ფერაძისა ისიდორე მეფარიშვილი და ცაბაძე.

1904 წელს ვცხოვრობდი ტფილისში, ვერაზე, ვირიცხებოდი ვასო ფერშლის იაჩეიკაში, მისი გვარი დამავიწყდა. იაჩეიკის სხვა წევრები არ მახსოვს. მონაწილეობას ვიღებდი წრეებში როგორც ტფილისში ისე ხაშურში. ტფილისის წრის ხელმძღვანელნი არ მახსოვს, ხოლო ხაშურის წრის ხელმძღვანელად, გამოვლით, იყო ისიდორე რამიშვილი. წრეში ვასრულებდი სხვა და სხვა მინდობილობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ წრეებს ჩემზე გავლენა არ ქონია. გონებას ვავარჯიშებდი ბროშიურების და წიგნების კითხვით. ჩემი პოლიტიკური და ეკონომიური რწმენის შესამუშავებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა ჩემთვის კამოს პიროვნებას. დიდი იყო მისი გავლენა ჩემზე. ის სისტემატიურად მაწვდიდა სათანადო ლიტერატურას. რაც შეეხება გაფიცვებს, მე ვიღებდი მონაწილეობას პოლიტიკურ გაფიცვებში ეკატერინოსლავში 1907-1908 წლებში, სადაც მახსოვს ამხანაგები და არკადი (მათი გვარი დამავიწყდა) და აგრეთვე ეკონომიურ გაფიცვებში ბაქოში.

აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი 1905 წლ. აჯანყებაშიც, პატრუქიან ბომბების დამზადებით. რასაკვირველია, ფაბრიკაცია მიმდინარეობდა კონსპირატიულად; საიდუმლოებას თხოულობდა აგრეთვე ბომბების და, მაშინდელი ტერმინოლოგიით, არა-ლეგალურ ლიტერატურის ჩემ მიერ გადაზიდვა-გადმოზიდვა და სხვა. ყველა ეს სწარმოებდა ხაშურში. პირდაპირ მონაწილეობას მებრძოლ ჯგუფებში არ ვიღებდი, ვიყავი მხოლოდ ხელმძღვანელი. ჯგუფი უმთავრესად ყურადღებას აქცევდა ტერორისტულ აქტების მოწყობას, მაგრამ თვალსაჩინო ჩვენ არაფერი არ გაგვიკეთებია, რადგანაც უკვე მოასწრეს ჩვენი შემუსვრა. ხელმძღვანელთა შორის მახსოვს წერეთელი. ტერორისტულ აქტებში არ ვიღებდი მონაწილეობას ლიტერატურის გავრცელების გამო მე მიმცეს პასუხის გებაში. სისხ. სამ. დებულების 129 მუხ. ძალით, მაგრამ, რადგანაც ამ მუხლით ვერ დამიმტკიცეს დანაშაულობა, მეორე ნაწილის სის. სამარ. დებულების 132 მუხ. ძალით მომისაჯეს 6-ი თვის ციხეში ჯდომა. სასჯელი მე არ მომიხდია, რადგანაც მოვეყეკი 1913 წლის მანიფესტში. ფაქტიურად კი მოვიხადე განწესებული სასჯელი, რადგანაც სხვა და სხვა დროს ნახევარი წელი, საქმის გამორკვევამდე, დავყავი მეტეხის ციხეში.

ციხეში დროს გატარება გამოიხატებოდა წიგნების კითხვაში და სხვა და სხვა თემაზე სჯა-ბაასში. ჩემთან ერთად ისხდნენ: ავაქოვი (სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი), თელია (მისი სახელი არ მახსოვს), მენშევიკი, რომელიც დაიკარგა უგზო-უკვლოდ და ქართული გაზეთის მონაცვალე რედაქტორი გიორგი (გვარი არ მახსოვს).

ბოლშევიკების ფრაქციაში ვირიცხები 1904 წლის ბოლოდან თუ 1905 წლ. თავიდან. დრო შეწყვეტით პარტიაში ჩემ ყოფნას თითქმის ადგილი არ ქონებია. ხან და ხან მასთან კავშირი წყდებოდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა მუშაობას მაინც არ ვაჩერებდი.

1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდგომ გავემგზავრე საზღვარ-გარეთ—შვეიცარიაში ქ. ბერნში. იქიდან გამოვბრუნდი 1907 წელს და მოვედი პეტროგრადში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ მე შევხვდი კრასინს, რომელსაც ერქვა სახელად „ივანე ივანოვიჩ“. მან მე გამაცნო მეუღლე ამხ. ლენინისა.

ამხანაგების რჩევით მე დროებით გავემგზავრე პარტიულ სამუშაოდ ეკატერინოსლავში, სადაც დავყავი რამდენიმე თვე, ხოლო შემდგომ ჩვენი მუშაობის ჩაფუშვისა, რეპრესიებისა გამო, მე გავემგზავრე ხაშურში.

თებერვალი და აგრეთვე ოქტომბერი 1917 წლისა მე გავატარე ტფილისში, სადაც ვმუშაობდი რკინის გზის დეპოში. აქ ვეწეოდი საორგანიზაციო მუშაობას, აგიტაციას და პროპაგანდას. როგორც ბაქოს დელეგატი მე ვიღებდი მონაწილეობას ამიერ კავკასიის ორგანიზაციათა პირველ სხდომაზე, აგრეთვე მონაწილეობას ვიღებდი რამდენიმე საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე. იქ ჩემს გარდა იყო გიორგი სტურუაც, სხვები არ მახსოვს. კონფერენციაზე განსახილველი საკითხები არ მახსოვს.

დაწვრილებით ჩემი რევოლიუციონური საქმიანობა 1917 წლისა გამოიხატება შემდეგში: 1917 წელს ბაქოდან მე დავბრუნდი ტფილისში. აქედან გამგზავნეს ტრაპეზუნდში, სადაც მოვაწყე რაზმი კალედინის წინააღმდეგ, ხოლო ტრაპეზუნდიდან დაბრუნების შემდგომ გაგზავნილ ვიყავი სევასტოპოლში თანახმად საოლქო კომიტეტის მინდობილობისა, საქართველოსთან შეთანხმებით, რევოლიუციონურ ფლოტის ბრძოლისთვის მომზადების ხელმძღვანელად.

მარგამ სევასტოპოლში გადასვლა ვერ მოვახერხე და დავრჩი ჩრდილო კავკასიაში. მე ვიღებდი აქტიურ მონაწილეობას სამხრეთ ფრონტზე, გაგრის მიდამოებში, როგორც პოლიტკომისა და სამხრეთ ფრონტის შტაბის წევრი. ამის შემდგომ ვიყავი დელეგატათ მაიკოპის ყრილობაზე, ხოლო შემდგომ არჩეულ ვიყავი პარტიულ კომიტეტის თავმჯდომარედ. აქედან გაწვეულ ვიყავი საოლქო კომიტეტის და ჩრდილო კავკასიის ცენტრ. კომიტეტის აღმასკომის მიერ პიატიგორსკაში, სადაც დამნიშნეს მთიულების საქმეთა და შინაგან საქმეთა კომისარის მოადგილედ. ამის შემდგომ ვიყავ არჩეული სამხედროსაკანტროლო კომისიაში, რომელიც დაბოლოს გადაკეთდა საგანგებო განყოფილებათ, სადაც განვაგებდი საიდუმლო ოპერატიულ ნაწილს. ეს იყო უკვე გიორგიევსკში. გიორგიევსკის ევაკუაციის შემდგომ, ჩვენ მოგვიხდა გადასვლა ასტრახანისკენ. შავ ბაზართან მე და ამხანაგთა ერთი ჯგუფი ვიყავით ტყვეთ წაყვანილი, მაგრამ მე და ამხ. ივანოვმა (ადელერსკიმ) მოვახერხეთ მიმალვა.

ნაოსნობის გახსნამდე ვიმალებოდი კიზლიარის ბაღებში, ხოლო ნაოსნობის გახსნისა შემდგომ მოვედი ბაქოში, საიდანაც ამხანაგებმა არ გამიშვეს და დამტოვეს იქვე, მაგრამ ბაქოს გაფიცვების ჩაშლისა შემდგომ, მუსავატისტების დროს, მე მოვედი ტფილისში. აქ ვმუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობდი პირველ და მეორე უბანში. აქედან საოლქო კომიტეტის მიერ ვიყავ მივლინებული ქუთაისში საორგანიზაციო და რამდენიმე კონსპირატიული საქმეთა მოსაწესრიგებლად. ლეგალიზაციის შემდგომ ვიყავ დანიშნული ტფილისის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარედ, მაგრამ დამიპირეს და გადამგზავნეს ქუთაისის სატუსაღოში. აქედან გადაგზავნილი ვიყავი ბაქოში.

აქ მე შევედი საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ბაქოს ბიუროს შემადგენლობაში. ბაქოდან ვიყავი მივლინებული ვლადიკავკავში, ყრილობაზე; იქიდგან დაბრუნებისა შემდგომ გამაგზავნეს ზაქათალაში შეიარაღებულ აჯანყების ხელმძღვანელად. იქ ვიყავი დანიშნული კავკასიის ფრონტის მე11-ე ლაშქრის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ და მთავარ პოლიტიკურ ხელმძღვანელად. ლაშქარი მიიწეოდა საქართველოს მიმართულებით, ლაშქრით მე მივედი ხაშურამდე, ხოლო შემდგომ დავბრუნდი ტფილისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციის მსხვერპლთა ხსოვნას.

ვანო სტურუა.

ამხ. ვასო სტურუა.

(დაღუპული 1905 წ. ბრძოლებში)

ამხ. ვასო სტურუა იყო გლეხის შვილი, ის დაიბადა სოფელ კულაშში (ქუთაისის მაზრაში). მამა მისი ნიკოლოზი სტურუა, იყო საშუალო გლეხი. ვასო სასწავლებელში არ ყოფილა. წერა კითხვა შეუსწავლია მოჯამაგირობაში. თვითონ იყო ანოვანი, პირველ შეხედვაზე მრისხანე სახის, მაგრამ თუ გაეცნობოდი, დიდი პატიოსნებას და სათნოებას იგრძნობდი მასში. იყო შეუპოვარი და ვაი მისი ბრალი თუ ვინმე დაიმსახურებდა მის რისხვას, განსაკუთრებით ყოფილი თავად-აზნაურობა, რომელიც ჭირივით ეზარებოდა. არა ერთი და ორი მათგანი გაუტყეპია ჯერ კიდევ იმ დროს, როცა გლეხობა კიდევ რამდენიმე მანძილიდან უხდიდა ქუდს, ან ყაბალახს თავადებს.

1888—წ. ამხ. ვასო იყო „სადნიკათ“ (всадники, добровольно вступившие) და მსახურებდა ბათუმის ოლქში. მას ვარჯიშობის დროს მოუვიდა შეტაკება „სოტნის“ კომანდირთან, თავად მიქელაძესთან. მიქელაძე ვარჯიშობის დროს უწუნებდა „სადნიკებს“ მიხვრა-მოხვრას და სცემდა ზოგიერთებს. ეს ვასოს არ მოსწონდა და გული უკვდებოდა, როცა სილა გაწნული ჯარის კაცი კრინტს არ იღებდა. ძალიან უნდოდა ამხ. ვასოს ერთი მასთან ყოფილიყო ასეთი შემთხვევა. ერთხელ ვარჯიშობის დროს ვასო განგებ დაიკლაკნა. შეამჩნია რა ეს კომანდირმა, გაუპირა ხელის წაწევა სილის გასაწნავათ, მაგრამ შეცთა კომანდირი ანგარიშში, მან უმალ მიიღო მძლავრი სილა ამხ. ვასოდგან. ამ დღიდან ამხ. ვასო ტოვებს სამხედრო ბანაკს, ეშურება ქალაქ ბათუმიდან, პოულობს მგზავრ რაინდებს, ეწევა არსენა ოძელაშვილივით, ღარიბის, ჩაგრულის მოსარჩლეობას და არ ინდობს წურბელა ბობოლებს. რასაკვირველია, ამ დროს ამხ. ვასოს არ ამოძრავებდა კომუნისტური გრძნობები, მაგრამ ის ბუნებრივათ იყო სოცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისტური ელემენტი, ინსტიქტიურათ გრძნობდა ჩაგრულთა მოსარჩ-ლეობას.

1898 წელში ვასოს ვხედავთ სოფლათ, გლეხებში მოჭუჭუნეს. მიუხედავათ მისი ფიზიკური სიძლიერისა, ის ძლიერ თავმდაბალი და მომთმენიანია, თუ სადმე ჩხუბს შეესწრო, ხელათ დააშოშმანებს, ხოლო თუ ვინმემ გაჭირვეულდა და მოთმინებიდან გამოიყვანა, ვასო მისი არწივისებური თვალებით, მძლავრი მკლავებით ხელათ აგრძნობინებს, რომ მასთან ჯიუტობა არავის გაუვა. 1898—წ. ამხ. ვასო ემხრობა მუშურ მოძრაობას. მასთან ბინა აქვს ყველა კონსპირატიულათ და არა-ლეგალურათ მყოფ ამხ. 1899 წ. ამხ. ვასო ჩამოვიდა ჩემთან ტფილისში. მე მაშინ რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვმუშაობდი სახარატო განყოფილებაში ხარატათ, (токарем). მიზანი ვასოს ჩამოსვლისა იყო ლეგალური ლიტერატურის წაღება.

მაშინ ჩვენც ძალიანი სუსტი ვიყავით პარტიული ლიტერატურით, და თუ გვქონდა რამე, ისიც რუსულ ენაზე. დარჩა ტფილისში თითქმის ერთი კვირა, ორჯერ კრებებზედაც წავიყვანე. იმ დროს გამოდიოდა „კვალი“, მესამე დასელების ორგანო, მართალია, ძალიან მკრთალათ, მაგრამ ცოტაოდენ რასმეს მაინც იძლეოდა გონების გასავითარებლათ. უშოვეთ ერთი ბროშურა ქართულ ენაზე „საუცხოვო ნიმუში“ პასუხი ნიკო ნიკოლაძეს, კ. ჩხეიძის, სოციალ-გამცემლობისათვის დღეს სამარცხვინოთ საქართველოდან გაქცეულის.

1900—წ. მე დავტოვე ტფილისი, წავედი ბაქოში და გავწყვიტე მიმოწერა ამხ. ვასოსთან. 1901—წ. ცხხის შემდეგ მე მივედი სოფელში. ამხ. ვასო საკმაოთ მომზადებულიყო. მან ჩემს უთქმელათ მომიტანა ოცი მანეთი ოქროს ფული (ოთხი ხუთ-ხუთი მანეთიანი), მომცა ჩუმათ და მითხრა: „ნაციხარი ხარ, შენ ფული არა გაქვს ვიცი, გაიხმარე და თუ ოდესმე გექნეს, მაშინ მომეცეო“. იგივე 1901—წლის ბოლოში გავშორდი ამხ. ვასოს და წავედი (კი არ წავედი გადამასახლეს ბაქოს პოლიციის ზედამხედვობის ქვეშ) ბაქოში.

1903 წ. ბოლოში ჩვენ უკვე მოვაწყვეთ ბაქოში გამომცემლობა. გამოუშვეთ რამდენიმე ქართული ბროშიურა: ოთხი ძმის არაკი, ლადო კეცხოველის გადაკეთებული, საუბარი გლეხებთან ამხ. აბელი ენუქიძის შედგენილი, გაზ. „ბრძოლა“ პირველი ნომერი ამხ. ლადო კეცხოველის წინასიტყვაობით, მიმართვა მუშებისადმი, რომელშიაც ჩაქსოვილი იყო ლადოს სულის სიძლიერე. მე მოვახერხე ბაქოდან ასეთი ბროშურების და გაზეთების გამოგზავნა ამხ. ვასოსთვის სამტრედიის რაიონში, სოფელ კულაშში. საზღვარი არ ქონდა ამხ. ვასო სტურუას სიხარულს, როცა ეს ფეშქაში მიეღო მას. მწერდა ვასო: „შენი ფეშქაში მივიღე, სამაგიეროს გლეხების შეგნებაში დაინახავო და, ამაზედ უკეთეს ჯილდოს შენ არ ეძებო“ 1904 წელში ამხ. ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსთან გამოვაგზავნე ბაქოდან ამხ. სიმონ ენუქიძე. ამ დროს ვასო კულაშის თემის მამასახლისათ იყო არჩეული გლეხების დავალებით. ვასო ვვაძლევედა პასპორტის ბლანკებს არა-ლეგალური ამხანაგებისათვის, მოწმობებს და სხვას.

სწორეთ ამხ. სიმონა ენუქიძეც იმიტომ იყო წამოსული, რომ პასპორტის ბლანკები მიეღო ორგანიზაციისათვის.

1904 წლის გაზაფხულზედ დიდი მარხვის უკანასკნელი კვირაში, ერთ დიდ ბაზრობაზე დ. სამტრედიაში მოხდა დემონსტრაცია, გაავრცელეს ზღვა ხალხში ფურცლები, დასჭრეს სასიკვდილოთ ნიკოლოზის მთავრობის მიერ დანიშნული მამასახლისი ვინმე ძიგრაშვილი, მოკლეს სამტრედიის ბოქაული, სერგია (სახელია, გვარი არ მახსოვს). ამას ხელმძღვანელობდა ამხ. ვასო.

1904 წ აგვისტოს თვეში, მთავრობამ შეამჩნია ვასოს, რომ ის მონაწილეობას ღებულობდა განმათავისუფლებელ მოძრაობაში და გამოეკიდა დასაჭერათ. ამხ ვასო მიიმალა ჯაჭვიან ბეჭდიანათ. ერთი კვირის შემდეგ ამხ. ვასო მივა მალულათ სამტრედიის ახალ ბოქაულთან, შავგულიძესთან, ართმევს თოფს მის მცველს წინასწარ, ამოუყრის ტყვიებს, ამოიღებს თოფის ჩასაკეტს (Затвор) და გადუგდებს. შემდეგ შედის ბოქაულ შავგულიძესთან, მიუგდებს მამასახლისის ჯაჭვს და ბეჭედს, ეუბნება მუქარით: თუ კიდეე მოსულხარ ჩემ ოჯახში და მიგიყვანია ყაზახები ჩემ დასაჭერათ და აგიწიოკებია ჩემი ცოლ-შვილი, იცოდე: სერგია ბოქაულთან გაგაგზავნი შენცო. ეხლა კი დაგტოვებ ცოცხალსო.

ამის შემდეგ მიიმალება ამხ. ვასო. უსათუოთ მას თან ახლდა შორი-ახლოს რამდენიმე ამხანაგი და მზათ იყვენ ყოველ შემთხვევისთვის.

1904 წელში, მისი არა-ლეგალობის დროს, ამხ. ვასო ჩამოვიდა ბაქოში ოქტომბრის მიწურულში. მე მაშინ სხვა ამხანაგებთან ერთათ ცენტრალური (ბოლშევიკების) კომიტეტის არა-ლეგალურ სტამბაში ვმუშაობდი, რომელიც იყო მოწყობილი პირველ პარალელურ ქუჩაზე. ჩვენი ნახვა მაშინ ასე ადვილი არ იყო, ჩვენ რკინის დისციპლინას ვიცავდით, სტამბა რომ არ ჩავარდნილიყო. გარეთ გადიოდა მარტო სიმონა ენუქიძე, ისიც ფრანტათ ჩაცმული, რომ ეჭვი არ მოეტანათ ზაფთიელებს და პოლიციელებს. ვასოს ჩამოსვლის შემდეგ თითქმის ერთმა კვირემ გაიარა და ვასომ ჩვენ ვერ გვნახა, იცოდა კი, რომ ბაქოში ვიყავით სადღაც.

ბოლოს შემთხვევით შეხვედროდა ქუჩაში ამხ. ს. ენუქიძეს. ეთქვა მისი მისამართი ვასოს და სწრაფთ გაშორებულიყვნენ. საღამოს ამხ. სიმონამ მითხრა ვასოს ჩამოსვლა და გადმომცა მისამართი. ამხანაგების ნებართვით მე წავედი ღამით ვასოსთან. ამხანაგებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხმობა მქონდა მიღებული მიმეყვანა ის კონსპირატიულ ბინაზე. დავბრუნდით ღამის 11-საათზე. ვასომ დაათვალიერა ჩვენი ბინა და სტამბა ვერსად იპოვა. ბოლოს იკითხა სად არის სტამბაო. როცა ჩვენი სადგომი ბინიდან გავიყვანეთ საიდუმლო გასავალით მეზობელ მეორე სახლში, რომელსაც არსაით კარები არ ქონდა, უზარმაზარი საბეჭდავი მაშინა იდგა და ყოველივე მისი მოწყობილება, ოთხი რევოლვერი კედელზე ჩამოკიდებული ყოველ შემთხვევისთვის, ვასოს სიხარულით ცრემლები წამოუვიდა თვალებიდან. ორი დღე არ გამოგვიშვია, მაშინის ტრიალზედაც გვეხმარებოდა. მესამე დღეს, ღამით, ვაჩუქეთ ერთი რევოლვერი და გამოვიყვანეთ. ვასომ ბაქოში დაყო 1905-წ. იანვრის გათავებამდის. ამ დროის განმავლობაში სულ სამჯერ შეეხვდით ერთმანეთს.

1905-წ. მაისში ვასო გამოჩნდა თავის სოფელში, კულაშში. ამ ხანებში იმდენად მაგარი იყო ორგანიზაციები დასავლეთ საქართველოში, რომ, თუ ქალაქათ ან სადგურზე არა, სხვაგან ნიკოლოზის ჯალათები ვერც კი ბედავდენ დაჭერას. ამნაირათ ამხ. ვასო უკვე ლეგალურათ ცხოვრობდა სოფელში 1906 წლის 17-ოქტომბრის „მანიფესტამდის“.

17-ოქტომბრის დღეებში ამხ. ვასო ინიშნება ორგანიზაციის მიერ „წითელი რაზმელების“ უფროსათ სამტრედიის რაიონში. 1905-წ. დეკემბრის აჯანყების დროს ვასომ მიიღო ბრძანება წასულიყო ყვირილაში თავის რაზმით. წასვლის დროს ემშვიდობება მის ცოლს, ამხ. მელანიას (პარტიულია ეხლაც), რომელიც ფეხმძიმეთ იყო მეორე შვილზე და, ეუბნება: ამხ. მელანია, შენი ხელით გამიკეთე ტყვიის საწყობები წელზეო (Патронташ)., თუ ვერ მოვიდე ცოცხალი შენ არ იჯავრო, ამ ერთ შვილს (ორი წლის იყო მაშინ) რებეკას მოუარე. თუ მეორეზე შვიდობით გადარჩე, შენ იცი და შენმა ქალობამ, თუ არ შეარცხვენ მათ მამას, და ეცდები გამოზარდო მშრომელი ხალხისთვის სასარგებლო შვილებიო. აწი შვიდობით, მივდივარ, ამხანაგები მელოდებიან დიდ კლასთანო.

თითქოს წინასწარ გრძნობდა, ამხ. ვასო, რომ არ დაბრუნდებოდა ცოცხალი სახლში. 1905-წ. 30-დეკემბერში საშინელი ბრძოლა იყო ზესტაფონში. მეფის ჯარების ნაწილი „თექნინს პოლკიდან“ ებრძოდა რევოლიუციონერებს. ვასოს ჩასაფრებული ყავდა თავისი რაზმი ორთქლმავალის მოსაბრუნებელის რკალში (Поворотный круг) და უწევდა წინაამღდეგობას. რამოდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ მეფის ჯარის ნაწილები იქნა განიარაღებული და ტყვეთ წაყვანილი წითელი რაზმელების მიერ, მაგრამ ამხ. ვასო, გაგმირული იქნა ტყვიით თავში, და სანამ სული არი დალია კიდევ გაიძახოდა: აბა ამხანაგებო, მხნეთ, არ შეშინდეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1906-წ. პირველ იანვარს, ახალწელიწად დილას, ამხანაგებმა ჩამოიტანეს ჩვენი ვასოს გაცივებული გვამი სოფელ კულაშში. ვასოს მისი სიკვდილის შემდეგ შეეძინა მეორე ქალი-შვილი, ნადია. ამხ. მელანიამ მტკიცეთ დაიცო ვასოს ანდერძი, მისი უკანასკნელი სიტ-ყვები. მან აიტანა უამრავი გაჭირვება. დღეს ნახევრათ ვერ ხედავს, თვალის ჩინი დაკარგა. უფროს ქალს გიმნაზია გაათავებია, უმცროსი ახლა სამტრედიის ტეხნიკუმში სწავლობს და დიდ სიღარიბეს განიცდის.

ასე დამთავრდა ამხ. ვასო სტურუას რევოლიუციონური მოღვაწეობა. ის გლეხის წიაღიდან იყო წარმოშობილი და მუშურ-გლეხურ თავისუფლებას შესწირა თავისი სიცოცხლე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სეფე სინცაძე.

ამხ. იესე [პეტრე] ფილიპეს-ძე სინცაძე.

(1905 წ. ნაძალადევში მოკლული **ცხრათა** შორის.)

იესე ფილიპეს ძე ცინცაძე დაიბადა სოფელ ფარცხმაში (ჩოხატაურის თემი, ოზურგეთის მაზრა). მამა მისი ფილიპე ცინცაძე იყო სოფლის ღარიბი მცხოვრები, მიწის მუშა. იესე იყო მისი პირველი შვილი და მშობლები სიხარულით შეჰყურებდენ იესეს აღზრდას. ჯერ მას დაამთავრებინეს ადგილობრივი ორ კლასიანი სასწავლებელი და შემდეგ ის შეიყვანეს სამეურნეო სასწავლებელში, როგორც მოკლე ვადიანი სასწავლებელი და მასთან სოფლისათვისაც გამოსადეგი უფრო. იესემ სამეურნეო სკოლის კურსი დაამთავრა, მაშინდელი სკოლის გამგის სტაროსელსკის ხელში, რომლიდანაც მიიღო სათანადო დიპლომი. მას სურდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ სიღარიბის გამო იძულებული გახდა დაენებებინა სწავლისთვის თავი და დაეწყო სოფლათ სამეურნეო დარგში მუშაობა.

ის ასეც მოიქცა. 1900 წელს სკოლიდან დაბრუნების შემდეგ შეუდგა გრიგოლ ცინცაძესთან ერთად ნამყენი ვაზის სანერგეს გაკეთებას და მის მოშენებას ზემო გურიაში.

ასეთი მუშაობა იესესთვის ვერ გამოდგა ხანგრძლივი, ერთის მხრივ იმით, რომ იგი იყო უთანხო, ღარიბი; ხოლო მეორეს მხრივ კი იმიტომ, რომ იგი ჩაება განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რამაც ერთობ გაიტაცა. 1899 წლიდან ბათუმის მუშების მოძრაობა დაიწყო, რომლის ზეგავლენით, გურიაში მყოფს, მას უხდებოდა გურიის გლეხებთან პოლიტიკურ გამოსვლებში მონაწილეობის მიღება.

1901 წლის დამლევს მოძრაობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო გურიაში, უფრო მეტად კი ხიდისთავ—ჩოხატაურის რაიონში, და აი ამ მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური იესეც იყო.

მისი მეთაურობით მოხდა 1902 წელს 2 მაისს დემონსტრაცია ჩოხატაურში და ხიდისთავში, რომლებიც უნდა შეერთებოდნენ ერთმანეთს და წითელი დროშით გაევლოთ ჩოხატაური. ჯაშუშების მეოხებით გაიგო ჩოხატაურის ბოქაულმა, რომ ხიდისთავიდან ხალხი წითელი დროშით ჩოხატაურისკენ მიდისო. ბოქაული ჩაფრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარაზმული სასწრაფოთ გაემგზავრა იქითკენ და შეხვდა მომავალ ხალხს ჯვარცხმაში, რომელთაც უბრძანა დაშლა, თან დაუშინა თოფები შეუიარაღებელ ხალხს, რის შედეგად მოკლულ იქნა ორი მებრძოლი ამხანაგი: **კალანდაძე და ფოცხიშვილი.** ამ დროს იესე კი ჩვენთან იყო და აწყობდა მდინარე სუფსის პირას რამდენიმე იარაღიანი ამხანაგების რაზმს შესახვედრათ. მაგრამ როდესაც გაიგო ამხანაგების სიკვდილი და დემონსტრაციების გაფანტვა, მან გმირულად აღმართა წითელი დროშა და რევოლვერით ხელში გაემართა მომავალ ჩაფრებისაკენ, თან ჩვენ, მის გვერდში მდგომ ოცდა ათამდე ამხანაგებს შეგვყვირა: „წამოდით, არ შეშინდეთ, ვეტაკოთ მაგ ძაღლებსაო!!“ ჩაფრები იყო ოთხი და ჩვენს დანახვაზე შეშინებული გვიპასუხეს: „წადით, არას გერჩითო“. ჩვენც განვაგრძეთ ქალაქ ჩოხატაურისაკენ წამოსვლა, მაგრამ როცა დაგვიახლოვდა ხიდისთავიდან მომავალი გამხეცებული ბოქაული თავისი რაზმით, სხვა გზა არა გვქონდა უნდა დავშლილიყავით და კიდევაც დავიშალეთ, იესე შეიქნა ამის შემდეგ დევნილი პიროვნება; ის იძულებული გახდა წასულიყო სხვაგან და, აი წავიდა კიდეც სხვის სახელობაზე აღებულ ბილეთით ქ. ბათუმში, სადაც ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით დაიწყო რევოლიუციური მუშაობა.

1903 წელს ნოემბერში იესეს მეთაურობით მოხდა დ. ჩოხატაურში მეორე დემონსტრაცია ახალ გასაწვევ ჯარის კაცებთან ერთად.

იესეს მთავრობა სდევნიდა დასაჭერათ და ამიტომ იგი ხშირად იპარებოდა ბათომში და იქ იწყებდა არა-ლეგალურ რევოლიუციონურ მუშაობას. იქიდან კი დრო გამოშვებით დადიოდა გურიაში, მიქონდა ფურცლები, აწყობდა კრებებს და სხვა.

მოხდა თუ არა განხეთქილება სოც.-დემოკ. პარტიაში, ის იმ თავიდანვე მიემხრო ბოლშევიკურ ფრაქციას და მის სასარგებლოთ იწყო მუშაობა. 1904—1905 წ. მას ხშირად დაყავდა ზემო გურიის ყველა სოფლებში ფრაქციულ დებატებზე ამხანაგები, როგორიც იყო ს. ჯუღაშვილი, ბუდუ მდივანი, თედორე კალანდაძე და სხვა...

ამათთან ერთად ის ეწეოდა პროპაგანდა-აგიტაციას და მოუწოდებდა პარტიის წევრებს ბოლშევიკური ფრაქციისაკენ. სწორეთ მისი მეთაურობით დაარსდა 1904 წელს ჩოხატაურში ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელშიდაც შევდიოდით 25-მდე ამხანაგები.

1905 წლის რევოლიუციის დროს ის დიდ როლს თამაშობდა როგორც ბათუმში ისე გურიაშიც. მას (როგორც საერთოდ ბოლშევიკს) არ მოსწონდა პარტიზანული დაცემა რომელიმე მთავრობის დაწესებულებაზე ან ჯარზე და კიდევაც ბევრი დავა დასჭირდა მას მენშევიკებთან (ისინი უმრავლესობას შეადგენდენ მაშინ) ნასაკირა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლზე ლაზარენკოს და მის მხლებელ პლასტუნებზე თავდასხმის შესახებ, რომელსაც არავითარი ნაყოფი არ მოუტანია, მაგრამ რა კი ვერას გახდა მებრძოლებს მაინც არ მოშორებია იგი და გვერდში ედგა მათ.

იესეს გული არ უთმენდა სოფელში გაჩერებას, ვინაიდან ქალაქის მუშებში უფრო დიდი მუშაობა იყო, უფრო მეტი რევოლიუციონერებიც იყო საჭირო და ამიტომ, მიუხედავათ მისი მშობლების ხვეწნა მუდარისა მან მოიტოვა სოფელი და გაეშურა 1905 წლის ბოლო რიცხვებში ქ. ტფილისში, სადაც მთელის არსებით ჩაება რევოლიუციონურ მოძრაობაში.

ტფილისის ამხანაგებმა ის მაშინვე მიიღეს და როგორც გამოცდილი მუშაკი შესაფერი ალაგიც მისცეს. ცხრაას ხუთის მიწურულში, როდესაც რევოლიუცია მარცხდებოდა, როდესაც ტფილისში იმართებოდა რევოლიუციონერების მიერ საბედისწერო კრებები და ირჩეოდა ყოფნა არ ყოფნის კითხვები, აი ამ კრებას 18 დეკემბერს რამდენიმე ამხანაგთან ერთად დარაჯობდა იესეც ნაძალადევის გორაკზე და იცავდა მათ მტრებისაგან.

ამხანაგები მთელი ღამის განმავლობაში ერთგულათ დარაჯობდენ მუშათა უბანს, მაგრამ გათენებისას მათ ორი მხრიდან შემოესიათ ყაზახთა ასეული და ჩაებენ მათთან სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. მათ იბრძოლეს გამხეცებული ყაზახების წინააღმდეგ, რომლებსაც საგრძნობი ზიანიც მიაყენეს, მაგრამ გადარჩენა მათი მაინც შეუძლებელი გახდა, ვინაიდან ყაზახები ოცჯერ მეტი იყო მათზე.

ამრიგად, იესე **ცხრა** ამხანაგთან ერთად ნაძალადევის გორაკზე მსხვერპლათ შეეწირა **ცხრაას ხუთის მუშათა მოძრაობას**; ის მოკვდა ჯალათების ხელით ხორციელათ, მაგრამ არ მომკვდარა მისი იდეა, რომელმაც ფრთა შეისხა და წალეკას უქადის მთელი ქვეყნის ბურჟუაზიას.

იესეს არ დაივიწყებს მუშათა კლასი საერთოდ, და კერძოთ კი ჩოხატაურის კომუნისტური პარტია, რომლის პირველი საძირკველის ჩამყრელი იყო ამხ. იესე.

მუშათა კლასის ვალია ყურადღება მიაქციოს იმ სასაფლაოს, სადაც განისვენებენ რევოლიუციისათვის თავდადებული გმირი იესე და მისი ამხანაგები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. ინწკირველი.

ვანო ნიკოლოზის-ძე ინწკირველი

(სტეპკოს ბიოგრაფია.)

დაიბადა ს. ფამფალეთში, შახვის თემში 1887 წ. პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო ქ. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. დასრულების შემდეგ სწავლობდა ქ. ქუთაისში სემინარიაში 1901-2-3 წლებში. ამ ხნიდან ის ღებულობდა მხურვალე მონაწილეობას რევოლიუციონურ მოძრაობაში, რის გამო გამორიცხულ იქნა სემინარიიდან 1904 წ. და ამ წლიდან იწყება მისი აქტიური მონაწილეობის მიღება რევოლიუციონურ მოძრაობაში. ის ეკუთვნოდა მეუმრავლესობა ფრაქციას ს. დ. მ. პ. მუშაობდა შემდეგ ადგილებში: დვაზუ, ვაკიჯვარი, ერკეთი, იანეთი, სამტრედია, ხონი, ქუთაისი, ჭიათურა, ტფილისი და უკანასკნელად კი ქალაქ ბაქოში, სადაც 1908 წ. 21 მაისს ამხანაგების ბინაზე დილით მოკლულ იქნა პოლიციელ ვიღაც გურულ ვალოდია ესაძისაგან, სხვა პოლიციელებთან ერთად თანხლებით. მიცვალებულს გადაართვენ სურათი ისე დამახინჯებულად და დასასაფლავეს ბაქოში ახალ საზოგადო სასაფლაოზე ჯვრის 119-№-ით. ამის შემდეგ მისი ამხანაგებიდან, მისი ხსოვნის აღსანიშნავად იყო შემდეგი ლექსი გაზეთში 1908 წ.

ჭეჭა-გრიალმა მოიცვა არე,
ბოლოს საზარი გაისმა კვნესა,
და ვალ-მოხდილთა განსასვენ ალაგს
ისიც ჩაეკრა, იქ არის დღესა.

იმის წმინდა შუბლს მეგობრის ხელით
არ მოსწმენდია ოფლი სიმწარის,
მხოლოდ-ღა ჯალათს უკანასკნელად
შერჩა შეხედვა მის გვერდზე მკვდარის.

შეხედვა, მაგრამ ის საამაყო ბრჭყალი მტრის გულში
რომ შერჩენოდა
და სახეს მისას ნუგეშის სხივად ეს შერჩენოდა ზედ შე-
კვდომოდა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწარეა, ყოფნის შეუწყდა ძაფი, ფრთა შეეკვეცა მისსა გულის
თქმას.

ის აღარ არის, უკვე მკვდარია, მაგრამ ამაყად და ნეტავი მას.

ამასთანავე მეუმრავლესეთა ბიურომ ტფილისისამ გამოუშვა პროკლამაციები რუსულ-ქართულ ენაზე, რომლის შინაარსიც რაც მაგონდება ვწერ აქ:

ამხანაგებო, ამ დღეებში შავბნელმა რეაქციამ, გაუმაძღარმა აფთარმა კიდევ ერთი საუკეთესო გმირი იმსხვერპლა, ერთხელ კიდევ დაეწაფა გამარჯვებული ბარბაროსი უმანკო, თავგანწირული მებრძოლის სისხლს. 20 მაისს ამხანაგების ბინაზე მოგვიკლენ გმირი ამხანაგი ვანო ინწკირველი. პარტიაში ცნობილი იყო სტეპკოს სახელით.

ამხანაგო სტეპკო, სწორედ დღესაა საჭირო შენისთანა დიდ ბუნებოვანი გმირი ამხანაგი, რომ ამ შემდორებულ და მოდუნებულ ატმოსფერაში ელვასავით ანათოს, მეხივით ქექოს, რათა მტერს ლახვარი დასცეს, დაჩაგრულთ იმედი გაუღვიძოს. გულადო შევარდენო, მტერთან ბრძოლაში სისხლიდან დაიცალე, მაგრამ შენი სისხლის ნაპერწკლები ჰაერში აფეოქდებიან და ბევრ ვაჟკაცს აუნთებს გულში თავისუფლებისთვის ბრძოლის წყურვილს! რა უყოთ, რომ მოკვდი, სამაგიეროთ სულით ძლიერთა და მამაცთა ხსოვნაში შენ მუდამ ცოცხალ მაგალითად იქნები. შემდეგ იყო აღწერილი თუ სად და როგორ მუშაობდა იდეურად და საჭიროების დროს როგორ გაბედულად გამოდიოდა იარაღით ხელში.

(ბოლოს ეწერა: მამაცთა სიგიჟეს ჩვენ უმღერით დიდებას.

ხელს აწერდა ტფილისის მეუმრავლესეთა ბიურო.

ზემო აღნიშნული რაც გამახსენდა დავწერე მე **მისმა დამ მინიკა ინწკირველმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული არქივი.

თ. პალანდაძე.

გურულ ამხანაგებს.

რა ვაკეთოთ?

თვენახევარზე მეტია, რაც გურულ კომუნისტების რევოლიუციონური გამოსვლა მოხდა. ეს გამოსვლა სრულ დამარცხებით გათავდა. ჩვენ ვალდებული ვართ, სასტიკი და ულმობელი ანალიზი გაუკეთოთ გურულ ამხანაგების პოლიტიკურ ნაბიჯებს, მიუდგომლათ აღნუსხოთ ყველა მათი შეცდომები, რომ სწორი პასუხი გავსცეთ სადღეისო საჭირ-ბოროტო კითხვაზე: **რა ვაკეთოთ**.

გურულები, მართალია, დამარცხდენ, მაგრამ დამარცხებაც არის და დამარცხებაც. ეს დამარცხება სრულიად შემთხვევითი და დროებითია. რატომ? ჩვენი დროშა კომუნისტური რევოლიუციის დროშაა და სანამ ეს დროშა **ძლევამოსილათ** ფრიალებს თვალგადაუწვდენელ რუსეთში და მის ქვეშ იბრძვიან მუშები მთელ ქვეყანაზე, მანამ ასეთი დამარცხებები მუდამ დროებითი, ნაწილობრივი და შემთხვევითი იქნება. ხოლო რომ კომუნისტური მოძრაობა (ე. ი. ბოლშევიზმი) მოედვა და ედება დღეს მთელ მსოფლიოს, რომ კომუნიზმი დღეს ძილს უფრთხობს მთელი ქვეყნის გაბატონებულ კლასებს, ეს ყველასათვის ნათელი და უეჭველია. ხხოლოდ სულმოკლე და ერთობ ჩამორჩენილ ამხანაგებისთვის შეიძლება ეს საეჭვო იყოს. მარა კომუნისტური პარტია იბრძვის და იმარჯვებს არა სულმოკლეების, არამედ თავზე ხელაღებულ რევოლიუციონერების წყალობით.

თუმცა ჯერ-ჯერობით, სანამ გაფანტული და დევნილი ამხანაგები თავს მოიყრიდენ და ერთმანეთს თავის აზრს გაუზიარებდენ, ძნელია და შეუძლებელიც ამ დამარცხების მიზეზების და შედეგების სრული სისწორით გამორკვევა, მარა ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამხანათ გაკვრით მაინც შევეხოთ ამ კითხვას.

გურულ ამხანაგების დამარცხების მიზეზები, ჩვენი აზრით, შემდეგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. **მოუმზადებლობა.** მოუმზადებლობა ორგვარია: ობიექტიური და სუბიექტიური. ობიექტიური გარეშე) პირობები ჩვენთვის ხელსაყრელი იყო. მშრომელი ხალხის დიდი უმრავლესობა თანაუგრძნობდა ჩვენ პარტიას და სულით და გულით სურდა ჩვენი გამარჯვება მთელ საქართველოში. ხალხს გული გაუცრუებდა მენშევიკურ მთავრობაზე, იგი (ხალხი) მოსტყუებდა მენშევიკურ პარტიაში. ვერც ერთი დანაპირები (მსხვილმანი, რასაკვირველია) ამ პარტიამ, მისმა მთავრობამ, მისმა დამფუძნებელმა კრებამ ხალხს ვერ აუსრულა. ძირითადი საკითხები, როგორიცაა მაგალითად: მიწის, მართვა-გამგეობის, სახალხო განათლების, გადასახადების, ჯარის, მშრომელ რუსეთთან მჭიდრო კავშირის დაჭერის, პოლიტიკური და მოქალაქობრივი თავისუფლების, მუშა-პროლეტარების და სხ. შესახებ,—არც ერთი ეს საკითხი მშრომელი და გაყვლეფილი ხალხის სასარგებლოთ არ გადაჭრილა. პირიქით, ყველა ეს საკითხები დღეს ჩვენში გაბატონებულმა მენშევიკუმა პარტიამ ბურჟუაზიის (არსებულის და მომავალის) და მემამულეების სასარგებლოთ გადასჭრა. მშრომელი ხალხი კარგათ ხედავს და გრძნობს ამას ყველაფერს, დრტვინავს აშკარად ან ფარულათ და ხალისით ეგებება ყოველ ძალას, რომელიც ცდილობს დაამხოს ეს მენშევიკური რეჟიმი და შეჰქმნას ახალი, უკეთესი წყობილება. მარა მარტო თანაგრძნობა, სურვილი, ნატვრა და ხალისი არ კმარა, საჭიროა აქტივობა ბრძოლა იარაღით ხელში, ერთნაირი რისკის გაწევა. ასეთ აქტიურ ნაბიჯს ხალხი, მასსა გადასდგამს მხოლოდ მაშინ, თუ დაინახავს თითქმის უეჭველ, უტყუარ გამარჯვების ნიშნებს. ასეთი ნიშნები, სიგნალი ხალხს უნდა აჩვენოს ინიციატურმა უმცირესობამ, რევოლიუციონურმა პარტიამ. ამნაირათ, ობიექტიური პირობების მხრით აჯანყებისათვის ნიადაგი მომწიფებული იყო გურიაში (ისე როგორც ყოველგან საქართველოში). მარა ჩვენ ვიცოდთ, რომ მარტო ობიექტიური პირობების სიმწიფე არ კმარა რევოლიუცია-აჯანყების **გამარჯვებით** დაგვირგვინებისათვის. საჭიროა და აუცილებელი **სუბიექტიური სიმწიფე-მომზადებაც.** აი სწორეთ ეს მომზადება აკლდა გურულ ამხანაგებს. (ობიექტიურ პირობებს ეკონომიკის მხრით ჩვენ აქ არ ვეხებთ).

რას ნიშნავს ეს. გურულებს არ გქონებიათ საკმაოდ მკვიდრი მაგარი, მრავალრიცხოვანი და რკინის დისციპლინით გამსჭვალული ორგანიზაცია. სანამ აჯანყებას დაიწყებდეს, რევოლიუციურმა პარტიამ კარგათ, თითქმის მატემატიკურათ უნდა გაითვალისწინოს არსებულ ძალთა განწყობილება, მან ხედმიწევნით უნდა იცოდეს, როგორც თავისი საკუთარი, აგრეთვე მტრის ძალაც. როცა აჯანყება იწყება, ბრძოლის ველზე უნდა გამოვიდეს ყველა პარტიის წევრი, ყველამ თავისი პოსტი უნდა დაიჭიროს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიცვას იგი. ასეთი უნდა იყოს შეგნება და დისციპლინა, ასეთი უნდა იყოს რევოლიუციონური თავგანწირვა, გატაცება, ენტუზიაზმი. ასეთი რევოლიუციონური აპარატით ხელში შედარებით მცირე გუნდსაც დიდი სასწაულის მოხდენა შეუძლია. ასეთი ორგანიზაცია კრიტიკულ მომენტში, აჯანყების დროს გურულებს აღარ დაგრჩათ. ჩვენი პარტიის წევრებში კარგი ძალი შეუგნებელი, უდისციპლინო, ლაჩარი და მოღალატე აღმოჩნდა, გამოსვლის წინა დღეებში ბევრმა გურულმა ამხანაგმა მხოლოთ თავის სიგლახით დააჭერია თავი მთავრობას. ამნაირათ, თქვენ სუბიექტიურათ მოუმზადებელი დარჩით გამოსვლის დროს, რამაც სხვა მიზეზებთან ერთად გამოიწვია დამარცხება.

2. **სტიქიური უბედურება.** ბუნებამ სასტიკათ შეუწყო ხელი დამარცხებას, თითქოს ის მოსყიდული ყოფილიყოს მენშევიკების მიერ. საშინელი კოკისპირული წვიმა, ნიაღვარი და წყალდიდობა (ხიდე ბოგეების მოშლა-წაღება) სწორეთ იმ საათებში, როცა კამუნისტურ რაზმებს სასწრაფოთ და უკუნ-წყვდიადში უნდა გაეგლოთ ქვეითად 20-30 ვერსი, რომ მოულოდნელად თავს დასხმოდენ მტრის უდიდეს ციხე-სიმაგრეს—ოზურგეთს, რომელიც გამაგრებული იყო ათამდე ზარბაზნით და რამდენიმე ათეული პულემიოტით,—ეს წარღვნა იყო ჩვენთვის უდიდესი უბედურება, რომელსაც შეიძლება (ჯერ კიდევ ძნელია დანაშდვილებით ამის თქმა) **გადამწყვეტი** მნიშვნელობა ქონდა ჩვენ დამარცხებაში, რასაკვირველია მხოლოდ გურიის ფარგლებში. ეს საინტერესო კითხვა უნდა გაირჩეს ახლო მომავალში. მსგავსი სტიქიური უბედურება იშვიათი მოვლენაა რევოლიუციების ისტორიაში. ასეთ მოვლენას მხოლოდ სოფლის (გლეხობის) რევოლიუციაში შეიძლება დაურჩეს ადგილი, რაც სხვა ბუნებრივ და სოციალურ პოლიტიკურ დაბრკოლებებთან ერთად (მაგ. გლეხკაცობის დაქსაქსვა, განმარტოება) ძალიან აძნელებს და უმეტეს შემთხვევაში შეუძლებლათაც ხდის რევოლიუციის გამარჯვებას. სოფლის რევოლიუცია შეიძლება გათავდეს გამარჯვებით, თუ მას მეთაურობს და წინ მიუძღვის ქალაქი. ეს კარგათ უნდა ახსოვდეთ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს, რაც სამწუხაროთ დავიწყებულ იქნა ამ გამოსვლის დროს.

3. **ორგანიზაციის დარღვევა-დასუსტება აჯანყების წინადღეებში.** ხიდისთავის რაიონის ორგანიზაცია ითვლებოდა ყველაზე უფრო მოწინავეთ მთელ გურიაში, თუ ორგანიზაციულათ არა, იდეურ-პოლიტიკურათ მაინც. იქ იყო ხელმძღვანელი ცენტრი, რომელიც მეთაურობდა მთელი გურიის მოძრაობას. ამიტომაც სწორეთ ამ ცენტრის განადგურება დაისახა მიზნათ ადგილობრივმა და ცენტრალურმა მთავრობამ, რაც კიდევაც მოიყვანა სისრულეში გადამწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველ მომენტის წინა დღეებში. გამოსვლის წამს ეს უმთავრესი ორგანიზაცია თავმოჭრილი, განადგურებული დარჩა, რასაც უეჭველათ დიდი მნიშვნელობა დაურჩა დამარცხებაში.

4. საოლქო ცენტრის სისუსტე. თითქმის არც ერთი დირექტივა მიზანშეწონილი არ გამოდგა. საჭირო იყო შესაფერი მზადება საერთო გამოსვლისათვის, მზადება უმთავრესი, მკვიდრი ორგანიზაციული აპარატის შესაქმნელათ ყოველგან, როგორც ქალაქში, ისე სოფლათ. საჭირო იყო გამოსვლისათვის დროის დანიშვნა, როცა გლეხობა უფრო თავისუფალია აუცილებელი სამეურნეო მუშაობისაგან. საჭირო იყო, რაც შეიძლება მეტი დროის (ვადის) მიცემა, ორგანიზაციებისათვის სოფლათ, მეტის, ვიდრე ქალაქში, მაგალითად, ერთი-ორი კვირის მაინც. გურიას მხოლოდ ორი დღით ადრე მოუვიდა დირექტივა, იგიც შემთხვევით და დამაეჭველი: ამ ორ დღეში აჯანყება მოაწყვეთო, და ეს იმ დროს, როცა გურიის ორგანიზაცია თავმოჭრილი იყო, რაც საოლქოს კარგათ უნდა სცოდნოდა. საჭირო იყო კატეგორიული პასუხი კითხვაზე—როგორ ხდება გამოსვლა: ერთდროულათ ცენტრში და პროვინციაში, თუ უწინ ცენტრი გამოდის და მერე მას პროვინცია მიყვება. საოლქო შეურყეველათ უნდა მდგარიყო **არსებულ პირობებში** იმ აზრზე, რომ ცენტრმა უნდა მისცეს სიგნალი პროვინციას. საჭირო იყო სწორი, უეჭველი და ჩქარი ინფორმაცია და არა შემთხვევითი, ცალმხრივი, შეკვეცილი, ბუნდოვანი და ზანტი. საოლქომ სამჯერ დანიშნა (თუ მეტი არა) ვადა გამოსვლისათვის. ეს ყოვლად დაუშვებელი იყო, რადგანაც პირველი გამოსვლის ჩაშლის შემდეგ მთავრობა უკვე მზათ იყო. სულ, ასე ვთქვათ, „ზაკაზათ“, 25 ოქტომბრისათვის (ძ. სტ.). ეს კარგია მხოლოდ მაშინ თუ პარტია ყოველ წამს მზათაა ძლევამოსილი გამოსვლისათვის, მხოლოდ უცდის დირექტივებს უმაღლესი (მოსკოვის) ცენტრისაგან. მარა თუ პარტია მზათ არაა, მაშინ „ზაკაზათ“ აჯანყება დამღუპველია. შეიძლება პარტიამ შეიარაღებული აჯანყება-დემონსტრაცია მოაწყოს, მარა დღეს ეს დიდი სისულელე იქნებოდა. ჩვენთვის თავი და თავი კითხვაა: აჯანყება **გამარჯვებისათვის,** ე. ი. ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ. ამისათვის აუცილებელი სრულებითაც არაა „ზაკაზი“, იუბილესთან შეფარდება... უწინ საოლქო გვპირდებოდა: ტფილისი და პროვინცია ერთ და იმავე დროს გამოვლენო, როცა ეს აღარ მოეწყო და ტფილისი ვეღარ გამოვიდა (რამაც დამღუპველად იმოქმედა პროვინციაზე), საოლქომ გამოსცა ახალი დირექტივი: ჯერ პროვინცია აჯანყდეს და მერე ცენტრიც მოჰყვებაო. კერძოთ გურიას ეუბნებოდენ და პირდებოდენ: შენ თუ აჯანყდები პირველათ, მთელი პროვინცია და ცენტრიც გამოგყვებაო. გურიამ ყურად იღო ეს მუდარა-დაპირებანი და გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდა. მართალია, ეს გამოსვლა სრული დამარცხებით და შედარებით მრავალი მსხვერპლით დაბოლოვდა. მარა სად იყო იმის გარანტია, რომ წინაღმდეგი გამხდარიყო, რომ აჯანყება გამარჯვებით გათავებულიყო, ტფილისი და სხვა პროვინცია გურიას გაჰყოლოდა? ამის იმედი ძალიან ნაკლები იყო. საოლქოს უნდა კარგათ გაეთვალისწინებია, რომ აჯანყებული პროვინცია ტფილისს შეჰყურებს: თუ იგი (ტფილისი) პირველი აჯანყდებოდა, ძალა-უფლებას ხელთ იგდებდა, თუ გინდა ძალიან პატარა ხნით, მთელი პროვინცია, და გურია—პირველი მას აქტიურათ მხარს დაუჭერდა. ასეთია საერთოდ ჩვენი ამხანაგების შეხედულება ტფილისის როლზე საერთოდ აჯანყების დროს. ასეთია შეხედულება იმ ფართო მასისაც, რომელიც თანაუგრძნობს ჩვენ პარტიას... ისე ჩატარდა პროვინციის ზოგიერთი კუთხეების აჯანყება, რომ ტფილისი ერთხელაც ვერ გამოვიდა. როგორც ცნობებია, იქ ისე მაგრათ და ფართოდ გაუდგამს ქსელი პროკოკაცია ჯაშუშობა-ღალატს, რომ ძალიან საეჭვოა მისი ახლო მომავალში გამოსვლა, თუმცა დღევანდელ დაუდგროველ რევოლიუციონურ ორონტრიალში ყველაფერი მოსალოდნელია.

5. ტაქტიკურ-სტრატეგიული შეცდომები. ოზურგეთის ასაღებად მარტო ერთი რაიონი (ჯუმათი) არ კმაროდა. თუმცა მას უნდა დახმარებოდა კიდევ ორი რაიონი—ხიდისთავი და თვით ოზურგეთი, მარა როგორც ზემოთ ითქვა, პირველი ამ დროს განადგურებული იყო, მეორე კი თავიდან უსუსტეს ორგანიზაციათ ითვლებოდა მთელ გურიაში. ეს მგონია საკმაოდ დამტკიცდა გამოსვლის წამს. უდიდესი ძალები ოზურგეთის ასაღებათ უნდა მიგემართად. ოზურგეთის აღება და არტილერიის ხელში ჩაგდება გადამწყვეტ როლს ითამაშებდა მთელი გურიის ასაღებათ.

უნდა ითქვას, რომ ჩინებულათ გამოვიდა ერკეთი. პირველი მისი ნაბიჯი საუცხოვო იყო, უკანასკნელ ნაბიჯებში კი ბევრი შეცდომაა. მაგ. შემცდარი იყო, ჩოხატაურის აღების, იარაღის ხელში ჩაგდების და რევოლიუციონერების შეიარაღების შემდეგ—სწრაფად სამოქმედო ბაზის (ასპარეზის) გაფართოება და დაძვრა ხიდისთავ-ნაგომარ-ოზურგეთისაკენ. ნახტომები გაკეთდა აგრეთვე ჩოხატაურის ევაკუაციის (დატოვების) დროსაც, რასაც დიდი მსხვერპლი მოყვა. ამის გამო შემთხვევით და მოტყუებით მტერმა დაატყვევა ჩვენი ამხანაგები და ბარბაროსულად აწამა *)

*) აწამა ე. ი. ტყვე ბოლშევიკები ორჯერ გაასამართლეს: პირველათ მათ გადაუწყვიტეს კატორღა, მეორეჯერ კი—სიკვდილი. ამ მეორე განაჩენის შემდეგ კვირაზე მეტი გავიდა, პირდებოდნენ: სასჯელი შეგეცვლებაო, შეგეცვალათო, სიკვდილით ადარ დგასჯიანო. როცა ციხიდან გამოაყვანდნენ, ტუსაღებს უთხრეს: ქუთაისში უნდა წაგიყვანოთო, მარა გზაში პულემიოტით თავს დაესხენ და დახვრიტეს. ბარბაროსულათ მოეკვლენ ლანჩხუთ-სოფელ ამხანაგებსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, ძნელი დასაშვები იყო, რომ მტერი აჯანყებულებს **უსისხლოთ, უბრძოლველათ** უკან დახევის შემდეგ, ვერაგული წამებით გაუსწორდებოდა ტყვე კომუნისტებს. მაგრამ ჩვენ თავიდანვე უნდა გვცოდნოდა, რომ წვრილ-ბურჟუაზიული მენშევიკების პარტია ყოველგვარ მხეცობას და საზიზღრობას ჩაიდენდა. ამ პარტიამ კარგათ იცის, რომ ჩვენი გამარჯვება მისი სიკვდილი იქნება და ამიტომაც აღარ ზოგავს არავითარ უნამუსო და ბინძურ საშვალებას. რა მოჰყვებოდა აჯანყებულების დაძვრას დასავლეთისაკენ? თუ აჯანყებული დასავლეთი—ჯუმათი-ლანჩხუთი-სუფსა მოასწრებდენ აჯანყებულ აღმოსავლეთთან—ჩოხატაურთან—შეერთებას და ერთი რევოლიუციონური ფრონტის შექმნას, შეიძლება დიდი რევოლიუციონური საქმე გაკეთებულიყო, თუ გინდ ოზურგეთი ვერც კი აეღოთ და ბოლოს მაინც დამარცხებულიყვნენ. შეიძლებოდა სხვა გზის გამონახვაც, თუ კომუნისტური რაზმები მოახერხებდენ შეერთებას: მაგ. რკინის გზის გადალახვა (აყრაც) და იმერეთ-სამეგრელოსაკენ დაძვრა. ზოგიერთები იტყვიან: ამ შემთხვევაში ბევრი სისხლი დაიღვრებოდა და ბოლოს მაინც დავმარცხდებოდითო. შეიძლება ეს ასეც მომხდარიყო, შეიძლება გურია განმარტოებული დარჩენილიყო, მარა ეს უკეთესი იქნებოდა, ვინემ ის, რაც მოხდა: უსისხლოთ, მშვიდობიანათ უკან დახევას მოჰყვა ოცამდე ტყვე კომუნისტის ავაზაკურათ წამება. ოცი უიარაღო რევოლიუციონერის ბარბაროსულათ დახოცვას უნამუსო მტრის მიერ ბევრათ ჯობია ასეულ-ათასეულების ბრძოლის ველზე სიკვდილი. ზოგიერთ ამხანაგებში იყო ერთგვარი ილიუზია, რომ გურიაში ძალა-უფლების ხელში ჩაგდება **უსისხლოთ შეიძლება**. მარა ასეთ მავნე ილიუზიებს აწი აღარ უნდა დაურჩეს ადგილი. მენშევიკები გურიაში თითქმის ოცი წელია რაც მუშაობენ, ათი ათასამდე პარტიის წევრი ყავთ. ამიტომ, რასაკვირველია, უბრძოლველათ ისინი ვერ დასთმობენ თავისი ამდენი ხნის ბატონობას. ეს შეიძლება მომხდარიყო ან მოხდეს მაშინ, თუ ცენტრში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდებოდა. საზოგადოდ უნდა გვახსოვდეს, რომ თანამედროვე რევოლიუციონერი კომუნისტი, როცა იარაღს იღებს ხელში ძალა-უფლების მოსაპოებლათ უნდა იბრძოდეს ბოლომდე, სანამ მხოლოდ სიკვდილი არ გამოსტაცებს მას იმ იარაღს ხელიდან. რევოლიუციონერი ვერაა ის, ვინც ყოველ წამს არაა მზათ სიცოცხლე გასწიროს რევოლიუციონურ საქმისათვის. სამარცხვინო ბოძზე გასაკრავია ის ვითომდა რევოლიუციონერი, რომელიც პირველი საფრთხის წინაშე უკან იხევს, იარაღს ჰყრის, რომ საკუთარი ტყავი გადაარჩინოს.

ჯუმათლებზე კითხვა სავსებით კიდევ არაა გარკვეული, მარა ერთი რამ კი ეხლაც ცხადია: ისინი ულმობელი სტიქიის გამო სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ ტრაღიკულ მდგომარეობაში ჩაკვივდენ. საუკეთესო გამოსავალი ასეთი მდგომარეობიდან იქნებოდა, ჩვენი აზრით, არა საჩქაროთ იარაღის დაყრა, არამედ დაქსაქსული რაზმების თავის მოყრა, სხვა აჯანყებულ რაიონებთან შეერთება და ბრძოლა.

ლანხუთ-ჩიბათლებს ერთი დიდი საბედისწერო შეცდომა (თუ სიგლახე) ჩაუდენიათ: მათ ვერ შესძლეს რკინის გზის აყრა, რასაც გამოუწვევია მათი და **სუფსელების** სწრაფი დამარცხება გოგვაძის ჯავშნიანი მატარებლის წყალობით. ამ შემთხვევაში მათთვის საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ის ნაბიჯი, რომელზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი. მით უფრო გასაკვირია ლანჩხუთლების ეს სტრატეგიული სისუსტე, რომ ნათ თავის დროზე რამდენჯერმე მიუთითეს რკინის გზის აყრის აუცილებლობაზე. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ლანჩხუთლებმა ვერ გაამართლეს მათზე დამყარებული იმედები.

ნაგანები სრულებითაც არ გამოსულა, რაც თავიდანვე მოსალოდნელი იყო. ნატანები მოითხოვდა გამოსვლის ერთი დღით მაინც გადადებას. ვინ იცის შეიძლება სულ სხვა გვარათ წასულიყო საქმე, რომ ნატანებას ეს მოთხოვნა შეესრულებია კომიტეტს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ნატანების ერთ წარმომადგენელს თურმე დიდი პესიმისტობა ეტყობოდა.

სუფსის ცალკე, სეპარატიულათ გამოსვლა აღბათ ნატანების საქციელით აიხსნება. ეს რაიონი დადგენილების თანახმად უნდა გამოსულიყო ნატანებთან ერთად.

დასკვნა: გადამწყვეტ მომენტში გურიის ორგანიზაცია ვერ იდგა შესაფერ სიმაღლეზე; მას არ დაურჩა საკმაო პოლიტიკური შეგნება-მომზადება; მან ვერ გამოიჩინა სათანადო ორგანიზაციული სიმკვიდრე და დისციპლინა; მან გააკეთა ბევრი ტაქტიკურ-სტრატეგიული ნახტომები; მან სისწრაფით ვერ ასწონ-დასწონა ძალთა განწყობილება გურიაში, აჯანყებულ რაიონებს ვერ დაურჩათ აუცილებელი კავშირი და ინფორმაცია ერთმანეთს შორის; და ყველა ამას ზედ დაერთო დიდი სტიქიური უბედურება.

ეხლა გადავიდეთ უმთავრეს საჭირ-ბოროტო კითხვაზე: რა **ვაკეთოთ**.

საერთაშორიშო მდგომარეობა. უკანასკნელი ორი თვის ამბები უტყუარი მაჩვენებელია იმის, რომ ბოლშევიზმი (კომუნიზმი) საბოლოოთ იმარჯვებს. რუსეთის ძლევა-მოსილი **წითელი არმია** გასაოცარი სისწრაფით მიიწევს წინ და სულ ახლო მომავალში ჩვენ მოწამე ვიქნებით დენიკინის სრული განადგურების. *) დენიკინს თითქმის სრულიად მოესპო ყოველგვარი დახმარება მსოფლიო იმპერია-

*) ეს წერილი დაწერილია დეკემბერში და დღეს (20 იანვარს) ჩვენ ვხედავთ, რომ დენიკინი და სხვაც განადგურებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისტებისაგან (უმთავრესათ ინგლისისაგან), რაც უდრის მის სრულ განადგურებას ახლო მომავალში. ეს გამოიწვია საერთაშორისო ბოლშევიკური მოძრაობის გაძლიერებამ. დენიკინის მოსპობასთან ერთად აუცილებლათ მოისპობა ამიერ-კავკასიის (და კერძოთ საქართველოს) ბურჟუაზიულ-ფეოდალური კონტრრევოლიუცია. დაუძლურებული დენიკინი შეეცდება უკანასკნელი ნავთსაყუდელი მოიპოვოს კავკასიაში. სხვა უკეთესი გზა მას დღეს აღარ აქვს.—ციმბირში კოლჩაკი დიდიხანია განადგურებულია. როგორიც არ უნდა დარჩეს ამიერ-კავკასიის (ჩრდილო კავკასია (დაღესტანი) კი ხანია ლომივით ებრძვის დენიკინის ურდოებს) რესპუბლიკების პოზიცია დენიკინის და ლენინის მიმართ, ერთი რამ ცხადი და უდაოა: მენშევიზმს და მის მოკავშირეებს ჩვენშიაც სრული განადგურება და სიკვდილი მოელის. ჩვენი პარტია გაათკეცებული ენერგიით, იმედით და აღფრთოვანებით დაუყონებლივ უნდა შეუდგეს მზადებას ამ სანატრელ წამისათვის, რომ ღირსეული როლი ითამაშოს ჩვენი ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში.

2. **ორგანიზაციული კითხვა**. ჩვენ უნდა სასწრაფოთ აღვადგინოთ და შევკრათ მკვიდრი ორგანიზაცია. ტენიმოკლე უნამუსო მენშევიკების ჯალათი—მეთაურები ფიქრობენ, რომ ტყვე ბოლშევიკების წამება-დახვრეტამ სრულიად მოსპო და გააქარწყლა ბოლშევიზმი გურიაში. მარა ეს ასე არაა და არც უნდა იყოს. გურიის ღარიბი გლეხობის დიდი უმეტესობა სასტიკათ გმობს აშკარათ ან ფარულათ მენშევიკური პარტიის ავაზაკობა ჯალათობას, მოტყუილებით დაკავებულ კომუნისტების ბარბაროსულათ დახვრეტას. ჩვენი პარტია, მართალია, შესუსტდა ორგანიზაციულად, მარა ხალხის თანაგრძნობა ჩვენდამი ამ ჯალათობის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელები მიიმალ-მოიძალენ, პარტიული მასსა პირველ ხანებში მენშევიკური ანუ თეთრი ტერორის შემდეგ დაფრთხა და მიიფანტ-მოიფანტა. მარა ხალხში გაძლიერდა რწმენა იმის, რომ ჩვენში (ისე როგორც ყოველგან) დღეს ერთად ერთი მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა პარტია მხოლოდ ბოლშევიკები-კომუნისტებია, რომ ხსნა მხოლოდ მის მოღონიერება-გაძლიერება-გამარჯვებაშია. ამ **გარემოებით უნდა** ვისარგებლოთ და საქმეს სასწრაფოთ შეუდგეთ.

ჩვენ ძველებურათ აღარ უნდა გამოვეკიდოთ **რაოდენობას**: რიცხვს. პირველ პლანზე უნდა ვაყენებდეთ პარტიის წევრის **ღირსებას**, მის შეგნება-თავგანწირულობას. ჩვენ უნდა დავაწეროთ დროშაზე, **მცირე, მარა კარგი**. მცირე რიცხოვანი, მარა ღირსებით კარგი ორგანიზაცია აჯანყების დროს სასწაულს მოახდენს და ღირსეულად უხელმძღვანელებს აჯანყებულ მასასაც. ჩვენ უნდა გადავხილოთ ძველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(აჯანყებამდე) პარტიული **მასა** და რადიკალურათ გაგწმინდოთ იგი. ჩვენ უნდა სასტიკათ გავკიცხოთ, გავასამართლოთ და დავსაჯოთ ყველა ის წევრები, რომლებმაც აჯანყების დროს გამოიჩინეს სიიუსტე სილაჩრე, ორპოფობა, პოსტის სამარცხვინოთ მიტოვება და ღალატი. შორს ჩვენგან ლაჩრები, ძირს მოღალატეები.

იქ, სადაც შპიონობ-„სიშჩიკობა“ შედარებით უფრო ძლიერია, ჩვენ უნდა შეექმნათ მცირე-რიცხოვანი იაჩეიკები. ახალი **წევრი** უნდა **მივიღოთ** დიდი სიფრთხილით: მან კარგათ უნდა იცოდეს რა მოვალეობას კისრულობს, როცა ამ პარტიაში შემოდის. **შეგნება და დისციპლინა,** აი რა უნდა შეადგენდეს განახლებული ორგანიზაციის საფუძველს, საგანის ამ მხარეს თქვენ წინეთ ნაკლებ ყურადღებას აქცევდით. ჩვენს ამხანაგებს ყოველგან ჩვენში ეტყობათ დიდი **ნაკლი**: მასსიური ორგანიზაცია და ფოლადის დისციპლინა.

ამნაირად, ტაქტიკური კითხვა მჭიდროთაა შეკავშირებული ორგანიზაციულ კითხვასთან. როგორიცაა ტაქტიკა, ისეთივეა ორგანიზაციაც. ტაქტიკური კითხვა კი მჭიდროთ შეკავშირებულია პროგრამასთან. როგორიცაა პროგრამმა, ისეთივეა ტაქტიკა და ორგანიზაცია. ჩვენი მიზანია (პროგრამა) სოციალისტური რევოლიუცია, ე. ი. ძირბუდიანათ გარდაქმნა ათეული საუკუნოებით გამტკიცებულ საზოგადოებრივ წყობილებისა, რომელიც დამყარებულია დამონებაგაყვლეფა-ძალადობაზე. ეს უაღრესად რევოლიუციონური მიზანი მოითხოვს უაღრესად რევოლიუციონურ ტაქტიკა-ორგანიზაციას.

აჯანყების დამარცხებისა და ჩვენი ამხანაგების წამების შემდეგ ბუნებრივათ დაიბადა კითხვა ტერორის, შურისძიების შესახებ. ჩვენ, მარქსისტები, თავის თავად ცხადია, წინააღმდეგი ვართ ე. წ. პირადი, ანარქისტული ტერორის, როგორც **პოლიტიკურ-ტაკტიკურ** საშვალების. ასეთ ტერორს ჩვენ უპირდაპირებთ მასსიურ, კლასიურ ბრძოლას, მასსიურ ტერორს. ზოგიერთ განკერძოებულ პირობებში ჩვენ მივმართავთ ინდივიდუალურ (განკერძოებელ) ტერორს, როგორც თავდაცვის საშვალებას, მაგ. პროვაკატორ-ჯაშუშების და მოღალატეების წინაღმდეგ.

განსაკუთრებულ და განუსაზღვრელ შურისძიების გრძნობას იწვევს და აღვივებს ჩვენი ამხანაგების დაქირავებული მკვლელნი-ბარბაროსნი ჯალათები და მათი მეთაურები. ეს გრძნობა ღვივის არა მარტო პარტიულ ამხანაგებში, არამედ ხალხის ფართო მასაშიც. ყველას პირზე აკერია: შურისძიება, შურისძიება. ეს ასეც უნდა იყოს: წამებული კომუნისტები წარმოადგენდენ მშრომელ და გაყვლეფილ გლეხობას. ყველა ესენი გატაცებული იყვნენ კომუნიზმის წმინდა იდეალებით. ამ ამბერიდან უკვდავმა ახალგაზდებმა შეგნებულათ აიღეს იარაღი ხელში, მარა როცა მათ ხელმძღვანელებმა უთხრეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა და სისხლის ღვრა აღარ ღირს და უკან დაიხიეთო, დისციპლინას დაემორჩილენ და იარაღი დაჰყარეს. ისინი ჯალათებმა მხოლოდ მოტყუილებით ჩაიგდეს ხელში: თუ იარაღს თავის ნებით დაგვიბუნებთ, არ დაგსჯითო. მარა ხელში რომ ჩაიგდეს ვერაგულათ აწამეს. თუმცა სრულიად მოულოდნელი იყო მათთვის სიკვდილთ სასჯელი, მარა არცერთი ამ ახალგაზრდა კომუნისტებში სულიერათ არ დაცემულა და თავის „ცოდვები“ არ მოუნანებია, პატივება არ უთხოვია....

მშრომელი გურია სასტიკათ გმობს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს ამ მხეცობის ჩამდენ მენშევიკურ მთავრობას. ეს მშრომელი ხალხი დღეს აშკარად ხედავს, რომ ბურჟუაზიის ლაქია-ჯალათები ყოველ წამს მზათ არიან თუნდაც მთელი მშრომელი ხალხი აწამონ-ამოჟლეტონ. ოღონდ ერთი მუჭა მუქთახორები განცხრომაში ამყოფონ საუკუნოთ. ამ არამზადებმა ქვეყანას ყური გამოუჭედეს: თვით გურიის ხალხმა მოითხოვა—ყაჩაღ-კომუნისტების სიკვდილი. და იმავე დროს „დახურულ კარებში“ ორმა-სამმა დაქირავებულმა ჯალათმა ;ქურდულათ გადასწყვიტა საქმე. ეს უნამუსოები ქვეყანას ეუბნებიან ხალხმა თვითონ დასაჯა ყაჩაღი-კომუნისტებია. ნამდვილათ კი ვერც ჯარში, ვერც მილიციაში და ვერც გვარდიაში ვერ აღმოჩნდა საჭირო კონტინგენტი (რიცხვი) ჯალათებისა. მთელი გურიის გვარდიაში აღმოჩნდა ოთხ-ხუთი სინდის-ნამუსზე ხელაღებუდი ხუნხუზ-ნადირი, რომლებსაც მეთაურობდა ცნობილი ყაჩაღ-ხუნხუზი (მხოლოდ „კანონიერ“ ფარგლებში, ჩუმათ, ფარულათ, დიპლომატიურათ)—ს. ბათითაშვილი. ვინ იტყვის, რომ ეს **დაქირავებული მკვლელები** და მათი სულის ჩამდგმელნი სიკვდილის ღირსი არ არიან. მხოლოდ კითხვა ასე დგას: შეუძლია თუ არა პარტიას **დღევანდელ პირობებში** მიმართოს ინდივიდუალურ ტერორს. ჩვენ ვამბობთ არა, რადგანაც დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი ტერორი აუნაზღაურებელ ზარალს მოუტანდა პარტიას. ამას გარდა: ჩვენ გვწამს, რომ მომავალი (შეიძლება, ძალიან ახლო მომავალი) ჩვენია, და როცა ჩვენი გამარჯვების საათი დაჰკრავს, ჩვენ შევძლებთ სასტიკი პასუხი ვაგებიოთ ჩვენ მოსისხლე მტრებს. ამ წამის მოსაახლოებლად საჭიროა დაუღალავი მუშაობა და ხალხური, მასსიური წითელი ტერორისათვის, აჯანყებისათვის მზადება.

გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნისტურ პარტიას და მესამე ინტერნაციონალს!

ამხანაგური სალამით **კომუნისტი**.

1919 წელი დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქრო ჩოდრიშვილი

პატრიოტიზმის ყოფა ცხოვრებიდან.*)

ძამიკო მიხა. ყველა შენ წერილში მთხოვ, რომ გაგაგებინო ჩემი და ყველა აქ მომწყვდეული ამხანაგების ყოფა-მდგომარეობა და საკატორღო ციხის პირობები; მეც ვასრულებ შენს თხოვნას და გწერ ჩვენი კატორღელების ყოფა-მდგომარეობაზე. თუმცა ძნელია ჩვენთვის ვრცელი წერილის მოწერა და ამიტომაც გწერ პაპიროზის ქაღალდზედ დაწერილს, და შიგა და შიგ სამშობლაურის კითხვასაც მიაქცევ ყურადღება, რომ უფრო ნათლათ გაიგო ჩვენი ყოფა-მდგომარეობა. მაშ ასე ვეცდები რამდენათაც კი შეიძლება გაცნობო ყველაფერი.

იაროსლავის დროებითი კატორღის ციხეში და მისი ადგილ-მდებარეობა.

იაროსლავი არის „კაროვნიკის“ ციხე, ეს სახელი ეწოდება ერთ პატარა სოფელს, ახალშენს, რომელიც გაშენებულია ორი ვერსის მოშორებით ქალაქიდან მდინარე ვოლგის ნაპირას დაბლობ და ჭაობიან ადგილზე. ციხის ადმინისტრაცია, მთლად მისი მოხელეები ოსტატ-ხელოსნები, სულ ყველა, აქ ახალშენში სცხოვრობენ. ზაფხულობით, როდესაც ყინული დაიძვრება და აბობოქრებული მდინარე კალაპოტში ვეღარ ეტევა, წყალი ნაპირებიდან ორ სამ ვერსის მანძილზედ წალეკს ხოლმე დაბლობ მიდამოებს; ამ დროს ჩვენი „კაროვნიკიც“ გვარიან დიდხანს მთლად წყალში ჭყუპალობს და მიმსვლელ-მომსვლელი, როგორც ციხეში, აგრეთვე კერძო სადგომებში ნავებით მიდი-მოდიან. წყლის კალაპოტში ჩავარდნის შემდეგ ამ

*) ეს წერილი ეკუთვნის ცნობილ ბოლშევიკ რევოლიუციონერს ზაქრო ჩოდრიშვილს, რომელიც მან მისწერა თავის ძმას, ჩვენ პოეტს ამხანაგს მიხა ჩოდრიშვილს: წერილი მოწერილია 1914 წ. ავტორი კი გარდაიცვალა ნიკოლაევის საკატორღო ციხეში 1916 წ. 3 აპრილს (ძველი სტილით). წერილი მეტად ცუდ პირობებშია დაწერილი და გამოგზავნილი; ამიტომ მოკლებულია ლიტერატურულ ენას, მაგრამ როგორც მწერალი, ჩვენ ვთავსებთ მას უცვლელათ, როგორც დოკუმენტს პარტიულ არხივისათვის.

რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალშენში რჩება ბევრი ჭაობები, ამიტომაც ეს მიდამო, როგორც ჭაობიანი და ნოტიო ადგილი, ციებ-ცხელების ბუდე არის. ჩვენი ციხე ტუსაღთა რიცხვით 900—1100 ადის წელიწადში და 2—3 ეტაპამდე იგზავნებიან ზოგი ამურის რკინის გზაზედ და ზოგიც სხვა ციხეებში სამუშაოთ. აქაურთა ტუსაღთა ბუდე ივსება ახალ მოყვანილ პატიმრებით სხვა და სხვა ციხეებიდან და ვინც კი ამ ციხიდან თავს აღწევს ე. ი. ვისაც კომისია სცნობს ჯანსაღად სადმე სხვაგან გასაგზავნათ, სამუშაოთ, ამგვარი ტუსაღის სიხარულს არა აქვს საზღვარი, თავს თვლის ბედნიერათ, თითქმის თავისუფლებასთან სწორათ, რადგან ამ ჯოჯოხეთ ალაგს შორდება; ან კი როგორ არ გაუხარდეს აქედან გაშორება, როდესაც თვით გამოსცადა მხეცური სისასტიკე აქაური ადმინისტრაციის.

ყოველი აქაური ადმინისტრაციის პირი, მათ რიცხვში მედიცინის წარმომადგენლები, ქარხნის ოსტატებიც ცოფიან ნადირის ჯინით არიან მხოლოდ მოცულნი ავსებულნი ტუსაღების მიმართ.

სამშობლიური იყო ჩვენი საიდუმლოების გამოცნობა.

ერთათ ერთი მეცადინეობა იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება ბევრი და ძლიერ აწამონ ტუსაღი ფიზიკურათ თუ ზნეობრივად თუ გონებრივათაც; მათ სისასტიკეს ისიც აორკეცებს, რომ როდესაც ციხეების ინსპექტორი მიდის ციხის დასათვალიერებლად, მხოლოდ იმას ემდურება ციხის უფროს მოხელეს, რომ ცოტა ტუსაღები დაგისჯიათო და ისიც მსუბუქათო, შემდეგში ასეთი მცირედი დასჯილთა რიცხვი აღარ დამანახოთ თორემ ვაი თქვენი ბრალიო. ამის შემდეგ რაღა თქმა უნდა, რომ მონებსაც ზოგს ალაგის დაკარგვის შიშით და ზოგსაც ერთგულობის დასამსახურებლად არავითარი ზნეობრივი გრძნობები აღარ აკავებს უბრალო პატიმრის დასასჯელათ. უფლება ხომ განუსაზღვრელი აქვთ მიცემული, რასაც უნდა მოუგონებენ და უზამენ ტუსაღს, პასუხს ვინ მოსთხოვს.

თითონ აქაურ ტუსაღებს ბრძოლის შნო და უნარი ენერგია მთლათ გამოცლილი აქვს, გონივრული ბრძოლა კი არა, უბრალო პროტესტიც კი ვეღარ შეუძლიანთ, ოვინი იქამდისინ არიან დაცემულნი და დასუსტებულნი ყოველ მხრივ, აქაური მეტის—მეტი სასტკი მდგომარეობის ზეგავლენით, სახუმრო არ არის ყოველ უბრალო რაზედაც „სკიტკის“ წართმევა, ლანძღვა, გინებას, ფულით დაჯარიმებას, ჩუმათ კარცერში ცემას, აშკარად გაროზგვას და კარცერში ჩაგდება 1-დან 60-დღემდე. მერე ისიც უნდა ითქვას რომ აქაური კარცერი არაფრით ჩამორჩება საყინულეს—ასეთი არის ნათელი კარცერი, ხოლო ბნელი კი ბაღლინჯოების და ათასი სხვა გვარი ჭიების სამფლობელოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ისე დასჯილს აგრეთვე გაროზგვის შემდეგ გაწკეპლისა შეაგდებდენ კარცერში. უკან ტანზე წკეპლისაგან დასერილი იარებიდან სისხლი სდით, მის წვა-დაგვაზედ ერთვის ადამიანისაგან გათახსირების გრძნობა და საშინელი კარცერის სიცივე. სიცივეს უფრო აორკეცებს ტიტველა ფეხებზედ რკინის ხუნდები.

კარცერში ჩაგდების დროს ფეხსახვევს და თასმას. რითაც ჯაჭვებს იბამენ წელზედ ართმევენ. აგიტანს სიცივე—კანკალი, გული და გონება გელევა ტკივილებით, ჯდომა ვერ შეგიძლიან, სიარული არც მხარ-თეძოზედ თუ გვერდზე წოლა, მხოლოდ მუცელზე დაწოლილი შეგიძლიან იქნე, მაგრამ ვაი ამ დაწოლას, გმინავ და წუხილი ტვინს ღირღნის. ხშირად ხდება, რომ ვეღარ უძლებს ადამიანი წვალებას და თავს იბაწრამს დახვეულ პერანგის ყულფით, საზოგადოდ სასჯელი აქაური ციხის ადმინისტრაციისაგან სულ ადვილად იშოვნება. აი მაგალითი: ზედამხედველმა (ნაზირატელმა) კამერის სანათურიდან შემოიხედა და შენ მალე ვერ მოასწარ ფეხზე წამოდგომა ან დაგინახა, რომ სარკელთან ან კარებთან სდგეხარ აი რაზედაც დასჯეს 11 ტუსაღი. 3 კაცს ათ-ათი წკეპლა დაკრეს და 8 მხოლოდ კარცერით დატუქსეს. ზედამხედველმა შემოიხედა და დაგინახა 4 ტუსაღი ერთად (თუმცა კარგათ იცოდა, რომ ერთად შეყრილი იყვნენ საუზმისთვის) დაშლა და დაცალკევება უბრძანა, რადგანაც ტუსაღებმა ანაზდეულათ ვერ შეასრულეს მისი ბრძანება იწყინა ზედამხედველმა და გააკეთა ათას გვარი ჭორი—დანოსი, ვითომ ტუსაღები შეთქმულობას აპირებენ, სასჯელს გამოუძიებლად ახდენენ: საკმარისია მხოლოდ ზედამხედველმა თქვას, მისი სიტყვა უცილო ჭეშმარიტებათ არის მიღებული უმაღლეს უფროსისაგან. აი კიდევ რაზე: ერთ კამერაში კარტოფილსა ფცქვნიან, კარგად ხედამენ ტუსაღები, რომ ხ..... კართოფილი 10 ფუთამდე მაინც იქნება, საიდანაც მათი აზრით დაახლოებით თითო პატიმარს ¼ გირვანქა მაინც შეხვდება, მაგრამ საუბედუროდ, სადილის დარიგების შემდეგ მხოლოდ ორ ჯამში ამოჩნდა თითო კაკლის ოდენა კართოფილი, დანარჩენს ცარიელი თბილი წყალი ერგოთ. რადგან ესე არა ერთხელ გამეორდა, ამის შესახებ შესჩივლეს უფროს, მაგრამ მან საპასუხოთ ერთი ტუსაღი გაწკეპლა 50 წკეპლით და მერმე 2 კვირით კარცელში ჩასვა.

ვთქვათ რომელიმე ტუსაღმა მოახერხა გაქცევა, ყველა მის კარცერში მყოფ- ისჯებიან ზოგი წკეპლით და ზოგიც კარცერში დაწყდევით. ფულითაც ხშირად ხდებოდა დაჯარიმება, ვინც მუშაობს ის იღებს ცოტაოდენ გროშებს, ტუსაღების ნახევარზე მეტს ამუშავებენ, აქ გამართულია: სამჭედლო, სათოქმაჩო. სადურგლო, სასტალარო, ჩექმების, ტანისამოსის, საფეიქრო სახელოსნოები. ყველაზე ცუდათ მოწყობილი და ძნელია მუშაობა ამ უკანასკნელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოსნოში. ამ ქარხნის მუშების უმრავლესობა სნეულდება ჭლექით და იხოცებიან. პატიმარი ქარხანაში დაზგის წინ ზის და ორივე ხელებით და ფეხებით მუშაობს; კიდევ კარგი თუ ვადა გასულია და ფეხებიდან ბორკილები შეხსნილია. სამუშაოზედ გაჰყავთ დილის 6 საათზე და მუშაობენ საღამოს 6 საათამდის, შუადღისას დასვენებისთვის ეძლევათ 1 ნახევარი საათი, მაგრამ მინამ მოიყვანენ პატიმარს, გაატარ-ტლებენ, გასჩხრეკენ და სადილს მოუტანენ ერთი საათი უკვე გადის და რჩებათ პურის საჭმელათ და დასასვენებლად მხოლოდ ნახევარი საათი. მუშებს ქირად აძლევდენ 75 კაპ. ხელზე და ამდენსავე უნახავდენ განთავისუფლების შემდეგ მისაცემათ. ეს ჯამაგირი ეძლევათ თვეში იმ მუშებს, ვინც ციხის საშინაო საქმეზე მუშაობს. ვინც გარედან მოტანილ საქმეზე მუშაობს, თუ კარგათ და ძალიან მუყაითად იმუშავებს თვეში 1 და 3 მანეთს აიღებს; ნახევარს სახარჯოთ აძლევენ და ნახევარს უნახავენ. ფულითა დაჯარიმება ისე ფართოდ არის გავრცელებული, რომ ერთ წელიწადში ტუსაღი სამუშაო ქირის 50 კაპ. ვერ მიიღებს, რასაც მუშაობაში აკეთებს სულ ჯარიმაში მიაქვთ. აჯარიმებენ აგრეთვე სრულიად უმიზეზოთ, როგორც ზევითაც გითხარი ჩემო ძამაკო ცოტაოდენ აქაური საავადმყოფოს და წამლობის შესახებაც გიამბობ და მაშინ ცხადათ წარმოიიდგენ ჩვენ აქაური ტუსაღების ყოფა-ცხოვრებას. აქაური ტუსაღები ამ საავადმყოფოს ყასაფხანას უწოდებენ და უნდა გითხრა, რომ სწორედ ზედ გამოჭრილია ამისათვის ეს სახელწოდება; აბა სხვა სახელი როგორ უნდა უწოდო, როდესაც წელიწადში 100-მდე ტუსაღი კვდება ან ჭკლავენ; ამათ გარდა რომლებიც აქედან არიან გაგზავნილები აპერაციაზედ იქ იხოცება საშუალოდ რიცხვით 50 კაცამდის. გარდა იმისა ერთ „აკალოდკაში“ 20 ჭლექიანი წევს და მეორეში 10-დან 18-მდე სხვა და სხვა ავადმყოფები. ამათ ავადმყოფებათ არა სთვლიან, თუმცა ისე არიან ავათ, რომ სიარულიც აღარ შეუძლიან. „აკალოტკას“ ცემენტიანი იატაკი აქვს და მეტად ნესტიანიც. საავადმყოფო მხოლოდ იმით გაირჩევა დანარჩენ ტუსაღების სადგომებისაგან, იატაკი ფიცრისაა და საღებავით შეღებილი. კერძო ცოტა უფრო სუფთაა, ხორცი ნაკლებ ყარს; სასადილო ჯამები თუნუქისაა, გარედან თეთრი და შიგნიდან ჟანგით სავსე, დანარჩენი ჭურჭელი სპილენძისაა, მხოლოდ არა ნაკლებ დაჟანგებული და კალა მოცილებული. საავადმყოფოში აწვენენ მხოლოდ ისეთ ავადმყოფებს, რომლებსაც მხოლოდ რამოდენიმე დღე დარჩენიათ სიცოცხლე. დანარჩენი ყველა ჯანსაღათ არის ცნობილი ჩვენი ექიმისაგან. ექიმი ცნობილი კაცია. ხულიგანების თავმჯდომარე. ორი თავმჯდომარე ჰყავდათ აქაურ ხულიგნებს, ერთი მოკვდა და ეს კიდევ ცოცხალია. კვირაში სამჯერ მოდის ექიმი საავადმყოფოში; თუ უქმე დღე შეხვდა და სჭირდება კვირაში ან ერთხელ ან ორჯელ მოსვლა. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი გარყვნილების და რუსული ლანძღვის ენციკლოპედათ უნდა ჩაეთვალოს. მისი წამლობა როგორ ღირს... ეუბნება ტუსაღი მადა დამეკარგა...ექიმი აწყვეტინებს სიტყვას და სამასხაროდ იგდებს: მერე დიდი ხანია? აგერ ორი კვირა იქნება, უთხრა ტუსაღმა. ხოო, ჩაიფრუტტუნა ცხვირში მკურნალმა—მერე რატომ მაშინვე არ მითხარი და არ შემატყობინე. ტუსაღმა უყურადღებოო დასტოვა მასხარად აგდება და მიმართა ექიმს, რომ რამე გამომიწერეო. ექიმმა უპასუხა: რაო რძე. ვისი გინდა ხ...თუ. თქვენო კეთილშობილებავ ეხვეწება ტუსაღი ჩემი საკუთარი ფულით გთხოვთ. ხო..ხო ეგ სხვა საქმეა, შეიძლება, თქვა მკურნალმა. შემდეგ სხვა ტუსაღი მიიყვანეს, რომელიც ეხვეწებოდა თუ შეიძლება რამოდენიმე ხნით ავადმყოფის კერძი მომეცითო, რადგან მეტად დავსუსტდი, სიარულის ღონე აღარ მაქვსო: ექიმმა კი დედის კურთხევით გაისტუმრა, აქ სატუსაღოში მოგიყვანეს და არა სასტუმროშიო. მესამე ტუსაღმა შესჩივლა, რომ აგერ ერთ კვირაზე მეტია რაც კუჭი მომეშალა, ფაღარათი და კუჭის წვა მაქვსო, მაციებს და მაცხელებსო, სიცხე გასინჯეს, გრადუსნიკმა არ აჩვენა იმდენი სიცხე რამდენიც ავადმყოფს ჰქონდა (ამ მკურნალის შეხედულობით იგი სიცხიანი არ არის თუ 38 გრადუსზე ნაკლები აღმოჩნდა ტუსაღი) ამიტომ შეხედა პატიმარს ჯეილი და პირტიტველა კაცი იყო. შენ უკანის ქვილი გაქვს და სხვა არაფერი. შენ ერთი 50 წკეპლა გარგებს და მერე შეგდება კამერაში (ადინოჩკაში) რომ შეგიჩერდეს ქვილი. შე ასეთ ისეთო და დედის გინებით გააგდო. აი ასეთ რეცეპტებს აძლევს ბევრ ავადმყოფებს. როდესაც გათავდა მიღება და ექიმი წავიდა ფერშლით საავადმყოფოში დაწოლილ ავადმყოფების დასათვალიერებლად, ერთ პალატაში ავადმყოფმა ექიმს მჟავე კისელი სთხოვა. კისელს წელიწადში მეც ერთხელ ძლივსა ვჭამ ხოლმე და ვინ ბრძანდები რომ კისელი მოგართვაო. ავადმყოფს ხელ-ფეხი ულპები ექიმის წყალობით, მინამ ძვლებამდის არ დავა იარა და ძვლების ლპობას არ დაიწყებს, მინამ არ გაგზავნის სპეციალისტთან მოსარჩენათ. აგრეთვე თვალები მინამ მთლათ არ გაუფუჭდება არ გაგზავნის თვალის ექიმთან. ორი ფერშალი არის აქ და ოგინიც ასეთივე გულქვა რეგვენები არიან, როგორც თვით აქაური ექიმი.

ახლა ჩემო ძმაკაცო ნუ დამემდურები შეცდომით დაწერაზე, რომ წერის დროს სულ კარებისაკენ არის მიქცეული გონება, რათა ზედამხედველმა არ დაიჭიროს თორემ 100 ცკეპლა მზათ არის და კარცერიდანაც ველარ გამოვალ ვერას დროს.

ეს წერილი რომ მიიღო მალე მაცნობე. აგრეთვე კარგი იქნება, რომ ერთი ვისმე რუსის გვარზედ ადრესი მომწერო, რომელზედაც შემეძლოს წერილის მოწერა და მან კი შენ გადმოგცეს, თუნდაც რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა გვარს ვაწერდე ან კიდევაც უთითებდე სხვა გვარზედ გადმოცემას და არა შენზე, იგი იმით მიხვდეს შენს გადმოსაცემს, რომ წერილში შენი სახელი იქნება და მეორეც იმით, რომ კონვერტზე ნიშანი, რომ იარასლოვის ციხიდან იგზავნება. ნახვამდის შენი მარად (ხელმოწერა) 10 ივლისი 1914 წ.

ეს წერილი გამოგზავნილია ციმბირის ერთ-ერთ სოფლიდან, კატორღელისაგან რომლებიც იაროსლავის საკატორღო ციხეში მჯდარა ზაქრო ჩოდრიშვილთან ერთად და კატორღის ვადა რომ გაუთავებია შემდეგ ეს ამხანაგი გადაუსახლებიათ ციმბირში და ამ გადასახლებულ ამხ. ციმბირელისთვის ზაქარა ჩოდრიშვილსაც გაეტანინებინა პაპიროსის ქაღალდზე დაწერილი წერილი, რომლის წერილიც ციმბირიდან მოუვიდა მ. ჩოდრიშვილს ოქტომბრის შუა რიცხვებში ტუილისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე № 363. ასლი.
მე-2 მაგიდა 1915 წ.

საგრასლმდეგლო აქტი

გლეხ თომა ამბაკოს-ძე ჩუბინიძეზე, რომელიც ირქმევდა მეტ სახელათ დიმიტრი დავითის-ძე თავად მაყაშვილს.

1908 წ. 20 მაისს დილით ქ. ბაქოში ადგილობრივ დამცველ პუნქტის პოლიციის მეთვალყურე აკიმოვი აგენტ ბუშთან, პოლიციის მოსამსახურე—„ოკლატკის“ მეთვალყურე ესაძესთან და „ვოროდოვოების“ პუზენკოთანა და აგაფანოვთან ერთად, თანახმად ბაქოს საგუბერნიო ჟანდარმერიის უფროსის დავალებისა, მივიდა თურქის ქ. № 115 სახლში შვეიცის ქვეშევრდომის დიურფელდის ბინაზე მცხოვრებ ხუთ ქართველის გასაჩხრეკათ. აკიმოვმა „ვოროდოვოები“ ქუჩაში დატოვა, თან გაიყოლა ესაძე და ბუში და შეევიდა დიურფელდის ბინაში ეზოდან. აკიმოვმა დიურფელდი იქვე შეისწრო გალერეიაში და გაიგო მისგან, რომ მის ბინაზე მცხოვრებ ხუთ ქართველისაგან სამი უკვე წასულიყვენ და ორი კი დარჩენილიყო. პოლიციის მოხელეები შეევიდნენ ოთახებში და მეორე ოთახში, რომელიც ქუჩაში გადიოდა, დაინახეს ორი ქართველი, რომელნიც ჩაის სვამდენ. აკიმოვმა მოსთხოვა მათ, რომ წარმოედგინათ პასპორტები. იმათ წარმოადგინეს ორი ჩაუწერელი პასპორტი,—ერთი ლუკა სევერიანინაძე კორძაიას და მეორე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე მაისურაძის სახელზე. როდესაც აკიმოვმა განაცხადა, რომ ის მოახდენს ოთახების გაჩხრეკას, მაშინ ერთმა იმათგანმა, რომელიც მაისურაძეს ირქმევდა, მოითხოვა ფეხსადგილში გასვლა, რისი ნებაც მიეცა ბუშის თან გაყოლებით. მეორემ განაცხადა „მოახდენეთ ჩხრეკა“-ო, ესაძე გაჩერდა ფანჯარასთან, აკიმოვი მივიდა ტანისამოსის ჩამოსაკიდებელ ადგილთან და იქიდან დაიწყო ჩხრეკა. ამ დროს ოთახში დარჩენილი ქართველი მივარდა კამოდთან გამოიღო უჯრიდან ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი და ყვირილით ადგილიდან არ დაიძრეთო დაუწყო სროლა აკიმოვს. მან მოახერხა ოთხჯერ-ხუთჯერ გასროლა ისე, რომ აკიმოვს ერთიც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხვედრია, მაგრამ ამ დროს მას ეცა ესაძე, მუშტის დაკვრით ბალიდან გაადგებინა ბრაუნინგი და მოხვია ხელი. ქართველმა მოახერხა ხელიდან გასხლტომა, კვლავ დაეტაკა აკიმოვს და გაიმართა მათ შორის ბრძოლა, რომლის დროსაც ორივენი ლოგინზე წაიქცენ. ქართველი ცდილობდა აკიმოვისათვის წაერთმია რევოლვერი, მაგრამ ვერ შეიძლო და მოინდომა ისევ ხმალის ართმევა, მან თითქმის ამოიღო ხმალი. ამ დროს ოთახში შემოვიდა მეორე ქართველი მაისურაძეთ წოდებული და ბუში. მაისურაძეს ხეთქეს რევოლვერის კონდახი და ის სისხლში გასვრილი იქვე ჩაჯდა. ბუშმა დაუწყო აკიმოვთან მაჩხუბარ ქართველს სროლა. ამ დროს ესაძე გოროდოვოვთან გაიქცა. აკიმოვმა მოახერხა თავის რევოლვერის ამოღება და დაუწყო მის ხელში მეორე ქართველს სროლა. სამჯერ გასროლის შემდეგ ქართველმა აკიმოვი გაუშვა ხელიდან. გამოირკვა, რომ აკიმოვმა მას სამივე ტყვია მოარტყა და იქვე მოკლა. რომელიღაც ტყვიით ფეხში მსუბუქათ დაჭრილი აღმოჩნდა აგენტი ბუში. ტყვია მას სხეულშივე შერჩენოდა. ამის შემდეგ აკიმოვმა გაიხრიკა კამოდი და ნახა მასში ბრაუნინგი და რამოდენიმე ათეული მისივე პატრონა. მეორე ოთახში მაგიდის ქეშ იდვა საკვაიაჟი. მასში აღმოჩნდა მაუზერის სისტემის ტყვიებით გატენილი 9 რევოლვერი. იქვე იყო მაუზერის რამდენიმე ასი პატრონა. ამავე ოთახში აკიმოვმა აღმოაჩინა 3 გირვანქამდე უკვამლო ტყვია. მეორე ოთახში დაკეტილ შკაფში აღმოჩნდა 30 ყუმბარა, 10 გირვანქა ამფეთქებელი ნივთიერება, 12 არშინი ბიკფორდის შნური, ერთი ორმაგი ფისტონი და მასში გაყრილი ბიკფორდის შნური; ერთი ჭინჭილა ვერცხლის წყალი, 100 გრამამდი წონით, ორი კოლოფი ბერტოლეტის მარილი, 17 თხელი შუშის მილი—1—6 გოჯიანი თუნუქის ფორმა ტყვიის ჩამოსასხმელი. იმავე თვეში 24 მაისს დიურფელდმა, ემზადებოდა რა მეორე ბინაზე გადასასვლელათ, შკაფების ადგილიდან დაძვრის დროს მასში აღმოაჩინა ყუმბარები შკაფში რაღაც ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადადიოდა, თუმცა ის თითქო ცარიელი იყო. დიურფელდის განცხადებით, იქ გამოცხადდა ჰოლიცია, რომელმაც აღმოაჩინა შკაფის ზემო ნაწილში საიდუმლო ყუთი, რომელშიაც აღმოჩენილ იქნა $^1/_4$ გირვანქა ჰექთაფლადი (მელინიტი) ბრგვინავი სტუდნის $1^1/_2$ ჯოხი $^1/_2$ გირვანქის წონით, $^1/_{20}$ გირვანქა შაქარი და ბერტოლეტის მარილი შერეული, ორი კოლოფი 160 ფისტონით და ბრგვინავა ცქრიათი 49 ამგვარივე ფისტონი, ორ-ორი ერთად შედუღებული, 7 ცალი ორმაგი ფისტონი ბიქფორდის შნურით, ორი ხის ცილინდრი, ერთი ტყვიის სატენი შუშის მილით, სავსე მჟავბადით, 4 შუშის მილი მჟავბადით სავსე, 7 სატენი, ხოლო არა შუშის მილით, სპილენძის ფორმა ხსენებულ სატენის ჩამოსასხვათ, 2 ხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცილინდრი, სპილენძის ბეჭედი, რომელიც იძლეოდა „ტფილისის მაზრის უფროსის“ „ოტისკს“. აღმოჩენილი 30 ყუმბარა ექსპერტების შემოწმებით აღმოჩნდა, რომ წარმოადგენდენ თუნუქის ბანკებს სხვა და სხვა ზომისას 1½—3 გირვანქამდი. ეს ყუმბარები აფეთქებულ იქმნა რამდენიმე ერთად, აფეთქების შემდეგ დარჩა მხოლოდ ტყვიის ცილინდრა, ტყვიის მილებით. ყუმბარების აფეთქებამ ზარბაზანზე მეტად დიდი ხმა გამოსცა და კვამლიც მეტი ძლიერი ქონდა. ბრგვინავი სტუდენი კი თავისუფლად დაიწვა უკვამლოთ. ყველა დასარტყაკები: ჭექთაფლადი, ბრგვინავი სტუდენი, შაქრისა და ბერტოლეტის მარილის ნარევი, ტყვია წასმული ქაღალდის ფურცლები, შუშის მილები მჟავბადით, ბრგვინავი ცქრია და ბერტოლეტის მარილი, ნახული მეორე ჩხრეკის დროს შკაფის საიდუმლო ყუთში, დაწყობილ იქმნა ყველა ერთად და ბიქსფორდის შნურით აფეთქებული. აფეთქებას ძალუმი ხმა ქონდა და თან მოყვა ჰაერში ცეცხლის გაელვება. ამასთანავე აფეთქდა ყველა ნივთიერებანი უკლებლივ. ექსპერტების დასკვნით ყველა ოცდაათივე ყუმბარა მტყორცნელი ტიპის იყო და დატენილი ჭექთაფლადით 70 გირვანქამდი. 29 გატენილი ყუმბარა თუმცა ასაფეთქებლათ მზათ იყო და ერთი თუმცა გატენილი იყო ჭექთაფლადით, მაგრამ მოკლებული იყო გასროლის მომარჯვებულობას. 29 გატენილ ყუმბარაში გასროლილ მომარჯვებულებათ ითვლებოდა ფისტონები ბრგვინავი ცქრიათი, შუშის მილები მჟავბადით და ტყვიის ნატეხები. დარტყმის დროს ეს ტყვიის ნატეხები სტეხდენ შუშის მილებს, რის გამოც მჟავბადი ეერთდებოდა ბერტოლეტის მარილს შაქართან შეერთებულს და ჩნდებოდა ცეცხლი. თვითოეულ ყუმბარას განადგურების ძალა ქონდა 20—30 ნაბიჯზე. მსგრევი ძალა თვითოეულ ყუმბარისა დიდი იყო, ვინაიდან ერთ გირვანქა ჭექთაფლადს თავისუფლად შეუძლია რკინის გზის ლიანდაგის აყრა მეორე ჩხრეკის დროს ნახული ყველა ხელსაწყო და საგნები ექსპერტების აზრით მხოლოდ და მხოლოდ შესამზადებელი იყო. დიურუელ-დის ჩვენებით 1907 წ. დეკემბერში მის ბინაზე დაესახლენ საცხოვრებლათ ორი ქართველი, ერთი მათგანი იყო 1908 წ. 20 მაისს დაჭრილი და ირქმევდა სერგოს. ამათ მასთან იცხოვრენ სამი თვე და შემდეგ მეორე ქართველი წავიდა, სერგოსთან კი გადმოვიდა საცხოვრებლათ კიდევ 4 ქართველი, რომელთა გვარი მან არ იცის. მოკლული ქართველი მასთან ბინაზე არ ცხოვრობდა, მაგრამ ხშირათ დადიოდა მის მდგმურებთან, ზოგჯერ რჩებოდა ღამითაც. შკაფი, რომელშიც ნახეს ყუმბარები, მოიტანა მისმა მდგმურმა სერგომ. რას აკეთებდენ მისი მდგმურები დიურუელდმა არ იცის. 20 მაისს ჩხრეკის დროს მოკლული ქართველი, რომელიც ირქმევდა ლუკა კორძაიას, ნამდვილათ აღმოჩნდა ივანე ნიკოლოზის ძე ინწკირველი. ალექსან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრე მაისურაძეთ წოდებული კი არ აღმოჩნდა ასეთაც და მისი ნამდვილი სახელი და გვარი ჯერ კიდევ გამორკვეული არ იყო, როდესაც ის 29 ივლისს ბაქოს ციხიდან გაიქცა. 1915 წლის თებერვალში ტფილისის ოლქის ჟანდარმთა სამართველოს უფროსმა აცნობა ტფილისის საოლქო სასამართლოს, რომ სამოსამართლო პალატისაგან გორის ხაზინაში ხვრელის გაკეთებისათვის სასჯელ მისჯილი, რომელიც თავის თავს უწოდებდა დიმიტრი დავითის ძე მაყაშვილს, აღმოჩნდა ის ქართველი, რომელიც 1908 წ ბაქოში ყუმბარების ლაბორატორიაში იქმნა შეპყრობილი ალექსანდე მაისურაძის სახელწოდებით და რომელიც იმავე წელს ბაქოს ციხიდან გაიქცა. ნამდვილათ ეს კაცი თავადი მაყაშვილი ან მაისურაძე კი არ არის, არამედ ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფელ საზანოს გლეხი თომა ამბაკოს ძე ჩუბინიძეა, რომელიც დატუსაღებული იყო და იჯდა ქუთაისის ციხეში მთელ რიგ დანაშაულობათა გამო და გაიქცა იქიდან 1907 წ. 26 სექტემბერს. ხელნაწერის შემრჩევ ექსპერტიზამ გამოარკვია რომ 1908 წ. 20 მაისს დაკავებულის ალექსანდრე მაისურაძის და მაყაშვილის წოდებით ხელის მოწერა პასპორტში ერთ და იმავე პირისაა. ყოფილ „ოკოლოტკის“ მეთვალყურემ ესაძემ თავადი მაყაშვილი შეიცნა ინ ადამიანათ, რომელიც მან აკიმოვთან და ბუშთან ერთად 1908 წ. 20 მაისს შეიპყრო ბაქოში თურქის ქ. № 115 სახლში და რომელმაც მაშინ დაირქვა ალექსანდრე მაისურაძის სახელი. ქუთაისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებლის 1915 წ. 5 ივლისის ოქმით რომელიც შედგენილია შორაპნის მაზრაში 1904 წელს დეკემბერში და 1906 წ. იანვარში რევოლიუციონურ მოძრაობაზე სჩანს, რომ სოფელ საზანოს მთელ რიგ გლეხების ჩვენებით თავად მაყაშვილათ წოდებული პირი არის ადგილობრივი სოფლის გლეხი თომა ამბაკოსძე ჩუბინიძე. ამასთანავე ექსპერტებმა დაასკვნეს რომ მაყაშვილის ხელის მოწერა თომა ჩუბინიძის ნამდვილი ხელის მოწერაა. თომა ჩუბინიძემ როგორც ბრალდებულმა დაკითხვის დროს არ იცნა თავი დამნაშავეთ თურქის ქ. № 115 ბაქოში ყუმბარების შენახვაში და თავის გასამართლებლათ სთქვა, რომ მე ნამდვილათ თავადი მაყაშვილი ვარ და რომ ბაქოში მე არასოდეს არ მიცხოვრია და არც ალექსანდრე მაისურაძის სახელი მიტარებიაო. ზემოთ მოთხრობილ ფაქტების ძალით ქუთაისის გუბერნიის შორაპანის მაზრის სოფელ საზანოს გლეხს თომა ამბაკოსძე ჩუბინიძეს, 34 წლისას, რომელიც თავის თავს უწოდებს დავით დიმიტრისძე თავად მაყაშვილს, ბრალათ ედება, რომ მან 1908 წ. მაისში ქ. ბაქოში თურქის ქუჩაზე № 115 სახლში, სხვებთან წინასწარ შეთანხმებით შეინახა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მყუდროების საწინააღმდეგო მიზნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 ჭექთაფლადით გატენილი მტყორცნელი ყუმბარა. 10 გირვანქა ბრგვინავა ცქრია, ჭექთაფლადი, ბიქფორდის ზნური, ფისტონები ბრგვინავა ცქრიათი, ნივთიერება შაქრისა და ბერტოლეტის მარილით შერეული, ტყვიის სატენი და სხვა ნივთები და ხელსაწყობი ლითონის ამფეთქებელ ყუმბარის გაწყობისათვის საჭირო. ყოველივე ეს აღმოჩენილ იქმნა აღნიშნულ ბინაზე 1908 წ. 20 და 24 მაისის ჩხრეკის დროს, ეს დანაშაულობა გათვალისწინებულია დანაშაულობათა დებულობის მე 2 ნაწ. 987-მუხლში. ამისა და У. ›. С. 1260 მუხლის ძალით ხსენებული თომა ამბაკოსძე ჩუბინიძე უნდა წარდგენილ იქმნას ბაქოს საოლქო სასამართლოში. შედგენილია 1915 წ. 11 აგვისტოს ქ. ბაქოში. პროკურორის ამხანაგი ვ. ჩიქევსკი. სამოსამართლო ძიების დროს გამოსაწვევ პირთა სია: ბრალდებული თომა ამბაკოს-ძე ჩუბინიძე, რომელიც თავის თავს უწოდებს დიმიტრის დავითის-ძე თავად მაყაშვილს, მოწმეები—გიორგი პეტრეს ძე აკიმოვი, ვლადიმერ პეტრეს-ძე ესაძე, ნიკოლოზ იაკობის-ძე ბუში და ველიამინი იაკობის ასული დიურფელდი, ექსპერტი ვ. გერი, პროკურორის ამხანაგი ვ. ჩიქევსკი.

დედანთან სწორია.

მდივნის მაგიერ (ხელის მოწერა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარეგო მთელის ქვეყნისა, შეერთდით!

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია.

ბრძოლა

ორგანო ქართველ სოციალდემოკრატთა კავშირისა.

№ 4 1902—დეკემბერი. № 4

ბრძოლა.

„ბრძოლა“ ისევ გამოდის, გაუმარჯოს ბრძოლას! ცხოვრების მიზანი კეთილდღეობაა, საშუალება კი ბრძოლა: უბრძოლველათ ჩვენ ერთ დღესაც ვერ გავძლებთ, ერთ მოთხოვნილებასაც ვერ დავიკმაყოფილებთ, ერთ საქმესაც ვერ გავაკეთებთ. ამიტომ არის, რომ ბუნებაში ყოველივე სულდგმული გამუდმებით იბრძვიან არსებობისათვის.

ბრძოლა არსებობისათვის—აი სიცოცხლის ძირითადი კანონი, მისი მატერიალებელი ჩარხი. აბა ნუ გააქანეთ ხელებს, გადაიდეთ ფეხი ფეხზე, ნუ ამოძრავდებათ და ნურც თქვენ მაგიერ სხვას აამოძრავებთ და ნახავთ თუ არ გაითელებით სხვებისაგან და არ გაითქვიფებით ცხოვრებაში. ამ საერთო ბრძოლაში, რასაკვირველია, ის იმარჯვებს, ვინც უკეთ შეიარაღებული და ბრძოლის ველზედ გამაგრებულია, ერთი სიტყვით, ვისკენაც მეტი ძალაა. მაგრამ რადგანაც თვითეული კაცი ცალკ-ცალკე უძლურია, ამიტომ მრავალი ერთდება და საერთო ძალ-ღონით საერთო ცხოვრებას იკაფავენ. ერთდებიან განსაკუთრებით ისინი, ვინც ერთგვარ ცხოვრების უღელშია გაბმული, ვინც ერთნაირ ტანჯვას და შეივწროებას განიცდის და, მაშასადამე, ბრძოლის საგანიც ერთი აქვთ. ასეთს შეერთებას ეწოდება ჯგუფების ანუ კლასების შეერთება, ხოლო მათ ბრძოლას ეწოდება **კლასთა ბრძოლა**.

საზოგადოებაში მრავალი კლასებია, მაგრამ ყველა ისინი შეიძლება ორ დიდ ჯგუფათ გაიყოს: ღარიბი და მდიდარი, გაყვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილი და გამყვლეფელი, დაჩაგრული და დამჩაგვრელი—აი ერთი მეორის მოქიშპე და მოპირდაპირე ნაწილები. ანათი ერთმანეთთან ბრძოლა შეიცავს ძველ და ახალ ისტორიას და ამ ბრძოლაში ვიმყოფებით ჩვენ დღესაც. მონა და პატრონი ძველ ქვეყანაში, ყმა და პატრონი საშუალო საუკუნოებში, მუშა და კაპიტალისტი დღეს—აი გაყვლეფილი და გამყვლეფელი კლასები. მათ შორის ატეხილი ომი სამკვდრო-სასიცოცხლო ომია და ეს ომი გრძელდება დღევანდელამდე. ჩვენ თვითონ ამ ომში მონაწილე ვართ ძალა უნებურათ, ჩაბმული ვართ მასში, მის გარეშე ვერ დარჩება ვერც ერთი ჩვენგანი და, მაშასადამე, მისი შეგნება და გათვალისწინება ბრძოლის მოგების ერთათ ერთი საშვალებაა.

მაშ რას წარმოადგენს დღევანდელი ბრძოლა? ვინ რისთვის იბრძვის და ვინ რისთვის უნდა იბრძოდეს?

მიმოვიხედოთ ჩვენს გარშემო, თვალი გადავავლოთ რუსეთსა და უცხოეთს და დავინახავთ რას? იმას, რომ დაჩაგრული კაცობრიობა აბობოქრებულა დამჩაგვრელთა წინააღმდეგ და ხმა მაღლა გაჰყვირის: კმარა მტარვალებო, გეყოფათ რაც გვტანჯეთ, შეწყდეს მტარვალობამ! ამ ხმით გამოღვიძებული ბატონები ამაყურად გასძახიან: არა, სრულებითაც არ კმარა, თქვენი დამონავება ჩვენი მოვალეობაა, თქვენი გაყვლეფა ჩვენი უფლებაა! ამ საზოგადო ხმაურობას ბანს აძლევს ჩვენი ქვეყანაც. პატივახდილმა და ბორკილ დადებულმა ნაწილმა ჩვენი ერისა უკვე აღმართა დროშა ბრძოლისა და შავი ზღვის პირიდან კასპიის ზღვამდე მეფროშეთა საყვირი გაისმის. მუშების აღეულობა ქალაქებში, გლეხთა მოძრაობა სოფლებში, ახალგაზდების წინააღმდეგობა სასწავლებლებში—აი რით არის სავსე ჩვენი ცხოვრება.

ეს დრო საისტორიო დროა, ეს არის ჩვენი პირველი გამოღვიძება პირველი ენის ამოდგმა და ვაი მისი ბრალი ვინც ამას ვერ ხედავს და მასში მონაწილეობას არ იღებს.

ამ ნაირათ, ქალაქისა და სოფლის მუშა ერთხმად ღაღადებს მჩაგვრელთა წინააღმდეგ. პირველი ებრძვის კაპიტალისტს, მეორე მემამულეს.

ეს არის ეკონომიური ბრძოლა.

მაგრამ ხალხის მტერთ ემხრობა მთავრობა და მათ სასარგებლოთ ამუშავებს პოლიციას, ჯარს და ჟანდარმებს. მოიგონეთ ბათომის მუშების სისხლი, რომელიც როტშილდის სასარგებლოთ ბარბაროსულმა მთავრობამ ასე უმოწყალოთ დაღვარა, მოიგონეთ გურიის გლეხები, რომლებითაც იმავე მთავრობამ ორიოდე მემამულის სასარგებლოთ ციხეები აავსო და სოფლებში ჯარები ჩაუყენა. მოიგონეთ გურული მოხუცი გლეხი, რომელიც ქუთაისის გამხეცებულმა გუბერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატორმა საჯაროთ გააროზგვინა. და მერე ყველა ეს რისთვის? იმისთვის რომ ხალხმა ლუკმა პური მოიითხოვა: მან სთქვა გვეყოფა ამდენი ძარცვა, ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც გვყავს ცოლშვილიო; და ამ ხმაზე მთავრობა მოდის და ხმლით ხელში უბრძანებს: ხმა ჩაიწყვიტეთ, არჩინეთ თქვენი მტერი, იმუშავეთ მათთვის, თქვენ მონად ხართ დაბადებულნი და მონათ უნდა დარჩეთო.

დიახ მთავრობა აშკარათ შეუერთდა ქვეყნის მტარვალთ და ორივე ერთად ჰლამის ხალხის დაჩაგვრას. მაშასადამე, სანამ ის თავის ძალაში დარჩება, მანამდის ხალხი ხელ-ფეხ შებოჭვილი და ბორკილ დადებული იქნება.

ამისათვის, **ბრძოლა მთავრობასთან** უპირველესი და უწმინდესი მიზანია ხალხისა.

ეს არის პოლიტიკური ბრძოლა.

მთავრობა მაშინ იქნება ხალხის მოშხრე, როცა ის ხალხისაგან მომდინარეობს, ე. ი. როცა თვით ხალხი ირჩევს თავის წარმომადგენელთ და ესენი დგებიან სახელმწიფოს სათავეში.

მაშასადამე, პოლიტიკური ბრძოლის პირველი მოთხოვნილება ხალხის წარმომადგენელობა ანუ პარლამენტია.

რა არის დღევანდელი მთავრობა? ის განხორციელებული ძალმომრეობაა, ის მათრახის მთავრობაა, მისთვის არ არსებობს არც წესი, არც სირცხვილი და, ასე გასინჯეთ, მის მიერ ხალხის სამტროთ გამოცემულ კანონსაც კი არ ასრულებს.

ამ მთავრობის დაცემა და თავისუფლების მოპოება—აი რა აწერია ჩვენს დროშას, დროშას მუშა ხალხისა. დეე, ამ დროშის ქვეშ მოიყაროს თავი ყველა იმათ, ვინც კი შევიწროვებულია მთავრობის ძალმომრეობისაგან, ვინც კი გმინავს მის უღელს ქვეშ და კვნესის მის ბრჭყალებში, და მერე ვის აწევს მისი ძმიმე უღელი? ყველას, გარდა გამყვლეფელთა მცირე რიცხვისა. ის ტვირთია, ის მახვილ ამოღებული ჯალათია იმპერიის: ყველა ხალხთა და ერთათვის ის ჩაგრავს ხალხთ ეკონომიურათ და პოლიტიკურათ, ის დევნის ერთა ეროვნულათ, მორწმუნოების თავისუფალ მოაზრეთ (ებრაელები) რელიგიურათ.

როცა ყველა ეს დევნილნი და წამებულნი შეერთდებიან და მუშათა დროშის ქვეშ თავს მოიყრიან, მაშინ მთავრობის უკანასკნელი ჟამიც დარეკავს, ქვეყნათ სინათლე გააჩირაღდნებს და წამებულთ თავისუფლება მიენჭებათ. ამისათვის ბრძოლა თავგანწირული და ულმობელი—აი ჩვენი დროშა, და ამ დროშის ქვეშ მებრძოლნი კი წევრნი აღთქმული ქვეყნისა.

დიახ, „ბრძოლა“ ისევ გრძელდება. გაუმარჯოს ბრძოლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმებო გავიდეთ ბრძოლისა ველზე!

(სამაისო)

მაღლა ავმართოთ წითელი დროშა
და იერიშით მივიდეთ მტერზე,
ძირს მეფის ტახტი! ძირს მტარვალები
ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!

—

გვეყოფა ცრემლი, გვეყოფა ტანჯვა,
კმარა სიკვდილი სახრჩობელაზე,
მაღლა ავმართოთ წითელი დროშა,
ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!

—

ციხე და დევნა, მარად შიმშილი,
რკინის ბორკილი მშრომელ ხელებზე
კმარა! ოხ, კმარა! ავმართოთ დროშა,
ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!

—

იქ იმპერატორს, მის მოციქულებს,
შევხვდებით შტიკებს ბრძოლის სანგლებზე,
მოგვყევით ვისაც გიჩქროლავთ გული,
ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!

—

აჰა, ლეგიონს—ჩვენსავე მოძმეთ
მეფე გარყვნილი თითს უშვერს ჩვენზე,
მაგრამ თამამად ავმართოთ დროშა,
ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!

—

ტანჯული ხალხი აღსდგა, ამხედრდა,
გამწვავებული მიდის მტარვლებზე,
წინ, მეგობარნო, ხალხისა შვილნო,
ძმებო, თამამად! ბრძოლისა ველზე!

—

დაღლილთ, დაქანცულთ წმინდა მსხვერპლებს
ჩამხრჩვალთ ციმბირში, სახრჩობელაზე,
შევძახოთ ვაშა, ავმართოთ დროშა,
ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ხღვიდამა ჩრთილოეთამდე
ხალხი კვნესს, სწურავს ნაღველს ცრემლებზე,
შევვერთდეთ, ძმებო, ერთად გავიდეთ
წითელი დროშით ბრძოლისა ველზე!

—

გავიდეთ დროშით და დავიძახოთ:
ხალხს გაუმარჯოს წმინდა საქმეზე!
ძირს მეფე, მისი მტარვალი ყმები,
აჰა, ჩვენ ვდგევართ ბრძოლისა ველზე!

—

ხალხს გაუმარჯოს! ძირს მტარვალები!
ხალხს გაუმარჯოს თვის მტარვალებზე,
ფრიალებს მაღლა წითელი დროშა,
ძმებო, გავიდეთ ბოძოლისა ველზე.

—

დავწყვიტოთ ჯაჭვი, მონობის ჯაჭვი,
კმარა ბორკილი მშრომელ ხელებზე ,
ძმებო, გავშალოთ წითელი დროშა,
ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!

ბუკი.

ბრძოლა—სოციალდემოკრატიული.

ბურჟუაზია მშრომელი ხალხის ბუნებრივი მტერია, რადგან მისი სიმდიდრის წყარო ხალხის ეკსპლუატაციაა. თანამედროვე მთავრობა კი გაბატონებული კლასის იარაღია. მაშასადამე ის კერძო საკუთრების, ბურჟუაზიის დარაჯია და მუდამ მზათაა მუშათა ინტერესები მდიდართა ინტერესებს ამსხვერპლოს. მუშა ხალხის მდგომარეობა თანდათან უფრო აუტანელი ხდება, უკმაყოფილება იზრდება და ბრძოლაც იწყება ლატაკთა და მყვლეფელთა შორის. გაბატონებულთა მეორეული მთავრობაც თავიდან ფეხამდე ხალხისავე შვილებით (სალდათებით) გამაგრებული იჩენს მხეცურ სასტიკობას მუშების და გლეხების მიმართ, ის ცდილობს შეაჩეროს ყოველი მოძრაობა, რომელსაც მიზნათ მუშათა განთავისუფლება დაუსახავს, გააქროს ჩაჰკლას ყოველივე სურვილი წინსვლისა, მოსპოს ყოველივე ძალა, მიმართული ბურჟუაზიისა და მისი მცველთა წინააღმდეგ; ის ცდილობს მდიდართა მცირე გუნდს დაუმორჩილოს მშრომელი ხალხი, რომლის რიცხვი და ტანჯვა მუდამ იზრდება. ასეთ პირობების წინააღმდეგ კაი ხანია რაც დასავლეთ ევროპაში მუშათა კლასი იბრძვის. უკვე რუსეთის მუშებმაც მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი გაუწვდინეს და გამოუცხადეს სამკდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რუსეთის ბურჟუაზიას და მის ერთგულ დარაჯს—აბსოლიუტიზმს, ე. ი. მონარქიულ თვითმპყრობელობას. დიდი ხანია რაც ევროპაში იმართება საერთაშორისო კონგრესები, სადაც ყოველ ქვეყნიდან სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელნი თავს იყრიან და იღებენ საერთო გადაწყვეტილებას სახელმძღვანელოთ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში.

დღეს მთელ დედამიწის ზურგზე შეგნებულ მუშათა რაზმი იბრძვის სოციალდემოკრატიულ დროშის ქვეშ. მუშა საბრძოლველ მოედანზე უშიშრათ მიდის, რადგან ბრძოლაში მას შეუძლია დაკარგოს მხოლოთ ბორკილი: საზოგადოებას მუშისათვის მეტი არაფერი შეურჩენია.

მაშ ჩვენც შეუერთდეთ ჩვენს უფროს ძმებს, თამამათ ავაკრიალოთ თავისუფლების დროშა და გამოუცხადოთ ულმობელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ბურჟუზიას და მის იარაღს თანამედროვე მთავრობას.

მაგრამ ბრძოლაცაა და ბრძოლაც, მებრძოლნიცაა და მებრძოლნიც.

უწინდელ დროშიც მომხთარა ხოლმე გლეხების აჯანყება და ბურჟუებისა და თავად-აზნაურთა შორის ბრძოლა. ისტორიას არა ერთი და ორი რევოლიუცია ახსოვს, ნაგრამ არც ერთ იმ ბრძოლათაგანს მიზნათ კლასების მოსპობა არ ქონია. პირიქით, წინა ეპოქის რევოლიუციონერები იმას ცდილობდნენ, რომ უპირატესობა მოეპოვთ, რომ გაბატონებულ კლასათ და ექსპლოატატორებათ მარტო ისინი ყოფილიყვნენ და რამენიარათ შეექნათ ისეთი პირობები, რომლების წყალობითაც უკეთესათ დაიმონავებდენ სხვებს და კლასიურ ბრძოლაში გამარჯვება მათ დარჩებოდათ.

ჩვენსა და უწინდელ რევოლიუციონერებს შორის დიდი განსხვავებაა. ჩვენ არამც თუ უსამართლოებასა და შევიწროებასა ვგრძნობთ, არამც თუ ვილტვით მოვიცილოთ კისრიდან დესპოტიზმის სამარცხვინო უღელი, არამედ ჩვენ მტკიცეთა გვწამს **ისტორიული აუცილებლობა**, გვწამს, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა აუცილებლათ სულ სხვა საფუძველზე უნდა დამყარდეს; ჩვენ გვწამს, რომ თანამედროვე საზოგადოება, რომელიც ორი კლასისაგან—მჩაგვრელთა და დაჩაგრულთაგან—შესდგება, **უნდა მოისპოს**: ჩვენ გვწამს, რომ საწარმოვო ძალების განვითარება სპობს კერძო საკუთრებას და მაშასადამე თვით კლასებსაც. ჩვენ შეგნებულნი მებრძოლნი ვართ გარკვეულის და მკაფიოთ გამოთქმული სოციალდემოკრატიული პროგრამით, რომელიც შემუშავებულია და დამყარებული მეცნიერულ საფუძველზე. ჩვენ თამამათ ვიბრძვით სოციალდემოკრატიული იდეა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისათვის, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლათ უნდა განხორციელდეს ქვეყანაზე და დაამყაროს თანასწორობა.

ჩვენი მიზანი მარტო ის კი არ არის, რომ რომელიმე კერძო კლასი გავათავისუფლოთ მონობისაგან. არა—ჩვენი მიზანი ბევრათ ფართოა, ბევრათ დიდია: ჩვენ ვიღწვით მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის. სრულ ჭეშმარიტებას აღიარებენ მარქსი და ენგელსი, როცა ამბობენ (კომუნისტ. პარტიის მანიფესტი): „მოსპეთ ერთი კაცისაგან მეორეს ექსპლოატაცია და მით ბოლო მოეღება ერთი ერისაგან მეორე ერის ექსპლოატაციას. თვით ერში კლასიური ანტაგონიზმის მოსპობასთან ერთად მოისპობა ერთა შორის მტრობაც“

მაშასადამე, ჩვენი გამარჯვება საყოველთაო თავისუფლებისა და თანასწორობის გამარჯვებაა.

ჩვენი იდეალის განხორციელებას ხელს უწყობს თვით ეკონომიური განვითარება.

ტეხნიკის განვითარების წყალობით ექსპლოატაცია უფრო და უფრო ფართოვდება, უფრო და უფრო დიდ-ძალ მსხვერპლს იღებს თავის პრჭყალებში, რომელთა შორის ქალებიცა და ბავშვებიც ბლომათაა. რაც უფრო ვითარდება ტეხნიკა, მით უფრო, შედარებით წარმოების განვითარებასთან, ნაკლებ მუშა ხელს საჭიროებს მწარმოებელი რადგანაც მუშის მაგიერობას ეხლა მანქანები ასრულებიებს. ამიტომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში დიდ-ძალი მუშა ხალხი რჩება უსაქმოთ და იძულებული ხთება ყოველდღე ბაზარზე ეძიოს სამუშაო და შეაძლიოს თავისი შრომა კაპიტალისტებს, რომელნიც ამ „მეტ ხალხში“ აღარ საჭიროებენ. ცხადია, ასეთ პირობებში მუშა ხალხი კიდევ უფრო დამოკიდებული ხთება კაპიტალისტებისაგან, რის გამოც მუშის ექსპლოატაცია თან და თან უფრო ძლიერდება. ყველა ეს იწვევს ოჯახის დარღვევას და გარყვნილების გავრცელებას.

ტეხნიკური პროგრესი ვაჭრობა წარმოებაში (მეუნეობასა და მრეწველობაში) უფრო მეტს და მეტს კაპიტალს თხოულობს, და ამიტომ მცირე და საშვალო შეძლების მწარმოებელთ თან და თან აძევებს წარმოებიდან, ან თან და თან უკარგავს დამოუკიდებლობას და ხდის დამოკიდებულათ მსხვილ კაპიტალისტებისაგან.

იგივე ტეხნიკური პროგრესი მწარმოებელთა შორის ამწვავებს კონკურენციას, და საწარმოვო ძალების სიმრავლე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საქონლის ზედმეტ წარმოებას და კრიზისებს იწვევს. ამ გარემოებას თან მოსდევს ვაჭრობა-მრეწველობის შეფერხება, სუსტი კაპიტალისტების გაღარიბება და წარმოების ველიდან გარეკა. მათ ადგილს, რიცხვით მცირე, მაგრამ უფრო მსხვილი კაპიტალისტები იპერენ. მეორე მხრივ კრიზისები ათასობით და ათი-ათასობით სტოვებს ხალხს უსაქმოთ, მაშასადამე ულუკმაპუროოთაც, რაც ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორათ ამწვავებს მუშა ხალხის ტანჯვა-წვალებას და მათ **დამოკიდებულებას კაპიტალისაგან**. როგორც ზევით ვთქვით, კაპიტალისტთა რიცხვი მცირდება, სიმდიდრე თან და თან ცოტა პირების ხელში გროვდება. „ეს გარემოება იწვევს საშინელ საყოველთაო სიღატაკეს, მონობას, დაბეჩავებას, გადაშენებას და ექსპლუატაციას, მაგრამ მეორე მხრივ იგივე გარემოება მატებს პროტესტს და წინააღმდეგობას აუარებელ მუშათა მხრივ, რომლებიც თვით კაპიტალისტური წარმოების მექონიზმმა თან და თან გაამრავლა, შეაჯგუფა, შეაკავშირა ერთათ და შეაგნებია თავის ინტერესები“ (მარქსი). ამნაირათ ტეხნიკური განვითარება, რომელიც ამასთანავე შრომის განაწილებას და საზოგადო სიმდიდრის ზრდას ნიშნავს, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში თან და თან თვალსაჩინოთ ხთის და ამკაცრებს არსებულ უთანასწორობას და აღრმავებს უფსკრულს შეძლებულთა და შეუძლებელთა შორის. ამასთანავე მატულობს მუშა ხალხის უსაქმოთ დარჩენა, მათი შევიწროება და საყოველთაო განსაცთელი.

ამნაირათ, პროლეტართა რიცხვი თან და თან იზრდება, მუშებსა და კაპიტალისტებთა შორის უფსკრული თან და თან თვალსაჩინო ხთება, მაგრამ ამასთანავე მუშათა შორის ერთსულობა, ერთგულობა და საკუთარი ინტერესების შეგნება იზრდება მათში უფრო ცხოველდება რწმენა სოციალური პირობათა შეცვლის აუცილებლობისა და შეგნება თავისი ძლევამოსილობისა. კლასიური ბრძოლა მწვავდება და შეგნებულ მუშათა რაზმები უფრო მჭიდროთ უკავშირდებიან ერთმანეთს საერთაშორისო სოციალდემოკრატიული დროშის ქვეშ და ემზადებიან სამკვდრო-სასიცოცხლოთ შეებრძოლონ ყოველგან ბურჟუაზიას. ამასთან ერთათ ტეხნიკის განვითარება თან და თან თავს უყრის რამოდენიმე შეძლებულის ხელში საწარმოვო იარაღებს, და სხვა; ამას თან მოსდევს შრომის განსაზოგადოებრივება და უფრო სწრაფათ ჩნდებიან ისეთი ნივთიერი პირობები, რომლებიც აადვილებენ კაპიტალისტური წარმოების გარდაქმნას სოციალისტური წარმოებით... შორს არაა ის დრო, როდესაც კაპიტალისტური წესწყობილებიდგან შექმნილი რევოლიუციონური ძალები მოსპობენ კერძო საკუთრებას. კერძო საკუთრების მოსპობასთან ერთათ მოისპობა საზოგადოებაში კლასები და ბოლო მოედება სხვა და სხვა გვარ ათასნაირ ექსპლოატაციას. ასეთია ჩვენი სოციალდემოკრატიული რწმენა, ასეთია რწმენა ნამდვილ მარქსისტთა.

ქართველ მუშათა სოციალდემოკრატიული პარტია ერთ რაზმთაგანია რუსეთის მუშათა სოციალდემოკრატიული ორგანიზაციისა, იგი ადგენს ქართველ პროლეტარიატისაგან პოლიტიკურ პარტიას, უთვალისწინებს მათ კაპიტალისტებისა და მუშების შეურიგებელ და შეუწყნარებელ წინააღმდეგობას, უხსნის მომავალი სოციალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციის მნიშვნელობას და მის გასახორციელებლათ საჭირო პირობებს. აჰასთანავე ქართველ მუშათა პარტია ყველა მშრომელ ხალხს უთვალისწინებს მის უმწეო მდგომარეობას კაპიტალისტურ საზოგადოებაში და სოციალურ რევოლიუციის აუცილებლობას, როგორც ერთათ-ერთ გზას კაპიტალის მონობიდან შრომის განთავისუფლებისას. მუშათა სოციალდემოკრატიული პარტია ხელს უწვდის ყველა მშრომელ ხალხს, ყველა მათ, ვისაც ასე უსირცხვილოთ ცარცვავენ კაპიტალისტები, მემამულეები და სხვ. იწვევს თავისაკენ ყველა იმათ, ვისაც შეხედულობა ეთანხმება პროლეტარიატის შეხედულობას.

ასეთია ჩვენი პროგრამმა, ასეთია ჩვენი საზოგადო მისწრაფება.

მარსელიოზა

(იმღერება მარსელიოზას ხმაზე).

ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ—წესებს,
ჩამოვიბერტყოთ ფეხზე მის მტვერი;
ზიზღით უცქერით ჩვენ ოქროს კერპებს,
მეფის ტახტის ვართ მოსისხლე მტერი.

—

ჩვენ მხარი მივცეთ ჩვენს ტანჯულ მოძმეს,
მშიერ ხალხს ხელი ჩვენ გაუწოდოთ.
წყევა და კრულვა შეუთვალოთ მტერს
და ბრძოლის ველზე გამოვიწოდოთ.

—

„აღსდეგ, შემოკრბი, მუშავ აღსდეგინ,
„აღსდეგ მტერზედა, მშიერო ძმანო,
„შურის ძიების დასჭექე ხმაო!
„ვასწი, გასწი, წინ, წინ, წინ!

—

(მისაღერი)

შენ მოგასვენებს მხოლოთ საფლავი,
აქ კი მუდამ დღე ხარჯი იხადე.
სისხლსა გწოვს მეფე სულთამხუთავი,
მეფისთვის სისხლი ამოიხადე.

—

მას ჯარი ნებავს შენ სისხლ საღერელათ,
მიართვი მტარვალს შენი ვაჟები;
სასახლე ნებავს განსაცხრომელათ,
მიართვი მტარვალს შენი ძარღვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აღსდეგ, შემოკრბი და სხვა...

—

მშიერ მგლებივით მდიდართა ხროვა.
შენს ნაწვავ ნადაგს მიმოიტაცებს.
მაგ შენი ოფლით სოფს მუქთახორა
და სიმწრის ლუკმას ის ხელიდან გგლეჯს.

—

შიმშილით მოკვდი, რომ მან ილხინოს,
შიმშილით მოკვდი, რომ მან ბირეაზე
სინდის-ნამუსი თვისი ჩაწიხლოს,
გადადიოდეს მალაყს შენს თავზე.

—

„აღსდეგ, შემოკრბი და სხვა..

—

ნუ თუ არ გვეყო ტანჯვა აქამდე,
მო, გავილაშქროთ ერთად მტრისკენა:
კავკასიიდან ვიდრე ოლგამდე
და დნეპრის წყლიდან თეთრ ზღვისაკენა.

—

მტრობა, მაგ ძალღებს, მდიდარ ქოფაკებს.
მეფეს,—მაგ ბოროტს, სულთა მხუთავსა,
ჰკა, მუსრი ავლე მაგ ავაზაკებს,
კარი გაუღე ცისკრის ვარსკვლავსა.

—

„აღსდეგ, შემოკრბი და სხვა...

—

სისხლის ფერ ცისკარს თან ამოჰყვება
მზე სიყვარულის და სამართლისა
და თუმცა ძვირათ ჩვენ დაგვიჯდება
ბედნიერება ჩვენი ქვეყნისა,

—

მაგრამ დალპება მთლათ ბოროტება,
დღე გათენდება თავისუფლების,
და ყველა ერი იქ შეერთდება
კალთის ქვეშ წმიდა შრომის უფლების.

—

„აღსდეგ, შემოკრბი, მუშავ, აღსდეგინ,
„აღსდეგ მტერზედა, მშიერო ძმანო,
„შურის ძიების დასჭექე ხმაო!
„გასწი, გასწი, წინ, წინ, წინ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორესპოდენციები:

ტფილისი. სალამი თქვენდა მებრძოლნო-ამხანაგნო! სალამი თქვენდა, დამცველნო კაკობრიობის უფლება-მოკლებულ ნაწილისაო, სალამი თქვენ და თქვენ საბრძოველათ გაბედულ მოწოდებას. ჩვენთვის, რომელნიც ბრძოლაში ვიტანჯებით, „ბრძოლა“ შეიქმნება იმ დროშათ, რომელიც შეუდარებლათ მიილტვის წმინდა იდეალისაკენ, დევიზით, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისავ შეერთდით“. და თავის უფლებათა და მოვალეობათა სრული შეგნებით იბრძოლებს საერთო მტრის წინააღმდეგ! არის კიდეც, რის წინაღმდეგ ვიბრძოლოთ. აი თუნდ ჩვენი ტფილისი, სადაც პირველად დაიძრა კავკასიაში მუშათა ძლეგამოსილი კლასი და დაანახვა საზოგადოებას თავისი ძლიერი მკლავი; აქაც კი, საცა მრეწველობა მეტათ ჩქარი ნაბიჯით ვითარდება, ჯერ ბევრში და ბევრგან პატრიარქალური წესებია გამეფებული, თუმცა უფრო აშკარაა მყვლეფელთა და გაყვლეფილთა, შრომის (ძალის) გამყიდველთა და მყიდველთა ინტერესების წინააღმდეგობა. ძლიერ კეთილი გულისანი არიან ჩვენი წურბელა—ღლები, და მათი გულკეთილობა ფრთებს ზლის ჩვენი დესპოტიური თვითმპყრობელობის ფრთათა ქვეშე. აიღეთ მაგალითად მეფაბრიკე ბოზარჯიანცი. ეს მუქთა-ხორა ძლიერ ზრუნავს და ბევრსაც ფიქრობს თავის მუშებზე და სწორეთ ამიტომაც არის, რომ თავისთან იტოვებს ამათი ქირის „მცირეოდენ ნაწილს“. მას უნდა მომავალში მოახმაროს იგი მუშებს, ამ გზით და მიზნით მან შეკრიბა ოცდა ათი ათასი მანეთი. დიახ, მეტათ გულკეთილია ბატონი ბოზარჯიანცი, ის მამობრივი თანაგრძნობით ეკიდება ჩვენს საქმეს და ამიტომაც სარგებლობს ამდენი ხნის განმავლობაში ამ ფულებით უპროცენტოთ. მართლაც და რასაკადრისია მამასა და შვილებ შორის ასეთი წვრილმანი ანგარიში, ან ის, რასაკვირველია, რომ ამ მამა-ბატონმა ერთ მშვენიერ დღეს მთლიანად ასწაპნა ეს ფულები. ის სარგებლობს ჩვენი ერთმანეთზე დაშორებით და თავისი მუშების მოთხოვნას, რომ ეგ ფულები მოხმარებოდა დაავადმყოფებულთა, ინვალიდთა და სხვა ამ გვართა დახმარებას,—ჩირათაც არ აგდებს და თამამათ აცხადებს, რომ არც დაემორჩილება მას. თუ მუშებს რამე ძალა და უფლება აქვთ სამართლით მომთხოვონ და მივარომეო, ბრძანებს ჩვენი გულკეთილი მამა-პატრონი. მუშებმა თავდა პირველათ გაფიცვა გამოაცხადეს და მუშაობა აღკვეთეს, მაგრამ ჩვენი მტერი და დამამარცხებელი ხომ ყოველთვის სოლიდარობის მოკლებულობა ყოფილა და არის და, აი აქაც ამან იჩინა თავი და მუშებმა ისევ დაიწყეს მუშაობა. ქარხანა ამოქმედდა ის ფულებიც ჯერ კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ მის ხელშია ან ვინ წაართმევს—მე შენ გეტყვი ჩვენი უსამართლო სამართალი! ახლაც ამ გამოურკვეველ მდგომარეობაშია საქმე და ასე იქნება ყოველთვის, სანამ ჩვენ არ გავიმსჭვალებით ერთობის გრძნობით. მაშინ კი გამარჯვება ჩვენია!

გაფიცვები ტფილისში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. დღეს გაფიცვაა ადელხანოვის ზავოდში. ხვალ ქართველთა ამხანაგობის სტამბაში, ზეგ რკინის გზის სახელოსნოებში და ასე კიდევ სხვაგან. ახლახან გაიფიცნენ მკერავთა ქარგლები. მათ მოითხოვეს სამუშაო დღის შემცირება და ნაჭრებზე ფასის მომატება და მიაღწიეს კიდეც საწადელს. აღებმა დაუთმეს ორივე მოთხოვნა. დღეს გამოკიდებულია განცხადებები, რომ სამუშაო დღე გრძელდება დილის რვა საათიდამ საღამოს რვამდე, ღამის მუშაობა სრულიათ აკრძალულია და სამუშაო ქირის მინიმუმია დადგენილი. სახელდობრ, უცოლო მუშას უნდა ექნეს არა ნაკლებ ოთხი მანეთისა კვირაში, ცოლიანებს კი არა ნაკლებ ხუთისა, თუნდაც მთელი კვირის განმავლობაში არც ერთი ნაჭერი არ ექნეს აღას დასამუშავებელი, ეს გამარჯვება შედეგია თანხმობა-ერთობისა და ეს უნდა ვიქონიოთ სახეში.

ბრძოლამ კრიტიკულ მომენტამდე მიაღწია. აშკარაა ვის დარჩება გამარჯვება, მხოლოთ საჭიროა მედგრათ ვიბრძოლოთ სოციალ-დემოკრატიულ დროშის ქვეშ და ჩვენ ვერას დაგვაკლებენ ნიკოლოზის უნიჭო მფარველები. მათ არ ძალუძთ ჩვენი შეჩერება. მაშ ვიბრძოლოთ მედგრათ ჩვენი უფლებისათვის, სოციალისტთა წმინდა იდეალის მისაღწევათ.

გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას!

განსაკუთრებით სასიამოვნოა ის, რომ ტფილისის მუშა ხალხმა უკვე მოიპოვა მოქალაქობრივი გულადობა და გამბედაობა, ის აღარ მალავს თავის პოლიტიკურ აზრებს და ყოველი შემთხვევით სარგებლობს მის საჯაროთ გამოსაცხადებლათ. ამის მაგალითები ერთობ ბევრია. ჩვენ კი მოვიხსენიებთ მხოლოთ შემდეგს: წელს ზაფხულში აქ გარდაიცვალა მუშა სოციალდემოკრატი. მუშათა კომიტეტმა მაშინვე გადაწყვიტა თავისი ამხანაგისათვის პატივი ეცა და მისი გასვენება მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციათ გადაექციათ. ამას ალბათ კარგათ მიხვდა პოლიციაც, როცა ნება დართეს დიდუბიდან პეტრეპავლოვის სასაფლაოზე გაესვენებიათ ელიზავეტის ქუჩით და არა მიხეილის პროსპექტით, მაგრამ 3000-დე თავმოყრილ მუშამ უარჰყო ეს განკარგულება და ცხედარი გამოატარეს აკრძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლულ პროსპექტზე, გადავიდენ რიყეს და მეტეხის ციხის კედლებზე. პროცესია გაჩერდა სწორედ იქ, სადაც არა ერთი და ორი მუშათა მებრძოლი დესპოტიზმის ძალმომრეობას განიცდიან. და აი აქ გაისმის ხალხის გულიდან ამონახეთქი ხმა: ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს თავისუფლებასო! რაიცა ნიშნავს: ძირს სულმხუთავო მეტეხო, სალამი იქ დამწყვდეულ ჩვენს მოძმეთო! და ამ ხმაზე დაფაცურდა ციხის მთავრობაც, ეს არის ჩვენს დასაცემათ მოდიანო! მარა არა, ეს იყო მხოლოდ მომზადება, ვარჯიშობა მომავალი რევოლიუციისა და მეტეხის კარების დალეწისა; ეს არის რეპეტიცია დიდი სამკვდრო-სასიცოცხლო მოქმედებისა, რომლის უკანასკნელი აქტი იქნება უკანსაკნელი ამოსუნთქვა სულთმობრძავი მთავრობისა.. ცხედარი ჩაატარეს ციხის კარებთან და მიაბარეს მიწას სასაფლაოზე, მიაბარეს და თან სხვა რევოლიუციური სიტყვებით აღთქმა დადვეს იყონ დაუძინებელი მტერი მტარვალობისა.

ასეთივე დემონსტრაცია მოხდა ამავე კვირაში მეორე მუშის გასვენების დროს. ტფილისის მუშებმა იციან არა მარტო მკვდარი ამხანაგთა პატივისცემა, არამედ ცოცხლებისაც. ამ თვეში რუსეთში გადაასახლეს 22 აპრილის მანიფესტანტები, რიცხვით 6 კაცი: მამალაძე, თათანეიშვილი, არაქელ ოქუაშვილი, ვიგრიბიანი, გიორგობიანი და სხვ. პირველი ორი გაგზავნეს ბათუმით, დანარჩენი კი ბაქოთი წავიდენ და აი ამ თვითმპყრობელობის მსხვერპლთა პატივ-საცემლათ დაიბეჭდა პროკლამაციები სამს ენაზე და 2000—3000 მუშამ ბაირაღებით და მარსელიეზის სიმღერით გააცილეს ვაგზალზე. მთელი ვაგზალი პლატფორმებით და გზებით ნუშებმა დაიჭირეს, აძრული მატარებელი გააჩერეს და ნახევარი საათი „გაუმარჯოს თავისუფლების“ ხმაურობაში ამყოფეს. ჟანდარმები, რომელნიც შეეცადნენ ბაირაღების წართმევას, გალახეს, ერთს ხელი მოსტეხეს. იმათ რევოლვერები ისროლეს ჰაერში, ალბათ შესაშინებლათ. პოლიცია არ გამოჩენილა.

აქედან ცხადია, თფილისის მუშა ხალხი აღარ მალავს თავის აზრებს, აღარ მალავს, რომ ის დაუძინებელი მტერია მთავრობის. და აი მთავრობა ხედავს ყველა ამას და შორიდან უცქერის! ის ვეღარ ბედავს ხელი შეუშალოს დემონსტრანტებს. წინ გადაეღობოს მათ და უთხრას: შესდექით, ეს აკრძალულიაო! არა, ის რაც გუშინ აკრძალული იყო, დღეს აღარ არის აკრძალული, აღარ არის იმიტომ, რომ ხალხი ცდილობს საქმით მოიპოვოს ის, რასაც კანონი კრძალავს.

კიდევ ასეთი გაბედული მოქმედება, ხშირათ ასეთი მაგალითები და გზა-ქვალ დაბნეული მთავრობაც სამუდამოთ დაფრთხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ, მუშებო, მხნეობა, თავის დადება და მტარვალთა უკანასკ-
სკნელი ჟამიც დაირეკება.

ამხანაგი.

წერილი გურიიდან. „ქარმა რომ საქათმე წააქციოს ეხლა ჩვენში, მემამულეები მაშინვე პრისთავთან გეიქცევიან—არიქა გვიშველე ბუნტიაო“,—ასე იოხენჯა ამას წინათ ერთმა გურულმა გლეხმა. ეს იოხენჯობა სრული სინამდვილეა; საჭიროა მხოლოთ ითქვას: არა მარტო მემამულეები აზვიადებდენ ასე საქმეს და ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ ხალხისთვის ჩირქი მოეცხოთ, ცილი დაეწამებიათ და „ბუნტოვჩიკებათ“ გამოეყვანათ,—არა ასე მოიქცა თვით მთავრობაც; მან ხალხის სამართლიან მოთხოვნილებას, მოთხოვნილებას წმინდა ეკონომიური ხასიათისას, პოლიტიკური ხასიათი მისცა და „ურჩ“ სოფელებს გარს ჯარი შემოარტყა. სახუმაროა! მიზეზი იშოვა ჩინის და ორდენების შეძენისა. მართლაც და რას თხოულობდა ასეთ უშველებელს ხალხი, ან რა საშინელი დანაშაული მიუძღვის მას ვისმეს წინაშე, ან რა მიზეზებმა გამოიწვია მოძრაობა ჩვენში?

ის ფული, რომლითაც აქაურ გლეხობის ერთმა ნაწილმა თავი დაიხსნა მემატონეთაგან, დღესაც თავს აწევს მათ გადასახადათ: მამასისხლათ ნასესხი ფულის სარგებელი დღითი დღე იზრდება და უპატრონო გლეხი უფრო და უფრო ეხვევა ჩარჩ-მოვახშეთა დაქსაქსულ ბადეში. ამას გარდა ზედ დაუმატეთ ათასნაირი პირდაპირი და არა-პირდაპირი სახელმწიფო გადასახადი, რომლის გამოძებნაში ასეთ დიდ უნარს იჩენენ ჩვენი სამინისტრონი: ახლა კიდევ მღვდლების საარაკო დრამის ფული და ადგილათ წარმოიდგინეთ რა ბედნიერათ უნდა გრძნობდეს გლეხი თავს. თავ-დაუხსნელ გლეხობის მდგომარეობა, რაღა თქმა უნდა, კიდევ უარესია. როგორც ერთნი ისე მეორენი იძულებულნი არიან ბატონის მიწაზე იმუშაონ, რადგან თავდახსნილთ ძალიანი ცოტა აქვთ მიწა და თავ-დაუხსნელნი ხომ სულ ხელ-დაბანილები არიან. წინად სამეოთხედოთ იცემოდა ყანები და მას აქეთ რაც თავად-აზნაურთა მამულსაც გადასახადი დაადეს, ამ უკანასკნელთაც მიწის ღალა ასწიეს და მოსავლის ნახევრისა და ორი მესამედის თხოვნა დაუწყეს გლეხებს: საქმე იქამდე მივიდა, რომ ყანის კიდეში გლეხი ხარს მოაძოვებდა, მოურავები იჭერდენ და საბალახოს ახდევინებდენ; იხვი, ბატი, ქათამი, რაც კი ბატონის მიწაზე გაივლიდა (და სად არი, რომ იმისი მიწა არ იყოს) ყველაფერზე საბალახოს არ-ომევდენ. შევიწროვდა და შეწუხდა ხალხი. გლეხი ხნავს, თესს, ფარცხავს, თოხნის; დღე და ღამ მიწას ჩაკირკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებს; მძიმე და აუტანელი შრომით წელში გაწყვეტილია და ყველა ამის სამაგიეროთ ნახევარჯერ მჯადსაც დანატრულებულია, მშიერ-მწყურვალი დახეტიალობს და ქაჯივით შიშველ-ტიტველი დაძრწის; წვითა და დაგვით მონაგარი ორიოდე გროშიც სახელმწიფოს მიაქვს, იმიტომ რომ „დიდ ჩინოვნიკებს“ დიდი ჯამაგირები დაუნიშნოს და ურიცხვი ჯარი ავარჯიშოს სოლოაში, რომ ხვალ თავისავე მომძულ ტყვია არ ააცდინოს. რაც ამ ორ ვეშაპს გადარჩება, იმას მესამე ვეშაპი ყლაპავს—სამღვდელოება. რათა, რათ უნდა იყოს ეს ასე? ეს საოცარი უსამართლობაა! გურული გლეხობა გონიერია—მან შეიგნო ეს უსამართლობა და ხმა აიმაღლა.

ერთ სოფელს მეორე სოფელი მიემხრო, ერთ საზოგადოებას მეორე საზოგადოებამ მისცა ძმურათ ხელი და უკმაყოფილება და პროტესტი ცეცხლივით მოედო გარშემო. ამნაირათ გლეხების მოძრაობის მიზეზი: **შიმშილი** და **გაჭირვება, გაჭირვება** და **შიმშილია**, ბატონებო! რას ითხოვდა ხალხი? აი რას: მიწის ღალის შემცირებას, საბალახოზე გადასახადის და დრამის ფულის მოსპობას. მღვდლებს ჯამაგირები ეძლევა. ნათლობისას, ჯვარის წერისას, სახლის კურთხევისას და ათასნაირ ჯანდაბას და დოზანას გვახდევინებს და ეს დრამის ფული კიდე რაღა უბედურებაოო, ამბობს ხალხი. ნიგოითის, ჩოჩხათის, გურიანთის და ხიდისთავის გლეხობა გაიფიცა. გაჩდენ ჯაშუშები, პოლიციამ მიზეზი იშოვა და ჩაერია საქმეში, ჩაერია პოლიცია და ნათლად დაანახვა ხალხს, თუ ვის ემსახურება ის, ან ვის ინტერესს იცავს.

დაიწყეს მოწინავე გლეხების დატუსაღება. პირველათ ლანჩხუთის პრისტავმა მისცა სხვებს მაგალითი და რამდენიმე ნიგოითელი გლეხები დააპატიმრა. ხალხმა გაიგო თუ არა ეს, შეგროვდა ერთად და გადაწყვიტა დაეხსნა დაჭერილი ამხანაგები; რვაასი კაცი მიეჭრა ნიგოითიდან ლანჩხუთში (შვიდი ვერსია) ბოქაულს და აიძულა გაენთავისუფლებია დაჭერილები. შემდეგ მაზრის უფროსის თანაშემწემ წერეთელმა, ამ ფლიდმა და გაიძვერა ადამიანმა, მოინდომა ყურადღების დამსახურება, ჩამოუარა სოფლელებს და კიდევ რამდენიმე მოწინავე გლეხი დააპატიმრა. წერეთელს თვით დიდი ღუბერნატორის თანაშემწე მოჰყვა ჟანდარმთა პოლკოვნიკით და ყაზახთა რუსების რაზმით და დისციპლინის დასამყარებლათ როზგს მიმართა: წამოაქცევინა ერთი მოხუცი გლეხი და ხალხის თვალწინ გააროზგვინა. სულ დაიჭირეს 190 კაცი; ამათში 5 ინტელიგენტი, დანარჩენი გლეხები.

ჩვენ დავინახეთ, თუ რა მიზეზებმა გამოიწვია ხალხის მოძრაობა, დავინახეთ ისიც თუ რა დანაშაული მიუძღვის ხალხს მემამუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეებისა და მთავრობის წინაშე; ეს დანაშაული იმაში გამოიხატა, რომ ხალხმა ხელი წაავლო ყელში წაჭერილ ბოკს, რომ თავი აუცილებელ სიკვდილისაგან დაეხსნა. სიკოცხლე ტკბილია. დავინახეთ ისიც, თუ რითი უპასუხა მთავრობამ: სატუსაღოთი, მათრახებით, როზგით და ბოლოს სალდათების სოფელში ჩაყენებით.

დღეს დღეობით მთავრობა დარწმუნებულია, ვითომ ხალხში ჩააქრო მან მებრძოლი სული და დღეიდან ყველაფერი ძველებურ წეს-რიგზე დაიწყებს მიმდინარეობას. როზგმა თავისი შეასრულა: დაამყარა მონური მორჩილება და დისციპლინაო. ცდება! მაგრამ ის ხომ მთავრობაა და მთავრობა კი ყოველთვის ასე უკულმა ფიქრობს.

მიზეზი ხალხის უკმაყოფილებისა ისევ მიზეზათ დარჩა და, მაშასადამე, ერთი და იგივე მიზეზი, ერთ და იმავე შედეგს გამოიწვევს. ეს ერთი. მეორე, მთავრობამ, როგორც ეს ხშირათ ხდება ხოლმე, მისდა უნებურათ დაუფასებელი სარგებლობა მოუტანა ხალხს. თავისი მტარვალური ქცევით მან ნათლათ დაანახვა გლეხობას, თუ რისი ან ვისი დამცველია ის. დღევანდელი მოძრაობა თუ მემამულეთა და სამღვდელოების წინააღმდეგ იყო მიმართული, მომავალ ბრძოლის პროგრამაში ის მთავრობასაც შეიტანს, და თუ დღეს ხალხი იძახდა: ბოლო მოეღოს მემამულეთა თაოსნობას, შორს ჩვენგან სამღვდელოებაო, ხვალ, ამ სანატრელ ხვალ, ის დაიძახებს: ძირს თვითმპყრობელობა, ძირს ძალ-მომრეობაო! დაიძახებს ამას ხალხი და ქალაქის პროლეტარიატიც ძმურათ ხელს გაუწვდის, გვერდში ამოუდგება და ერთი იდეით გატაცებულნი დაამხობს რაც დასამხობია.*)

წერილი ბაქოდგან. სალამი თქვენდა, ამხანაგებო, სალამი ძმური! გილოცავთ ახალ ორგანოს, რომელმაც დიდი სამსახური უნდა გაგვიწიოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამ ბოლო წლის პროპაგანდამ არა ერთსა და ორ ახალგაზდას აღუძრა სურვილი ნამდვილ ცოდნის შეძენისა და პროლეტართა თვალთახედვის ისრით აღჭურვილთ, ყოველ დღიურ მოვლენათა ახსნისა და განმარტებისა.

დღეს-დღეობით მე მინდა ვისარგებლო ამ მშვენიერ შემთხვევით და გაგიზიაროთ თქვენ ის შთაბეჭდილება, რომელიც გამოვიტანე მე ამ ერთის წლის პრაქტიკულ მოქმედებიდან.

უპირველეს ყოვლისა, მე ვეცდები საზოგადოდ დავახასიათო აქაური პროლეტარიატი და ისიც იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა

---

*) ამხანათ ყველა დატუსაღებულები გამოუშვეს გარდა ოცი კაცისა, რომელთა საქმე ჟანდარმების ხელშია. გურიის ადგილობრივ პოლიციის თხოვნით ჟანდარმებმა ხელ-ახლათ შეუდგენ ამ საქმის გამოძიებას, მაგრამ, როგორც შევიტყეთ, ამთაც ვერაფერი გამოურკვევიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტურ მოძრაობის ასახსნელად. არც ერთ ქალაქში მეტად შეხვედრივარ მუშათა შორის ისეთ ეროვნებათა სხვა-და-სხვაობას, როგორც ეს ბაქოშია. კავკასიის ათას-გვარ ტომთა გარდა აქ თქვენ შეხვდებით რუსეთის ყოველ კუთხიდან გადმოსახლებულთ, შეხვდებით პოლონელებს, ლიტოვცებს, ლატიშებს და სხვას... არა იშვიათად შეხვდებით თქვენ ერთ დაზგაზე მომუშავეს საშუალო აზიის თურქმენს და გერმანელ ზეინკალს, ყაზანის თათარს და ინგლისელს „ტოკარს". ძლიერ ძალას კაპიტალისას ძლევა-მოსილ შიმშილის საშუალებით მოუგროვებია ერთ ნაჭერ მიწაზედ ეს აუარებელი ხალხი, იმ გამოფიტულ და მწირ მიწაზე, სადაც ხეც-კი არ იზრდება ბუნებრივად, მოუგროვებია ხალხი სულ სხვა-და სხვა კულტურისა, მიჩვეული სხვა-და-სხვა გვარ ცხოვრებას, აღზრდილი სხვა-და-სხვა პირობებში იმისთვის, რომ ბოთას გვარ მასალიდან რაც შეიძლება უფრო მეტი წვენი გამოსწურწნოს, ბარბაროსული ექსპლუატაცია უმაღლეს წერტილამდე აიყვანოს: და ის ამ მიზანს ზედმიწევნით აღწევდა. ამ-ედ ხანს, იმისთვის, რომ მუშებში არ იყო გაღვიძებული თვითცნობიერება და, მაშასადამე, არც კლასიური ინტერესი. ეხლა მე მინდა თქვენი ყურადღება იმ გარემოებას მივაქცეო, თუ რომელი ეროვნების მუშა ხალხი რომელ სამუშაოს უფრო ეტანება.

აქამდი პროფესიონალურ მუშებად რუსეთიდან გადმოსახლებულები და უცხო მუშები ითვლებოდნენ; ზეინკლებს, „მადელშიკებს" და სხვას ადგილობრივ მცხოვრებთაგან ვერ შეხვდებოდით; მხოლოდ ამ ბოლო დროს პროფესიონალურ მუშებს ჩვენ ვხედავთ ქართველებში და სომხებში. თათრები, სპარსელები და მთიულები განსაკუთრებით შავ-სამუშაოს ასრულებენ. ხელოსნებად უმთავრესად ურიები გამოდიან. მუშების ასეთი დანაწილება ჩვენ შეძლებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, თუ მუშების რომელ კატეგორიიდან უნდა დაწყებულიყო მოძრაობა. რაღა თქმა უნდა პროფესიონალური მუშები, როგორც წერა-კითხვის მცოდნენი (უმეტესი ნაწილი მაინც) და შედარებით უფრო განვითარებულები მაღე ითვისებენ იდეიას მუშათა ინტერესთა სალიდარობისას, მაშინ როცა შავ-მუშა ხალხში ჯერ კიდევ ძალიან ძნელად იკიდებს ფეხს რაიმე პროპაგანდა. მართლაც ასე იყო აქ: პირველად რუსი მუშები მიემბრენ მოძრაობას. შემდეგ სომხები და ქართველები; რაც შეეხება თათრებს და სპარსელებს იმათში ბაი-ბურიც არ ყოფილა.

აგერ წელიწადზედ მეტია, რაც აქ სისტემატიურად წრეებში მეცადინეობა არსებობს და პროპაგანდას ვეწევით; დღითი-დღე წრეები იზრდება, თანამოაზრენი გვემატებიან და რომ ეს ჩვენი შრომა ფუჭათ არ დაკარგულა ამას 21 აპრილის დემონსტრაციაც ამტკიცებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, საქმე იზრდება: იდეია თანასწორობისა თანდათან გზას იკვლევს მუშათა გონებაში, და შორს არ არის ის დრო, როცა აქაური აურაცხელი მუშა ხალხი ფეხზე ‖დადგება, როგორც ერთი კაცი. ერთი უმთავრესი იარაღი ამისთვის პრესაა და აი ისიც ხელთა გვაქვს, მაშ ვეცადოთ მეტად ბასრი იყოს ეს იარაღი.

დონის როსტოვი. 27 ნოემბ. 1902 წ. გწერთ ახალი შთაბეჭდილებანი. გვაპატიეთ თუ რომელიმე ცნობა ვერ გადმოგცეთ ზედმიწევნით, რადგან ჯერ-ჯერობით ძნელია მოყვანა წეს რიგში იმისა, რაც მოხდა. როგორც თქვენ უკვე იცით ოქტომბრის გასულს როსტოვში, ტაგონროგში, ნოვოროსიაში, ტიხორეცკში და მრავალ სხვა ადგილებში დარიგდა პროკლამაციები დონის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის კომიტეტისაგან. შედეგი გაძლიერებული აგიტაციისა იყო ის, რომ ყველა ქარხნებში მოხდა გაფიცვები. მუშათა კრება, რომელსაც დაესწრო 10000 კაცი, იმართებოდა ტემერნიკის გარეთ. ყრილობაზე სალაპარაკო საგნებათ წამოაყენეს მხოლოთ ეკონომიური კითხვები: 8 საათის სამუშაო დღე, სამუშაო ფასის მომატება, განდევნა ზოგიერთ უფროს ხელოსნებისა. ჯერ კიდევ პირველ ყრილობებზედვე გაჩნდა ორი მოწინააღმდეგე აზრი მუშათა შორის. ერთნი თხოულობდნენ მხოლოთ ეკონომიურ კითხვების წამოყენებას, მეორენი კი პირველ ადგილს აძლევდენ პოლიტიკურს კითხვებს. სამწუხაროთ პირველი გრუპა უმეტესობას შეადგენდა, მაგრამ მალე გარემოება ისე შეიცვალა, რომ ისინიც იძულებულნი იყვნენ მიეცათ მოძრაობისათვის პოლიტიკური ხასიათი. პოლიციის მიერ საშინელი შევიწროების და ყაზახების მიერ ცემის შემდეგ მოვიდა „ნაკაზნოი ატამანი“ ნოვოჩერკასკიდან. გამოჩნდა თუ არა ის, ხალხმა შესძახა: „ძირს თვითმპყრობელობა“ „ძირს ჯალათი!“ (შარშან ატამანმა ჩამოახრჩო სამი კაცი გოროდოვოის მკვლელობის გამო). ამ სიტყვებს მიჰყვა ზედ ქვის სიტყვაც. ატამანმა უბრძანა ყაზახებს მიეტანათ იერიში მუშებზე მაორახებით, მაგრამ მუშები დაწვნენ პირქვე მიწაზე და დაფრთხალმა ცხენებმა უკან დაიწიეს. მაშინ მუშებმა ერთ წუთს დანგრიეს მახლობელი ქვის კედელი, მოემზადენ ყაზახებიც თოფის სასროლათ. შეიენა აურზაური, სირია ერთმანეთში ყველაფერი. ყვირილი, კვნესა, მოწოდება საშველათ, თოფების გრიალი, ქვის სროლა. მოკლულთა რიცხვი რამდენია ჯერ-ჯერობით ძნელია ამისი თქმა. მაგრამ, რასაკვირველია, გაცილებით მაზე მეტია, ვიდრე ცრუ და მატყუარა ადმინისტრაციამ აღიარა.

მეორე დღის საღამომდე ეზიდებოდენ საავათმყოფოში მოკლულებს და დაჭრილებს. ბევრია დაპატიმრებული, უმეტესათ ისინი ვინც კრებებზე ლაპარაკობდენ. ამბობენ, რომ მათ შორის ორი ინტელიგენტი ქალიცაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ყველა ის, რაც მე ჯერ-ჯერობით შემიძლია შეგატყობინოთ. როდესაც გამოირკვევა ყველაფერი, მაშინ დაწვრილებით შეგატყობინებთ. ამ წერილს გწერთ, რომ მალე შემეტყობინებინა რამე თქვენთვის. მოძრაობა არ შეწყვეტილა.

ქალაქში გაკრულია მოწოდებანი გენერალ ნოვიჩისა, რომლითაც ის ასხამს ქებათ-ქებას საზიზღარ თვითმპყრობელობას.

შინაური მიმოხილვა.

რევოლიუციონური მოძრაობა რუსეთში თან და თან იზრდება, ვითარდება და გადაიქცა ისეთ მძლავრ ნაკადულათ, რომელიც ყოველივე დაბრკოლებას ამსხვრევს და სპობს. რუსეთის ყოველ კუთხეში აფრიალდა წითელი დროშა პროტესტისა მეფის მთავრობის, კაპიტალისტთა და მსხვილ მიწათმფლობელთა წინააღმდეგ. ხარკოვისა და პოლტავის გუბერნიებში მომხდარი არეულობა საუკეთესო საბუთია იმისი, რომ, თუ დღეს არა ხვალ მაინც იფეთქებს ჩვენში საერთო ამბოხება და გააცამტვერებს რუსეთის თანამედროვე პოლიტიკურ წესწყობილებას.

მეფის მთავრობა შეკრთა. ის გაკვირვებით შეცქეროდა ამ გუბერნიებში მომხდარ მოძრაობას, თავის თავს არ უჯეროდა, რომ ეს მართალი იყო. მას ვერ გამოერკვია სიზმარი იყო ეს ამბავი, თუ ცხადი და არც საკვირველია. მართლაც, გუშინ ეს გლეხი, „მუჟიკი“ ისეთი მონური მოთმინებით იტანდა ცხოვრების სიმწვავეს და ყველა ტანჯვას და ვაებას, რომელსაც მას ატეხდა ზურგზე გაკოტრებული თვითმპყრობელობა. მეფის მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ამ გლეხისათვის დაემალა ჭეშმარიტება და სინათლე, არ ეგმეებია მისთვის ცოდნა და მეცნიერება, ცდილობდა არ განვითარებულიყო მისი ცნობიერება, და ყოველივე ეს იმისათვის, რომ გლეხს არ გაეგო და არ დაეფასებია თავისი მდგომარეობა!.. მაგრამ არსებობისათვის ბრძოლამ, — რომელიც ცხოვრების საუკეთესო სკოლაა—გამოაფხიზლა გლეხი და შეაგნებინა მას ბრძოლის აუცილებლობა და აწი შეუძლებელია, რომ მან ისეთივე მოთმინებით და მორჩილებით აიტანოს მეფისა, მსხვილ მემამულეთა მძიმე და აუტანელი მონობა.

დიახ, ვიმეორებთ, მთავრობა გაკვირვებას მიეცა. მაგრამ როცა მიხვდა, რომ ეს სინამდვილე იყო და არა სიზმარი, როცა შეიგნო ნამდვილი სარჩული და მიზეზი ამ მოვლენისა, მაშინვე გამოსწია ამ გუბერნიებისაკენ „დარღვეული წესიერების“ აღსადგენად თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარბაროსული საშვალებებით. სალდათების ტყვია ბოლოს ულებდა უბედურ, ცხოვრების და მონობისაგან წელში გაწყვეტილ, ტყავ-ქერქში გახვეულ,—ჩონჩხათ ქცეულ ადამიანთა არსებობას, მუსრს ავლებდა ულონო ქალთა და უმანკო ბავშთა, ყაზახის მათრახი ართმევდა მათ პატივს, ტალახში სვრიდა მათ ადამიანურ ღირსებას და ციხე უსპობდა მათ ადამიანის უძვირფასეს განძს—თავისუფლებას.

მეფის დესპოტიურმა მთავრობამ უარყო და ფეხით გათელა მის მიერ შედგენილი კანონები, რომელთა მიხედვით მხოლოთ სოფლის სასამართლოს განაჩენით შეიძლება გლეხის „გაროზგვა“. ადმინისტრაციას კი ამის უფლება არა აქვს. მაგრამ აბსოლიუტიზმისათვის კანონი ხომ არ არსებობს!.. ზოგიერთმა გლეხებმა ვეღარ აიტანეს ისეთი შეურაცყოფა, როგორც გაროზგვა და ბევრმა მათგანმა თავიც მოიკლა.

ხარკოვის გუბერნატორმა, ბ-მა ობოლენსკიმ მიიღო ჯილდო (ორდენი) ამბოხების ჩაქრობისათვის. ვიღაც უცნობს უნდოდა ამ თავადის მოკვლა, მაგრამ მხეცი გუბერნატორი სიკვდილს გადარჩა.

გლეხობას მეფის მთავრობა შიმშილით და ტყვიით ხოცავს და ამ დროს ოგივე მთავრობა თავად-აზნაურობას მილიონ მანეთს ხაზინიდან აძლევს... ეს ფულები კი ისევ გლეხობას უნდა გადახდეს!.. აი მეფის სამართალი!

ამისთანა ცინიკური ზომებით მეფის მთავრობა ხელს უწყობს რევოლიუციის გამოწვევას, ბრძოლის წამის მოახლოვებას.

გლეხთა აჯანყებამ რამდენიმე ხნის შემდეგ თავი იჩინა სახელმწიფოს სხვა კუთხეშიც. მაისის დამდეგს გორის მაზრის გლეხებმა ააფრიალეს ბრძოლის დროშა ბატონ მემამულეთა წინააღმდეგ. პირველი ამბოხება გამოიწვია თავად ერისთავის და მის გლეხთა შორის ატეხილმა უკმაყოფილებამ. საქმე იმაშია, რომ თავად ერისთავის მამულთა შორის არის ერთი ნაჭერი მიწა, რომლის შესახებაც დავაა დღეს სენატში. ერისთავმა არ აცალა საქმის გათავებას სასამართლოს წესით. მან დაუწყო მიწას ხვნა. გლეხებმა გამოუცხადეს უკმაყოფილება, მაგრამ ყველამ ამავოთ ჩაუარათ. მაშინ მათ იხმარეს ძალა და გარეკეს ერისთავის მუშები მიწიდან. თავადმა ამის შესახებ აცნობა მაზრის უფროსს, მაზრის უფროსმა მოითხოვა გლეხებიდან დეპუტაცია, ვითომც და მოსალაპარაკებლათ, მაგრამ ნამდვილათ კი დასატუსაღებლათ და კიდეც ჩასვა ისინი ციხეში. მაშინ 200 გლეხმა მოიყარა თავი, მივიდა გორის მაზრის უფროსთან და მოითხოვა დეპუტაციის განთავისუფლება: უფროსმა არ შეიწყნარა მათი თხოვნა და ეს ორასი გლეხიც გამოემართა ვაგზლისაკენ, ტფილისში წასასვლელათ და საჩივლელათ გუბერნატორთან, ვოგზლის ახლო მათ გზა გადაუღობა პოლიციამ და შეაყენა, მაგრამ ვლეხებმა გაარღვიეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიციის რაზმი და მოვიდნენ ვოგზალზე, სადაც უფრო მეტი ლაბრკოლება აღმოუჩნდათ. სადგურის უფროსმა არ მისცა მათ ვაგონები ქალაქში წასასვლელათ. არც ამას მიხედეს გლეხებმა და ისინი ფეხით გამომემართნენ ტფილისისაკენ. ტფილისის გუბერნატორი შეფიქრიანდა ორასი კაცის დანახვაზე და რომ როგორმე თავიდან მოეშორებინა ისინი სწრაფ გამოგზავნა ისევ გორში.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამბოხებამ იჩინა თავი სხვა სოფლებში და მალე მთელ მაზრასაც მოედვა. სხვათა შორის მოკლეს თავ. ერისთავის მოურავიც, დასჭრეს გენერალ ამილახვრის ტყის დარაჯი, მემამულე ინჟინერი კალატოზოვი და მოკლეს მიროვი პოსტრედნიკი ვიზიროვი. გოლიკინმა განკარგულება მოახდინა მეამბოხეთა სოფლებში ერთი როტა სალდათების გასაგზავნათ. როგორც გავიგეთ მთავრობას უნდოდა ჩაეყენებინა იქ ეგზეკუცია, რომ მით აეძულებინა სოფლელები ვიზიროვის მკვლელის გაცემაში. მაგრამ ვერც იმან უშველა რამე მას და ვიზიროვის მკვლელი მაინც ვერ იპოვეს. ეს საშვალება უხერხული გამოდგა და ვერც იხმარა იგი მთავრობამ.

გათავდა თუ არა ამბოხება გორის მაზრაში, ახლა მან თავი იჩინა გურიაში. მაგრამ ჩვენ ამის შესახებ აქ არ შევჩერდებით, რადგანაც ამავე № ში მკითხველი იპოვის დაწვრილებით ცნობებს იქაურ კორესპონდენციაში, ეს ზემოთ აღნიშნული ორი გარემოება მოემატა მუშათა და სტუდენტების დემონსტრაციებს მომხდარს უკანასკნელ წლებში. მთავრობა დაიბნა. ის შეძრუწუნებული ეხეთქება აქეთ-იქით და არ იცის რით და როგორ უშველოს თავს. ციხემ, გადასახლებამ, კატორღამ და სახრჩობელამაც კი ვეღარა უშველათ რა. პირიქით, არამც თუ ჩაქრა ამბოხება, არამედ უფრო გაამწვავა და მეტის ენერგიით გამოიწვია საბრძოლველათ მოწინავე მებრძოლნი.

ერთ თავის ცირკულიარში პოლიციის დეპარტამენტი სწერს მაზრის უფროსებს, უქადაგონ სოფლის ხალხს, დაარწმუნონ იგი რომ არ დაუჯერონ „მავნე“ პირებს, რომელნიც ვითომ და პირადი ანგარიშებით (იგულისხმე: ციხე, კატორგა, გადასახლება და სახრჩობელა) აჯანყებენ ხალხს „მოწყალე მთავრობისა და კეთილ მეფის“ წინააღმდეგ. როგორც გავიგეთ, რუსეთის ბევრ ადგილებში მართლაც გაუმართავთ ამისთანა სასაცილო ქადაგება.

ადვილათ მისახვედრია, რომ ამისთანა საშვალებას სარგებლობა კი არა ზარალი მოაქვს თვით მთავრობისათვის: ხალხი უფრო უკვირდება თავის მდგომარეობას.

გარდა ამ ზომებისა მთავრობამ მოისურვა უჩვენოს ხალხს ნიკოლოზ მეორე ნამდვილი თავისი სახით თავიდან ფეხებამდე. სწორეთ ამ აზრით ხელმწიფეც მოგზაურობს მთელ რუსეთში და ამბობს სიტყვებს, ხოლო ტელეგრამის საგენტო ამ რეჩებს ჰფენს მთელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანას. იმ სიტყვათა შორის, რომელიც პატარა ნიკოლოზ მეორეს წარმოსთქვა, საყურადღებოა სიტყვა მიმართული ბალტიის ქარხნის მუშათა მიმართ. ამ სიტყვაში რუსეთის მეფე პირველათ გამოტყდა, რომ მას მტრები ჰყავს. ის სთხოვდა მუშებს იმუშაონ მშვიდათ და არ უგდონ ყური იმ „მავნე“ ხალხს, რომელნიც ერთ-ნაირათ არიან მტერნი, როგორც მათი—მუშებისა, ისე მისი—მეფისაც. ეს „მტრები“ რასაკვირველია, ჩვენა ვართ—სოციალ-დემოკრატები. საწყალი ჭკუა მოკლე ნიკოლოზ მეორე! მას ჰგონია მუშები მართლაც დაუჯერებენ მის სიტყვას, თითქოს მათ არ იციან ვინ არის მუშათა მტერი და ვინ მეგობარი. როგორც სჩანს მეფეს დავიწყებია ან არა და არ უნდა გაიხსენოს, რანაირათ მოეღო ბოლო მის გულმოდგინე მოსამსახურე ჟანდარმის პოლკოვნიკის პირადოვის სიცოცხლეს მისი თვალის წინ ამავე ქარხანაში...

ამ წლის განმავლობაში კავკასიაში მოხდა ორი დემონსტრაცია, ბაქოში და ბათუმში. კავკასიაში სულ ახლათ დაიწყო მუშათა მოძრაობა, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მისი სწრაფი ზრდა მალე მიიღებს დიდ რევოლიუციურ ხასიათს. აქაური მთავრობა დღესაც შეშინებულია და ამზადებს საშინელ ზომებს მოძრაობის მოსასპობად. იმ საშვალებებს, რომლებსაც იგინი აქ ხმარობენ, უფრო საშინელნი არიან ვიდრე ყველა ის ზომები, რომელსაც აქამდე ხმარობდა მთავრობა რუსეთში, მაგალითად, ჟანდარმის აფიცერი **ლავროვი** დაპატიჟებულებს საზიზღრათ ექცევა: ლანძღვას, ემუქრება, სცემს და აწვალებს 10—12 საათის განმავლობაში ფეხზე დგომით. ეს ჩვეულებრივი ზომებია ამ პირუტყვისა. ჟანდარმების სიბრაზეს საზღვარი არ აქვს. მათი სიმხეცე იქამდი მიდის, რომ მზათ არიან ცოცხლათ მიწაში ჩამარხონ ყველანი. ამ ზაფხულს მტარვალებმა პოლიტიკურ დამნაშავეებს ამოუფიცრეს ფანჯრები, და როდესაც ტუსაღებმა ეს ფიცრები ჩაამტვრიეს, მტარვალებმა ხელ ახლა გაუკეთეს და შეღებეს ფიცრები წითლათ. ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი კარგათ ხედავს, როგორც აწვალებენ, ართმევენ ჰაერს და უსპობენ სინათლეს მათ თანამემამულეთ, მაგრამ...ხმას არ იღებენ...

მთავრობამ ჩვეულებრივი მტარვალობა გამოიჩინა სათათრეთიდან ჩამოსული საბრალო სომხების წინააღმდეგ. როგორც ვიცით, ამ ზაფხულს მეფემ სომეხ ემიგრანტებს ოსმალეთიდან მისცა ნება თავის სამშობლოში დაბრუნებისა. მან აღუთქვა ემიგრანტებს ოსმალეთის მთავრობის თანხმობაც. კავკასიის ყოველი კუთხიდან დაიწყეს დენა ემიგრანტებმა რკინის გზებისაკენ თვის სამშობლოში და ოჯახში დასაბრუნებლათ. მაგრამ მეფემ იკბიერა. მას სურდა ემიგრანტები ამ საშვალებით ერთ ადგილს შეეკრიბა, სისხლის მსმელმა სულთანმა გაიგო მეფის განზრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვა, გაუწოდა მას ღიმილით ხელი და აუკრძალა ემიგრანტებს ოსმალოს საზღვრებზე გადასვლა. ჩვენი მტარვალი მთავრობა ცბიერებით აცხადებდა თვის გულ-მტკივნეულობას ამის შესახებ. მაგრამ როდესაც იმავე ემიგრანტებმა მოინდომეს სპარსეთში გადასვლა შახის ნება დართვით, მაშინ კი მეფის მოხელეებმა მოიხსნეს ნიღაბი და აშკარათ ეწინააღმდეგებოდენ მათი განზრახვის სისრულეში მოყვანას. ემიგრანტებს დაურიგეს დაბეჭდილი ქაღალდები, სადაც აღნიშნული იყო, რომ ამანა და ამან რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღოვო. როგორ მოგწონს ჰკითხველო ეს ახალი ხრიკები რუსეთის მთავრობისა, რომლითაც ის თავისუფალ ხალხს და ისიც არა თვის ქვეშევრდომთ უკრძალავს რუსეთიდან გასვლას.

ეს დესპოტიზმის უმწვერვალესი საფეხურია, ეს არის პიროვნების გათელვა, მარა, მალე მოგეღება ბოლო საზიზღარო თვითმპყრობელობავ, რომ ველარ სთელო ფეხქვეშ ადამიანის უფლებანი. შენმა საათმა დაჭკრა, რევოლიუციის ძლიერი ტალღები აღგვაენ შენ საუკუნოთ, და შენს შესახებ დარჩება მხოლოთ ხსოვნა საზიზღრობისა და მტარვალობისა!

ამ 20—25 წლის წინეთ ერთმა მუშამ, სახელათ ალექსეიმ ასე დაათავა თავისი სიტყვა: „არ არის შორს ის დრო, როდესაც თვითმპყრობელობა სალდათებით და შტიკებით გამაგრებული გაიბნევა მტვრაო“, თვითმპყრობელობის მთავრობა მაშინ იღიმებოდა ამ სიტყვებზე, ხოლო ეხლა კი ჩვენნა ვხედავთ, როგორ სრულდება ალექსეის წინასწარმეტყველობა.

ხალხი ქონებით განადგურდა, გაღარიბდა, მილიონობით იხოკებიან შიმშილისაგან. რაც დრო გადის უფრო უარესობა ხდება. მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ პირადობის დაუცველობას შეურაცყოფისაგან და მუშების ამგვარსავე მდგომარეობას მეფის თვითნებობისაგან. აბსოლიუტიზმის გაფართოება სპობს სამართალს სასამართლოში. სამაგიეროთ ჩვენნა ვხედავთ თვითნებობას და პოლიციის დაუსჯელობას, დევნას საზოგადოების საუკეთესო ნაწილისას. უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ყველა ამან უაღრეს წერტილამდე მიაღწია. გაგრძელება შეუძლებელიღა იყო. თვითმპყრობელობამ გზას შეუხვია. ამ გზაზე მის წინ აღიმართა საშინელი აჩრდილი, რომელიც ნათლათ უჩვენებს მას თვის მომავალს—მისი არსებობის სავსებით დამხობას და აი ის ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი ეძახის საზოგადოებას და შესთხოვს ამ ჯოჯოხეთიდან ამოყვანას. საზოგადოების ამგვარი მოწოდება არის ის ხლართი სახჩობელის თოკისა, რომელსაც თვითმპყრობელობა თვითვე იცვამს კისერზე და, რომელიც მასვე წუჭერებს კისერში სულის ამოსახდელათ. საზოგადოებამ ეს თოკი უნდა გამოსწიოს და მიახალოს მას პირში შემდეგი პასუხი: „შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით მიიყვანე ხალხი ამ მდგომარეობამდე, და შენვე დაიხსენ თავი, თუ ეს არ შეგიძლია, მაშ ჩამოგვშორდი გზიდანო“. მაგრამ მთავრობას ამისთანა პასუხი, რასაკვირველია, არ მოეწონება, ამიტომ მან მოახდინა განკარგულება, რომ ერთის მხრივ მის მიერ მიცემულ პროგრამის გარეშე სხვა არა ითქვის რა. და მეორე მხრივ, გაიწმინდოს გუბერნიის და მაზრების კომიტეტები არა სანდო ელემენტებისაგან. მიუხედავად ამისა ყველა კომიტეტები იმ დასკვნას დაადგენ, რომ დღევანდელი საქმეთა ვითარება შეუწყნარებელია და საჭიროა დაწესდეს გადასახადი შემოსავალზე. გათანასწორდეს გლეხი უფლებით დანარჩენ წოდებებთან და სხვ ერთი სიტყვით, ჩვენებურად რო ვსთქვათ, თხოულობდენ კონსტიტუციას. მეფეს შიშის ზარი დაეცა და აი ის გზავნის საიდუმლო მიწერილობას სახელმწიფოს ყველა კუთხეში, რომ არაფერი არ დაიბეჭდოს გაზეთში კომიტეტების დადგენილებათა შესახებ. კავკასიაში ხომ უფრო მეტი სურვილები დაიბადა ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა მოითხოვა 1. სკოლების მიმატება; 2. ყველა საგნების სამშობლო ენაზე შესწავლა; 3, რუსული ენის სწავლა სამშობლო ენის საშუალებით. ეს ხომ პირდაპირი ისარი იყო. ამ 10—12 წლის წინეთ სომხების სკოლები კავკასიაში გააუქმა მთავრობამ, რადგან იქ ყველა საგნების შესწავლა დედა ენაზე სწარმოებდა, უნდა ვიფიქროთ, რომ მეფეს არ მოეწონება ეს დადგენილება. ოჯახში ერთი მახინჯი მაინც მოიპოვებაო, ნათქვამია და აი ამისთანა მახინჯათ ‘მოგვევლინა კავკასიის სამეურნეო საზოგადოება. აქ მხოლოდ „დოკლადებს“ ადგენს ან ჯაშუში ცენზორი, ან პოლიციის მოხელე, ან არა და რომელიმე მშიშარა ლიბერალი, თავმჯდომარეთაც ორი „ჩინოვნიკი“ ჰყავთ ამათ, რა ყური უგდოთ გლეხს ყველაფერი აქვს, აკლია მხოლოდ კარგი „გოროდოვოი“. მაზრის უფროსის ჯანდიერის აზრით ეს ერთათ ერთი საშვალებაა ყველა სენის განსაკურნავათ, ის მათ მოაწესრიგებს, გაასამართლებს, პოლიციაში წაათრევს, ქრთამებს აიღებს და ზურგსაც შეუხურებს. ამავე აზრს ეთანხმება კავკავის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაც და აი იმ დროს, როდესაც კომიტეტები ბჭობენ კაბინეტებში, მოწინავე რაზმს რევოლიუციონერებისას არ სძინავს და მიილტვის ასრულებაში მოიყვანოს ეს განჩინება. ამავე №-ში მკითხველი შეხვდება კორესპონდენციას როსტოვიდან. ჩვენ აქ მაზე არაფერს ვიტყვით, მხოლოთ შევადარებთ მას მთავრობის გამოცხადებას. მთავრობის სიტყვით გაფიცულთა რიცხვი 3000 იყო, როდესაც ისინი 10000-დე იყვნენ. მთავრობა ცრუობს, როცა ამბობს, რომ გაიფიცნენ მხოლოთ დონის როსტოვის ქარხნების მუშებია. ეს ტყუილია, მათთან ერთათ გაფიცნენ ტაგანროგში, ტიხარეცკში, და ნოვოროსიაში. უსინდისო მთავრობამ მუშებს თოფები დაუშინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ამასაცა მალავს, რადგან იცის, რომ ეს ააღელვებს საზოგადოებას, მაგრამ მალავს ძრიელ უხეიროთ. თუ დავთვალეთ დაჭრილები და დახოცილები, მისი სიტყვით ორ ქალაქზე როსტოვსა და ტიხორეცკზე მოდის ცხრამეტ-ცხრამეტი კაცი. ხომ ხედავთ რა ნამდვილი ციფრებია, თითქოს „ზაკაზი“ მიუციათო.

თვის უკანასკნელ დღეებში მთავრობა ცდილობს როგორმე ისევ დადგეს ფეხზე და აი ის ერთი ხელით სცარცვავს, ახრჩობს, ხოცავს, აციმბირებს, და რომ დამალოს ყველა ეს, მეორე ხელით მოწყალებას იმეტებს მაგრამ ამ მოწყალებასაც იმეტებს ისევ თავისებურათ, მეფურათ. ის გულუბრყვილოთ ფიქრობს, რომ ამით აამაღლებს თავის თავს ხალხის თვალში. გამოვიდა რესკრიპტი, რომლითაც ნება ეძლევა უკან დაბრუნებისა მათ, ვინც სტუდენტების და პოლიტიკურ დემონსტრაციებში მონაწილეობა მიიღეს. თუმცა კი მათ არა აქვთ ნება სატახტო და საუნივერსიტეტო ქალაქებში მონაწილეობის მიღებისა. ისენი უნდა დაგზავნონ იმისთანა ადგილებში სადაც შეისწავლიან „წესრიგს“! წესრიგი უნდა შეისწავლონ იმათ, ვინც თხოულობს წესრიგს, ვინც თვითპყრობელობას სთვლის უმწვერვალეს უწესრიგობათ!!! მეფის ეს მოწყალება გამოვიდა მისი სახელწოდების დღესასწაულის დღეს, 6 დეკემბერს, ეს ძლიერ მოსაწონია: მთელის წლის განმავლობაში, შეპყრობა, ჩამოხრჩობა და 6 დეკემბერს კი „მოწყალება“!!!

როგორ უცქერით ჩვენ ტერორს.

(წერილი ტფილისიდან).

ამ ბოლო დროს ტფილისში მეტათ გახშირდა ტერორი: თვე ისე არ გავა რომ ვინმე არ გამოასალმონ წუთი სოფელს ან მძიმეთ დაასახიჩრონ. მუდამ მხოლოდ ის გესმის, თუ აი ამა და ამ პროვაკატორს გაუჩეხეს ცულით თავი, არა და ეს ბრიგადირი ტყვეით სასიკვდილოთ დასჭრეს და სხვ...აშკარაა აქ მთელი ორგანიზაცია შემდგარა, რომელიც დღევანდელ ჩვენი ცხოვრების პირობებს იმ დასკვნამდი მიუყვანია, რომ გარეშე ტერორს სთვლიან საუკეთესო საშვალებათ სოციალისტურ მისწრაფებათა განსახორციელებლათ. ყოველ მოვლენას თავისი მიზეზები აქვს; რა მიზეზებმა გამოიწვია დღევანდელი ტერორი? აი საკითხი, რომელიც უნდა ჩვენ გადავჭრათ. სანამ თვით ტერორის დაფასებას შევუდგებით. ამ 2—3 წლის წინათ ჟანდარმთა და პოლიციელთა უდარდელობა და ძალი რაღაც საარაკოს წარმოადგენდა. წრეები სოკოსავით იზრდებოდა, აგიტაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგიტაციაზე ხდებოდა, დღე და ღამე გაერთიანებული იყო, ყოველ კუთხეში, სადაც კი მუშა ბუდობდა, გაცხარებული მეცადინეობა და მზადება იყო. მარტო 1900 წ. ზაფხულში მომხდარმა გაფიცვამ მოიყვანა გონს მთავრობა და თვალები დააჭყეტინა. მას აქეთ ჟანდარმთა სიფხიზლე და ძალა დღე დღეზე იზრდება: გაამრავლეს აგენტები, შემოიღეს დვორნიკთა ინსტიტუტი, დააარსეს ეკრეთ წოდებული сыскное отдѣление, დაიჭირეს და დაგზავნეს ტფილისიდამ მუშათა საუკეთესო წარმომადგენელნი და სხვ... ამ ნაირათ წინანდებური თავისუფლება მოისპო. ყოველი ნაბიჯი საშიში შეიქნა; წრეების გავრცელება—მოუხერხებელი, აგიტაცია მეტი სახიფათო. მოძრაობა გარეგნობით შეფერხდა. ასეთ პირობებში ზოგიერთებს მობეზრდა უმოძრაობა და მიმართა ტერორს... აი რითი აიხსნება დღევანდელი ტერორი, აიხსნება მხოლოდ და კი არ გამართლდება. ჩვენ ვერა-გზით ვერ გავამართლებთ მას, ვერა გზით ვერ თანაუგრძნობთ მას. ცდება ის, ვინც ფიქრობს, ვითომ ტერორს შეეძლოს გამოაფხიზლოს ვითომ და მიიძინებული მუშათა კლასიური თვითცნობიერება; ვინც ასე ფიქრობს მას ავიწყდება ის უბრალო ფსიხოლოგიური ჭეშმარიტება, რომ ერთხელ გაღვიძებულ კლასსიურ ანტოგონიზმს ვეღარაფერი ჩააქრობს. ეს ანტოგონიზმი თანდათან იზრდება. მაშასადამე ტერორი ამ მხრით ყოველთ უმნიშვნელო და უადგილოა—ის ვერავის გამოაღვიძებს, რადგან ყველა ფხიზლობს, მას ის უკისრნია, რაც უომისოდაც ასრულებულია. იქნება სხვაფრივ იყოს რაიმე სასარგებლო ტერორი? ვნახოთ ესეც, მეტყვიან: ტერორი თავზარს დასცემს მთავრობას, შიშში ჩააგდებს და აიძულებს რეფორმის გზას დაადგესო, ისტორია სრულიად წინააღმდეკს გვეუბნება. რა რეფორმებისთვის აიძულა მთავრობა ევროპიულ ანარხისტების ეპიდემიურმა ტერორმა? რა შესძინა მან ხალხს? არაფერი! რა გააკეთა რუსეთში მესამოცდა ათე და მეოთხმოცე წლებში მომხდარმა ტერორმა? არაფერი.

განა ცოტა სისხლი დაიღვარა? განა ერთი და ორი საუკეთესო შვილი რუსეთისა იმსხვერპლა ამ შემცდარმა შეხედულებამ, და რაღა შორს მივდივართ. რა გააკეთა თვით პატიოსან ბალმაშევის თავგანწირვამ? თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 22 აპრილის მანიფესტაციას (თფილისში) გაცილებით უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს და უფრო გვაახლოვებს ჩვენ უკანასკნელ მიზანს, მინემ რომელიმე მინისტრის მკვლელობა. და რათ არის ეს ასე? იმიტომ, რომ აქ ხალხია, იქ კი კერძო პირი, პირველი დაუშრობელი წყაროა, მეორე—დროებითია, ერთი აზვირთებული ზღვა არის ძლიერი და თავზარ დამცემი, მეორე მთის ნაკადულია—მოვარდება და ჩაქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ 30 წლის წინათ რუსეთში კიდევ გამართლდებოდა რითმეტერორი, თუ გინდ იმით, რომ იმ დროს რევოლიუციონურ პარტიას მარტო ინტელიგენცია წარმოადგენდა, ხალხი სრულ პასსიურ როლს თამაშობდა; პირველს არავითარი კავშირი არ ჰქონდა მეორესთან, განსაკუთრებით ქალაქის პროლეტარიატთან.

დღეს კი მთელი რუსეთის ხალხი ფეხზე დგას და დღეს თუ ხვალ იერიში უნდა მიიტანოს თვითმპყრობელობის დასამხობათ, საცაა დაკრავს დიდებული საათი და სწორეთ ამ დროს შორს ვერ მჭვრეტელნი სისხლში ითითხნებიან. მერე ვის სისხლში? ვიღაც ფუწკი პროვოკატორის და ბინძური ჯაშუშის სისხლში. ეს კი ნამეტანია. სირცხვილია ყოველიფერი თანდათანობის კანონს ემორჩილება. დღევანდელი ტერორი ნაძალადევია.

როცა ყოველივე მომწიფდება, როცა ყოველის მხრიდან, ერთსა და იმავე დროს, ამ უზარმაზარ რუსეთისა მოისმის ხმა საბრძოლველი, ხალხი დაჰკრავს ბუკსა და ნაღარას, მაშინ შეიძლება მახვილიც დაგვჭირდეს, მხოლოდ მაშინდელი ტერორი სულ სხვა იქნება—დანა ხარურგის ხელში სიცოცხლის მომცემია.

ამნაირათ ჩვენ სრული წინააღმდეგი ვართ ტერორის, რადგან ის ყოვლად უვარგისი საშვალებაა, სოციალურ საკითხის გადასაწყვეტათ; ის ქსაქსავს და ასუსტებს ჩვენ ძალას.

ვინც ჩვენ ორგანიზაციას ეკუთნის, უნდა ემორჩილებოდეს საერთო განაჩენს და რევოლიუციონურ მოძრაობის შემაფერხებლათ სთვლიდეს ტერორს.

ვინც წინააღმდეგი შეხედულებისაა, ის აფერხებს საერთო საქმეს.

ამ კითხვაზედ შემდეგში უფრო ვრცლათ მოვილაპარაკებთ.

ბათომიდან მივიღეთ შემდეგი დეპეშა.

9 დეკემბერს როტშილდის მუშები გავიფიცენით. მიზეზი იყო ეგრედ წოდებული „ვიჩიტკები". მოვითხოვეთ: სახალხო სახლის აგება, საახალწლო საჩუქარი—ერთი თვის ჯამაგირი ზედმეტი. საავადმყოფო—ტფილისის რკინის გზის პირობებით, ერთი აბაზის მომატება იმ მუშებისთვის, რომლებიც დღეში 19 საურს იღებენ, დათხოვნა სამსახურიდან რამდენიმე ჯაშუშისა და სხვა. ზავოდმა უარი გამოგვიცხადა, მაგრამ ჩუმათ კი ცდილობდა როგორმე შეგვრიგებოდა. დღეს 17 ყველა მუშებმა „რასჩოტი" მოვითხოვეთ. გვთხოვეს შაფთამდე მოცდა. გამოვბრუნდით ვიქნებოდით ათასზე მეტი კაცი, გზაზე შემოსძახეს სიმღერა „ნეტა რას ნაღვლობ ვაკაცო" (ამ სიმღერას კავკასიის მუშები მარსელიეზას მაგიერათ მღერიან), ხალხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცოცხლდა, სახელდახელოთ ავაფრიალეთ წითელი ხელსახოცი, გაისმა ძახილი: „გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს თვითმპყრობელობა“. პატარა ხანს უკან მოიტანეს წითელი აბრეშუმის ხელსახოცი. ხალხის აღტაცება უმწვერვალესობამდი მივიდა, გამოჩდა ორატორი—მუშა, რომელმაც მხურვალე გამამხნევებელი სიტყვა წარმოსთქვა. ორი ვერსი გზა გავიარეთ და საუცხოოთ ჩაიარა. სალდათები შემოგვხდნენ გზაში. მუშებმა დაუძახეს „братцы солдаты да здравствует свобода“ (ძმებო სალდათებო, გაუმარჯოს თავისუფლებას). იმათაც ქუდები მოიხადეს „да здравствует свобода товарищи“! (გაუმარჯოს თავისუფლებას ამხანაგებო).

გაფიცვის შედეგს გაცნობებთ.

მუშა.

რედაქციისაგან.

სხვა და სხვა ხელ შემშლელ პირობების გამო, ვერ ვპირდებით მკითხველს „ბრძოლის“ ნომრების პერიოდულ გამოცემას, მაგრამ რედაქცია ეცდება რაც შეიძლება ხშირათ მიაწოდოს მკითხველს ბრძოლის ახალი ნომრები და წინ შეეგებოს ყველა იმ მოთხოვნილებებს, რომელთაც ულვიძებს შეგნებულ პროლეტარიატს თანამედროვე ცხოვრების პირობები, და რომელთა დასაკმაყოფილებლათ იძულებულია არა-ლეგალურ პრესას მიმართოს. ამისათვის საჭიროა რედაქციასა და მკითხველთა შორის დამყარდეს მჭიდრო კავშირი, სრული ურთი-ერთობა. ვთხოვთ ყველას შეძლებისა და გვარათ მოგვაწოდონ ცნობები მუშათა მოძრაობის და აგრეთვე მთავრობის და კაპიტალისტთა უმგვანო საქციელის შესახებ, შეგვატყობინონ ყველა საყურადღებო ცნობები, რომელიც საზოგადოთ მუშის მდგომარეობას შეეხება და ახასიათებს.

ვეგებებით ჩვენს ახალ მომმეთ! ვეგებებით მათ გამოსვლას საერთო ასპარეზზე ჩვენთან ერთათ! გაუმარჯოს მუშათა საქმეს, გაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯოს რუსეთის ტახტის დამხობას, ჩვენს ხელებზე ბორკილის შესახსნელათ და პროლეტარიის გასამარჯვებლათ. აჰა ძმებო ჩვენი ხელი და გულიც!...

გამოვიდა სომხურ ენაზე სოციალ-დემოკრატიული ჟურნალი

„პროლეტარი“

ყოველივე საჭირო ცნობა გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ადრესით.

J. H. W. Dietz Nachf (G. m. b. H) in Stuttgart.

ტამბა „ბრძოლისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხკაცობის მდგომარეობის შესახებ ამიერ-კავკასიაში.

(„პროლეტარიატის ბრძოლა“—№ 7, 1904 წ.)

როგორც ვიცით ამიერ-კავკასიაში ბატონ-ყმობა არსებობდა მხოლოდ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში. რუსეთის მართველობის შემოღების შემდეგ, მრავალ მიზეზების გამო, რომლების განხილვაში ჩვენ აქ ვერ შევალთ, დასახელებულ გუბერნიებში ბატონ-ყმური ურთი-ერთობა ძლიერ გამწვავდა და მთავრობისათვის მეტათ საშიშარი მიმართულება მიიღო. ასე რომ თვითმპყრობელ მეფეს, რომ ყმა არ გაენთავისუფლებინა, უეჭველია, ყმა თითონ გაინთავისუფლებდა თავს, თვითმპყრობელი მეფე ალექსანდრე მეორე კარგათ ხედავდა, რომ თუ ის არ ჩამოართმევდა მებატონეთ ყმებს და თითონ არ დაეპატრონებოდა იმათ, გლეხების აჯანყება აუცილებელი იყო და ეს ხომ მეტათ საშიშ მდგომარეობაში ჩააყენებდა თვითმპყრობელობის საქმეს. ამიტომ, როგორც ვიცით, მან 1861 წელს ჩამოართვა ყმები რუსეთის თავად-აზნაურობას ⁄ შემდეგ, 1864—1867 წლებში ეს „რეფორმა“ ჩვენშიაც შემოღებულ იქმნა: გლეხი განთავისუფლდა კირძო მებატონეთა პირად დამოკიდებულებისაგან, ე. ი. მებატოხეთ ამის შემდეგ აღარ შეეძლოთ თავის ნებით გლეხის ოჯახის აკლება, მისი ცოლ-შვილის გაუპატიურება და შინა-ყმათ წაყვანა. მაგრამ იმავე დროს ნივთიერათ გლეხი ისევ წინანდელ ბატონის ხელში დარჩა, რადგანაც ის მიწა ადგილი, რომელზეც გლეხს თავის სახლ-კარი ჰქონდა და რის მეოხებითაც ის ცოლ შვილს არჩენდა, და რომელიც მრავალი საუკუნოების განმავლობაში მის სარგებლობაში იყო, მებატონეს საკუთრებათ იქმნა აღიარებული. ამ გარემოების წყალობით გლეხი ფაქტიურათ ისევ თავად-აზნაურობის მორჩილი შეიქმნა. მართალია, გლეხს ვითომც უფლება მიეცა თავის „ნადელის“ გამოსყიდვისა და მით მემამულის ბრეკალებისაგან განთავისუფლებისა, მაგრამ როგორც ვიცით ⁄ს უფლება მხოლოთ ქაღალდზე დარჩა. მართალია, დროებით-ვალდებულ გლეხების ერთმა ნაწილმა გამოიყიდა მამასისხლათ თავიანთი ერთი ციდა „ნადელები“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ უმრავლესობისათვის ეს გამოყიდვა შეუძლებელი გახდა, „ნადკან გლეხის მიერ თავის დახსნა სავსებით მემამულეთა ნება-ყოფლობაზე იქმნა დამოკიდებული და ძლიერ ხელსაყრელი და სასარგებლო გამოდგა მემამულეთათვის, მემამულეებმა ყოველგვარი ხერხი იხმარეს, რათა რიგიანათ ესარგებლათ, და რაც ყმების ჩამორთმევით დაკლდათ ამით მაინც აენაზღაურებინათ. მემამულეები ან სრულებით უარს ეუბნებოდენ გლეხებს „ნადელების“ გამოყიდვაზე ან მხოლოდ მაშინ თანმხდებოდენ, როცა გლეხები ერთი ხუთათ და ერთი ათად აძლევდენ ფასს იმ მიწა-ადგილებში, რომელიც მისივე ხელით იყო გაკეთებული და მოშენებული და, რომელიც არასოდეს სხვის საკუთრებას არ შეადგენდა. გლეხების დროებითი ვალდებულობა მემამულეთა წინაშე, „მოწყალე ხელმწის“ მიერ დაკანონებული, ძლიერ იარაღათ გამოდგა მემამულეთა ხელში გლეხების დასამონებლათ და დასაბეჩავებლათ. ეს ვალდებულება მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ გლეხებმა მოსავლის ერთი მეოთხედი უნდა აძლიონ მემამულეს. საქმეც იმაშია, რომ ამით მემამულეს სრული საშუალება ეძლევა ყოველ მხრივ შეავიწროვოს გლეხი, შეავიწროვოს იმ ზომამდე, რომ მეოთხედის სახელით მის შემოსავალს მთელათ დაეპატრონოს. ამავე დროს ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ სულ ერთია გლეხი ამუშავებს თუ არა „სანადელო“ მიწას, მემამულეს მან მაინც უნდა აძლიოს დაკანონებული მეოთხედი; გარდა ამისა მემამულეს კანონი ნებას აძლევს აყაროს „სანადელო“ მიწიდან თავისი მამულის საზღვრების გასასწორებლათ და სადმე სხვა ადგილას მიუხომოს ამავე ზომის მიწა. მართალია, ამ შემთხვევაში საჭიროა გლეხის თანხმობა, მაგრამ მემამულეს ხელში ათასგვარი საშვალება აქვს აიძულოს გლეხი, რომ ასეთი თანხმობა გამოსტყუოს.

დროებით ვალდებულ გლეხების მონურ მდგომარეობას კიდევ უფრო აშკარათ მოწმობს, სხვათა შორის ის გარემოებაც, რომ მემამულეთა ძალმომრეობისა და შევიწროების გამო მოთმინებიდან გამოსულმა გლეხმა თუ ვინიცობაა მათ წინააღმდეგ რამე დანაშაული ჩაიდინა, რუსეთის კანონები მას სჯის და ასამართლებს არა როგორც თავისუფალ და თანასწორ ადამიანს, არამედ როგორც მემამულის მორჩილს; ესე იგი „სამართალი“ ამ შემთხვევაში დროებით ვალდებულ გლეხსა და მემამულეს შორის ხედავს ისეთ დამოკიდებულებას, როგორიც არსებობს უმცროს და უფროს მოხელეთა შორის; ყველამ კარგათ უწყის თუ ასეთ შემთხვევებში, როგორ სასტიკათ სჯის „სამართალი“. მეფის მთავრობა ამასაც არ დასჯერდა. მემაულეთა ინტერესები მოითხოვდენ, რომ მათსა და დროებით ვალდებულ გლეხებს შორის ჩამოვარდნილ დავის და უთანხმოების გარჩევა და საზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადოთ მათ შორის ურთიერთობის გაწესრიგება მთავრობას ისე პირებისათვის მიენდო, რომელნიც უწინარეს ყოველისა მემამულეთა ინტერესებს დაიცავდენ. ასეთი პირები სად უნდა გამოეძებნათ, თუ არ თვით მემამულეებში? და აი ხალხის სისხლის მწოველთა მფარველმა მთავრობამ დააკანონა: დროებით ვალდებულ გლეხთა და მემამულეთა შორის ურთიერთობის მოწესრიგება მიენდოს მომრიგებელ შუა-კაცთ, რომლებიც უსათუოდ მემამულებისაგან უნდა იქნენ არჩეულნიო. არავისთვის გასაკვირველი არ უნდა იყოს, რომ ასეთი შუა-კაცები, რომლებსაც კანონით დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული, უწინარეს ყოვლისა თავის, ე. ი. მემამულეების ინტერესებს დაიცავდენ; ამნაირათ სოფელში ისევ წინანდელი ბატონ-ყმური ურთიერთობა რჩებოდა. რომ ეს ასე მოხდა, რომ აქ ოდნავაც გადაჭარბებული არაფერი არ არის, ამას მოწმობს სხვათა შორის, ისეთი ოფიციალური მწერალი, როგორიც არის თავ. გ. მ. თუმანოვი, გაზ. „ახალი მიმოხილვის“ რედაქტორი; მას, ვგონებ, ვეარავინ ვერ დასწამებს გლეხების მომხრეობას; აი რას ამბობს ის: „ახალი წესების (გლეხთა დებულებაზეა ლაპარაკი) განხორციელების დროს გლეხი დამოკიდებულია ადგილობრივ მომრიგებელ შუა-კაცთა თვითნებობაზე. თუ მივიღეთ მხედველობაში, რომ ეს უკანასკნელნი ახალი წესებით იკრიბებიან განსაკუთრებით ადგილობრივ მიწათმფლობელთაგან, მაშინ ადვილათ გავიგებთ, ვის ინტერესებს დაიცავენ მომრიგებელი შუა-კაცები თავის ფართო უფლებებით, და აქედან აშკარაა, რომ **ნამდვილი ბატონ-ყმური ურთიერთობის გამოფეგამჟღის დიდი მანძილი აღარ არის**“. ეს ბატონ-ყმური ურთიერთობა, სიტყვით ვითომც გაუქმებული თვითმპყრობელი მეფის მიერ, ნამდვილათ ხელ-ახლად დამკვიდრდა სოფლის ცხოვრებაში. საკვირველი მხოლოო ის არის, რომ ამ ფაქტებს დღეს აღარავინ არ მალავს, თითქმის ოფიციალური დაწესებულებანი და პირები იძულებული არიან ეს აღიარონ. ეს ამბავი მეტათ საგულისხმოა ხალხის კეთილდღეობისათვის თვითმპყრობელობის მოღვაწეობის დასახასიათებლათ. აი ღირსეული ნაყოფი მისი შეუწყვეტელ მეცადინეობისა და მზრუნველობისა ხალხის საბედნიეროთ; ხალხი ნივთიერათ გაყვლეფილი და გატყუებული, იურიდიულათ მოკლებული ყოველგვარ ადამიანურ უფლებას, ხალხი ვითომდა ყმობიდან განთავისუფლებული ფაქტიურათ ისევ ყმად ხდება!..

რუსეთის შიდა გუბერნიებში დროებით ვალდებულება მოისპო 1882 წლიდან და თავის დახსნა საგალდებულოთ იქნა აღიარებული; ჩვენში-კი ეს დროებითი მდგომარეობა დღემდის არსებობს და დროებითის მაგიერ იგი სამუდამოთ გარდაიქცა. დროებით ვალდებულ გლეხთა რიცხვი დღეს ტფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისის და ქუთაისის გუბერნიებში საკმარისათ დიდია: ორივე გუბერნიებში ირიცხება არა ნაკლებ 40,000 კომლისა, რომელთაგან 22,000 ქუთაისის გუბერნიაშია: მაგრამ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ასე შევიწროებული და განუკითხავ მდგომარეობაში იურიდიულათ მხოლოდ დროებით ვალდებული გლეხები იყოს, და გლეხ-კაცობის დანარჩენი ნაწილი შედარებით უკეთესს პირობებში ცხოვრობდეს. გავიცნოთ და გავიგებთ.

პირველათ გავეცნოთ **ხიზნების** მდგომარეობას. ესენიც, როგორც დროებით ვალდებული გლეხები, ამიერ-კავკასიაში მხოლოთ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში ცხოვრობენ. ხიზნების სათავე ბატონ-ყმურ ურთიერთობაში უნდა ვეძიოთ. როცა მებატონე უზომოთ აწუხებდა ყმას, ეს უკანასკნელი გარბოდა და ეხიზნებოდა სხვა მემამულის მიწაზე უფრო შეღავათიან პირობებით. ეს პირობა იყო სიტყვიერი, მაგრამ ორივე მხრისაგან ხელ-შეუხებელი. ასეთი იყო ჩვეულების ძალა, რომელიც სჯულზე უმტკიცესია. ამ პირობის ძალით, ხიზანი ვალდებული იყო მემამულის სასარგებლოთ მიწის მოსავლის განსაზღვრული ნაწილი ეხადა; ეს გადასახადი ყველგან ერთნაირი არ იყო; მაგრამ ხიზანი არსად არ იყო ბატონ-ყმურ დამოკიდებულებაში მემამულესაგან და ამ მხრით მისი მდგომარეობა არსებითათ განსხვავდებოდა ყმების მდგომარეობისაგან. ამიტომ აშკარაა, რომ ეგრეთ წოდებული საგლეხო რეფორმა, რომლის ძალით გასული საუკუნის მესამოცე წლებში მებატონეთ ყმები ჩამოართვეს, ხიზნებს სრულებით არ შეხებია. ამ რეფორმის შემდეგ ხიზნები დარჩნენ კანონს გარეშე; თვითმპყრობელ მთავრობამ ისინი დაუტოვა საყვლეფათ და დასარბევათ მემამულეებს. პირველ ხანებში ხიზნებსა და მემამულეთ შორის ურთი-ერთობა ძველებურათ იყო. დავას და აყალ-მაყალს ჯერ მათ შორის ადგილი არ ჰქონდა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, მემამულეთა მოთხოვნილებანი გართულდა; რაც დრო გადიოდა, უდარდელი და უსაქმური რასაკვირველია, ისინი ყოველ შემთხვევით სარგებლობდენ, რომ სოფლის მუშისაგან, ე. ი. გლეხისაგანაც, რაც შეიძლება მეტი სისხლი გამოეწოვათ. თავის-თავათ იგულისხმება, რომ ამიერიდან ხიზნებს ისინი მოსვენებას აღარ მისცემდენ, და ამ უკანასკნელთა მშვიდი ცხოვრება სამუდამოთ დაირღვევოდა. პირველი ნაბიჯი მემამულეებისა ხიზნების შევიწროებისაკენ გადადგმული იყო ღალის მომატებით, იქვე არ არის რომ ამ გარემოებას ხიზნებმა ექვის თვალით შეხედეს და უკმაყოფილება გამოაცხადეს. ამათში მაშინვე დაიბადა აზრი, რომ თუ ერთხელ ასეთივე ცვლილება მოხდა, შემდეგ იგი ჩვეულებათ გარდაიქცევა, ასე რომ მემამულეთ ამის შემდეგ ყოველთვის ნება ექნებათ უმატონ ღალას და გადასახადს ჩვენდა დაუკითხავათ, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებას ეწინააღმდეგებაო. ამას ბევრი ლოდინი აღარ დასჭირდებ. მემამულეებმა ერთბაშათ ასწიეს ღალა და მოუმატეს გადასახადი ხიზნებს, ხოლო როცა ეს უკანასკნელი უარს უცხადებდნენ ასეთ მომატებაზე, მემამულეები სასამართლოსკენ მიეშურებოდენ საჩივრებით. სასამართლოები ყოველთვის მზათ იყვენ მემამულეების თხოვნა დაეკმაყოფილებინათ, და აკმაყოფილებდენ კიდეც: ხიზნებს უმატებდენ ღალას და თუ ამ მომატებული ღალის გარდახდაზე უარს იტყოდენ, იმ შემთხვევაში თავისი შრომით და ჯაფით გაშენებული მიწებიდგან უნდა აყრილიყვენ და სადმე გადასახლებულიყვენ. მე-XIX-ე საუკუნის მეოთხმოცე წლებში მეტათ გახშირდა ასეთი შემთხვევა; თვითმყრობელობის მიერ ამის უყურადღებოთ დატოვება შეუძლებელი იყო. მთავრობა იძულებული შეიქნა ჩარეულიყო ხიზნებსა და მემამულეთ შორის ატეხილ დავა-უკმაყოფილებაში. თვითმპყრობელი მთავრობის ადგილობრივმა მოხელეებმა განიზრახეს ხიზნების საქმის მოწესრიგება და მათთვის რაიმე დებულების გამოცემა. ამ მიზნით იმათ მოიხმეს მხოლოდ ერთი დაინტერესებული მხარე, სახელდობრ მემამულეები, და მხოლოდ მათ ჩვენებაზე დაამყარეს თავისი დასკვნა. მიწათმფლობელთა აზრით, ხიზნები უბრალო მოიჯარენი არიან, და როგორც ასეთები ისინი უნდა დაემორჩილონ მემამულეთა ყოველგვარ მოთხოვნილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა აიბარგონ და საითაც სურთ, იქ გარდაიხვეწონ. კავკასიის ადგილობრივმა მთავრობამ ამის თანახმათ შეიმუშავა პროექტი ხაზანთა დებულების შესახებ და 1884 წლის დამლევს ეს პროექტი გაიგზავნა შესამოწმებლათ პეტერბურგში. „ამნაირათ—ამბობს ზევით დასახელებული ავტორი ამ პროექტის შესახებ,—ის დაწესებულებანი, რომლებიც მოწოდებული იყვნენ გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, ამათი შემავიწროებელი გამოდგენო“. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ბ-ნი თუმანოვი უწინარეს ყოვლისა ცდება იმაში, რომ რუსეთის თვითმპყრობელ მტარვალს, ოდესმე მოეწოდებიოს რომელიმე დაწესებულება გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ; ეს ზღაპარი გაავრცელეს საზოგადოებაში და მწერლობაში ხალხის სისხლის მსმელმა მინისტრებმა და თვითმპყრობელი მეფის საზიზღარმა მოხელეებმა, ერთი მხრით, და ზოგიერთმა გულ-უბრყვილო ლიბერალებმა, მეორე მხრით. ხოლო ჩვენთვის-კი ცხადია, თუ როგორ იღვწის და ზრუნავს თვითმპყრობელი რუსეთის მტარვალი და მისი მოხელეები მშრომელ ხალხისათვის საზოგადოთ და გლეხ-კაცობისთვის კერძოთ. გავიდა რამდენიმე წელიწადი, სანამ პეტერბურგში ხიზნების შესახებ დებულებას ამტკიცებდენ, და მხოლოდ 1891 წელს ეღირსა მას ეს დამტკიცება. რა მისცა ამ დებულებამ დაინტერესებულ მხარეებს, ე. ი. ხიზნებს ერთი მხრით, და მემამუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეებს, მეორე მხრით? 1891 წლის დებულება ხიზნებზე აშკარათ გვეუბნება, რომ თვითმპყრობელ მთავრობას შესახედავათ არც მწვადის დაწვა ნდომებია და არც შამფურის. თავისთავათ იგულისხმება, რომ მისი თანაგრძნობა მემამულეების მხარეზე უნდა ყოფილიყო, როგორც ყოველთვის; მაგრამ იმავე დროს მას უპირველესათ თავის თავის დაცვა აქვს მხედველობაში. ამიტომ თვითმპყრობელ მთავრობას ვერ გაუბედავს პირდაპირ ეთქვა ხიზნებისთვის: თქვენ უბრალო მოჯარადრენი ხართ და ამიტომ, თუ მემამულეთა მიწაზე გსურთ იცხოვროთ, ვალდებული ხართ დაეპორჩილოთ ყველა მათ მოთხოვნილებასო. მთავრობას უფიქრია: ვი თუ ასეთმა პირდაპირმა განცხადებამ უკმაყოფილება გამოიწვიოს ხიზნებში; ამ უკმაყოფილებას, უეჭველია, ამათი საერთო აჯანყება მოყვება; ეს სიკვდილის დღის მოახლოვებას მოასწავებს, ამიტომ მთავრობამ მართალია ხიზნები არსებით მოიჯარადრეებათ იცნა, მაგრამ მემამულეების მიერ ღალის მომატება და მით უმეტეს მათი აყრა ზოგიერთ პირობებით შეზღუდა; მაგალითათ, მემამულეს შეუძლიან აყაროს ხიზანი; მაგრამ მან უნდა დაითანხმოს იგი, თუ ვინცობაა, ეს უკანასკნელი ნებაყოფლობით თანახმა არ გაუხდა, მაშინ მემამულეს უფლება აქვს ძალით აყაროს იგი; მაგრამ ამ შემთხვევაში მემამულე ვალდებულია ორკეცათ უზღოს ხიზანს ყოველგვარი ხარჯი, რაც-კი ამ უკანასკნელს გაუწევია მემამულის მიწაზე. მთელ ამ დებულებაში ერთათ-ერთი მუხლი იყო, რომელიც რამდენიმეთ იფარავდა ხიზანს მემამულის აულაგმავი თვითნებობისაგან, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამ უბრალო დათმობამაც-კი ააღელვა და შეაშფოთა მემამულენი. როგორ თუ ჩვენ მოავრობა ვალდებულათ გვხდის ორკეცათ ვუზღოთ ხიზნებს იმ ნაშენებ-ნაკეთებისთვის, რომელიც იმათ ჩვენ მიწაზე გაუწევიათო? ეს ჩვენი დაღუპვა და გაძარცვაა? როგორ თუ მთავრობა ჩვენ ინტერესებს არ იცავს ტ ხიზნებს მომხეობას უწევსო? მაშინვე გამართეს კრებები, შეადგინეს ტ გაგზავნეს თხოვნები და შუამდგომლობანი თავიანთ ინტერესების კვალობაზე და ბოლოს კიდევაც მიაღწიეს მიზანს: „მოწყალე“ ხელმწიფემ, ნიკოლოზ მეორემ ყურად იღო მემამულეთა მოთხოვნილება და 1900 წლის დებულებით ის მცირედენი მფარველობაც წაართვა ხიზნებს, რომელსაც რამდენიმეთ უწევდა მათ 1891 წლის დებულება. 1900 წ. დებულებამ ხიზნები უბრალო მოიჯარადრეებათ იცნა; მემამულეს შეუძლიან, როგორც სურს მოუმატოს ღალას; თუ ხიზანი თანხმა არ გაუხდა შეუძლია აყაროს და, ამ შემთხვევაში მემამულე ვალდებულია უზღოს ხიზანს შენობების ღირებულება, მორჩა და გათავდა. 1891 წლის დებულებას, რომელიც, როგორც დავინახეთ ცოტაოდენ მფარველობას უწევდა ხიზნებს, დაქრთამული და პირ-მოთნე მოხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეები უმალავდენ და არ უმხელდენ ხიზნებს. სამაგიეროთ 1906 წლის დებულების შესრულებას-კი მაშინვე მიჰყვეს ხელი გახარებულმა მემამულეებმა, მაგრამ ამ დებულების განხორციელება ცხოვრებაში ძნელი გამოდგა; მთავრობის მოხელეთა და მიწათ-მფლობელთა ცემა-ტყეპა, კერძო აჯანყებანი და რამდენიმე მემამულეთა მოკვლა,—აი როგორ მიეგებენ ხიზნები ამ დებულების განხორციელების ცდას. ჯერ სამი წელიწადი ძლივს გავიდა ამ დებულების გამოქვეყნების შემდეგ, და მიუხედავად ამისა ამ მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენ მოწამენი ვიყავით მრავალ შეტაკებათა, ერთი მხრით მთავრობის და მიწათ-მფლობელთა და მეორეს მხრით ხიზნებს შორის, რომლებიც უმეტეს ნაწილათ სისხლის ღვრით თავდებოდენ. და ეს ასეც უნდა მომხდარიყო! ახალმა დებულებამ ხიზნები გამოიწვია საომრათ. დღეს არც ერთი ხიზანი უზრუნველყოფილი არ არის, რომ ხვალ მას მემამულე არ ეტყვის: წადი, გამეცალე ჩემი მიწიდგან! რა უნდა ქნას მაშინ ხიზანმა? ადგეს და თავისი სისხლით და ოფლით მორწყული ყოველგვარი ნაშენები და ნაკეთები სრულებით მუქთათ უნდა დაუთმოს მემამულეს და თითონ უნდა გადაესახლოს სხვაგან. მაგრამ სად?.. რა გასაკვირია, რომ ამას ადვილათ არ დათმობს ხიზანი; თუმც ამან სისხლის დაღვრა მოითხოვოს, რასაც მართლაც ვხედავთ ცხოვრებაში.

მაგრამ აქ არის ერთი საგულისხმიერო გარემობა. ამ შეტაკების დროს ხიზანი ძალა-უნებურათ იგებს, რომ მისი მტერი მარტო მემამულე კი არ არის, პირიქით მისთვის აშკარა ხდება, რომ მისი უმთავრესი მტერი არის ის, ვინც მხარს დაუჭერს მიწათ-მფლობელთ და სცემს კანონებს იმათ სასარგებლოთ. ამიტომ მისი ზიზღი და შურის-ძიება გადადის თვითმპყრობელ მთავრობაზე და მის მოხელეებზე. ხიზნების საქმეში რუსეთის დღევანდელმა მთავრობამ ნათლათ და აშკარათ დამტკიცა, რომ იგი (მომხრეობს და იცავს მხოლოთ მდიდრებს და კერძო მიწათ-მფლობელს. მშრომელი ხალხი-კი მხოლოდ იმათ გასამდიდრებლათ და გასასუქებლათ მიაჩნია. ამნაირათ იგი, ე. ი. მთავრობა, ნებსით და უნებლიეთ, თითონვე ლესავს იმ მახვილს, რომლითაც მას ყელი უნდა გამოსჭრან.

ჩვენ ზევით ვთქვით, რომ ბატონ-ყმობა ამიერ-კავკასიაში არსებობდა მხოლოდ ორ გუბერნიაში: ქუთაისის და ტფილისის. დანარჩენ გუბერნიებში: ე. ი. ბაქოს, ერევნის და განჯის, სადაც ცხოვრობენ სომხები და თათრები, ბატონ-ყმური წეს-წყობილება არ განვითარებულა. იქ ყოველგვარი მიწა-ადგილი, გარდა იმ მიწებისა, რომლებიც შეადგენენ ეზოს და რომლებიც ეჭირა სხვა-და-სხვა შენობებს, შეადგენდა მხოლოთ ერთი პირის, სახელმღობრ სახელმწიფოს უფროსის, იმამის კუთვნილებას, ეს უკანასკნელი ნიშნავდა პროვინციების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეებათ ხანებს, ბეგებს, მელიქებს, ანუ აღალარებს, რომ ლებიც მათდა მინდობილობით პროვინციებში ვალდებულნი იყვნენ სახელმწიფოს უფროსისათვის მოეკრიბათ ხარჯი და სხვა-და-სხვა გადასახადი, ამ ნაირათ ეს ბეგები, მელიქები აღალარები იყვნენ სახელმწიფოს უფროსის მიერ დაყენებული მოხელეები. ჯილდოთ ისინი ღებულობდენ პირდაპირ მიწის მოსავლიდან, იშვიათათ ფულით; ასეთი გადასახადის რაოდენობა ერთხელ და სამუდამოთ გარდაწყვეტილი იყო. გარდა ამისა, იმათ არ ჰქონდათ არავითარი უფლება არც მიწა-ადგილზე, რომლებიც მცხოვრებთა სარგებლობაში იყო, და არც თვით მცხოვრებთა პიროვნებაზე; ერთი სიტყვით, აქ ბატონ-ყმურ ურთიერთობას ადგილი არ ჰქონებია. მაგრამ გარემოება შეიცვალა, როცა ეს ადგილები რუსეთის მთავრობამ დაიპყრო, თვითმპყრობელი მეფის მოხელეები აღზრდილნი ბატონ-ყმურ ნიადაგზე და გაჟღენთილი ბატონ-ყმურ იდეებით, ყოველგან ბატონ-ყმურ წესწყობილებას ხედავდენ. ამათი შეხედულებით, ბეგები, მელიქები და აღალარები ნამდვილი მებატონენები იყვნენ; მიწაც და ყმებიც მათ ეკუთვნოდათ. ასეთი აზრი პირველათ კავკასიის მთავარ-მართებელმა ერმოლოვმა წარმოსთქვა, და ამის შემდეგ ხსენებულ ადგილებში იწყო განვითარება ბატონ-ყმურ ურთიერთობამ. მაგრამ ასეთი ზომის სიყალბე მეტათ თვალ-საჩინო იყო და საკმარისი იყო სულ მცირე დაკვირვება, რომ ეს აღმოჩენილიყო: გასული საუკუნის მეორმოცე წლებში სენატორ განის რევიზიის წყალობით ეს შეხედულება უარყოფილი იქმნა, და კავკასიის მთავრობა ისევ იძულებული გახდა განკარგულება მოეხდინა, რომ ბეგებისათვის და მელიქებისათვის ჩამოერთვათ მიწები და ყმები, და ამის სანაზღაუროთ იმათთვის პენსიები დაენიშნათ. რა თქმა უნდა, რომ ეს არ მოეწონათ შემთხვევით გაბედნიერებულ ბეგებს და მელიქებს, და მთავრობას განუცხადეს თავისი უკმაყოფილება. მთავრობისათვის-კი ესენი იმ დროს უფრო საჭირო და გამოსადეგნი იყვნენ, ვინემ გლეხები, ვინაიდგან ამათი საშვალებით მთავრობას ადგილათ შეეძლო ახალ-შემოერთებული ქვეყნების დამშვიდება და ხალხის დამორჩილება. ამიტომ საჭირო იყო ბეგების და მელიქების მომხრობა და მთავრობამაც დაუთმო მათ; ბეგების და მელიქების თავ-გამოდებული მოსარჩლე შეიქმნა მტარვალ მეფის, ნიკოლოზ პირველის მოადგილე კავკასიაში, ცნობილი თავის „ლიბერალობით", თავ. ვორონცოვი. მან აღძრა შუამდგომლობა თვითმპყრობელ მეფის წინაშე, რომ მთავრობის ინტერესებისათვის საჭიროა ბეგების და მელიქების მომადლიერება; ამიტომ მთავრობამ იმათ მინიჭებული უფლებები კი არ უნდა წაართვას, არამედ რაც შეიძლება კიდეც მეტი უფლებები მისცეს, გახადოს ისინი ნამდვილ მემამულებათ და გლეხები-კი იმათ მიწებზე მოსახლეებათ. რა ვუყოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე, რომ ამით დაიჩაგრება ხალხი, სამაგიეროთ გაიმარჯვებს თვითმპყრობელობის საქმეო. ვორონცოვის აზრით, ამას თხოულობდა რუსეთის პოლიტიკა, ანუ თვითმპყრობელობის ინტერესი ამიერ-კავკასიაში. მტარვალი მეფე მაშინვე დაეთანხმა თავის ერთგულ მოსამსახურეს და ხალხის მოღალატეს—ვორონცოვს. ნიკოლოზ პირველმა ისიც აღიარა, რომ ბეგებისათვის და მელიქებისათვის მიწის წართმევა დიდი შეცდომა იყოო. ამნაირათ, ასე აშკარათ უსამართლობის ჩადენით ბეგები, მელიქები და აღალარები გამოაცხადეს იმ მიწების მესაკუთრეებათ, რომლებიც საუკუნოების განმავლობაში გლეხების ხელში იყო სასაგრებლოთ და ამათი ოფლით იყო განაყოფიერებული. მაგრამ ამავე დროს თვით გლეხები ვერ გამოაცხადეს ბეგების და მელიქების ყმებათ; ისინი სახელმწიფო გლეხებათ აღიარეს. ვის შეეძლო იმის ჩვენება რომ აქ აშკარა წინააღმდეგობა იყო: თუ გლეხები ყმები არ იყვნენ, როგორ მოხდა, რომ ისინი კერძო მემამულეთა მიწებზე იყვნენ დასახლებულნი? თუ ისინი სახელმწიფო გლეხები იყვნენ ან შემთხვევაში ის მიწები, რომლებზედაც ისინი ესახლენ სახაზინო უნდა ყოფილიყო, თუ იმათი საკუთრება არა. ეს გლეხები გარდა იმისა, რომ ხაზინის სასარგებლოთ დატვირთეს გადასახადებით, ვალდებული არიან მემამულეთა სასარგებლოთ იხადონ ღალა მიწის მოსაღლიდან ერთი მეხუთედიდან ერთ მეათედამდის.

ამ ნაირათ თვითმპყრობელმა მთავრობამ მოინდომა ბატონ-ყმური წესების შემოღება იქ (და რამოდენიმეთ კიდევაც შემოიღო), სადაც წინეთ ამის ხსენებაც არ ყოფილა, და ეს როდის? მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში, როცა ადამიანის ღირსების დამამცირებელი წესწყობილება ყველგ-ნ უარყოფილი და დაგმობილი იყო. იმის მაგივრათ, რომ შემდეგში მაინც შეესუსტებიათ ბატონ-ყმური წესები, მთავრობა მის განმტკიცებას და გამაგრებას ცდილობდა.—1861 წლის საგლეხო რეფორმა, ამ კატეგორიის გლეხებს სრულებით არ შეხებია. მხოლოთ 1870 წელს გამოიცა ამათ შესახებ ცალკე წესდება—„Поселянское положение“, რომელმაც დაკანონა ამ გლეხებისათვის დროებით ვალდებული მდგომარეობა, ე. ი. ამათ მიეცათ „ნადელები“ რომლების გამოყიდვის ნება მისცეს იმ წესებით, რა წესებითაც ეს მიენიჭათ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის დროებითი ვალდებულ გლეხებს. ამ დროებით ვალდებულებამ ჩამოაგდო იმათ შორის ნამდვილი ბატონ-ყმური ურთიერთობა. როგორც მცოდნე პირები ამტკიცებენ, ამ გლეხებში „ნადელის“ გამოყიდვის საქმე მეტათ საბრალო მდგომარეობაშია და იქ თითქმის ეს გამოყიდვის საქმე არცკი დაწყებულა. ვნახოთ ეხლა რა მდგომარეობაში არიან ამიერ-კავკასიაში სახელმწიფო გლეხები. რიცხვით ესენი უმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეს ნაწილს შეადგენენ ამიერ-კავკასის გლეხ-კაცობისას. რაც შეეხება ამათ მდგომარეობას ესენი ბევრით არაფრით განსხვავდებიან სხვა კატეგორიის გლეხებისაგან. კავკასიის სახელმწიფო გლეხები არაფრით უზრუნველ-ყოფილი არ არიან, რომ მიწა ადგილებს, რომელიც ამჟამად მათ სარგებლობაშია, ხვალ მთავრობა არ წაართმევს და არ უბრძანებს: სხვაგან გადაეთრიეთო. თუ დროებით ვალდებული გლეხები, ხიზნები და ის სახელმწიფო გლეხები, რომლებიც კერძო მემამულეთა მიწებზე არიან დასახლებულნი, მთავრობა, კერძო მემამულეთა სრულ თვითნებობას დაუმორჩილა, სამაგიეროთ ხაზინის მოხელეებს დაუმორჩილა სახელმწიფო გლეხები. არსებითათ სახელმწიფო გლეხები ხაზინის მოიჯარენი არიან, მთავრობას როცა უნდა მაშინ გადადენის სახელმწიფო გლეხებს სახაზინო მიწიდგან, ისე როგორც ამას კანონით ჩადიან დღეს კერძო მემამულენი. თავ. გიორგი თუმანოვი ამბობს, რომ სახელმწიფო გლეხები უბრალო მოიჯარადრეებს მოგვაგონებს, რომელნიც არავითარი კანონით არ არიან უზრუნველ ყოფილნი, რომელიმე მოხელის თვითნებობისგან. მაშინ როცა შიდა გუბერნიებში სახელმწიფო გლეხებს ჯერ კიდევ 1867 წელს მიუზომეს „ნადელები“ და ფორმალურათ ნება მისცეს იმათი გამოსყიდვისა, ამიერ-კავკასიაში სახელმწიფო გლეხების მდგომარეობა არაფრით განსაზღვრული არ არის. კანონით იმ სახელმწიფო გლეხების მიწები, რომელთაც არ მიუღიათ ეგრეთ წოდებული „სამფლობელო ბარათები,“ მთავრობის საკუთრებას შეადგენს და რაწამს თავის საჭიროებისათვის მოუნდება, იმ წამსვე შეუძლია გლეხი თავის მამა-პაპის დროიდან შემოშავებულ და გაკეთებულ მიწა-ადგილდან აყაროს და სადმე სხვაგან მიუჩინოს მას მაგიერი მიწა. როგორც ხედავთ სახელმწიფო გლეხების უზრუნველყოფელობა იმავე მდგომარეობაშია, როგორც დანარჩენ გლეხებისა. არიან ამიერ-კავკასიაში მესაკუთრე გლეხები; ესენი მეტ ნაწილათ ტფილისისა ტ ქუთაისის გუბერნიებში ცხოვრობს. ეს ის გლეხებია, რომელთაც დიდის ჭაპანწყვეტითა და ვაი ვაგლახით მამასისხლათ, ე. ი. ერთი ათად და ოცად გამოიყიდეს მემამულესაგან თავიანთი ერთი ციდა ადგილები. ე. ი. გამოიყიდეს მემამულეთაგან თავისივე საკუთარი, თავისივე სიხსლითა და ოფლით განოყიერებული მიწები. მაგრამ განა ამით მათ თავი დაახწიეს მემამულეთაგან დამოკიდებულებას? სრულიადაც არა! როგორც ვიცით „ნადელებათ“ მიუზომეს გლეხებს ის ადგილი როველიც ბატონყმობის დროს იმათ სარგებლობაში იყო. მას შემდეგ თითქმის ორმოცი წელიწადი გავიდა და ხალხის რიცხვი თან-და-თან გაიზარდა. თუ მაშინ გლეხებისათვის ეს მცირე იყო, დღეს რაღა უნდა იყოს! ამას გარდა გლეხებისათვის ხომ არც ტყე და არც საძოვარი არ დაუტოვებიათ, ყველა ეს მემამულეთა ხელში დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უამისოთ კი გლეხებს განა ცხოვრება შეუძლიათ? და აი გლეხ-თუმცა მან ნადელი როგორც იყო გამოიყიდა მემამულესაგან და ამით ვითომც თავი დაიხსნა კიდევაც მისგან, მაგრამ აშკარაა, რომ მესაკუთრე გლეხი—ნამდვილათ იმავე მემამულის პრეტყალებშია. ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ ეგრეთ წოდებულ რაიატებზე, ე. ი. იმ გლეხებზე, რომელიც ცხოვრობენ დაღესტნის ოლქში, და რომელნიც რუსეთის დაფუძნებამდე თავისუფალ მცხოვრებათ ითვლებოდენ, მხოლოდ მერმე პირდაპირ ბატონ-ყმურ დამოკიდებულებაში ჩაცვინდენ. არიან ამას გარდა ამიერ-კავკასიაში სხვა სახელწოდებიან გლეხებიც, მაგალითათ ერევნის გუბერნიაში, მაგრამ ყველას დასახელება აქ საჭირო არ არის. უმთავრესი ყურადღება მივაპყრათ ჩვენ ეხლა იმას, რომ გლეხკაცობა რუსეთის სახელმწიფო კანონებით ყველა მხრივ შეზღუდული და დამონებულია. ის ბატონ-ყმური ურთი-ერთობა, რომლის გაუქმებას ყველა ასე ჩაგეჩიჩინებს, ნამდვილათ კიდევ ცოცხალია. ორმოცი წლის განმავლობაში თვითმპყრობელი მთავრობა საშინლათ ატყვილებდა ხალხს, რომ მან ვითომც იგი გაანთავისუფლა ბატონ-ყმური ბორკილისაგან. როგორც დავინახეთ ეს სიცრუე გამოდგა. დიდი-ხანია თქმულა, ხალხის განთავისუფლები მონობისაგან მხოლოთ მაშინ არის საიმედო, როცა ეს განთავისუფლება თვითონ ხალხისაგან მომდინარეობს, თვითონ ხალხის გულში მწიფდება.

თვითმპყრობელ მთავრობას არსად და არასოდეს ხალხი არ გაუნთავისუფლებია და ვერკ გაანთავისუფლებდა; ამისათვის საჭირო იყო პირველათ ამ თვითმპყრობელობის დამხობა. ჩვენი ხალხის განთავისუფლებაც მხოლოთ მაშინ მოხდება, როცა რუსეთის თვითმპყრობელობა სამუდამოთ დაემხობა. ამას წინეთ ჩვენ წავიკითხეთ გაზეთებში, რომ მტარვალი მეფის მოადგილეს კავკასიაში, ხალხის სისხლის მსმელს გოლიცინს რაღაც ცვლილების შემოღება განუზრახავს ამიერ კავკასიის გლეხკაცობის შესახებ. რომ გლეხების მდგომარეობა აუტანელი შეიქნა ჩვენში, ამის უარის ყოფა არავის არ ძალუძს; დადგა ის ნეტარი დრო, როცა ხალხმა თვითონ უნდა გაანთავისუფლოს თავის თავი. ამასაც გრძნობენ ხალხის მტრები—ე. ი. თვითმპყრობელი იმპერატორი და მისი მოსამსახურე მინისტრები, და მათ შორის კავკასიის მტარვალი გოლიცინი და აი ეს საზიზღარი მოხელე რაღაც ოინებს და ხრიკებს იგონებს, ეგეც მონობის ჯაჭვის გაწყვეტა და ხალხისაგან შურისძიება რამდენიმე ხნით კიდევ შეაჩეროს. ამ მიზნით ის ჩვენ გლეხ-კაცობას პირდება „ვოლოსტებისა“ და „საგლეხო უფროსობის“ შემოღებას, მაგრამ ამ არსებას დავიწყებია, რომ დღეს სხვა დრო დადგა და ასეთს თილისმით ხალხს ვეღარ მოატყუებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი გლეხკაცობა დღეს მეტათ გაჭირვებულია, ამას დღეს ვერავინ ვერ უარყოფს. საქმე ის არის, თუ როგორ შესძლებს გლეხკაცობა ამ აოტანელ მდგომარეობიდან თავის დახწევას? რასაკვირველია თანამედროვე კაპიტალისტური წესწყობილების გამო გლეხკაცობა თანდათან იყოფა სამ ნაწილათ: უმცირესობას შეადგენს სოფლის ბურჟუაზია, ე. ი შეძლებული გლეხები, რომლებიც მიწა ადგილს იძენენ და ვაჭრობასაც მისდევენ: ესენი დღევანდელი ცხოვრების პირობებშიაც იოლად მიდიან. მეორე, უმრავლესობას შეადგენს ხელ-მოკლე გლეხები, რომელთაც მიწა ადგილი იმდენათ ცოტა აქვთ, რომ იძულებული არიან მემამულეებისაგან ღალათ აიღონ, და მესამე ჯგუფს—გლეხები, რომელთაც ან სულ არ აქვთ და ან სულ მცირე, დანის პირის ოდენა საკუთრება შერჩენიათ და იძულებულნი არიან მოჯამაგირეებათ დაუდგენ მემამულეებს ან კიდევ სრულებით მოშორდნენ სოფლებს და ქალაქის მუშათ იქცენ, რაც უფრო ხშირდება.

მაგრამ მთელ გლეხ-კაცობას ცოტა თუ ბევრათ კისერზე აწვევს თვითმპყრობელობისაგან ნაბოძები მემამულეთა პრივილეგიები. რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია იწვევს მთელ გლეხობას შეუერთდეს ქალაქის პროლეტარიატს განმათავისუფლებელ ბრძოლაში და იბრძოლოს ბატონყმურ დარჩენილ ნაშთთა წინააღმდეგ და ამასთანავე თვითმპყრობელობის დასამხობათ. ეჭვს გარეშეა, რომ მთელი გლეხობა მხარს არ დაგვიჭერს ბოლომდინ: თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ სოფლის ბურჟუა-გლეხობა მიემხრობა ქალაქის ბურჟუას და შეძლებულ თავად აზნაურობას; მხოლოდ სოფლის ღარიბი გლეხ კაცობა დარჩება ჩვენთან ბოლომდის!

კავშირის კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲠᲣᲡ. ᲡᲝᲪ.-ᲓᲔᲛ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡ-ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ-ᲡᲐᲠᲣᲡᲔᲗᲝ

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲖᲔ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ
1906

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა უმცირეს-უმრავლესობის საერთო-სარუსეთო კონ-ფერენციებზე.

ორ წელიწად ნახევარი მიდის მას მერე, რაც ჩვენი პარტია ორ ფრაქციათ გაიყო, უმცირესობათ და უმრავლესობათ. **პარტიის წევ-რობა და ორგანიზაციათა ურთიერთული განწყობილება,**—აი რა კითხვებმა გაჰყო ორათ ჩვენი პარტიული ამხანაგები. ცოტა ხნის მერე ყველა ამას ტაქტიკური უთანხმოებაც მოემატა,—და პარტიულმა განხეთქილებამ საშიშარი სახე მიიღო .. არ იფიქროთ, რომ ვისიმე ბორო-ტულ განხრახვას გაეყოს ორათ ჩვენი პარტია,—პირიქით—თუ გრძ-ნობებზე მიდგება საქმე, ჩვენ ვიტყვით, რომ ბორორტულმა განხრახ-ვამ კი არა,—პროლეტარიატისადმი სიყვარულმა გაავორა ერთმანეთს ძმათ შეფიცული ამხანაგები: ორივე ფრაქცია ისე დარწმუნებული იყო თავ-თავიანთ პოზიციის სიმართლეში, რომ ერთ-ერთის დამარ-ცხება და მეორის გამარჯვება პარტიის წმინდა საქმეთ ითვლებოდა: ცხადია, ვისაც პროლეტარიატი უყვარდა, ის თვალებს ვერ დახუ-ჭავდა და აუცილებლათ ერთ-ერთ ფრაქციას მიემხრობოდა, რომ აქტიური მონაწილეობა მიეღო პარტიულ ბრძოლაში... მაგრამ დრო მიდიოდა, რევოლიუციონური ქარტეხილი გონებას აფხიზლებდა, სადაო კითხვები ღრმა პრაქტიკულ ხასიათს იღებდა და თანდათან ირკვეოდა. რომ ფრაქციებ შორის არც ისე დიდი მანძილი ყოფილა, რომ ისინი, პირიქით, დღითი-დღე ერთმანეთს უახლოვდებიან და ჩქარა ერთ პარტიათაც შეერთდებიან. და აი, 1905 წლის ბოლოში ორივე ფრაქციის ცენტრებმა ფრაქციული კონფერენციები მოიწვია, რომ შეერთების პირობები შეემუშავებინათ და მით საძირკველი ჩაეყარათ ერთი და განუყოფელი პარტიისათვის. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ორივე კონფერენციამ აღნიშნა შეერთების აუცი-ლებლობა და, რაც უფრო საინტერესოა, ორივემ ერთნაირი პირო-ბები შეამუშავა პარტიული შეერთებისთვის. ერთიც და მეორეც იმ აზრისაა, რომ პარტია—სოციალდემოკრატიული ორგანიზაციათა კრებულია, რომელთა წევრებიც იმავ დროს პარტიის წევრებათ უნდა ითვლებოდნენ; ერთიც და მეორეც იმ აზრისაა, რომ დაბალი ორგა-ნიზაციის გადაწყვეტილება, თუ კი ის მაღალი ორგანიზაციის გადა-წყვეტილებას ეწინააღმდეგება, სისრულეში არ უნდა იქნეს მოყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილი. რა თქმა უნდა, დაბალ ორგანიზაციებს ყოველთვის შეუძლიანთ მაღალი ორგანიზაცია გამოსცვალონ და სხვა აირჩიონ, მარა სანამ ეს არ უქნიათ, სანამ ესა თუ ის მაღალი ორგანიზაცია არ გამოუცვლიათ, მისი გადაწყვეტილება სავალდებულოა დაბალი ორგანიზაციებისთვის. ამავე დროს გადაჭრით მიღებულ იქმნა საარჩევნო სისტემა. ყველა ამით სამუდამოთ დამტკიცდა დემოკრატიული ცენტრალიზმის აუცილებლობა.

აი რა პირობები გამოიმუშავეს ჩვენი პარტიის შეერთებისთვის.

რაც შეეხება სრული შეერთების დამთავრებას და ტაქტიკურ კითხვებს, მათი გადაჭრა შემაერთებელმა სიეზდმა უნდა იკისროს, რომელიც ამ მოკლე ხანებში გაიხსნება. ასეთია ორივე კონფერენციის შეხედულება.

ამხანაგებო! განხეთქილების ხანა უკვე ისტორიას ბარდება: ორივე ფრაქციის ცენტრები უკვე შეერთდნენ; ადგილობრივი ორგანიზაციების შეერთება თითქმის უკვე მოთავებულია რუსეთში; დარჩა მარტო კავკასია, რომელიც მხოლოთ ამ ბოლო ხანებში შეუდგა (ბაქოში და ტფილისში*) შეერთების საქმეს,—ვეცადნეთ და დავაჩქაროთ ეს საყვარელი საქმე კავკასიის სხვა ადგილებშიაც. მტერი კარს მოგვდგომია და ჩვენთვის დრო ძვირია!

გაუმარჯოს ერთსა და განუყოფელ რუსეთის
სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას!
კ. ვკ კავშ. კომიტეტი.

უმრავლესობის საერთო-სარუსეთო კონფერენციის რეზოლიუციები.

1. ცენტრების შეერთებაზე.

პარტიის პრაქტიკული შეერთებისთვის კონფერენცია წინადადებას იძლევა დაუყონებლივ და ერთდროულათ მოხდეს პრაქტიკული და идеიური ცენტრების შეერთება თანასწორი წარმომადგენლობის ნიადაგზე. რედაქციის წევრებს შეუძლიანთ იმავ დროს პრაქტიკული ცენტრის წევრებათაც ითვლებოდნენ.

რედაქცია უნდა ხელმძღვანელობდეს პრაქტიკული ცენტრის დირექტივებით. რედაქცია ყოველთვის ვალდებულია ადგილი მისცეს

*) როგორც ვიცით, ტფილისში დღეს უმრავლეს-უმცირესობის შეერთებული კომიტეტი მოქმედობს, რომელსაც ეწოდება „ტფილისის კომიტეტი რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიისა“; ეს ეთვე შეერთებული კომიტეტი მოქმედებს ბაკოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანოში რედაქტორთა მესამედის განსაკუთრებულ შეხედულობაზ და უფლება აქვს ამ შეხედულობას თავისი რედაქციონური შენიშვნა გაუკეთოს. *)

2. ადგილებში შეერთებაზე.

კონფერენცია აცხადებს თავის სურვილს—დაუყონებლივ დაიწყოს ადგილობრივი ორგანიზაციების (პარალელური ორგანიზაციების) შეერთება.

3. შემაერთებელი სიეზდის მოწვევაზე.

შეერთებული ცენტრალური კომიტეტი და ორგანიზაციონური კომისია, ან, თუ შეერთება ვერ მოხდება, **) მათი ფედერატიული საბჭო ვალდებულია გამოაცხადოს შემაერთებელი სიეზდის მოწვევა იმ აზრით, რომ ეს სიეზდი რაც შეიძლება ჩქარა გაიხსნას. წარმომადგენლობა შემაერთებელ სიეზდზე ამრჩევლობითი და პროპორციონალური უნდა იყვეს. დელეგატების არჩევაში პარტიული ორგანიზაციების ყველა წევრები იღებენ მონაწილეობას პირდაპირი და დახურული კენჭის ყრით. პარტიის სამასი წევრი თითო დელეგატს გზავნის. იმ დამოუკიდებელ ორგანიზაციებს, რომლებშიაც სამასზე ნაკლები, მარა ასზე მეტი პარტიის წევრია—უფლება ეძლევა ერთი დელეგატი გაგზავნოს. იმ დამოუკიდებელ ორგანიზაციებს, რომლებშიაც ასზე ნაკლები, მარა ორმოცდა ათზე მეტი პარტიის წევრია—უფლება აქვთ ერთი დელეგატი გაგზავნონ **სათათბირო** ხმით. არჩევნების დროს დელეგატებმა ტაქტიკური პლატფორმები უნდა წამოაყენონ, ხმების შეერთება რომლებიც შეკრებილია სხვა და სხვა ადგილებში და რაიონებში, შესაწყნარებელია მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ეს რაიონები შეერთებულია ერთი ადგილობრივი ცენტრის გარშემო.

შენიშვნა პირველი: ის ამხანაგები, რომლებიც შემაერთებელ სიეზდზე განცხადების შემდეგ შევლენ პარტიაში, მონაწილეობას არ იღებენ დელეგატების არჩევანში.

შენიშვნა მეორე: დელეგატებს სიეზდზე ერთი ხმის მეტი არ უნდა ჰქონდეთ. არა უგვიანეს სამი კვირისა მას შემდეგ, რაც სიეზდზე განცხადება გამოქვეყნდება, შეერთებულმა ცენტრმა უნდა გამოსცეს დაწვრილებითი საარჩევნო წესდება და სიეზდის დღის წესი,

---

*) ეს რეზოლიუცია საერთოთ უკვე გავიდა ცხოვრებაში, რადგანაც კონფერენცია ჯერ არც კი იყო გათავებული, რომ იდეიური და პრაქტიკული ცენტრები უკვე შეერთდნენ.

**) ჩვენ უკვე მოვიხსენეთ, რომ შეერთება მოხდა.

ავტორი. კომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზგასმით, რომ სიეზდი სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის. ყველა ორგანიზაციასთან, რომელშიაც კი ეს პარტიულ წევრზე მეტია, უნდა დაარსდეს საარჩევნო კომისია, სადაც უნდა იკრებოდეს კითხვები პარტიის წევრების მიღებაზე და საარჩევნო წესებზე. კომისია უნდა აირჩეს ხმის უმეტესობით: კომისიაში აუცილებლათ უნდა იყვეს მცირე ნაწილის წარმომადგენელიც. იქ, საცა პარალელური ორგანიზაციები სიეზდამდის ვერ შეერთდება, საარჩევნო კომისიაში ორივე მხარე გზავნის წარმომადგენლების თანასწორ რიცხვს. ყველა ის სადავო საარჩევნო კითხვები, რომლებსაც საარჩევნო კომისია ვერ გადასჭრის, შეერთებულმა ცენტრმა უნდა გადასჭრას.

---

4. პარტიის რეორგანიზაციაზე.

კონფერენცია ემყარება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს და საჭიროთა სცნობს გატარებულ იქნას პარტიაში ფართე არჩევნები; ამავე დროს არჩეულ ცენტრებს, რომლებიც დროგამოშვებით უნდა იცვლებოდეს და რომლებიც სრულს ანგარიშს უნდა აძლევდნენ ამრჩეველებს თავის მოქმედებისას, სრული უფლება უნდა ჰქონდეთ იდეიური და პრაქტიკული ხელმძღვანელობისა.

ადგილობრივ მუშაობის გამოცოცხლებისა და გაერთიანებისთვის კონფერენცია წინადადებას იძლევა გაიმართოს საოლქო კონფერენციები და კავშირები შესაფერისი ორგანოებით.

კონფერენცია წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს დაუყონებლივ შეუდგნენ ადგილობრივი ორგანიზაციების რეორგანიზაციას საარჩევნო ნიადაგზე; საჭირო არაა, რომ ყველგან სრულ ერთნაირობით ხდებოდეს არჩევნები, მარა სრული დემოკრატიზმისაგან გადახვევა (მაგალითათ ორსართულიანი არჩევნები) შესაწყნარებელია მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკული პირობები აუცილებლათ ხდის ამ გადახვევას.

---

5. აგრარულ კითხვაზე.

კონფერენცია აღიარებს, რომ გლეხთა მოძრაობის განვითარება სავსებით ამართლებს რევოლიუციონური მარქსიზმის ძირითად შეხედულობას როკორც რევოლიუციონურ ხასიათზე. ისე ნამდვილ საზოგადოებრივ-ეკონომიურ შინაარსზე ამ მოძრაობისა, რომელიც არღვევს ბატონყმობის ნაშთებს და ამყარებს სოფელში თავისუფალ ბურჟუაზიულ ურთიერთობას. კონფერენცია ფიქრობს, რომ ჩვენი პარტიის აგრარული პროგრამა ამნაირათ უნდა შეიცვალოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩამონაკრების“ პუნქტი გამოირიცხოს და მის მაგიერ ჩაემატოს, რომ პარტია მხარს უჭერს გლეხკაცობის ყველა რევოლიუციონურ ღონისძიებას ვიდრე კონფისკაციამდე (მიწების ჩამორთმევა) სახელმწიფო, საეკლესიო, სამონასტრო, საუფლისწულო და კერძო პირების მიწებისა; ამავე დროს პარტია თავის მუდმივ და უდიდეს მიზნათა სცნობს შეაერთოს სოფლის პროლეტარიატი დამოუკიდებელ ორგანიზაციათ, აუხსნას მას მისი და სოფლის ბურჟუაზიის ინტერესთა შეურიგებლობა და მიუთითოს მას საბოლოო სოციალისტურ მიზანზე, მხოლოთ რომლის განხორციელებასაც შეუძლია მოსპოს ყოველივე მაღალდაბლობა და ექსპლუატაცია.

კონფერენცია აცხადებს სურვილს, რომ პარტიის აგრარული პროგრამიდან გამოირიცხოს პუნქტი გამოსასყიდი ფულების დაბრუნებაზე და იმის შესახებ, რომ ამ ფულებიდან შესდგეს ცალკე სასოფლო ფონდი*). ხოლო კონფისკაციის მოთხოვნა გადატანილ იქმნას მეორე პუნქტში.

6. სახელმწიფო სათათბიროზე.

თვითმპყრობელი მთავრობა 17 ოქტომბრის მერე დღითი-დღე ჰქელავდა ძირითად მოქალაქობრივ თავისუფლებას, რომელიც პროლეტარიატმა მოიპოვა. მთავრობამ სისხლით მორწყო მთელი რუსეთი, ის ზარბაზნებითა და ტყვიის-მტყორცნელებით ეგებება თავისუფლებისათვის მებრძოლ მუშებს, გლეხებს, სალდათებს და მატროსებს, მთავრობა მასხარათ იგდებს ხალხის მიერ წამოყენებულ მოთხოვნას დამფუძნებელ კრებაზე, 11 დეკემბრის კანონით ცდილობს ერთხელ კიდევ მოატყუოს პროლეტარიატი და გლეხკაცობა და მით რამოდენიმეთ მაინც დაადვიანოს თავისი საბოლოო დამარცხება. 11 დეკემბრის კანონი ფაქტიურათ სახელმწიფო სათათბიროს კარებს უკეტავს პროლეტარიატს და გლეხკაცობის უმეტესობას და ცდილობს სხვა და სხვა პოლიციური ხრიკებით თაობითვე უზრუნველჰყოს სათათბიროში ექსპლუატატორულ კლასთა ხელიგანური ელემენტების ბატონობა.

კონფერენცია დარწმუნებულია, რომ რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის პასუხი ამ კანონზე სასტიკი ბრძოლა იქნება როგორც ამნაირ, ისე სხვა ყველანაირ ყალბ წარმომადგენლობასთან.

კონფერენცია ფიქრობს, რომ სოციალდემოკრატია უნდა ცდილობდეს დაანგრიოს ეს პოლიციური სათათბირო და უარჰყოს ყოველგვარი მონაწილეობა მასში.

---

*) ამ წინადადების აზრი იმაში შესდგება, რომ თუ გლეხობა მთელ მიწების აართმევს, და არა მარტო „ჩამონაკრებს“, მაშინ გამოსასყიდი ფულების დაბრუნებას ყოველივე შინაარსი ეკარგება. კავშ. კომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფერენცია წინადადებას აძლევს პარტიული ორგანიზაციებს— ისარგებლონ საარჩევნო კრებებით იმისთვის კი არა, რომ პოლიციურ ხრიკებს დაემორჩილონ და მონაწილეობა შეიღონ სათათბიროს არჩევნებში, არამედ იმისთვის, რომ გააფართოვონ პროლეტარიატის რევოლიუციონური ორგანიზაცია და აგიტაცია გასწიონ ხალხში შეიარაღებული აჯანყებისთვის.

აჯანყება დაუყონებლივ უნდა მზადდებოდეს და ეწყობოდეს, რადგანაც მხოლოთ აჯანყების გამარჯვებას შეუძლიან შექმნას ნიადაგი ნამდვილი ხალხის წარმომადგენლობის მოწვევისა, ე. ი. თავისუფლათ არჩეულ დამფუძნებელი კრების მოწვევისა, რომელიც შემდგარი იქნება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და დახურული კენჭის ყრით.

უმცირესობის საერთო-სარუსეთო კონფერენციის რეზოლიუციები.

1. პარტიის წევრობაზე.

რ. ს. დ. მ. პარტიის წევრათ შეუძლია იყოს ყველას, ვინც ა) აღიარებს მის პროგრამას, ბ) ძონაწილეობას იღებს ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში, გ) რეგულიარულათ შეაქვს ფული ორგანიზაციის კასაში.

---

2. პარტიის ორგანიზაციაზე.

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია უნდა შედგენილი იქნეს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის თანახმათ.

პარტიულ დაწესებულებათა არჩევნებში მონაწილეობას იღებენ პარტიის ყველა წევრები. პარტიის ყველა დაწესებულება ირჩევა ვადით, იცვლება და ვალდებულია ანგარიში წარადგინოს პერიოდულათ და ვადის გარეშე მათი ამომრჩეველ ორგანიზაციების მოთხოვნისამებრ.

ხელმძღვანელ კოლექტივების გადაწყვეტილებანი სავალდებულოა იმ ორგანიზაციების წევრთათვის, რომელთა ორგანოებათაც ეს კოლექტივები ითვლება. როცა ორგანიზაცია მოქმედობს, როგორც ერთი მთელი (სიეზდები, რეორგანიზაცია), საჭიროა ორგანიზაციის ყველა წევრების გადაწყვეტილება.

დაბალ ორგანიზაციების გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგება მაღალ ორგანიზაციათა გადაწყვეტილებას, არ შეიძლება ბრ-
სრულეში მოყვანილ იქნას.

ორგანიზაციის საფუძველია პარტიული კავშირი, რომელიც ან
მხოლოდ ერთია ამა თუ იმ ადგილას ანდა განიყოფება რაიონულ
და პოდრაიონულ კავშირებათ. რაიონული და პოდრაიონული კავ-
შირები ავტონომიურია თავიანთი მოქმედების ფარგალში.

საზოგადო პარტიულ სიეზდეპზე არჩევნებში მონაწილეობას
იღებენ პარტიის ყველა წევრები პირდაპირი კენჭის ყრით და დე-
ლეგატებს სიეზდისათვის ირჩევენ ორგანიზაციები მათი წევრების
რიცხვისდა კვალად. რამდენიმე ხმა ერთ წევრს სიეზდზე არ მიეცემა.
სიეზდის განსახილველი კითხვები უნდა წინდაწინვე ეუწყოს ირგა-
ნიზაციებს, რომ მათ შეეძლოთ ამ კითხვების წინდაწინვე განხილვა.

---

3 უმცირესობის და უმრავლესობის ფრაქციების შეერთებაზე.

ა) კონფერენცია აუცილებელ საჭიროებათ ცნობს დაუყონებ-
ლივ შეერთდენ ადგილობრივი „უმცირესობის“ და „უმრავლესობის“
ყველა ორგანიზაციები დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზე.
რადგანაც კონფერენციას „უმცირესობის“ და „უმრავლესობის“ ად-
გილობრივი ორგანიზაციების შეერთება უსაჭიროეს პირობათ მიაჩ-
ნია შემაერთებელ სიეზდის ნაყოფიერებისათვის, ამიტომ ის მოუ-
წოდებს „უმრავლესობის“ და „უმცირესობის“ ყველა ორგანიზაციებს
დაუყონებლივ შეერთდენ და ანდობს თავის მიერ შედგენილ ცენტრა-
ლურ დაწესებულებას მანაც თავის მხრივ ხელი შეუწყოს ამ შეერთებას.

ბ) კონფერენციას აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია დაუყონებ-
ლივ შეუდგეს შემაერთებელ სიეზდის ჭზადებას, რომლის მთავარი
მიზანია—პარტიული განხეთქილების გაუქმება.

კონფერენცია ეწინაალმდეგება ფრაქციების თანასწორ წარმო-
მადგენლობას შემაერთებელ სიეზდზე, რადგან ასეთ წარმომადგენლო-
ბას შეუძლია ორ ნახევრად გაჰყოს სიეზდი და მით ავნოს შეერთე-
ბის საქმეს.

კონფერენციას აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია, რომ თვითე-
ულ ადგილიდან დელეგატების რიცხვი შეეფერებოდეს პარტიის წევრ-
თა რიცხვს, იმის მიუხედავათ, თუ რომელ ფრაქციას ეკუთვნიან ეს
წევრები.

ამიტომ იმ ადგილებში, საცა არჩევნების დროს „უმრავლესო-
ბის“ და „უმცირესობის“ ორგანიზაციები ჯერ ისევ შეუერთებელი
იქნება, კონფერენცია წინადადებას იძლევა გაიმართოს საზოგადო
საარჩევნო კრებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმცირესობის უფლების უზრუნველსაყოფელათ კონფერენციამ საჭიროთ მიაჩნია ცალკე წარმომადგენლობის უფლება მიეცეს უმცირესობას, იმ შემთხვევაში, თუ მან მიიღო იმ ხმის უმეტესობის არა ნაკლებ ორი მესამედისა, რომელიც დელეგატის გაგზავნის უფლებას იძლევა.

ბ) პრაქტიკულ ცენტრების შეერთება შესაძლებელი და აუცილებლათ საჭიროა, როგორც პოლიტიკურ ხელმძღვანელობის გასაერთიანებლათ, ისე ადგილობრივი ორგანიზაციების შეერთების ხელსაწყობათ და შემაერთებელ სიფხიზის შესამზადებლათ.

პრაქტიკულ ცენტრების შეერთება აუცილებლათ საჭირო და შესაძლებელია იმის მიუხედავად, მოხდება თუ არა ლიტერატურულ ორგანოების შეერთება.

დ) შეერთება ორივე პრაქტიკულ ცენტრისა წარმოებს ორივე ფრაქციისათვის თანასწორ საფუძველზე. თუ შეერთებულ ცენტრის შედგენის დროს ორგანიზაციონ. კომისიის წევრთა რიცხვი ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე „უმრავლესობის“ ცენტრალურ კომიტეტის წევრთა რიცხვი, მაშინ ორგანიზაციონ. კომიტეტი შეავსებს საჭირო რიცხვს იმ კანდიდატებისაგან, რომლებიც კონფერენციაზე არჩეულ იქნენ მათ მიერ მიღებულ ხმების რაოდენობის და კვალათ: ხოლო თუ კანდიდატები აღარ აღმოჩნდენ, ორგან. კომისიას უფლება ეძლევა წევრები კოოპტაციით მიიღოს. ამ სახით შედგენილი კოლეგია წარმოადგენს კოლექტივს, რომელიც გადაწყვეტილებას უბრალო ხმის უმეტესობით იღებს. შეერთებულ პრაქტიკულ ცენტრს კოოპტაციის უფლება ეძლევა ახალ წევრთა მისაღებათ მხოლოთ იმ წევრთა სამაგიეროთ, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო გამოაკლდებიან მას. კოოპტაცია წარმოებს ხმის უმეტესობით.

ე) ცენტრალურ ორგანოს წევრები იმავე დროს არ შეიძლება იყონ პრაქტიკულ ცენტრის წევრებათაც.

ვ) კონფერენციას სასურველათ მიაჩნია ერთი ცენტრალური ორგანოს შექმნა და აუცილებელ საჭიროებათ რაცხს დააკისროს შეერთებულ ცენტრს ყოველი ღონე იღონოს, რომ დაუყონებლივ შეადგინოს ცენტრალური ორგანოს ერთი რედაქცია, ამასთან საჭიროთ მიაჩნია, რომ „უმცირესობა“ არ შეეცადოს მეტი თავისი მომხრეები გაიყვანოს რედაქციაში.

კონფერენცია წინადადებას აძლევს „უმრავლესობის“ ფრაქციას მისცეს შეერთებულ ცენტრის თავის ნაწილს ზემო აღნიშნულ რეზოლიუციების შესაფერი წინადადებანი.

სარედაქციო კოლეგია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი:

		გვ.
1.	**საქართველოს კომპარტ. ყველა ოლქკომებს და მაზრკომებს**	3
2.	**პარტიის ყველა წევრებს** (მოწოდება)	4
1.	**რ. კალაძე**—მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორია (80—90) წ. წ.	5
2.	**ს. თალაკვაძე**—საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის წარსული, 1870—1905 წ. (პირველი ნაწილის დასასრული)	19

2-ე განყ. მოგონებები:

1.	**ფ. მახარაძე**—კომპარტიის ისტორიისათვის ამიერ-კავკასიაში (პირადი მოგონებანი რ. კ. პ. არსებობისა და ბრძოლის 25 წლის გამო)	39
2.	**მ. ცხაკაია**—რუსეთის კომპარტიის არსებობის 25 წლის თავი (მოგონებანი)	69
3.	**ფ. მახარაძე**—როგორ გავხდი მარქსისტი (დასასრული)	75
4.	**კ. ციხეაძე**—ჩემი მოგონებანი (1903—1920 წ. წ.)	107
5.	**ნ. ალაყაროვისა**—ჩვენი არა-ლეგალური სტამბა	123
6.	**ს. თოდრია**—ალიონიდან გათენებამდე (პირადი მოგონებები)	127
7.	**ვ. ცაბაძე**—ჩემი მოგონებებიდან (1890—1905 წ. წ.)	140
8.	**რ. ფანცხავა**—ჩემი მოგონების ნაწყვეტი	150

3-ე განყ. ავტობიოგრაფიები:

I.	**რაუდენ კალაძე**	155
II.	**იოსებ სიმონიშ-ძე მორჩილაძე**	160
III.	**ვარლამ ძნელაძე**	162

4-ე განყ. რევოლიუციის მსხვერპლთა ხსოვნას:

1.	**ვანო სტურუა**—ამხ. ვასო სტურუა (დაღუპული 1905 წ. ბრძოლებში)	167
2.	**სეფე ციხეაძე**—ამხ. იესე (პეტრე) ციხეაძე (1905 წ. ნაძალადევში მოკლული **ცხრათა** შორის)	172
3.	**მ. ინწკირველი**—სტეპკო ინწკირველი (მოკლე ბიოგრაფია)	175

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ-ე განყ. პარტიული არქივი.

1. თ. **კალანდაძე**—რა ვაკეთოთ? (გურულ ამხანაგებს) . . . 177
2. **ზ ჩოდრიშვილი**—კატორღელების ყოფა-ცხოვრებიდან (მოწერილი ნიკოლაევის ციხიდან 1914 წ.) 187
3. საბრალმდებლო აქტი თომა ამბაკოს-ძე ჩუბინიძეზე (ქანდარმერიის არქივიდან) 193
4. „ბრძოლა“ № 4. რუს. ს.-დ. მ. პ. (ორგანო ქართველ სოციალ-დემოკრატთა კავშირისა. 1902 წ. დეკემბერი) 198
5. გლეხკაცობის მდგომარეობის შესახებ ამიერ-კავკასიაში („პროლეტარიატის ბრძოლა“ № 7, 1904 წ.) 227
6. ცნობა უმცირეს-უმრავლესობის საერთო სარუსეთო კონფერენციაზე (ბროშიურა გამოცემული კ. კ. რ. ს. დ. მ. პ.) 239

საქ. რევოლ. მუზეუმის ბიბლიოთეკა
БИБЛИОТЕКА Музея Рев. Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართვ. კომ. პარტ. ცენტრალური კომიტეტის

გამოცემანი:

დაიბეჭდა და გამოვიდა:

1. **ლ. ტროცკი**—იმპერიალიზმისა და რევოლიუციის შუა.
2. **ა. ბოგდანოვი**—მოკლე კურსი ეკონომიური მეცნიერებისა.
3. **ე. ბლონინა**—მუშა-ქალი ინტერნაციონალში.
4. **კ. მარქსი**—საქირაო შრომა და კაპიტალი.
5. **ი. სტეპანოვი**—ნარკვევი რელიგიურ რწმენათა განვითარებიდან.
6. **ზ. ლილინა**—კომუნისტური ოჯახიდან კომუნისტურ საზოგადოებისაკენ.
7. რეზოლიუციები რ. კ. პ. მე-12 კონფერენციისა.
8. **რ. სოსნოვსკი**—(რუსეთი).
9. **ნ. ბუხარინი**—სკოლა და ეკლესია საბჭოთა რესპუბლიკაში.
10. **ვ. ნევსკი**.—დღესასწაულები ქრისტიანული ᲓᲐ მუშურ-გლეხური.
11. **გ. ჩიჩერინი**—ნარკვევი ახალგაზრდათა ინტერნაციონალის ისტორიიდან.
12. **ლ. ტროცკი**.—ოქტომბრის რევოლიუცია.
13. **გ. ზინოვიევი**—მე-III კომუნისტური ინტერნაციონალი.
14. **ი. სტეკლოვი**—ისტორია მუშათა მოძრაობისა.
15. **ბატურინი**—ნარკვევი სოციალ-დემოკრატიის ისტორიისა რუსეთში, ოლმინსკის წერილით 1905—1914 წლამდე.
16. ქვეყნიერების გაჩენა და განვითარება.
17. **პავლოვი**—წარმოშობა მუშათა კლასისა რუსეთში და მისი პირველი ნაბიჯები.
18. კომუნისტური ინტერნაციონალის მე-4 კონგრესი (უმთავრეს მოხსენებათა კრებული).
19. **ნ. ლენინი**—კარლ-მარქსი.
20. **ვ. ლიბკნეხტი**—მოგონებანი მარქსის შესახებ.
21. **კ. ნოღიცკი (პეტროვინი)**—როგორ ჩამოაგდეს მეფე 1917 წ. რუსმა მუშებმა და ჯარის კაცებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. ი. **ვარდინი**—პოლიტიკური პარტიები ᲥᲐ რუსეთის რევოლიუციაში.
23. ა. **ლოგინოვი**—მეცნიერება და საღმრთო წერილი.
24. პროპაგანდისტის თანამგზავრი (ისტორია ქვეყნის გაჩენისა, პოლიტიკური ეკონომია და რევოლიუც. მოძრაობის ისტორია).
25. **პროფ. გურვიჩი**—საბჭოთა კონსტიტუციის საფუძვლები.
26. **კ. ნოვიცკი (პეტროვინი)**—მეფის თვითმპყრობელობიდან პროლეტარიატის დიქტატურამდე.
27. ი. **ალექსეევი**—ცხოველთა და ადამიანთა წარმოშობა.
28. **ფ. მერინგი და პ. ლაფარგი**—ფრ. ენგელსი.
29. **მარქსი და ენგელსი**—კომუნისტური მანიფესტი (დ. რიაზანოვის კომენტარიებით.)
30. **პ. ლაფარგი**—კაპიტალის სარწმუნოება.
31. **დ-რი კეკჩეევი**—ცოცხალი მანქანა (როგორ უნდა ვმუშაობდეთ).
32. **პროფ. სვიატლოვსკი**—ნარკვევი ანარქიზმის შესახებ
33. **ე. იაროსლავსკი**—როგორ იბადებიან ღმერთები.
34. **პ. სტუჩკა**—რევოლიუციონური როლი სამართლისა და სახელმწიფოსი..

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ:

35. **ნ. ბუხარინი**—იმპერიალიზმი და მსოფლიო მეურნეობა.
36. **გ. აუნოვი**—წარმოშობა რელიგიისა და ღვთისადმი რწმენისა.
37. **გ. პლეხანოვი**—მარქსიზმის ძირითადი საკითხები.
38. **ნ. ბუხარინი**—თეორია ისტორიული მატერიალიზმისა.
39. **პ. სტუჩკა**—მეცნიერება რ. ს. ფ. ს. რ.სახელმწიფოსა და კონსტიტუციაზე.
40. **გ. დევილი**—მეცნიერული სოციალიზმი.
41. ი. **სტალინი**.—კრებული წერილებისა ეროვნულ საკითხთა შესახებ.
42. **ვოლფსონი**—საზოგადოებათა მეცნიერება.
43. **პ. ლაფარგი**—შრომა და კაპიტალი.
44. **პ. კოვალენკო**.—პოლიტიკური ანაბანა.
45. **ეიდუსი**—ისტორია მუშათა მოძრაობისა აღმოსავლეთში.
46. **კორში**—კომუნიზმის კვინტ-ესსენცია (დედა-აზრი).
47. **ვარგა**—კაპიტალიზმის დაცემა.
48. **როჟკოვი**—სახელმძღვ. საყოვ. და რუსეთ. ისტ. (უახლოესი პერიოდი) ნაწილი I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

49. **როუკოვი**—სახელმძღვ. საყოველთ. და რუსეთ. ისტ. (საშუალო პერიოდი) ნაწილი II.

50. „ „ „ „ (ძველი პერიოდი) ნაწილი I.

51. **კოლონტაი** დედაკაცის მდგომარეობა მეურნეობის ევოლიუციაში.

52. **კრეკი**.—ისტორია მუშათა მოძრაობისა ინგლისში.

53. **ი. სტეპანოვი** აზრები რელიგიის შესახებ.

54. **აუერბახი** კარლ მარქსი პროფესიონალური მოძრაობის შესახებ.

55. **რუმიახცევი** ქრისტეს შობა (შედარებითი მითოლოგია).

56. **აგოლი** მარქსიზმის დედა-აზრი (ენგელსის ანტიდიურინგი).

ს.ა.ს. რევოლ. მუზეუმის ბიბლიოთეკა
БИБЛИОТЕКА
Музея Рев. Грузии